

მეცხე

675-ე/
1973 /3

ენისა და
ლიტერატურის
სერია

2.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

ა

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



МАЩНЕ

ВЕСТНИК

Серия
языка и
литературы

2.1973

მეცნე



ენისა და
ლიტერატურის
სერია

2.1.973

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
ალ. გეახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Бирамидзе А. Г. (редактор),
Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),
Ломтათидзе К. В., Метрелия Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственным секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.V.73; შეკვ. № 464; ანაწყოების ზომა $7 \times 11^{1/2}$;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1/16}$; ნაბეჭდი თაბახი 16,8, სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14,9; უე 01033; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060. ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

მ. ბაბუღაშვილი, ქართული რეალისტური პროზა და სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი (XIX ს. 50-იანი წლები)	7
მ. შირსაღაძე, პ. უშიაკაშვილი და ფოლკლორის შეკრების საქმე საქართველოში	25
წ. ბაბნიძე, პროლოგი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში	32
მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის მზებნათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის	37
მ. ბელთაძე, „ნათურქალის“ გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში	57
ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისათვის (ბერძნული ხელნაწერები)	64
უ. ცინდელიანი, ძველი აღთქმის ქართული თარგმანის მიმართებისათვის აკვილასა და სვიმეონის ეარიანტებთან „მეფეთა“ IV წიგნის მიხედვით	79
ნ. ანთიძე, ზოგიერთი საკითხი არაბული მუსიკის ისტორიიდან	87
ალ. ბინვაძე, ლექსიკოლოგიური ძიებანი	95
პ. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ	108
ნ. გელიძე, ქართული ლექციონარების ტექსტის ენობრივი თავისებურებანი (ხუთწიგნეულის მიხედვით)	119
ბ. რობაშვილი, ზოგი თავისებური ფონეტიკური პროცესი ქართველურ ენათა კომპოზიტებში	134
ზ. სარჯველაძე, დ/მდ და ნ ნიშნებიანი მესამე სუბიექტური პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში	140
ბ. გიგინეიშვილი, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში	149
ლ. ხატიანი, წინადადების წვერთა აქტუალიზაციის საკითხისათვის რუსულ ენაში	157

ცნობები და შენიშვნები

ა. კანკოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთი თარგმანის გამო	170
ბ. შარაძე, ტაციტუსისა და ციცირონის ძველი ქართული თარგმანები	174
ბ. ფონტიანი, „ეარლაამისა და იოდასაფის“ ბერძნული ვერსიის კიევის ნუსხა	178

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. ხვეციანი, ახალი შრომა ქართული ლექციონარის საგალობლებზე	183
ახალი წიგნები	191

ОГЛАВЛЕНИЕ

СТАТЬИ

В. ГАБЕДАВА. Грузинская реалистическая проза и некоторые вопросы литературного языка (60-ые годы XIX века)	7
Е. ВИРСАЛАДЗЕ, Петре Умнкашвили и дело собирания фольклора в Грузии	25
ДЖ. ГАГНИДЗЕ, Пролог «Витязя в тигровой шкуре» в венгерских переводах поэмы	32
М. КАРБЕЛАШВИЛИ, К вопросу пролога «мзехатуновской» редакции рукописей «Вепхисткаосани»	37
М. БЕЛТАДЗЕ, К толкованию «патигкали» в поэме Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре»	57
Н. ЦОПУРАШВИЛИ, К составу «Итики»	61
У. ЦИНДЕЛИАНИ, Об отношении древнегрузинского перевода Ветхого Завета к вариантам Аквилы и Симаха по данным IV книги «Царств»	79
Н. АНТИДЗЕ, Некоторые вопросы из истории арабской музыки	87
А. ЧИНЧАРАУЛИ, Лексикологические разыскания	95
А. ШАНИДЗЕ, Сванский культовый термин Джграг (св. Георгий)	108
Н. МЕЛИКИШВИЛИ, Языковые особенности грузинских лекционных (на материале пятикнижья)	119
Г. РОГАВА, О некоторых фонетических процессах в композитах картвельских языков	134
З. САРДЖВЕЛАДЗЕ, Редкие глагольные формы III-го субъектного лица с суффиксами <i>q d</i> , <i>qe ed</i> и <i>б п</i> в древнегрузинском	140
Б. ГИГИНЕИШВИЛИ, Долгота гласных и проблема ауслота в сванском	149
Л. ХАТИАШВИЛИ, К вопросу об актуализации членов предложения в русском языке	157

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

А. КЕНЧОШВИЛИ, Об одном поэтическом переводе, выполненном Ал. Чапчавадзе	170
Г. ШАРАДЗЕ, Древнегрузинские переводы сочинений Тацита и Цицерона	174
Б. Л. ФОНКИЧ, Киевский список греческой версии «Варлаама и Иоасафа»	178

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. ХЕВСУРИАНИ, Новое исследование о песнопениях «Грузинского лекционария»	183
Новые книги	191

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ვენერა ბაბუაძე

ქართული რეალისტური პროზა და სალიტერატურო ენის
ზოგიერთი საკითხი (XIX ს. 50-იანი წლები)

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიასა და პროზას რომ ვაღარებთ, გაოცება გვიპყრობს: თუ ჩვენს პოეზიას „ძალი შესწევს ქაღილისა“, პროზას არაფერი აქვს საამაყო. ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის პოეტური მარგალიტების შესადარი პროზაში არა შექმნილა რა. ქართული მხატვრული პროზის ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი სალიტერატურო ენის მაშინდელი სავალალო მდგომარეობაც იყო. რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, თუ ანტონ I-ის ემბაზში „განბანილი“ სალიტერატურო ენა საკმაოდ გამოსადეგ საფუძველს წარმოადგენდა რომანტიკული პოეზიისათვის, იგი სრულიად შეუფერებელი და უღონო იყო სინამდვილის ამსახველი პროზისათვის და, თუ გნებავთ, რეალისტურა პოეზიისათვისაც.

ცნობილია, რომ ქართულ მხატვრულ პროზას დიდი ტრადიციები აქვს. იაკობ ტურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და სხვ. მხოლოდ თეოლოგიური დოგმებით დატყვევებული ჰაგიოგრაფები როდი იყვნენ; მაღალი ეროვნული იდეალები, „დახვეწილი, ფაქიზი გემოვნება, ორიგინალური მხატვრული ხერხები, დიდი ოსტატობით გამოძერწილი რეალისტური სახეები, სადა, მდიდარი და ძარღვიანი ენა, კომპოზიციის დიდი გრძნობა, თხრობის საოცარი უნარი და, საერთოდ, წერის მაღალი კულტურა“¹, — აი, ის ღირსებები, რომლებიც დღესაც გვიზიდავს მათ ნაწარმოებებში. ჰაგიოგრაფები რომ ვიწრო რელიგიური ჩარჩოებით შემოზღუდულიყვნენ, მათ დღეს აღარავინ წაიკითხავდა, მაგრამ ერისთვის მტკივნეული, საჭირბოროტო პრობლემების დასმით ეს ქმნილებები საერო ხასიათის ნაწარმოებებს უტოლდება და მათი ავტორები, ასე გასინჯეთ, ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპებსაც კი გვთავაზობენ².

„განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილადმოლუჟაწებასა მისსა“ — იოანე საბანისძის ეს დებულება ხომ იგივე „წყეული პრობლემაა“, რომელიც XIX საუკუნის 50-იან წლებში ასე მწვავედ წამოიჭრა და „მამათა“ და „შვილთა“ შორის ატეხილი დავის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ამგვარად, ჩვენი მხატვრული პროზა, ჟამთა სიივეს გადარჩენილი ძეგლების მიხედვით მაინც, საეკლესიო მწერლობით იწყება. XI—XII საუკუნეებიდან საერო ლიტერატურა ბატონდება და, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, აქედანვე ისახება ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ქართული მწერლობის ამ კლასიკურ ხანაშია შექმნილი უკვე წმინდა საერო ხასიათის პროზაული ნაწარმოებები: სადა, უპრეტენზიო ენით დაწერილი ამბავი სახე-

¹ რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 148.

² იქვე.

ლოვანი ფალავნებისა — „ამირანდარეჯანიანი“ და ხორციელი სიყვარულის ვნებიანი სიმღერა — „ვისრამიანი“, რომელიც თუმცა ორიგინალურ თხზულებას არ წარმოადგენს, მაგრამ მხატვრული სრულქმნილებით, ბრწყინვალე ოქროქსოვილით დედანსაც არ ჩამოუვარდება და ამიტომაც თამამად დავასახელებთ ქართული წარმოშობის ნაწარმოებთა გვერდით.

ჩვენი მწერლობის იმ დიდებულ ხანაში ერთხელ კიდევ გაგვაოცა ქართულმა ენამ თავისი სიმდიდრით, ამოუწურავი ღირსებებით და შესაძლებლობებით: „შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის შაირმაც „დაჩრდილა პროზაული თხრობის ინსტრუმენტი და ეს მოხდა მიუხედავად იმ დიდი შემზადებითი მომენტისა ქართულ რომანისტიკაში, როგორცაა მსოფლიო მწერლობაში სავესებით უნიკალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები — იაკობ ცურტაველის „წამება წმ. შუშანიკისა“ და გ. მერჩულეს „ცხოვრება გრ. ხანძთელისა“³.

მართლაც, „ვეფხისტყაოსანმა“, მისდა უნებურად, შეათერხა პროზის განვითარება, რადგან შოთას უთვალავმა, ნიჭიერმა თუ უნიჭო ეპიგონმა წალეკა ქართული პოეზია; პროზა ლიტერატურის არასრულფასოვან დარგად იქნა მიჩნეული და ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოები ილექსებოდა („ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „შაჰნამე“). სამაგიეროდ, „ვეფხისტყაოსანმა“ ძლიერი ბიძგი მისცა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას საერთოდ, გაათავისუფლა იგი „რელიგიურ-კონფესიური ჩარჩოებისაგან და... ხალხურ მეტყველებას დაუახლოვა“⁴.

სახელოვანი ტრადიციების გაგრძელებას მტრის შემოსევებმა შეუშალა ხელი. XVI საუკუნიდან ქართული ენა ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: სპარსი დამპყრობნი უდიერად გვახვევდნენ თავს როგორც თავიანთ კულტურასა და სარწმუნოებას, ასევე ენას. მოღუნდა ქართული სიტყვათწარმოება, გაწყდა მაცოცხლებელი კავშირი ხალხურ სტიქიონთან. უცხო ხმები და განწყობილებები სარეველასავით მოედო ქართულ პოეზიას. თვით სპარსთაგან ილაჯგამწყდარი თეიმურაზიც კი ამას ამბობდა: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. ეს ფრიად სახიფათო მიმდინარეობა კარგა ხანს ბატონობდა ჩვენში. პირველად არჩილი შეებრძოლა ამ მავნე ტენდენციას, მკაცრად გაილაშქრა უცხო ლექსიკისა და ჟანრების წინააღმდეგ. პოეზიის ბატონობის ხანაში, „გაბაასებათა“ და „ხილთა ქებათა“ ფონზე ობლად მოჩანს საზღაპრო ეპოსის მიმზიდველი ძეგლი „რუსუდანიანი“, რომელიც, უპირველესად, მაღალი ეროვნული იდეალებით გვხიბლავს, თორემ სიუჟეტისა თუ სტილის ორიგინალურობით ვერ მოიწონებს თავს.

ბოლოს, XVIII საუკუნის დასაწყისში, დიდი ხნით დადუმებულ პროზას ძველებური სილამაზითა და ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი სისადავით ამოადგმევინა ენა სულხან-საბა ორბელიანმა. მან თამამად მიუშვა ხალხური მეტყველების ნაკადი სალიტერატურო ენაში, გაადვიძა მისი მთვლემარე შემოქმედებითი პოტენცია და შექმნა ქართული პროზის შედევრი „სიბრძნე სიცრუისა“. რა თქმა უნდა, საბას ამაგი ქართული სალიტერატურო ენის წინაშე ამით არ ამოწურულა — მის „სიტყვის კონას“ არც დღეისათვის დაუკარგავს მნიშვნელობა.

³ კ. გამსახურდია, კრიტიკა, II, თბ., 1959, გვ. 194.

⁴ გ. წერეთელი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 023.

ის, რაც ქართული პროზისათვის საბამ გააკეთა, — წერს კ. გამსახურდია, — პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დ. გურამიშვილმა... ამ ორმა გოლიათმა სვეგამწარებული საქართველოს უმთვარო დამეში გახსნეს დაშრეტაზე მიმდგარი წყაროსთვალი „დიდებულისა ქართულისა ენისაი“⁵.

ამრიგად, ქართული მხატვრული პროზა ერთგვარად გამოცოცხლდა და მოსალოდნელი იყო, რომ იგი უფრო დიდ სიმაღლეებს დაიპყრობდა, მაგრამ სალიტერატურო ენა ახალ დაბრკოლებას წააწყდა. მხედველობაში გვაქვს ანტონ I-ის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობა. ანტონის „სამი შტილის“ თეორიის მიხედვით, მაღალ მატერიას მაღალფარდოვანი სტილი შეეფერება, ისტორიული შინაარსის მასალებს — საშუალო სტილი, ხოლო ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო მოვლენებს, ადმინისტრაციულ განკარგულებებს, საქმიან მიმოწერას, ლიტერატურულ ჟანრებს — კომედიას, ეპიგრამას — დაბალი სტილი.

სალიტერატურო ენა „ძველ ქართულს უბრუნდებოდა“, მაგრამ არა ჩვენი ჰაგიოგრაფების „განმარტებულ“, ე. ი. ადვილად გასაგებ ძველ ქართულს, არამედ, როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, იოანე პეტრიწის ხელოვნურ, განყენებულ ქართულს, რომელსაც ბერძნული ფრაზის არქიტექტონიკა ახასიათებდა.

საინტერესოა იონა მეუნარგიას ერთი ცნობა, რომელიც ანტონის სტილის მიუწვდომელ სიმძიმესა და ხელოვნურობაზე მეტყველებს: „მეფე გიორგი, რომელსაც მემკვიდრეობის დროს თვით ბიძამისი ანტონ კათალიკოსი უკითხავდა თავის ფილოსოფიას, ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“⁶.

მთელი საუკუნის მანძილზე ბატონობდა ჩვენში ეს მძიმე, ბუნდოვანი, არქაიზმებით მოჩუქურთმებული „მაღალი შტილი“. მთელი საუკუნის მანძილზე სალიტერატურო ენა მოწყვეტილი იყო ხალხურ, სასაუბრო ენას. ვერც ერთი ნიჭიერი პოეტი ვერ გადაურჩა აღნიშნული სკოლის სქოლასტიკას. ჩვენ გვატკბობს ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის ბრწყინვალე ქმნილებები, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათი ნაწარმოებები (მცირე გამონაკლისის გარდა) დ. გურამიშვილის ან სულხან-საბას იგავ-არაკების გამკვირვალე, ხალხური ენითაა დაწერილი.

„... საბოლოოდ, ანტონისა და მისი სკოლის უმართებულო ექსპერიმენტმა მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ხელოვნური ენა ვერ გამოდგება აზროვნების იარაღად და ურთიერთობის საშუალებად, იგი მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხალხის კულტურულ წინსვლას“⁷.

XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის ანტონ I-ის თეორიას ნიადაგი შეერყა. ამ დროისათვის ჩვენში რეალიზმი იკიდებდა ფეხს და დრო იყო, მწერლებს სადად, უბრალოდ გამოეთქვათ აზრი, არქაიზმების ტყვეობისაგან თავი დაეღწიათ. რეალისტური მიმართულებისათვის უცხო უნდა ყოფილიყო აღზევებული სტილი, სიტყვიერი სამოსელით გადაქარბებული კეკლუცობა, რადგან მას სინამდვილე, მისი ახალი შინაარსი და ტენდენციები უნდა აესახა. გარდა ამისა, თავისთავად დიდ უხერხულობას ქმნიდა სასაუბრო ენისა და მწიგნობრულის ასეთი საოცარი დაშორება.

⁵ კ. გამსახურდია, კრიტიკა, II, 1959, თბ., გვ. 259, 260.

⁶ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1954, გვ. 165.

⁷ ზ. კუმბურძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1956, გვ. 6.

ყველა გრძნობდა ერთიანი სალიტერატურო ენის დაკანონების აუცილებლობას. მაგრამ რომელი სტილი უნდა დადებოდა სალიტერატურო ენას საფუძვლად? ეს იყო კითხვა, რომელიც ასე აწვალებდა 50-იანი წლების ქართველ ინტელიგენციას და გაუთავებელ კამათს იწვევდა. ამგვარად, დღის წესრიგში იდგა სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხი.

მართლაც, ერთადერთი ქართული ჟურნალის — „ცისკრის“ ფურცლები კალეიდოსკოპს მოგაგონებთ. „ლექსთა თხზულების“ განყოფილებაში უმთავრესად ჯერ ისევ „აღმოსავლური სულით“ შთაგონებული მუხებია დასერიანობდნენ. ჟურნალს ჰქონდა კიდევ ორი განყოფილება — „პროზა“ და „ქსწავლა და ხელოვნება“, სადაც ერთმანეთს ეცილებოდა სამივე სტილი. ნიმუშად მოვიტანთ „ცისკრის“ 1857 წლის 1-ლ ნომერს: აქ დაბეჭდილია ფრანგი მწერლის მარმონტელის რომანი „მეუდაბნოენი“, რომელიც სარდიონ ალექსი-მესხიშვილს უთარგმნია. აი, ერთი ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან: „წარმოიდგინეთ, რომ ვალერია სთრთოდა რა ყოველთვის წარბშეკრულის, მკაცრის მამის თვალწინ, რომელიცა მხოლოდ ერთით შეხედვით ხმას ჩააწყვეტინებდა თავისს შვილებს და დაამხობინებდა თვალებს, ვალერია პირველჯერ ახლა თავისს სიცოცხლეში, სიამოვნით დაიმორჩილებდა ნაზსა გულსა და ხედვიდა სასიამოვნოსა მოქმედებასა თავისის შვენიერებისასა იმ კაცზე, რომელიც ღირს იქმნა იმისის მადლობისა“⁸. როგორც ვხედავთ, ეს შეიდუმმასშენლიანი წინადადება თავისი მოსაწყენი არქიტექტონიკით ძლიერ შორსა დგას ცოცხალი, სასაუბრო ენისაგან. ამავე ნომერშია მოთავსებული ივ. კერესელიძის „მდაბიური“ ენით დაწერილი ანეგდოტი „ქურდის ენა-მეტყველობა“, რომელსაც მთლიანად მოვიტანთ: „ერთს სახლში შუადამისას ქურდი შეიპარებოდა ნივთების მოსაპარავათა. სახლის პატრონმა ფეხის ხმა შეიტყო და დაუძახა: — ვინ ხარო? ქურდმა ხმა არ გასცა. — ვინ ხარ, უთუოთ ქურდი ვინმე იქნებო? განიმეორა სახლის პატრონმა. მაშინ ქურდმა მიუგო ესრედ: თუკი მიცნობ ვინცა ვარ, რაღასა მკითხა მო?“⁹. ახლა კი „ცისკრის“ 1857 წლის ივლისის ნომერს გადავხედოთ. პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია დ. ციციშვილის „ძალისათვის მუსიკისა“. ნაწარმოები დაწერილია გაცილებით უფრო მძიმე, არქაული ენით, ვიდრე „მეუდაბნოენი“. მოგვაქვს ნიმუში: „უცნობმან მიპყრა ხელი და გამომიყუანა საბჯრობილით, მივკუუანდი ბნელსა და ვრცელს განსასუენელთა შორის სახლთასა. სადა შორით პასუხს მიგებდნენ ბგერანი ფერხთა ჩემთანი, და წულილნი აჩრდილნი გამოჩნდნენ ჟამსა სუსტის მთოვარის ნათლისასა ანუ განქრებოდნენ ნისლსა შინა. უკანასკნელ მივიწიენით ფარდულსა, შთავედით ეტლსა, ცხენნი გაექანნენ და წარგვიღეს იმიერ მთისა, აღსდგა მტუერი მქსგავსად სუეტთა ცხენის კლიკთაგან, მათთა ფერხთა ქუეშე ირყეოდა მიწაი“¹⁰.

რა თქმა უნდა, მწერლებსაც და კრიტიკოსებსაც ესმოდათ, რომ სტილთა ნაირფერობა კარგს არაფერს უქადდა სალიტერატურო ენას. ერთიანი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში პირველად დედაქალაქის სახელწოდების დადგენის საკითხი ამოტივტივდა. წერილში „მკითხუელთადმი“ ალ. სავანელი უჩივის იმ გარემოებას, რომ „ცისკრის“ ფურცლებზეც კი დედაქალაქის სახელწოდება სხვადასხვანაირად იწერება — ტფილისი, თფილისი, თბილისი. ავტორს მართებულად მიაჩნია სახელწოდება „თბილისი“, „...ვინაითგან წოდება ესე

⁸ „ცისკარი“, 1857, გვ. 27, 28.

⁹ იქვე, გვ. 61.

¹⁰ დ. ციციშვილი, ძალისათვის მუსიკისა, „ცისკარი“, 1857, VII, გვ. 29.

მიუღია მას... თბილის წყლიდამ (და არა ტფილის წყლიდამ)“¹¹. აქ უთუოდ ცდება სავანელი: ძველად არსებობდა ფორმა „ტფილი“, რომელიც თანდათან, დროთა განმავლობაში „თბილად“ გადაიქცა. ძველ სახელწოდებას თავგამოდებული დამცველი გამოუჩნდა. „ცისკარის“ მომდევნო ნომერში ნოტა-ბენე (ნ. ბერძნიშვილი), ეხმაურება რა ალ. სავანელის წერილს, აღშფოთებული წერს: „თბილი არის სიტყვა, გარყვნილი საზოგადო, სახალხო ხმარებაში. ესევე ლექსი საღმთო წერილში, ესე იგი ძველის ქართულის ენით გამოითქმის — ტფილი..., რომელი წოდება ურჩევნია ჩვენ ძუელსა დედაქალაქსა, წამდვილი ქართული თუ გარყვნილი დაბიური?“¹² პოლემიკა ამ საკითხის გარშემო აღარ გამწვავებულა. ქართულმა ენამ დედაქალაქის გვიანდელი წარმოშობის სახელწოდება მიიღო. ამ ერთი სიტყვის მაგალითიც გვიჩვენებს, რომ ენა, როგორც ისტორიული კატეგორია, ურყევი დოგმების ტყვეობაში კი არ არის, არამედ იცვლება და ვითარდება; ენის ამ შინაგან კანონს ვერაფრითარც ძალა ვერ აღუდგება, რალა თქმა უნდა, ვერც ფონეტიკური ჯებირები.

„ცისკარის“ ფურცლებზე პირველად არდაზიანმა წამოჭრა სტილთა აღრევის მტკივნეული საკითხი. „ეხლანდელი ყმაწვილი კაცები, — წერდა არდაზიანი, — ორ წყალ შუა არიან. იმათ არ იციან. რომლის ენით სწერონ... ჰგრძნობენ საღმთო წიგნიერის ენის სიმძიმესა და ურგებლობასა, და მასთანვე, შიმობენ წერასა საეროს ენის ფორმით“¹³. აღიარებდა რა საერო ფორმის აშკარა უპირატესობას, ავტორი შენიშნავდა: „გამშუენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე. საღმთო წიგნურის ფორმაზე კი, გინდ ორ ათას წელიწადს ყოველდღე გამოიცემოდეს ორი ათასი წიგნი, მაინც კიდევ პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინ“¹⁴. პროზაც და პოეზიაც ერთი ენით უნდა იწერებოდეს, — ასეთია ლ. არდაზიანის დასკვნა. ავტორი ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც პროზისა და პოეზიის ენას შორის არსებობს: „ქართული პოეზია უფრო განვითარებულია, მინამ პროზა. ლექსებს ჰსწერენ მსუბუქად, მარტივად, ცხოველად, ყოველი სიტყუა ხტის, თამაშობს. პროზა და ჩუენი არის მძიმე, მოუდრეკელი, ბნელი, უძლური, სიცოცხლე მიღებული, კივი, შაშინ, როდესაც ქართული ენა მერხევი და საამოა“¹⁵.

ავტორი უდრმავედება ამ განსხვავებების ისტორიულ მიზეზებს და მეტად საგულისხმო ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „ფორმა საღმთო წერილის ენისა საკუთრად არ არის ძირეული ფორმა ქართულის ენისა. საღმთო წერილი გადმოდებულია სიტყვასიტყვით ბერძნულ ენიდამ, ამიტომ რომ არ შეიძლებოდა ნებისითი თარგმანი ღუთის სიტყვისა... ეს ფორმა დარჩა ჩუენამდინ უცუალე-ბელი პროზაში... საერო ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდნენ მოლექსენი და სხვა მწერალნი, მეფენი, მსაჯულნი. საერო ენა განვითარდა: დამტკიცებული სახსოვარები გვიწყვია თვალწინ“¹⁶. ამგვარად, პროზის ჩამორჩენის მიზეზად მას მიაჩნია ბერძნულიდან ნასესხები და ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული მწიგნობრული ენა, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა და არ განვითარდა. ამგვარ ძიებას ლ. არდაზიანი იოანე პეტრიწამდე მიჰყავს, თუმცაღა მას არ

¹¹ ალ. სავანელი, მკობხუელთაღმი, „ცისკარი“, 1958, II, გვ. 71.

¹² ნოტა-ბენე, პასუხი, „ცისკარი“, 1858, III, გვ. 124—125.

¹³ ლ. არდაზიანი, კრიტიკა ბერძენოვის სტატიისა, „ცისკარი“, 1859, IX, გვ. 84.

¹⁴ იქვე, გვ. 84—85.

¹⁵ იქვე, გვ. 82—83.

¹⁶ იქვე, გვ. 83.

ასახელებს. ამ მოსაზრებას მით უფრო უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ, ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, იოანე პეტრიწს, თუ მთლიანი გრამატიკული ნაშრომი არა, „ქართული ენის აგებულების ზოგიერთი მოვლენის შესახებ მაინც... რაღაც ნაშრომი ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, ანტონის დროსაც ჯერ კიდევ არსებობდა“¹⁷. ხელოვნური საეკლესიო ენის უარყოფა და საერო ფორმის დაცნობა, არდაზიანის აზრით, კრიტიკის უშუალო მიზანი უნდა იყოს. „კრიტიკა მოვალეა, — წერს ის, — პროზა დააყენოს ერთ გზაზე. ესე იგი, ჩაუდგას იმას საერო ენა და იმისვე შემწეობით ეს ენა განავითაროს“¹⁸.

მაგრამ ამ ხანებში ერთიანი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია; კანტიკუნტად, დიდი ინტერვალებით იბეჭდებოდა მსგავსი წერილები და მათ გამოჩენას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. 1860 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ივანე კერესელიძის წერილი „რედაქციისაგან“. სხვა საკითხებთან ერთად იგი ეხება სტილის პრობლემასაც. ავტორს დასაშვებად მიაჩნია ორი სტილით წერა. მისი აზრით, „მაღალი ფრაზით“ უნდა წერდნენ მეცნიერნი და ღვთისმეტყველნი; „მაღალი ფრაზით წერა მაშინ არის კარგი და გამოსადეგი, — ამბობს ის, — როდესაც საღმრთოსა რასმე საგანს შეეხება, ღრმა ჰსწავლასა და მეცნიერებასა... ამგვარად ნაწერი ასში რომ ათმა გაიგოს, ისიც საკმაოა“¹⁹. მხატვრული ლიტერატურის ენარებს, ავტორის აზრით, „დაბალი ფრაზა“ შეეფერება. „რაც კი მოსათხრობელი არის რამე, ანბავი თუ ისტორია, რომანი, ლეგენდა, ტრადიცია, — ისე უნდა დაიწერებოდეს, როგორც საზოგადოებაში ლაპარაკს შეეფერება; თუ არა და, სულ რომ არ დაიწეროს, ისა ჰსჯობია“²⁰.

აშკარაა, რომ ივ. კერესელიძის ეს თვალსაზრისი კომპრომისულია და „შტილთა“ თეორიის სრულ უარყოფას არ წარმოადგენს.

იმავე წლის ივნისის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“ ალ. ორბელიანი მეტი კატეგორიულობით, ვიდრე ლავრენტი არდაზიანი, სვამს „ერთგვარად წერის“ აუცილებლობის საკითხს. ალ. ორბელიანის მართებული დაკვირვებით, „ქრელი წერა“ მკითხველებში უსიამოვნო გრძნობას იწვევს. ამიტომ „რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს და რა გუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ“²¹, — მოითხოვს ავტორი. ალ. ორბელიანი დეტალურად განიხილავს სამივე სტილს, გვაძლევს მათ ნიმუშებს და ბოლოს აცხადებს: „თუ... ჩემზედ მოაგდებთ და ამამარჩევინებთ, მე საშუალებას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას, — ამისთვის, რომ უფროსი ერთი უწინდელი საერო წიგნები დარბაისელთ ენაზედ უწერიათ და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ: ვითარცა რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე სიცრუე, ყარამანიანი, სხუანი და სხუანი და ბოლოს ვიტყვი ვეფხისტყაოსანი“²². ალ. ორბელიანის მიერ საშუალო სტილის პრიმატის აღიარება ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი „ეკლესიურ სტილს“ იწუნებდეს. პირიქით, ალ. ორბელიანი მისი დიდი თაყვანისმცემელია. მაგრამ აღზევებული სტილის შემოღება მისი სიძნე-

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 3.

¹⁸ იქვე, გვ. 85.

¹⁹ ივ. კერესელიძე, რედაქციისაგან, „ცისკარი“, 1860, VII, გვ. 179.

²⁰ იქვე, გვ. 179.

²¹ ალ. ორბელიანი, ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, 1860, VI, გვ. 97.

²² იქვე, გვ. 95—96.

ლისა და მიუწვდომლობის გამო შეუძლებლად მიაჩნია. რაც შეეხება მდაბიო „უბნობას“, ავტორი მას სალიტერატურო ენის უფლებებს არ ანიჭებს: „მართალია, გლახაკების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილად გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშუებული ენა არის გლახების ლაპარაკი“²³. ამგვარად, ალ. ორბელიანი დარბაისლურ სტილს მიიჩნევს წერისა და მეტყველების ყველაზე მოხერხებულ საშუალებად. მისი აზრით, „ჩუენი საშუალო ანუ დარბაისელთ ენა ასეთი უნაკლო ენა არის, რომ დიად ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგათაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება. მართლაც, ჩუენს საშუალს ქართულ ენას, როგორც გნებავთ ისე მიმოხრით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ ისე ლბილად გაიგონებს ყური, მეტი საამოდ იყოს სმენისათვის“...²⁴. როგორც ალ. ორბელიანი ამტკიცებს, „ეკლესიურისგან“ განსხვავებით, დარბაისლური ენა გლახებსაც ჩინებულად ესმით. ესეც უნდა ითქვას, რომ ავტორი კომპეტენტურობას მაინცდამაინც არ იჩემებს და ქართველ მოღვაწეებს მოუწოდებს ერთობლივი ძალით გადაჭრან ეს გადაუღებელი პრობლემა. როგორც ვხედავთ, თვით ანტონის მალმერთებელი ალ. ორბელიანი ხედავს მისი თეორიის გადასინჯვის აუცილებლობას. სხვა საკითხია, როგორ დასკვნებს აკეთებს იგი. ამგვარად, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ლიტერატურა მარტო განსწავლულ არისტოკრატთა კი არა, მთელი ხალხის კუთვნილება უნდა გამხდარიყო. ალ. ორბელიანი თავის წერილში საგანგებოდ უსვამს ხაზს — დარბაისელთა ენა გლახებსაც ზედმიწევნით კარგად ესმითო. ეს გაზვიადებაა, მაგრამ თავისთავად მრავლისმეტყველია ფაქტი, რომ სალიტერატურო ენის საკითხის გადაწყვეტის დროს ის უფლებაშელახულ აუდიტორიასაც უწევს ანგარიშს. მაშინდელი მკითხველი კი, და არა მარტო „მდაბიო“ მკითხველი, უსათუოდ საჭიროებდა მეგზურს, გზის გამკვლევს. ზემოაღნიშნული საჭირობოტო პრობლემების გაგება და, მით უმეტეს, გადაწყვეტა მკითხველთა ფართო მასებისათვის ერთგვარი ლიტერატურული განათლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა, სხვათა შორის, ივ. კერესელიძის წერილი — „რედაქციისაგან“, რომელშიც იგი პროზისა და პოეზიის განმარტებას იძლევა. „რაც რამ გამბით იწერება, თავისუფლებით, უზღუდველათ, დაუბრკოლებლათა, პროზა იმასა ჰქვია... პროზათ მწერალს სხუა კანონი არა უძევს რა, — თუ არა ზრდილობა, პატიოსნება და იმდენად გამშუენება საუბრისა, რამდენადაც შეუძლია“²⁵, — ასე გვიხსნის ივ. კერესელიძე პროზის რაობას. როგორც ვხედავთ, საოცრად მიაბითური განმარტებაა. პროზისთვის ამოსავალი ყოფილა „ზრდილობა და პატიოსნება“ და არა იდეურ-მხატვრული ნიშან-თვისებები. ასევე პრიმიტიულადაა განმარტებული პოეზიის არსიც: „პოეზია კი საზოგადოდ იმასა ჰქვია, რაც ამაღლებულს გრძნობას გამოჰსთქვამს... დასაკუთრებული თვისება პოეზიისა უფრო წყობილი ლექსით წერა არის“²⁶.

საგულისხმობა, რომ ამ დროისათვის სულ უფრო ხმამაღლა აღიარებენ პროზის უპირატესობას: მოუბრუნებლად წავიდა ის დრო, როდესაც აცხადებ-

²³ იქვე, გვ. 97—98.

²⁴ იქვე.

²⁵ ივ. კერესელიძე, რედაქციისაგან, „ცისკარი“, 1860, II, გვ. 177.

²⁶ იქვე, გვ. 178.

დნენ: „ლექსა უფრო ყურს უგდებენ, ამბის წიგნები ძეს ავად“ (XVII ს. პოეტის სულხან თანიაშვილი).

„პოეზია პროზაშიც არის, არათუ არის, უფრო ცხოველად გამომეტყველებს, რადგანაც რითმები შეაფიწროებენ ადამიანის აზრს, ამისათვის შაირს ფასი აღარა სძევს. შაირს განათლებულს ქვეყნებში იშვიათადა მისდევენ და ეს არის მიზეზი, რომ დიდი პოეტები მოლექსეები აღარსად არიან. ისინი შეიცვალნენ პროზაიკებითა“²⁷.

უფრო საფუძვლიანად და დეტალურად განიხილავს ამავე საკითხს ნ. ბერძნიშვილი. „ცისკარის“ 1858 წლის ნომრების განხილვისას, მის ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ლექსების რაოდენობა განუზომლად სჭარბობს პროზაულ ნაწარმოებებს. ჩვენს სინამდვილეში ავტორს ეს კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. მისი თქმით, უწიგნურ სოფელს მესტვირესაც კი შეუძლია გაგვაკვიროს ლექსთათხზვის ნიჭით; ქალაქშიც არსებობს საყოფაცხოვრებო ფოლკლორული პოეზია, მდარე, სხვადასხვა ენის სიტყვებით აქრელებული, რომელსაც ნ. ბერძნიშვილი „საბაზრო ლიტერატურას“ უწოდებს. „ამრიგად, — ასკვნის ავტორი, — პოეზია, ცოტათ თუ ბევრად, მარჯვე ლექსთა თქმის აზრით, ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურის მოუცილებელ ფიზიოლოგიურ თავისებურებას შეადგენს და ამ თვალსაზრისით კრიტიკას არ შეუძლია დასცინოს მას, რადგან ის პოეზია ხარკს უხდის თავისი ქვეყნის ბუნებას, ხარკს, რომელიც სამხრეთის ყველა ქვეყანას ახასიათებს“²⁸. ავტორი არც იმ გავლენას იეწყებს, რომელიც აღმოსავლეთმა მოახდინა ჩვენს პოეზიაზე. ამ გავლენით ხსნის იგი მეტაფორებისა და „ხუჭუჭი ფრაზების“ სიუხვეს, რაც დამახასიათებელია ჩვენი ლექსებისათვის და „რაც ხშირად აზრსა და მხატვრულ უბრალოებას ენებს“²⁹.

რით არის გამოწვეული ჩვენი პროზის ჩამორჩენილობა? ნ. ბერძნიშვილი პეტად თავისებურად გვიხსნის ამ მოვლენას. „ცისკარი“ გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების იმ პირველსაწყის პროცესს, რაც შეიმჩნევა ყველა ქვეყანაში, რომელიც ახალი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას, გონებრივად იღვიძებს. ამ განვითარების გზაზე, როგორც ცალკე აღებული კაცის ცხოვრებაშიც, განსაკუთრებით გამოირჩევა ორი ეპოქა, სახელდობრ: ეპოქა ახალგაზრდობისა, როცა სიცოცხლე უმეტესად წარმოსახვაში მიმდინარეობს..., როცა ირგვლივ არსებულსა და თვით მომავალსაც ძალაუნებურად პოეტური გატაცებისა და მიაშიტი სურათების კრელი პრიზმით უცქერი. მაგრამ თანდათან ცეცხლოვანი წარმოსახვა ადგილს უთმობს ცივ განსჯას; ოცნებანი ერთი მეორეზე ინთქმებიან და ცხოვრებაც ისე გამოჩანს, როგორც მკაცრი აზრის, დადებითი შრომის და სინამდვილესთან ბრძოლის სარბიელი. მისწრაფება მატერიალურისაკენ, მისი მეშვეობით კი ზნეობრივი სრულყოფისაკენ, იწყებს საზოგადოებაზე ბატონობას; მას იტაცებს პრაქტიკული ინტერესები, ზოგჯერ სულიერი ინტერესების საზიანოდაც კი³⁰.

²⁷ „ცისკარი“, 1961, VI, გვ. 196.

²⁸ ნ. ბერძნიშვილი, ძურნალ „ცისკარის“ 1958 წლის 12 წიგნაკის — იანერიდან დეკემბრამდე გაკვრითი მიმოხილვა, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ. I, 1955, გვ. 117.

²⁹ იქვე, გვ. 117.

³⁰ იქვე, გვ. 117—118.

ამგვარად, ნ. ბერძნიშვილის შეხედულებით, „ცისკარი“ ჯერ ოცნებების და გატაცებების სამეფოშია, მისთვის გამოფხიზლების დრო ჯერ არ დამდგარა. ამიტომაცაა, რომ ეს ფერადი ილუზიები ლექსებში პოულობს გამოხატულებას და „ცივი განსჯის“ გამომსახველი პროზა ჯერ დადუმებულია. მაგრამ ავტორი, გრძნობს რა ასეთი დაყოფის ხელოვნურობას, დასძენს: „ეს მიმართულება არ გამორიცხავს, რასაკვირველია, პოეზიასაც, მაგრამ იგი მეორე პლანზე გადაინაცვლებს და მხოლოდ იშვიათად გამოხატავს არა ეფემერული, არამედ სრულიად მხატვრული ქმნილებებით, რომელნიც გამოთქვამენ საზოგადოების დამინტერესებელ რაიმე იდეას და ამ საზოგადოებაზე ახდენენ ცოტათ თუ ბევრად სრულ შთაბეჭდილებას“³¹.

ორიგინალური პროზის ჩამორჩენის პირობებში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა. თარგმნიდნენ უმთავრესად რუსულიდან, ზოგჯერ ფრანგულიდან და ინგლისურიდან. ჟურნალის რედაქცია ამ გზით ცდილობდა აღედგინა ინტერესი ევროპული მხატვრული პროზისადმი. დამახასიათებელია „ცისკარში“ მოთავსებული ასეთი განცხადება: „დეკემბრის პირველიდან, ამა წლისა, ქალაქსა ტფილისში იმყოფება ფრანციის უწარჩინებულესი მწერალი ალექსანდრე დიუმა... მრთელს ხმელეთზე გამოჩენილი მწერალი ესე მოგზაურობს. ვისაც წაუკითხავს „გრაფი მონტე კრისტო“, ის, უეჭველია, კარგად იცნობს ამ მწერალს და, ვისაც არ წაუკითხავს, ვეცდებით მომავალს წელს წაეაკითხოთ, რადგანაც კიდევ გვაქუს რედაქციაში გადმოთარგმნილი“³². რადგან „ცისკარი“ ერთადერთი ქართული ჟურნალი იყო, აქ ღირსეული ქმნილებების გვერდით თავს აფარებდა უსუსური ნაწარმოებებიც. იმდროინდელი „ცისკრის“ ფურცლებზე შეგვძლოთ გაცნობოდით ყოველგვარ ლიტერატურულ მიმართულებას, დრომოკმულსაც და ახალსაც. შემთხვევითი კალმოსნები თარგმნიდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ, იქნებოდა ეს კლასიციკური, სენტიმენტალური, თუ რომანტიკული ნაწარმოები. შესანიშნავად დაახასიათა ილია ჭავჭავაძემ მაშინდელი „ცისკარი“: „ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ჟურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებას, არამედ თავმოწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი“³³.

რადგან ჯერ ერთიანი სალიტერატურო ენა არ იყო დადგენილი, რა თქმა უნდა, თარგმანთა ენაც შესამჩნევად „ჭრელია“. ლ. არდაზიანი, რომელმაც შექსპირის „ჰამლეტი“ გადმოთარგმნა ქართულ ენაზე, თვითონ აღიარებდა, რომ მისი თარგმანი „სადმართო-საერო“ ენით იყო შესრულებული. მითუმეტეს, არც უნდა გაგვიკვირდეს ნ. ბერძნიშვილის გესლიანი შენიშვნა აღნიშნულ თარგმანზე: «„გამლეტი“ არის გადმოღებული მისთანა ენით, რომელიც არც ამ მთისაა, არც იმ მთისა»³⁴. კიდევ უფრო უარესი შეფასება დაიმსახურა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ თარგმნილმა რომანმა „მიმოგზაური ურია“. ნტონ ფურცელაძემ სასტიკად დაგმო რომანიცა და მისი მთარგმნელიც. „ჩუენი ქართული ლიტერატურა, — წერდა რეცენზენტი, — რომელიც ასე და-

³¹ იქვე, გვ. 118.

³² „ცისკარი“, 1858, XII, გვ. 271.

³³ ი. ჭ ა ე ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 453—454.

³⁴ „ცისკარი“, 1859, X, გვ. 171.

რიბია ყოველრიგის სასარგებლო და გამოსადეგის შრომებით, საჭიროებს, რომ შეიძინოს იმისთანა საგანი, რომელიც ან სულს მიეკრას ან ხორცსა“³⁵. „მიმოგზაური ურია“ მას მიაჩნია მოძველებულ, ყოველგვარ ღირსებადაკარგულ ნაწარმოებად. ერთ-ერთი მძიმე ბრალდება, რომელსაც ანტონ ფურცელაძე მთარგმნელს უყენებს, გახლავთ არქაული ენა. იგი აღშფოთებით შენიშნავს, რომ ალექსი-მესხიშვილი „წერს თარგამოს ქართველთ მამის ენითა, რომელიცა ეხლა ხუცესს პეტრე ლაქლაურსაც აღარ ეყურება“³⁶.

„ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა ილია ქავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევან შალვასძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“. ეს იყო სერიოზული, პრინციპული, დაუნდობელი კრიტიკა, რომელმაც აათორიაქა და გამოათხიზლა ჩვენი ლიტერატურული სამყარო. ილია უღმობლად კიცხავს მთარგმნელს არა მარტო დრომოკმული პოემის თარგმნისთვის, არამედ თარგმანის ხარისხის გამოც. „ასე ჰგონია კაცსა, — წერს ილია, — ახალ მოსწავლეს გარმიანელს უცოდვილებია კალამი ენის გასავარჯიშებლად და არა ეურნალში დასაბეჭდად... დრო მოვა, როცა მისი თარგმანის ლექსებითა დაქსიან წარმართთა“³⁷. და ცოტა ქვემოთ: „ასეთნაირად კრიტიკებენ თავად ერისთავის ლექსები როგორც გაუსაპნავეი საპალნის ურმის თვლები“³⁸. ილია დაწვრილებით იხილავს თარგმანს, როგორც შინაარსობრივად, ისე ენობრივად და დაასკვნის: „კაზლოვის „შეშლილი“ სრულად შეშლილა ქართულს ენაზედ“³⁹. მრავალთა შორის ერთ-ერთი, თვალში საცემი ნაკლი ამ თარგმანისა, ილიას დაკვირვებით, არის ზმნების გამოტოვება, რაც იქნებ რუსულის გავლენით, უფრო კი ლექსთწყობის „სიყვარულით“ უნდა აიხსნას. „უზმნოდ არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა; რუსეთში თუმცა ზოგიერთგან არსებითი ზმნა არ იხმარება, მაგრამ ქართული რუსული ხომ არ არის? ქართულში ყოველთვის ზმნა უნდა, — ეგ მეორე კლასის მოწაფემაც იცის“⁴⁰. ილიას ბშირად უხდებოდა მსგავსი ანბანური კეშმარიტების ქადაგება, რადგან „ცისკრის“ ლიტერატურა ამ მხრივ ძალიან სცოდავდა. „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“⁴¹. ეს იყო მკაცრი გაფრთხილება ყველა უნიჭო კალმოსნისა, რომელნიც „ცისკრის“ ფურცლებზე დაუსჯელად ეწეოდნენ ლიტერატურულ ვარჯიშს.

თარგმანთა ერთ ნაწილში თავი იჩინა მავნე ტენდენციამ — ქართული ენის ბუნებისთვის სრულიად შეუფერებელმა სინტაქსურმა წყობამ. ეს უფრო რუსულიდან გადმოთარგმნილ ნაწარმოებებს ეხება. მაგალითისთვის მოვიტანთ ორიოდე წინადადებას დ. მაგლობლიშვილის თარგმანიდან „ღონა მარგარიტა“; „მე წავიყვანე ის ჩემს ოთახში და ისე მოვახდინე, რომ იმაში მხოლოდ იმას ეცხოვრა მარტო“⁴². ან კიდევ: „მოიმშრალა რა ცრემლიანი თვალები, და-

³⁵ ა. ფურცელაძე, მომოგზაური ურია, „ცისკარი“, 1862, XI, გვ. 283.

³⁶ იქვე, გვ. 284.

³⁷ „ცისკარი“, 1861, IV, გვ. 575.

³⁸ იქვე, გვ. 577.

³⁹ იქვე, გვ. 578.

⁴⁰ იქვე, გვ. 582.

⁴¹ იქვე, გვ. 593—594.

⁴² დ. მაგლობლიშვილი, ღონა მარგარიტა, „ცისკარი“, 1859, III, გვ. 195.

ბიწყო მან მოთხრობა“⁴³. ქართული სინტაქსური კონსტრუქციის ასეთი მიუტევებელი დამახინჯება ჩვეულებრივი ამბავია იმდროინდელ თარგმანებში.

რუსიციზმები მარტო სინტაქსში კი არა, ლექსიკაშიც იჭრებოდა. რუსიციზმების მოძალების წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა იყო საჭირო და თვით ჟურნალის რედაქტორი ივ. კერესელიძე იძულებული გამხდარა ამ გარემოებისათვის საგანგებო ყურადღება მიექცია: „კაცი... ისე უნდა ჰსწერდეს რასმე, როგორც ამ ენის თვისება პოითხოვს, — ამტკიცებდა ის. — ყოველს ენას თავისი დასაკუთრებული თვისება აქუს. მაგალითად, რუსულის დამწერი რომ ევროპიულის რომელსაზე ენის თვისებას მისდევდეს, იმისას იტყვიან, გალიციზმებსა ჰხმარობსო და რუსულს ახდენსო, ქართულად დამწერი რომ რუსულის ენის თვისებას მისდევდეს, რუსიციზმებსა ჰხმარობს და ქართულს აფუქებსო, ვიტყვი“⁴⁴.

ავტორი გულისტკივილით უმელაენებს მკითხველებს, რომ თვითონაც ბევრი რუსიციზმებით დამძიმებული ნაწარმოები დაუბეჭდავს „ცისკარში“. ეს მას დამლუპველ სენად მიაჩნია და ენის „გამარგელას“ გადაუდებელ ამოცანად თვლის. „სხუა ქვეყნებში მწიგნობრობა ჰხმოვანებს და გაჰომეტყუელებს ჟურნალებითა და გაზეთებითა. ჩუენ, „ცისკარს“ გარდა, ჯერ სხუა ჟურნალი და გაზეთი არა გაგვაჩნია რა. მაშ, ეს მძიმე ვალი „ცისკარის“ ვალი ყოფილა“⁴⁵, — აცხადებს რედაქტორი და იქვე ამცნობს მკითხველებს, მალე ჩვენს ჟურნალს „გამმართაფი“ ეყოლებათ. „გამმართაფი“, ე. ი. სტილისტი, ნამდვილად სჭირდებოდა ჟურნალს.

მაგრამ ენის „გამარგელა“ ისე ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა, როგორც მისი უფლებებისათვის ბრძოლა. საყოველთაო გულგრილობის პირობებში რუსული ენა ბატონდებოდა და დევნიდა მშობლიურს. „ცისკარის“ ფურცლებზე ხშირად გვხვდება საგანგაშო წერილები, რომელთა ავტორები გამოფხიზლებიყვნენ მოუწოდებდნენ თანამემამულეებს. „არიან კაცნი, რომელნიც ივიწყებენ ენასა თვისსა და იძულებენ მამულსა თვისსა, უდგებიან სხუათა ენათა და მიენდობიან სხუათა მამულთა“⁴⁶, — გულისტკივილით წერდა თ. მაჭავარიანი და მშობლიური ენისადმი პატრიოტული გრძნობის გაღვივებას ცდილობდა მკითხველებში: „დავიკავოთ ენა ჩუენი, როგორც ეკავათ წარსულთა საუკუნეთა მამაპაპებთა ჩუენთა: თუმცა იფიქრებენ მრავალნი ჩუენნი ძმანი: რა იქნების მით, რომ ვისწავლოთ ქართული, ანუ რათ გამოგვადგება, რადგანაც ვართ ჩუენ რუსეთის მფლობელობასა შინა; მაგრამ ეს არ უნდა იფიქროს ქართველთაგანმა, თუმცა უყვარს სამშობლო ენა თვისი, ამისთვის რომ ყოველთვის სჯობს საკუთარი ენის ცოდნა, ვიდრე ნათხოვრისა“⁴⁷. ავტორი მოაგონებს მკითხველებს ძველ ქართველ ფილოსოფოსებსა და მწერლებს, რომლებიც ქართულს ყველაზე სრულყოფილ ენად თვლიდნენ და ამითაც ცდილობს გაუცხოველოს თანამედროვეებს დამცირებული ენისადმი სიყვარული.

კიდევ უფრო საგულისხმოა დ. ბაქრაძის წერილი «იოანე ბატონიშვილი და მისი „კალმასობა“». ავტორი არ ფარავს გულისწყრომას იმის გამო, რომ საქართველოს განათლების სისტემაში მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე

⁴³ იქვე, გვ. 129.

⁴⁴ „ცისკარი“, 1860, II, გვ. 160.

⁴⁵ იქვე, გვ. 180—181.

⁴⁶ თ. მაჭავარიანი, „ცისკარი“, 1860, XII, გვ. 540.

⁴⁷ „ცისკარი“, 1860, XII, გვ. 541.

ქართული ენა მივიწყებულა; „ჩვენს სასწავლებლებში ასწავლიან ქართულს ენასა... მაგრამ როგორ ასწავლიან? ჯერ ერთი ესა, რომ თვით მასწავლებელთა ისე იციან, როგორთაც მოსწავლეთა... გარდა ამისა, ხელთმძლუნელობად არის მიღებული გრამატიკა დაწერილი რუსულს ენაზედ რუსთ მოსწავლეთათვის. ქართულთ ყმაწვილთაგან ქართულის სწავლა რუსულის გრამატიკით — ამაზედ რას ბრძანებთ?“⁴⁸.

ავტორს სერიოზულად აფიქრებს მშობლიური ენის ასეთი დაკნინება და საკმაოდ პესიმისტურ დასკვნას აკეთებს: „მართლა და დრო არის, ვიფიქროთ ჩვენს ენაზედა. უენოთ ჩვენ არა რანი ვართ... აწინდლას დროში ყოველგან გრძნობენ სამშობლო ენათ სწავლის საჭიროებას... მხოლოდ ჩვენ ქართულნი ვართ გულგრილად ამ საგანზედ. ჩუენი ენა უფრო და უფრო სუსტდება. თუ ამ მდგომარეობიდან არ გამოვალთ, საკმაოა ნახევარი საუკუნე, რომ ის სრულე-ბით დაემხოს“⁴⁹. დ. ბაქრაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნია ძველი ქართული ძეგლების თავმოყრა. რომლებიც „ზანდუკებში და ორმოებში ღება“. ამ უნიკალური წიგნების შეგროვება იქნება ბიბლიოთეკების დაარსების საწინდარი. მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად, დ. ბაქრაძე მოუხიბლავს „კალმასობის“ ქართულს. „კალმასობის“ ენა არის მსუბუქი და ცხოველი, — წერს აღტაცებული რეცენზენტი, — მიმზიდავი და ადვილად გასაგონი, როგორათაც კარგი საზოგადოებისათვის, აგრეთვე დაბალი ხალხისათვის. ჩუენის აზრით, ასეთის მშუენიერის ენით ახლანდელს დროს არავინ წერს, ძუელს სიტყუერებაშიც მცირე რამ იპოება „კალმასობის“ ენით დაწერილი... ჩუეულებრივი საუბარი, რომელიც სწავლას არ შეეხება, საუსეა ნამდვილის ქართულის ხუმრობითა და ოხუნჯობითა“⁵⁰.

„კალმასობა“, მართლაც, გვაოცებს მდაბიური და აღზევებული სტილის მონაცვლეობით და, ამ მხრივ, ზედმიწევნით აკმაყოფილებს ანტონის „სამი სტილის“ თეორიის მოთხოვნას — საყოფაცხოვრებო ამბებს გადმოგვცემს სადა, მდაბიური ენით, რომელიც გამჟვირვალე იუმორითაა შეზავებული, ხოლო გეცნიერული დისციპლინები მაღალი სტილითაა განმარტებული. დ. ბაქრაძე, ასე თუ ისე, ანტონისეული თეორიის მომხრე ჩანს და ამიტომაც მოსწონს „კალმასობის“ ენა, მაგრამ წერილი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ კატეგორიულადაა დასმული ქართული ენის შელახული უფლებების აღდგენის საკითხი.

ამავე ხანებში წამოიჭრა ენის დემოკრატიზაციის პრობლემაც. ილიას ზემოხსენებული წერილი „შეშლილის“ შესახებ მარტო მოურიდებელი კრიტიკით კი არა, წერის მანერითაც მიუღებელი იყო არქაისტებისთვის. ცოცხალმა სასაუბრო მეტყველებამ, რომელსაც ასე მარჯედ და მიმზიდველად იყენებს ილია ამ წერილში, ძველის მოტრფიალეთა გულისწყრომა გამოიწვია. „წირპლიანი სკოლა“, „რითმების რახარუხი“, „ეო-მეო“, „აგანგალა-განგალა“ და სხვ. მათ უწმაწურ სიტყუებად მოეჩვენათ. „ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშუერობას“⁵¹. ასეთი შეგონება მისცა ბ. ჭორჯაძემ ილიას. „შემდეგ ილია ქავჭავაძის კრიტიკისა დ. ერისთავის თარგმანზე აქამომდე ისე მიბეუის ყურები, თითქოს ეს არის ახლა გამოველ მეტქი ბაზაზხანი-

⁴⁸ „ც სკარი“, 1861, IV, გვ. 554.

⁴⁹ იქვე, გვ. 551—552.

⁵⁰ იქვე, გვ. 547.

⁵¹ „ცისკარი“, 1861, V, გვ. 34.

დამ⁵². — გესლიანად შენიშნავდა გ. ბარათაშვილი. სარდიონ ალექსი-მესხი-შვილმა სამი სტილის არსებობა შეახსენა წერილის ავტორს, მშობლიური ენის დამახინჯება და „მოწყვნა“ დასწამა მას: „... გულმტკივნეულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიცა დალიდინებს საქართველოს შვენიერით ლექსებით და სადაგ-სიტყუაობაში (პროზაში) კი ასე უწყალოდ ამახინჯებს და ამდაბლებს ქართულს სიტყვიერებას“⁵³.

სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. მთელი საუკუნის მანძილზე სალიტერატურო ენა შორს იდგა ხალხური მეტყველებისაგან, იშვიათად თუ „შეპარულა“ მასში ცოცხალი, ემოციური სიტყვა. სალიტერატურო ენა იფიტებოდა, მისი გაცოცხლება პირველწყაროსთან დაბრუნებით უნდა დაწყებულიყო. ილიამ თამამად შემოიტანა სალიტერატურო ენის ლექსიკაში ხალხური გამოთქმები, რომელთაც, არქაისტების აზრით, „ნივრისა და არყის სუნი ასდიოდათ“⁵⁴. საპასუხო წერილში ილია თავის მოწინააღმდეგეებს მხოლოდ მოკითხვის ბარათების წერას ურჩევდა, რადგან ისინი წარმოუდგენლად ჩამორჩნენ დროს. „... ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბლაჯნით ამდაბლებენ ჩვენს ენას“⁵⁵, — ასეთი მკაცრი, დაუნდობელი გაფრთხილება სპირდებოდათ იმ კალმოსნებს, რომელნიც „ანბანთ თეორეტიკის“ ნორმებით ხერგავდნენ ლიტერატურის ყველა გზასა და ბილიკს.

ილიამ შეუმცდარი ლინგვისტური ალლოთი შესძლო ენის შინაგანი ბუნების განჭვრეტა: „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“⁵⁶.

ილიამ დაამსხვრია ამ „თეორეტიკის“ ჩარჩოები და გზა მისცა აქამდე ბორკილდადებული ცოცხალი მეტყველების ტალღას, რომელმაც სიცოცხლე დაუბრუნა სალიტერატურო ქართულს.

სალიტერატურო ენაში აუცილებელი იყო უცხო, საერთაშორისო სიტყვების შემოტანაც. ცხოვრებისეულმა ძვრებმა ჩვენი სინამდვილე ახალი მოვლენებით გაამდიდრა, ყოფა-ცხოვრებაში ახალი საგნები გაჩნდა, რომელთა შესატყვისი ცნებები ქართულ ენას არ მოეძეებოდა. ამიტომაც უნდა შექმნილიყო ახალი სიტყვები, ზოგიც სხვა ენებიდან უნდა გვესესხებინა.

„ცისკარი“ უცხო სიტყვათა ლექსიკონს დაემსგავსა, მისი ფურცლები სქოლიოებით გადაიტვირთა, სადაც ახალ სიტყვათა მნიშვნელობა იყო განმარტებული. დამახასიათებელია დ. ყიფიანის მკაფიო, ადვილად გასაგები შენიშვნები, რომელთაც იგი უწყინარი იუმორით სთავაზობს მკითხველებს: „ოჰ, თეიმურაზ! (თეიმურაზი მაშინდელი მკითხველის სიმბოლური სახეა. — ვ. გ.) ეს რა ჭირში შემეყვანე, რომ ამდენი ლექსები გინდა განმამარტებინო... ნეტავი შემატყობინა, მიჰხვდი რა არის სიდელიკატე?... ზოგი ცუდათ ჩამომართმევს, რათა ჰგონია, რომ ჩვენც არ ვიცოდეთო, მაგრამ რა ვჰქნა. შენი ბრალია, რომ არ იცი“⁵⁷.

ან კიდევ: „თუ რუსულისა და ფრანგულულის ენის მცოდნესთან შეგხვდეს ვისთანმე ლაპარაკი, თეიმურაზ! გეთაყვა, მოელაპარაკე იმათა, შეიძლება თუ

⁵² „ცისკარი“, 1861, VI, გვ. 147

⁵³ იქვე, გვ. 252—253.

⁵⁴ გ. ბარათაშვილი, „ცისკარი“, 1861, VI, გვ. 165.

⁵⁵ იქვე, გვ. 215.

⁵⁶ იქვე, გვ. 227.

⁵⁷ „ცისკარი“, 1860, I, გვ. 4.

არა სასტუმრო დაეარქვათ ისეთ სახლსა, სადაც ყოველი კაცი თავისუფლად შევა, რასაც ინებებს საკმელსა და სასმელს, მოითხოვს“⁵⁸ და ა. შ.

ილიამაც საოცარი ზომიერებით და სიფრთხილით შემოიტანა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ისეთი აუცილებელი სიტყვები, როგორცაა: სიუჟეტი, ფორმა, კაპიტალი, ორიგინალი, სენტიმენტალური და მრავალი სხვა. პურისტებმა ყოყინა დასცეს: ძალიან გაუკვირდათ, რომ ილია მოურიდებლად ხმარობდა უცხო ცნებებს და ამავე დროს მკაცრად დევნიდა რუსულ სიტყვებს — „ოსტროვი“, „ლინია“, „ზადაჩა“. ისინი ვერავეთარ განსხვავებას ვერ ხედავდნენ საერთაშორისო სიტყვებსა და შეუწყნარებელ რუსიციზმებს შორის; არც ის ესმოდათ, რომ სიტყვათა გარკვეული რაოდენობის სესხება სავსებით კანონზომიერია და არ არსებობს ენა, რომელსაც თავისი ლექსიკა ამ გზით არ გაემდიდრებინოს.

„ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები, ხმარებულნი ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებათ მიგილიათ, — წერდა პასუხად ილია, — ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხ-შეკრულს ევროპიის განათლებაში, შემოუტანია და მაულია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება“⁵⁹.

როცა ილიამ მეტყველებიდან გამქრალ ბგერათა გამომხატველი ასოები უარყო, კონსერვატორები მაშინაც აღშფოთდნენ — მართლწერის რეფორმა ენის დამდაბლებად მიიჩნიეს. „თქუენის კანონთ-დებულებისამებრ ჰსჩანს, — წერდა, მაგალითად, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, — რო ხელსა (ჰკუილამ შემლილსა) არა განარჩევთ თქვენ ჰელისაგან (სხეულის წევრისგან)“⁶⁰ და სხვ. როგორც ჩანს, ალექსი-მესხიშვილს ილიასთან კამათის დროს ომონიმების არსებობა დაავიწყდა. „თუ ეგრე არის, — ირონიულად შენიშნავდა ილია, — მაშ „დაარიგე“ (ქალაღდის დარიგება) და „დაარიგე“ (ხმა ამოვიღეო), სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს. ასე რომ მიჰყვეთ, ათასს სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლიერნი იქნებიან!“⁶¹.

ილია მოთმინებით უხსნიდა მოწინააღმდეგეებს, რომ: „კაცის ენა კერძობით პირსავეთ იზრდება და ვითარდება. ამ ზრდაში იცვლება... კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვას დროს უვარგისნი არიან ხოლმე, ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არ ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“⁶².

გრამატიკის ზოგიერთ სადავო ნორმასთან დაკავშირებით ილია მეტად თამამ შეხედულებას გამოთქვამდა, რაც ცხარე კამათს იწვევდა. როდესაც ილიას მიუთითეს, რომ მის მიერ ნახმარი ფორმები — „პატარა ტალანტსა“, „დიდ პატივში“, „ყოველ რუსის“, „სუბუქ ფრთითა“ და სხვ. — სწორი არ არის, ზედსართავს ბრუნვის ნიშანი არ უნდა მოეკვეცოსო, ილიამ უპასუხა: „სახელი არ-

⁵⁸ „ცისკარი“, 1860, I, გვ. 4.

⁵⁹ „ცისკარი“, 1861, VI, გვ. 245—247

⁶⁰ იქვე. გვ. 254.

⁶¹ იქვე. გვ. 222.

⁶² იქვე. გვ. 220—221.

სებითი რომ ბრუნვაშია, მის ზემოთ მდგარი, მისი ზედშესრული და ნაცვალსახელი შეიძლება რომ ბრუნვაში არ იყვნენ, რადგანაც ერთი და იგივე მარცვლის განმეორება ზედიზედ არ არის სასიამოვნო სასმენი. მაგ. „ჩემმა ბედნიერმა მხვედრმა“. აქ მარცვალი ორ-სამჯერ ზედიზედ განიმეორება და ამით უკარგავს კეთილხმოვანებას ენასა... მარცვლებისა და ხმოვანი ასოების მოკლებაში და დამატებაში ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ... როგორ უნდა დაუკარგოთ ეს უკეთესი თვისება ჩვენს ენას“⁶³. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეს იყო სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის ძნელი ხანა და არც გასაკვირია, თუ ასეთი პრობლემაც დაისვა ენის შესვეურთა წინაშე. როგორც ვიცით, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში საკითხი ასეა გადაწყვეტილი: ფუძემოენიანი ზედსართავი, თუ ის არსებით სახელს ახლავს, არ იბრუნვის, ხოლო ფუძეთანხმოენიანს ბრუნვის ნიშნები შენარჩუნებული აქვს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ფუძის სახით გვევლინება მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნები ნახევრადაა შემონახული. დღეს ასეა დაკანონებული, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, გამარტივებისა და კეთილხმოვანებისკენ მისწრაფებამ მომავალში თავისი გაიტანოს და ილიას ვარაუდი გამართლდეს.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის სადავო ნორმების დადგენა-მოწესრიგება გრამატიკის საქმეა. მაშინდელი ქართული გრამატიკული აზროვნება ამკარად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს. სახელმძღვანელოები შორს იყვნენ სრულყოფისაგან. „ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში ერთგვარი გარდატეხის საფუძველია გასული საუკუნის შუა წლების ლიტერატურული მოძრაობანი, — წერს შ. ძიძიგური, — ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ორთოგრაფიული რეფორმები და, ამავე დროს, ქართული ენის მეცნიერული დამუშავების დასაწყისი, ინდოევროპული ენათმეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გაცნობა, — ყველაფერი ეს ზოგად ხაზებში, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იმისათვის, რომ ქართული... გრამატიკა ახალ ნიადაგზე დამდგარიყო“⁶⁴.

ს. დოდაშვილისა (1830 წ.) და პლ. იოსელიანის (1840 წ.) გრამატიკის სახელმძღვანელოები, ცხადია, ვერ ასახავდა ახალი სალიტერატურო ენის ბუნებას. 1857 წ. მაისის ნომერში გამოქვეყნდა ანონიმური რეცენზია იმ ხანებში გამოსულ დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაზე სათაურით: „გრამატიკა უფ. ჩუბინაშვილისა, დაბეჭდილი ს. პეტერბურღში, საიმპერატორო აკადემიის სტანბაში“. რეცენზენტი გულისწყრომას ვერ მალავს იმის გამო, რომ გრამატიკის ავტორს ქართული ენის ბუნება სრულიად უგულვებელუყვია, ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის დასახელება რუსულად მოუცია, მართლწერის კანონები არ დაუცავს და ა. შ. ბოლოს სინანულით დასძენს: „უმჯობეს იყო მისთვის გამოეცა ის ქართული წიგნები, რომლითაც მდიდარია პეტერბურღის საიმპერატორო აკადემია, და რომლისთვისაც დაუმადლებდა სრულიად საქართველო, ვიდრე მიეყო ხელი იმ გვარის საგნისთვის, რომლის სისრულეში მოყვანა დიად ძნელია“⁶⁵. ავტორი არც პლატონ იოსელიანის გრამატიკის სახელმძღვანელოზეა მალალი აზრის, რადგან, მისი თქმით, ისიც რუსულიდანაა ნათარგმნი, „განსვე-

⁶³ „ცისკარი“, VI, 1861, გვ. 227.

⁶⁴ შ. ძიძიგური, ენა და ლიტერატურა, თბ., 1960, გვ. 233.

⁶⁵ „ცისკარი“, 1857, V, გვ. 44—45.

ნებულის ს. დოდაევისა არის და იმაშიაც არის ბევრი ნაკლოვანება, მხოლოდ რაც არის, კმასაყოფელია“⁶⁶. ყველაზე გონივრულად ავტორს ანტონის გრამატიკის გამოცემა მიაჩნია, რადგან იგია „სწორედ საძირკველი ჩუენის მშვენიერის ქართულის ენისა“⁶⁷. როგორც ვხედავთ, უცნობი რეცენზენტი განვლილი ეტაპისაკენ აპირებს დაბრუნებას.

დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის სახელმძღვანელო, მისი პრობლემატური ხასიათის გამო, მკვლევართა პრინციპულ კამათს იწვევდა და გრამატიკის შედგენის საკითხი ისევ დღის წესრიგში რჩებოდა. „ცისკარის“ 1860 წლის მე-6 ნომერში დაიბეჭდა ალ. ორბელიანის წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ავტორი ასე მიმართავს ქართული ენის შესანიშნავ მცოდნეს დ. ყიფიანს: „თუ ოდესმე მოცლა ჰქონდეს ბევრი საქმისაგან, შემოკლებული სწორე ქართული გრამატიკა შეგვიდგინოს საძღნო ძმებისა და ამით დაგვეალოს ყველანი“⁶⁸.

ენის გარშემო წამოჭრილი კამათის პროცესში, სხვათა შორის, ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხიც დაისვა. მხედველობაში ჰქონდა რა ქართული სასულიერო ძეგლების მაღალი მხატვრულ-ლიტერატურული დონე, კერძოდ კი ენის უაღრესი დახვეწილობა, ლავრენტი არდაზიანი წერდა: „მართალია, არ გვაქუს ამაზე დასამტკიცებელი სახსოვარები, მაგრამ ეს კია კეშმარტი, რომ თუ საქართველოს არ ჰქონებოდა განვითარებული ლიტერატურა, ვერცადა ასე მშუენიერის, დაწმენდილის ნასწავლის ენით გადმოიღებდნენ, საღმთო წერილსა ქართულს ენაზე... ორიოდე წიგნები რომ დაგვრჩენენ, შეიდასს წელს ეერ დაიცავენენ რუსთაველის ენასა, რომლითაც ვლაპარაკობთ ეხლა... მაგრამა შეიდასის წლის მოუწყვეტელ ომიანობამ ფესვიანად ამოაგდო ჩუენი ყოველი სწავლა და შემუსრა წარმოება მწერალთა“⁶⁹... ამ მოსაზრებას, შესაძლოა, მარი ბროსეს შრომებში გაეცნო ლ. არდაზიანი, რადგან ნ. ბერძნიშვილთან კამათში ბროსეს ავტორიტეტულ სახელს იშველიებს. სხვა აზრისა იყო ამ საკითხზე ნ. ბერძნიშვილი. „ყველა, ვინც ჩვენს ისტორიას იცნობს, — წერს იგი, — დაშეთანხმება, რომ საქართველოს გონებრივი განვითარება დაიწყო არამცდაარამც ქრისტიანობის დამყარებამდე ჩუენში. ამ დრომდე არავითარი რეგლი არ მოგვეპოვება ქართული მწერლობისა. პირველ ლიტერატურულ ნაშრომებად ქართულ ენაზე უნდა ჩაითელოს თარგმანები სამღთო სჯულისა და წმ. მამათა წიგნებისა“⁷⁰.

მაშ, რით ხსნის ნ. ბერძნიშვილი საღმრთო წერილის ნატიფ, რაფინირებულ ენას? „საღმთო წერილის გადმოღებაში ჰსწარმოებდა არაკაცობრივი ჰსწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მაღლი, რომელიცა შეიქმს არა რა რასაგან და გამოცხადდების საკვირველებათა მიერ“⁷¹. ასეთი მისტიკური არგუმენტაცია საკმაოდ მოულოდნელია ჩუენი ნიჭიერი კრიტიკოსისა და პროგრესული მოაზროვნისაგან.

⁶⁶ „ცისკარი“, 1857, V, გვ. 29.

⁶⁷ იქვე, გვ. 45.

⁶⁸ „ცისკარი“, 1260, VI, გვ. 104.

⁶⁹ ლ. არდაზიანი, კრიტიკა ბერძენოვის სტატიისა „ცისკარი“, 1859, IX, გვ. 78—79.

⁷⁰ ნ. ბერძნიშვილი, ჟურნალ „ცისკარის“ 1858 წლის 12 წიგნაკის — იანვრიდან დეკემბრამდე გავერთო მიმოხილვა, „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ქრესტომათია, ტ. I, 1955, გვ. 124.

⁷¹ ნ. ბერძნიშვილი, პასუხისგება უ. არდაზიანის კრიტიკაზედა, „ცისკარი“, 1859, გვ. 170.

საკვლევნი საგნის გაშუქებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალ. ორბელიანის ცნობილ სტატიას „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიაზე“, რომელიც „ცისკრის“ 1857 წ. მე-9 ნომერში დაიბეჭდა. ამ წერილში ალ. ორბელიანი ეკამათება გ. ერისთავის კომედიის „გაყრის“ წინასიტყვაობის ავტორს პლ. იოსელიანს. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ გ. ერისთავის კომედიების ენამ გარდატეხა შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველის და მცირედთა სხუათა, — ამბობდა ის, — არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს კეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულს ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგიმ დავითისქემან ერისთავმან, დაბადა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის“⁷². ალ. ორბელიანს გაუგებრობად მიაჩნია პლ. იოსელიანის ეს მტკიცება. მისი აზრით, პერსონაჟთა მეტყველება სწორედ სასაუბრო უნდა იყოს და აქ მოულოდნელი, საკვირველი არა არის რა: „ანდუყათარს. ძველს თავადს და კიდევ სხუებსა, როგორც ყმაწვილობითვე უსწავლიათ ქართული ლაპარაკი... ისე ლაპარაკობენ, მაშასადამე, გ. ერისთავს სხუა ქართული არა დაუბადა რა მწერლობისათვის. ის ქართული იმათი საკუთარი ყოფილა იმ ქართველებისა“⁷³.

ამგვარად, ალ. ორბელიანის აზრით, სასაუბრო ენა ნიშანდობლივია კომედიისათვის, ეს თვითონ ჟანრის სპეციფიკითაა გამოწვეული. მართლაც, თუკი ლიტერატურის სხვა ჟანრები, ასე თუ ისე, აიტანენ მწიგნობრულ სტილს, კომედიურ ჟანრზე ეს არ ითქმის. მ. გორკი, ხაზს უსვამდა რა დრამის შექმნის განსაკუთრებულ სირთულეს, წერდა: დრამატულ „ნაწარმოებებში“ ავტორის უშუალო ჩარევა სავსებით გამორიცხებულია და ყოველი მოქმედი პირი საკუთარი ენობრივი საშუალებებით უნდა დახასიათდეს... პიესის მოქმედ პირებს ქმნის მხოლოდ და მხოლოდ მათი მეტყველება, ე. ი. წმინდა სასაუბრო და არა აღწერილობითი ენა“⁷⁴. ალ. ორბელიანს მშვენივრად ესმოდა კომედიის ეს ჟანრობრივი თავისებურება. ამიტომაც შენიშნავდა: „თავადმა გ. ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს ქართული, მაშინ გავარჩევთ, რა გუარი წერა არის იმისი“⁷⁵. ავტორი სრულიად რეზონულ კითხვას უსვამს პლ. იოსელიანს: რატომ თვითონ არ ჰბაძავს გ. ერისთავს წერაში და სხვებს კი ურჩევს — „შეუდექით ძაგალითსა მისსო?“ „გავს ეერ მოუხერხებია, — წერს ალ. ორბელიანი, — ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორე წერა არის და ერისთავის კამედია დაკუწვილი ლაპარაკი, კითხვა-მიგების მგზავსი“⁷⁶.

ალ. ორბელიანის ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ: კომედიის ენაში არც უნდა ვეძებოთ რთული კონსტრუქციები, მაგრამ აქ საკითხის სხვა მხარე გვაინტერესებს. თუკი პლ. იოსელიანი გულწრფელად აღიარებს სასაუბრო ენის უპირატესობას ყველა ჟანრში, მაშინ რატომ წერს თვითონ არქაული ენით? თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ იგი ავტორია ერთობ „მაღალი სტილით“ დაწერილი სახელმძღვანელოსი — „ანბანი ქართული, სასარგებლოდ

⁷² პლ. იოსელიანი, *გაყრა*, კომედია, ქმნული თავადის გიორგი დავითის-ძე ერისთავისაგან და წარმოდგენილი ორგერ თეატრისის ლამნაზის ზალაში ამა წლისა იანვრის თთვეში, 1850, გვ. 3.

⁷³ „ცისკარი“, 1857, IX, გვ. 4.

⁷⁴ М. Г о р к и н, *Соч.*, 2⁵, стр. 411.

⁷⁵ „ცისკარი“, 1857, IX, გვ. 45.

⁷⁶ იქვე.

ქართველთა ახალ მოქსწავლეთა ყრმათა“, მაშინ კიდევ უფრო უცნაურად მოგვეჩვენება მის მიერ „მდაბიურის“ „ქვეშარიტ ენად“ აღიარება.

აღ. ორბელიანის წერილის მნიშვნელობა ის იყო, რომ ავტორმა მწვავედ წამოჭრა სალიტერატურო ენის ჟანრობრივი შესატყვისობის პრობლემა.

მხატვრულ პროზაში სასაუბრო ენა უფრო ძნელად მკვიდრდებოდა. ამ შესრულ პირველი ცდები 1859 წლამდე არც შეიმჩნევა.

1859 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილია დ. თაზიევის მოთხრობა „ჩემი ვული“, რომელიც, ჩვენი აზრით, იდეური თვალსაზრისით მეტად უსუსურია, მაგრამ დაწერილია საკმაოდ გამართული სასაუბრო ენით, რომელიც მიმზიდველობასაც არაა მოკლებული. მაგ., „მთვარე ცხადად ნათობდა ვარსკვლავთ ცაზე და ცა ისე მოწმენდილი იყო, რომ მასზე ბეჯითი თვალი ანგელოზის გარბენას დაინახავდა“⁷⁷.

იმავე წლის მეოთხე ნომერში ვხვდებით ზ. ხითაროვის „ქველებურს ანბავს“ — „მზით უნახავი ქალი და თორმეტნი თუენი“. „ერთ სოფელში... პსცხოვრებდა ქერივი ვინმე დედაკაცი, რომელსაცა ჰყვანდა ორი ქალი“⁷⁸. ეს არის ლამაზი, ნათელი ზღაპარი, სადაც გზიბლავთ დინჯი თხრობა, ყოველგვარი ხელოვნურობისაგან თავისუფალი.

პირველი სერიოზული ცდა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა მხატვრულ პროზაში დ. კონჭაძეს ეკუთვნის. „სურამის ციხის“ ძალდაუტანებელი, ცოცხალი სასაუბრო ენა მოკლებულია ხელოვნურ დახვეწილობას. უმართებულად წერდა „სურამის ციხის“ დიდი თაყვანისმცემელი ანტ. ფურცელაძე: „ენისა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასე უკაცრავად არაეინ გახლავსთ ენაში, როგორც კონჭაძე. კაცი რომ კითხულობს, ჰგრძნობს ამ თხზულების სიმაღლეს, მაგრამ ენა თავისი შეუუმუშაველობით კაცს გულს ურევს“⁷⁹. ეს შეფასება არაობიექტურია. დ. კონჭაძემ მეტად შთამბეჭდავად ასახა ცხოვრებისეული სიმართლე და ამას სხვა ფაქტორებთან ერთად სასაუბრო ენის გამოყენებითაც მიადწია. ცოცხალი მეტყველება კი მოკლებულია მწიგნობრულ მხატვრულობას, ბრწყვიალა სამკაულებს. ეს იყო სიასლე. რომელსაც ჯერ არ იყვნენ შეჩვეულნი. მართალია, მკითხველი უკვე იცნობდა გრ. რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონებს“, ბაქარ ქართლელის (დ. ყიფიანის) „ზვიმას“ და ორიოდ სხვა ნაწარმოებებს, რომლებიც სმენას ატკბობდნენ კარგი ქართულით, მაგრამ ეს მაინც არ იყო სასაუბრო მეტყველება, დ. კონჭაძემ რომ ასე თამამად შემოიტანა მხატვრულ პროზაში. 60-იანი წლების დასაწყისიდან კი სალიტერატურო ენაში უკვე მძლავრად იჭრება ხალხური მეტყველება.

⁷⁷ „ცისკარი“, 1859, IV, გვ. 40.

⁷⁸ იქვე, გვ. 262.

„ცისკარი“, 1863, I, გვ. 145.

ელენე ვირსალაძე

პეტრე უმიკაშვილი და ფოლკლორის შეკრების საქმე საქართველოში

როდესაც 1904 წლის მაისში „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მრავალრიცხოვანი განცხადებები პეტრე უმიკაშვილის გარდაცვალების გამო, გამცხადებელთა შორის არც ერთი არ იყო განსვენებულის ნათესავი ან ოჯახის წევრი. წრფელ გულისტკივილს მხოლოდ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და თანამოკალშეები გამოთქვამდნენ. ეს არ იყო შემთხვევითი. პეტრე უმიკაშვილს პირადი ცხოვრება არ გააჩნდა. მთელი თავისი არსით იგი ეკუთვნოდა ხალხს, ქართველ საზოგადოებას; მისი ინტერესებით სუნთქავდა, მასზე ფიქრობდა და ზრუნვით, მისთვის დაუღალავი შრომით განვლო მან თავისი ცხოვრების გზა. საკუთარი თავისათვის და ოჯახისათვის არასოდეს არ მოუტლია.

პეტრე უმიკაშვილის უახლოესი ადამიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელსაც პეტრემ ხალხური შემოქმედების უმდიდრესი არქივი დაუტოვა მოსაველელად, ასე ახასიათებს მას: ფრთხილი, თავმდაბალი, დაუღალავი მუშა, ფანატიკური გატაცებით მომუშავე, მაგრამ ამავე დროს მეტად პრინციპული და უკომპრომისო, დაუფარავად მხილებელი შეცდომების და ამ შემთხვევაში მოურიდებელი...¹.

ის დიდი კულტურული მოძრაობა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიშალა და რომელსაც ქართული ფოლკლორის შემკრებლობა ეწოდება, ჩვეულებრივ ჩვენი კულტურის უდიდეს მესვეურთ: ილია ჭავჭავაძის, აკაკის, ვაჟას, რაფიელ ერისთავის სახელებს უკავშირდება ხოლმე პირველ რიგში და მხოლოდ შემდეგ ხან მოვიგონებთ, ხან კი არა პეტრე უმიკაშვილის სახელს. ჩვენ ვიცით, თუ რა ძალა ჰქონდა ილიას, აკაკის, ვაჟას ერთ სიტყვას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველი ათეული წლების განმავლობაში ქართული ფოლკლორის შემკრებლობითი მოძრაობის მთავარი სიმძიმე პ. უმიკაშვილის მხრებზე იყო.

ქართული ფოლკლორის შეკრებისათვის პირველი დიდი ლაშქრობა საქართველოში პეტრე უმიკაშვილის მოწოდებით გაიხსნა. 1871 წლის „დროების“ № 22-ში პეტრე უმიკაშვილი ფართოდ აყენებს ქართული ფოლკლორის შეკრების პრობლემას. „ამ საქმის უქონლობით, — წერს იგი, — არც ისტორია დაიწერება, არც გრამატიკა შესდგება, არც ხალხის ჭკუისა და გონების, გრძნობებისა და თვითცნობობის ვითარება გვეცოდინება... ყველა განათლებულ ხალხში ეს საქმე გაუკეთებიათ... ჩვენში, ამბობს პეტრე უმიკაშვილი, — არა ყოფილა

¹ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვეთა, ნ.წ. I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები; რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ო. გოგიჩაიშვილისა, თბ., 1937, გვ. VII—IX.

რა ჩაწერილი, გარდა ოთხიოდე დაბეჭდილი ლექსისა“ (როგორც ჩანს, აქ პ. უმიკაშვილი გულისხმობს მხოლოდ ქართულ გამოცემებს).

თავის მოწოდებაში პეტრე უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ რამდენიმე წელია, რაც ის აგროვებს ზეპირსიტყვიერების ძეგლებს, აქვს შეკრებილი სამასი სიმღერა, ასორმოდდაათი ანდაზა, სამოცი ზღაპარი; წუხს, რომ მასალა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია ჩაწერილი, რომ არც ერთი ტექსტი იმერეთიდან, სვანეთიდან და სამეგრელოდან ხელთ არა აქვს. აქვე, პეტრე უმიკაშვილი, პირველად საქართველოს სინამდვილეში, აყალიბებს მოთხოვნილებებს ჩამწერთა მიმართ, რაც გვაუწყებს მის იმთავითვე, სწორ ორიენტაციას ფოლკლორის მეცნიერული კვლევის საქმეში. იგი მოითხოვს ჩაწერის სრულ სიზუსტეს; აღნიშნავს „ხმის დაყოლების“, მახვილების ფიქსაციის საჭიროებას; მოითხოვს გაუგებარი სიტყვების განმარტებას ჩამწერისაგან; ლაპარაკობს ტექსტის პასპორტიზაციის აუცილებლობაზე; განასხვავებს წმინდა ხალხურ და სასალხო ოსტატთა, მეფანდურეთა და მესტვირეთა შემოქმედებას, თუმც აუცილებლად მიიჩნევს ოსტატთა საკუთარი რეპერტუარის სრულ ჩაწერას (რადგან „ისიც შეიძლება მალე ხალხურად იქცეს“). მიუთითებს ტექსტის ამ თვალსაზრისით ზუსტი პასპორტიზაციის საჭიროებას.

პეტრე უმიკაშვილი აქვე ხაზს უსვამს ტექსტის ისტორიის ფიქსირების მნიშვნელობას: სად არის გაგონილი, ვისგანაა ნასწავლი, ხომ არ შეიძლება დადგენა მისი წიგნიდან წარმომავლობისა, როგორია ტექსტის ფუნქცია ხალხის ყოფაში — უკავშირდება თუ არა იგი რაიმე წეს-ჩვეულებას და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა სრული შეგნება ვარიანტების მნიშვნელობისა: „რამდენჯერაც არ უნდა შეგვევდეს ერთი და იგივე ლექსი. — აღნიშნავს პ. უმიკაშვილი, — უნდა ჩაიწეროს, რადგან ზოგ მთქმელს თითო-ორი ისეთი სიტყვა შეიძლება შემორჩეს, რომელიც დიდად იქნება მნიშვნელოვანი. მაგალითად, „არსენას ლექსის“ ათი ჩანაწერი მაქვს. აქედან, მხოლოდ ორში შემხვდა არსენას დალოცვა იმ ქალის მიერ, რომლის სიძეს არსენამ ცხენი და ხურჩინი წაართვა:

სადაც წასტახტა-წანობობანდე, არსენა ეკიმარჯედესა.

მუიდაოს ათიშე, ღიიას აქლე, ღებოთი როღა წაკახენსა...“

ენა პ. უმიკაშვილის წერილისა სადა და შთამბეჭდავია. წერილი სავსეა ცოცხალი და მეტყველი მაგალითებით. როგორც რამდენიმე თვის შემდეგ გამოხულ თავის მეორე წერილში („დროება“, 1872, № 23) თვით უმიკაშვილმა აღნიშნა, ამ მოწოდებას მრავალი გამოეხმაურა: „სიხარულისა და მადლობის გრძნობით უნდა გამოვთქვა, რომ სახალხო ლექსების, ზღაპრების, გამოცანების და სხვა გამონათქვამების წერაში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და რაც რამდენისამე წლის განმავლობაში იყო შეკრებილი, იმის მესამედის ოდენა ორს თვეში შეეკრიბათ სხვა და სხვა პირთა“. 1871 წელს „დროებაში“ (№ 22) დაბეჭდილი წერილით დაიწყო ფაქტიურად ფართო მოძრაობა ქართული ხალხური შემოქმედების შესავროვებლად.

თეორიული ხასიათის მოსაზრებანი გამოთქმული პ. უმიკაშვილის მიერ უფრო ფართოდ იქნა გაშლილი მის მიერ იაკობ გოგებაშვილთან ერთად შედგენილ „პროგრამაში ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრებისათვის“, რომელიც წერა-კითხვის ქართველთა შორის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა 1882 წელს. პროგრამას არ აწერია შემდგენელთა გვარები, მაგრამ

მის შედგენაში პ. უმიკაშვილის დიდი წვლილი, რის შესახებაც ვარაუდი გამოთქვა ფ. გოგიჩაიშვილმა, საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა თამარ ოქროშიძემ².

სრულიად სამართლიანია თამარ ოქროშიძის მეორე დასკვნაც, რომ თავისი დროისათვის, შედარებით ზოგიერთ ავტორთან, რომელთა შრომებით უსარგებლია პ. უმიკაშვილს (ვესელოვსკი, ო. მილერი, გალახოვი, დრაგომანოვი და სხვ.), პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი პროგრამა ბევრად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და მეცნიერულად მაღალ დონეზე იდგა. მართლაც, ის პრინციპული მოთხოვნებიანი, რომელთაც შემდეგ, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც, ერთსულოვნად ყველა შემკრები აღიარებდა საქართველოში, სწორედ ამ პროგრამაში იყო ჩამოყალიბებული.

ამ გარემოებამ არც უნდა გაგვაკვიროს. ჩვენი აზრით, ფ. გოგიჩაიშვილის ცნობა ლიტერატურის შესახებ, რომლითაც უსარგებლია პროგრამის შედგენის პერიოდში პ. უმიკაშვილს, ეხება მხოლოდ იმ წიგნებს, რომელთა შოვნა მან იმ პერიოდში თბილისში შესძლო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პ. უმიკაშვილი 1864—67 წწ. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ეს წლები რუსული ფოლკლორისტიკის განსაკუთრებული აღმავლობის პერიოდს წარმოადგენს. „ფოლკლორის გამოცემათა და კრებულების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, 60-იან წლებს სრული უფლებით რუსული ფოლკლორისტიკის ოქროს ხანა შეიძლება ეწოდოს“ — წერს პროფ. მ. აზადოვსკი. „ეს გრანდიოზული კრებულებისა და დიდ ფოლკლორულ წამოწყებათა ეპოქა იყო“³. ამ პერიოდში შეიქმნა ახალი, ბრწყინვალე ფილოლოგიური სკოლა ა. ა. კოტლიარევსკის, ა. ნ. ვესელოვსკის, ა. ა. პოტებნიასა და ა. ნ. პიპინის სახით. განსაკუთრებით გაცხოველდა გეოგრაფიული საზოგადოების მოღვაწეობაც.

გლებთა საკითხის გარშემო მრავალი საზოგადოებრივი ჩგუფის შეჭახებამ მთელი სიძლიერით წამოაყენა ხალხურობის პრობლემაც. თავის მხრივ, ამ პრობლემებით დაინტერესებას მოჰყვა ფოლკლორისადმი ინტერესის გაღვივებაც. რევოლუციონერო-დემოკრატიების იდეებმა პირდაპირი გავლენა მოახდინეს ფოლკლორული მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკაზე⁴.

შეუძლებელია, რომ პ. უმიკაშვილი, რომელმაც სწორედ ეს წლები პეტერბურგის უნივერსიტეტში გაატარა, ამ მოწინავე პროფესურის გაელენის გარეშე დარჩენილიყო. და მაინც, ამ დიდი მასშტაბითაც, პ. უმიკაშვილის პროგრამა მეტად პროგრესული და მეცნიერულია. ჩვენი აზრით, იგი ძალიან ახლოდგას ი. მანგარდტის პროგრამასთან, რომელიც მასწავლებლებისა და მოსწავლეთადმი მოწოდებასა და ინსტრუქციას წარმოადგენდა. ეს პროგრამა დაედო საფუძვლად ცნობილი შემკრების პ. ვ. შეინის მიერ 1867 წელს შედგენილ რუსულ პროგრამა-კითხვარსაც. სწორედ პ. შეინის პროგრამასთან იჩენს დიდ სიახლოვეს პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის პროგრამა. ზუსტი პასპორტიზაცია, ჩაწერის სიზუსტის მოთხოვნა. სიმღერების მღერის პროცესში ჩაწერა და „ხმის დაყოლების“ (მახვილების) აღნიშვნის საჭიროება და სხვ. — ანათესავენ მათ. საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. რომელიც საერთოა ამ

² თ. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „ლიტერატურული ძეგლები“, IV, 1947.

³ М. Азадовский, История русской фольклористики, т. II, М., 1963, гл. 209.

⁴ იქვე, გვ. 86.

ორი პროგრამისათვის. ეს არის მოთხოვნა იმისა, რომ ჩაიწეროს არა მარტო ტრადიციული, არქაული ტექსტები, არამედ ახლად შექმნილიც. ეს უკანასკნელი მოთხოვნა კ. უმიკაშვილმა განსაკუთრებული გარკვეულობით ჩამოაყალიბა თავის მეტად საინტერესო სტატიაში „უსაფუძვლო დაყოფა“, რომელიც მან 1888 წელს (№ 22) „ივერიაში“ დაბეჭდა.

„ერის პოეზია, — წერდა ამ წერილში კ. უმიკაშვილი, — უშრეტელი წყაროა, უწყვეტლად მომდინარე იქიდან; სადაც გაჩნდა ერის სიცოცხლე, სულა და გონება, ნიჭი და გენიოსობა. პოეზია წაუშლელი ძეგლია, რომელზედაც სწერია ერის სულიერი ცხოვრების სურათი... ეს წყარო პოეზიისა უშრეტელ რამ არის, იმის ნაკადულით მოტანილი ნაწარმოები მუდამ ძვირფასი იქნება; მეცნიერებისათვისაც და მწერლებისათვისაც. ამიტომ, იმისი შეკრებაც... მუდმივი იქნება, მრავალ საუკუნეს გასტანს. პოეზია უკვდავია, თუმცა იმისი ნაწარმოები დღეს ერთი ფერისაა, ხვალ მეორე ფერისა; დრო სცვლის ამ ფერს და ამიტომ, რამდენადაც მალე მოესწრობა შეკრება პოეზიის ნაწარმოებისა, იმდენად ძვირფასი იქნება ეს მასალა მეცნიერებისა და მწერლებისათვის. მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ამით ამოიწეროს ხალხური პოეზია... მოსწრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რაც დღეს ხალხში ტრიალებს, დღესვე სისრულით იყოს შეკრებილი, ამიტომ რომ, ხვალ დაგიწყებული იქნება. წელიწადი არ გავა, რომ არამც თუ სახალხო პოეზიის სათაურში, სოფელში, თვითჩვეულებრივად ერის პოეზიისაგან დაშორებულ ქალაქებში ახალი სიმღერა. ახალ ლექსი არ გამოითქვას“. კ. უმიკაშვილის ეს აზრი ხალხური პოეზიის განვითარების უწყვეტლობის შესახებ, მისი ინტერესი ახალი, თანამედროვე სახალხო პოეზიისადმი და სოფლის გვერდით ქალაქური ფოლკლორის შესწავლის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება ქვემარტად გაბედული და იმ დროისთვის მეტად პროგრესული იყო.

კ. უმიკაშვილისათვის ფოლკლორის შეკრება დიდი პატრიოტული საქმეა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზოგადქართული გავრცელების ტექსტებს, რომელთაც საერთო ეროვნული მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ცალკეულ კუთხეთა „შემაერთებელ დულაბს“, ამ კუთხეთა უძველესი კავშირის მაჩვენებელს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მესტიერეთა მოღვაწეობას საქართველოში.

„აუარებელმა მტრის შემოსევამ დაასუსტა ჩვენი შინაგანი ერთობა, ერთმთავეობა და დაჰყო საქართველო ნაწილ-ნაწილად. ჩვენი დამდაბლება, ჩვენი მიწასთან გასწორება, ჩვენი ქელეა ამ დაყოფიდან დაიწყო. ჩვენ, ერთი დიადის ოჯახის შეილნი, ერთის სისხლისა და ხორცისანი. ურთიერთის ძმები დავშორდით ერთმანეთსა და ეს მშვენიერი საქართველო, ერთობით ძლიერი, დაირღვა. დასუსტდა... ძმები ერთმანეთს მტრად გადავექცეთ, ვქიშპობდით, ძმა ძმასაც ცხოდით და ამაში დაილია კიდევ ძლიერი სული საქართველოსი“, — წერდა კ. უმიკაშვილი 1877 წელს აჭარასთან დაკავშირებით. იგი აჭარის საქართველოსთან ერთობის მოწმობას, მოწმობას იმისა, რომ ქართული ენა შეუცვლელია ოსმალის საქართველოში, ხედავდა მხატვრული სიტყვის ძეგლებში: ლექსებში, ზღაპრებში, სიმღერებში. მაგალითად, მას „სოლოდას ლექსი“ მოჰყავდა, რომელიც აჭარაში „ყველგან სამღერლათა აქვთ და რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში იმერეთში თუ ქართლ-კახეთში, ხეცურეთში და სხვაგან საძირკვლად მოფენილია და გავრცელებულია“.

პ. უმიკაშვილს კიდევ მრავალი ღრმა აზრი და საინტერესო დაკვირვება აქვს დაბეჭდილი ხალხური პოეზიის (მაგ. „არსენას ლექსის“) ირგვლივ, მაგრამ დავუბრუნდეთ მის შემკრებლობით მოღვაწეობას, როგორც ჩვენს ძირითად თემას. ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, როგორც ვთქვით, რომ უდიდეს თავმდაბლობასა და მორიდებასთან ერთად, პ. უმიკაშვილი უდიდეს შეუპოვრობას იჩენდა კამათში, თუკი საკითხი პრინციპულ პრობლემას ეხებოდა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჩვენ მიერ უკვე ხსენებული მისი წერილი „უსაფუძვლო დაყოლება“, დაბეჭდილი ივერიაში 1888 წელს (№ 22). იგი თავგამოდებით ეკამათება „ივერიის“ 1887 წლის № 270-ის მეთაურს. დღეს ის მეთაური წერილი ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ტომებშია შეტანილი სათაურით: „ხალხის ზნეჩვეულებათა შესწავლის შესახებ“⁵.

ხსენებულ წერილში გამოთქმულია აზრი, რომ ხალხის ცხოვრება ჰარმონიულად უნდა იყოს შესწავლილი. ამიტომ ყოველგვარი „გონებითი ნაწარმოები ხალხისა“ ერთნაირად არის შეკრების ღირსი. ჩვენმა ინტელიგენციამ კი ამ შესწავლის მიზნით მხოლოდ სახალხო პოეზიის შეკრებას მოჰკიდა ხელი. ეს არ არის საკმაო და ბევრჯერ, არათუ საკმაო, შეიძლება მავნებელიც იყოს და შეცდომაშიც კი შეგიყვანოს, რადგან პოეზია ფანტაზიის ნაყოფია, ფანტაზია კი არ ეწყობა ზნეობითი კანონის მოთხოვნილებას. სახალხო პოეზიის შეკრება ერთგვარ „მოდათ იქცა“, — წერს მეთაურის ავტორი, — საჭირო კი არის ეკონომიკური და იურიდიული სფეროების შესწავლაც. ეს ყველასათვის ადვილია, სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს, ამისათვის მხოლოდ პროგრამის შეშუშაება არის საჭირო.

მეთაურ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი ჩერნიშევსკის ზოგიერთ შეხედულებათა გამომხატვრებას უნდა წარმოადგენდეს. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკი ხალხური პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი და დამფასებელი იყო, მაგრამ ხალხის ცხოვრებისა და ისტორიული სინამდვილის შესწავლის თვალსაზრისით პრიორიტეტს ეთნოგრაფიას ანიჭებდა. ეთნოგრაფია, — წერს ნ. ჩერნიშევსკი — „ხედავს და გადმოგვცემს ხალხური ცხოვრების ფაქტებს მთელი მათი ცხოვრებისეული სისრულითა და სიზუსტით. ეთნოგრაფი საკუთარი თვალთ ხედავს იმას, რაც შეიძლება ენობრივი მონაცემების კვლევის დროს მხოლოდ იგრძნო... ამიტომ ეთნოგრაფია უნდა იყოს მთავარი გზის გამკვლევი ხალხთა განვითარების უძველესი პერიოდების აღდგენისას“⁶. ამ სიტყვებით ჩერნიშევსკი ებრძოდა მითოლოგიური სკოლის წარმომადგენელთ, რომელნიც თავის ფილოლოგიურ ნაშრომებში ძირითადად ხალხური პოეზიის მონაცემებს ეყრდნობოდნენ და მათ საფუძველზე ახდენდნენ მითოლოგიის რეკონსტრუქციას.

ზედმეტია ლაპარაკი იმ დიდი როლის შესახებ, რომელიც შეასრულა ილია ჭავჭავაძემ, როგორც ხალხური პოეზიის შეგროვებისა და შესწავლის მესვეურმა, რამდენი უბადლო ნაწარმოები ხალხური შემოქმედებისა პირადად მან ჩაიწერა და გამოაქვეყნა „ივერიის“ ფურცლებზე. ცნობილია ისიც, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ხალხური პოეზიისა და ზღაპარ-თქმულებათა შესწავლას სწორედ ხალხის ცხოვრების უკეთ გაცნობის თვალსაზრისითაც, მაგრამ საქართველოს სინამდვილეში „ივერიის“ მეთაურის გამოთქმა: ხალხური

⁵ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, გვ. 191.

⁶ Н. Ч е р н ы ш е в с к и й, Полн. собр. соч., т. II, М., 1944, გვ. 619.

სიტყვიერების შეკრება „მოდათ იქცა“ და „შეიძლება მავნებელიც იყოსო“ — სულ სხვაგვარად ეღერდა და აი, პ. უმიკაშვილიც ამაში თავის მიერ ასეთი სიძნელეებით დაწყებული საქმისათვის ხიფათი დაინახა და მისთვის ჩვეულო შეუპოვრობით ჩაება კამათში.

ხალხის ცხოვრება რომ ჰარმონიულად უნდა იყოს შესწავლილი — ეს საე- სებით სწორი აზრია, — ამბობს პ. უმიკაშვილი, — არც ეკონომიური და იური- დიული შესწავლის წინააღმდეგი შეიძლება ვიყოთ, თუმც სწორედ ეს სა- კითხები არ არის ყველასათვის ადვილი და სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. მაგრამ თქმა იმისი, რომ ხალხური პოეზიის შეკრება მხოლოდ „მოდათ იქცა“ და „შეიძლება მავნებელიც იყოსო“, მის ცხარე პროტესტს იწვევს: „აი უცნა- ური აზრი. როგორ თუ მავნებელი? განა ის, რომ პოეზია ფანტაზიის ნაყოფია იმას ნიშნავს, რომ იგი ზნეობით კანონებს ან თუ გინდ ზნეჩვეულებებს არ ეწ- ყობა? და ასეც რომ იყოს, არც ეკონომიური და იურიდიული ცნობები იძლევა სრულ სურათს ხალხის ცხოვრებისა“. ვგონებ ამ მოდაზე გალაშქრება კი არ ვაპგოდეს, არამედ დმერთს მადლობას უნდა ვწირავდეთ, რომ ისეთი „მო- და“ კიდევაც არ მოგვაკლოს. ამისთანა მოდას უნდა შევხაროდეთ; თუ ნაკლუ- ლოვანება აქვს ის ვუჩვენოთ, და მოდა — კი ვისურვოთ, რომ ჩვეულებად შე- გვექმნას, არა თუ შემცირდეს და გადავარდეს“. „სად არის კრებულები ერის პოეზიისა, სად დაიბეჭდა, ვინ დაჰბეჭდა, როდის? სად არის კრებულები ზღაპ- რებისა, ანდაზებისა, სიტყვის მასალებისა, შელოცვებისა, ლექსებისა და სხვა... თითო-ორთა ლექსია ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი და ერთადერთი წიგნი ფშაური ლექსებისა. განა ამას „მოდა“ უნდა დავარქვათ?“. „... არა, ამ ლექსე- ბის კრებას და საზოგადოდ ერის პოეზიის ნაწარმოების შეკრებას ჯერ დიდ- ხანს ხელის შეწყობა ეჭირება და არა მკვახედ მოპყრობა. ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამს ეს შრომა და იმისი დავაუკაცება ჯერ შორს არის“.

და აქ პეტრე უმიკაშვილი სარგებლობს შემთხვევით და კიდევ ერთ მტკივ- ნულ საკითხს ეხება: „ჟურნალ-გაზეთებში ყოფილა ისეთი ლექსებიც ანუ გა- მოცანებიც, რომელთაც გამოცდილი მცოდნე ერის პოეზიის სიტყვა-შეწყობისა ადვილად შეამჩნევდა შეკეთებას, შეცვლას, ერთის სიტყვით ხელოვნების ბე- ტედს, რომ არა ვთქვათ სიყალბესაო...“ „შემკრებელთა შორის ისეთნიც არიან, რომ ერთგვარის ლექსის ვარიანტებისაგან ადგენენ ერთ ლექსს და აბეჭდინებენ ჟურნალ-გაზეთებს, როგორც ნამდვილსა და შეუცვლელს ერის ნაწარმოებსა“. ამ სახით გამოქვეყნებული ხალხური ნაწარმოები შეიძლება საკითხავად სასიამ- მოვნო იყოს ჟურნალ-გაზეთებისათვის, — წერს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ იგი არ გამოდგება ერის ცხოვრებისა და გონების სამეცნიერო შესწავლის მასალად. საქმე ჯერ წესიერად არც კი დაწყებულა, — განაგრძობს იგი, — ამ დროს კი გვესმის, რომ შეიძლება იგი მავნებელიც იყოსო.

„გულის აცრუებისთანა ადვილი არა არის-რა, და დღეს, თუ ჩვენში მართლა „მოდათ“ გამხდარა სახალხო ლექსების შეკრება, მხარი უნდა მივცეთ, წავახა- ლისოთ შემკრებნი და როდესაც ნაკლულოვანებას ვამჩნევთ, შეგნებულის თავ- დაჰქერილის სიტყვით ხალხის მივცეთ, არამც თუ აბუჩათ ავიგდოთ“. ვგო- ნებთ, — წერს პეტრე უმიკაშვილი, — თვით ავტორი წერილისაც მადლიერი არ დარჩება თავის ნაწერისა, რომ ეს „მოდა მოისპოსო“. «დღე კურთხეულიმც იყოს ეს მოდა და სხვა ამგვარი „მოდები“» და მართლაც, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ი. ჭავჭავაძე ამ მეთაურის ავტორი, მას არც როგორც ავტორს და არც როგორც რედაქტორს „ივერიისა“ მეთაურის დასაცავად, გაცხარებუ-

ლი პეტრე უმიკაშვილისათვის პასუხი არ გაუცია. პირიქით, ცნობილია თუ რაოდენ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა იგი ამ უანგარო ადამიანს და რაოდენ ანგარიშს უწევდა მას. „ძმავ პეტრე, — წერს იგი მას ერთ-ერთ წერილში (1890), — ჩემდა საოცრად მე შევიტყვე, რომ შენ რაღაცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული, და ეს მით უფრო შესაწუხებელია ჩემთვის, რომ ვერ მომისაზოებია, რა უნდა იყოს ამისი მიზეზი. შენგან მიკვირს, თუ რამ მიზეზი გაქვს, აქამომდე პირდაპირ რად არ მითხარი. ამას ჰოხოულობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, „ივე-რიაზე“ გვექნება ლაპარაკი და მინდა, რომ შენც დაესწრო და შენი რჩევა გავიგონო“.

პეტრე უმიკაშვილის ღვაწლი ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე განუზომელია. მართალია, იგი ვერ მოესწრო მის მიერ შეგროვებული ფოლკლორული მასალის, უმდიდრესი განძეულის გამომშეურებას. ამ გარემოებას თავისი მიზეზი ჰქონდა. პ. უმიკაშვილის არქივი იმდენად გაიზარდა, რომ არსებული ძალებით მისი მეცნიერული გამოძიება და საქართველოს იმდროინდელ საგამომცემლო ბაზაზე გამოცემა შეუძლებელი იყო. სხვაგვარად გამოცემა კი პეტრე უმიკაშვილს ალბათ არ სურდა. ასე იყო თუ ისე, მან შეაგროვა და ქართველ ხალხს ჩააბარა XIX საუკუნის ქართული ხალხური შემოქმედების უბრწყინვალესი მასალა.

აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პეტრე უმიკაშვილის ის სიტყვები გავიხსენოთ და გავიმეოროთ, რომელიც მან ავტობიოგრაფიაში ხალხური პოეზიის დარგში თავის საქმიანობას უძღვნა: „მეხუთე საგანი ჩემის შრომისა არის შეკრება სახალხო ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა. მათი გამოცემის დაგვიანება მე თვითონ მიმიძიმს. მაყვედრიან, დამცინიან კიდევ, მაგრამ მე იმედი მაქვს ეს საყვედური და დაცინებაც ქარმა წაიღოს, როდესაც გამოვცემ“⁷. პ. უმიკაშვილს არ ეღივსა ამ გამოცემის მის სიცოცხლეში განხორციელება⁷, მაგრამ მისი ღვაწლი ქართული ხალხური შემოქმედების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში დარჩა როგორც უკვდავი ძეგლი ტიტანური შრომისა და სამშობლოსა და ხალხის უბადლო სიყვარულისა.

⁷ ეს დიდი საქმე მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა. პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვილი ლექსები, ანდაზები და გამოცანები გამოიცა ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით 1937 წელს (იხ. ზემოთ). 1964 წელს პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვილი ფოლკლორული მასალები 4 ტომად გამოსცა მ. ჩიქოიანმა. აქვე (ძეოთხე ტომში) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილები და ნარკვევები.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა).

პროლოგი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში

(პირველი და მეორე სტროფები)

ვეფხისტყაოსნის ზოგიერთმა ქართველმა მკვლევარმა ამ საუკუნის დასაწყისში პროლოგი პოემის არაორგანულ ნაწილად გამოაცხადა და იგი მთლიანად ან ნაწილობრივ ინტერპოლაციად მიიჩნია¹. რუსთველოლოგთა უმრავლესობა თავიდანვე გაემიჯნა ამ მოსაზრებას. თანამედროვე რუსთველოლოგთა პროლოგს პოემის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად თვლის, თუმცა არ გამოცხადებს, რომ მასში ჩართულია შემდეგი დროის ინტერპოლაციები².

რუსთველოლოგიაში პროლოგის თაობაზე არსებულმა ამ აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა პოემის უნგრულ თარგმანებში³.

ვეფხისტყაოსნის პირველ უნგრულ მთარგმნელს ბელა ვიკარს პროლოგი თარგმანში არ შეუტანია⁴. შესაძლოა, უნგრულმა მთარგმნელმა მექანიკურად მიჰბაძა არტურ ლაისტის გერმანულ თარგმანს, სადაც პოემის პროლოგი და ეპილოგი შეტანილი არ არის. მაგრამ გამორიცხული არც ისაა, რომ იმ ხანებში ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი, დ. კარიჭაშვილისეული გამოცემის წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრების გავლენით პროლოგის თარგმნა ზედმეტად ჩაეთვალა გ. ცისკარაულს — ბ. ვიკარის ქართველ დამხმარეს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ბ. ვიკარის თარგმანში შეიცნობა პოემის ცალკეული ადგილის ქართველიშვილისეული გამოცემისაგან განსხვავებული, კარიჭაშვილისეული წაკითხვა⁵.

ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული თარგმანის გამოცემიდან, პოემის მეორე, ევორეშისეული თარგმანის მომზადებამდე თითქმის ოთხმა ათეულმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მკვლევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს პროლოგის სტროფთა თავდაპირველი თანმიმდევრობის აღდგენისათვის და ტექსტის შემდგომი ჩანართებისაგან გასაწმენდად. წინამდებარე წერილის მიზანია თანამედროვე რუსთველოლოგიური გამოკვლევების გათვალისწინებით გაარკვიოს ვეფხისტყაოსნის პროლოგის პირველი ორი სტროფის ევორეშისეული უნგრული თარგმანის ორიგინალისადმი ადეკვატურობა.

¹ შეად.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1970.

² ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966; მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის, თბ., 1958.

³ R u s z t a v e l i, Turiel a párduebörös lovag, ford. Vikár Béla, Bp., 1917; R u s z t a v e l i, A tigrisbörös lovag, ford. Weöres Sándor, Bp., 1954.

⁴ თარგმანს საფუძვლად უდევს ვეფხისტყაოსნის 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა.

⁵ ქართველიშვილისეული სტრიქონის „თორჰეტი ჩ ე მ ა დ ის რისა მომრთჰველად, მოსახმარებლად...“ კარიჭაშვილისეული გამოცემის მიხედვით თარგმანში გასწორებულია „ჩ ვ ე ნ ა დ“ (bennünk, 70,2); ქალმან ჯეაძრას: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ე ი ა ჯ დ ი ა“ (276,1) — «...kérlek szepen» („გეხეაწები“). ხაზგასმული სიტყვა ქართველიშვილისეულ გამოცემაში უწყვეტლის ფორმითაა მოცემული, ვიკარს იგი აწმყო_დროით უთარგმნია, რაც კარიჭაშვილისეულ წაკითხვაზე („ეი ა ჯ დ ი ა“) მიუთითებს.

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის ვეორეშისეულ უნგრულ თარგმანს საფუძვლად უდევს პოემის ნუცუბიძისეული რუსული თარგმანიდან მომზადებული პწკარედი. შ. ნუცუბიძეს არასოდეს ჰქონია ტექსტოლოგის პრეტენზია⁶. ზიუხედავად ამისა, პოემის რუსულ თარგმანში იგი იძლევა პროლოგის ტრადიციული თანრიგისაგან განსხვავებულ ახლებურ თანმიმდევრობას. ეს თანმიმდევრობა უცვლელად არის დაცული ვეორეშისეულ თარგმანში.

ვეფხისტყაოსნის პროლოგი უდიდეს სიძნელეებს უქმნიდა და უქმნის მთარგმნელებს. ამ სიძნელეებს პროლოგის მარტო ლექსიკური მასალა ან რუსთაველის მხატვრული მეტყველება როდი ქმნის. პროლოგის სტრიქონთა სიტყვიერი მასალის თარგმანში უნაკლოდ გადატანას უწინარეს ყოვლისა ხელს უშლის მთარგმნელთა სურვილი ერთ რითმზე გაწყობილ თექვსმეტმარცვლიან სტრიქონში დაიცვან მაღალი და დაბალი შაირის რიტმი. მთარგმნელი ხშირად ვერ ეტევა ამ „სალექსო ჩარჩოში“ და იძულებულია სტრიქონი საკუთარი ჩანართებით შეავსოს ან, პირიქით, სტრიქონიდან გამოაკლოს ესა თუ ის სიტყვა. სტრიქონთა მსგავსი მანიპულირება კი პროლოგის თარგმანში არასასურველ სურათს იძლევა, რადგან მასში კონდენსირებული სახით მოცემულია ყველა ის ზოგადი დებულება, რომლებსაც ავტორი შემდგომ პოემის თხრობით ნაწილში ავითარებს. ამიტომ პროლოგის მთარგმნელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, ვინაიდან არათუ ყოველ გამოკლებულ ან ჩამატებულ, არამედ არასათანადოდ შერჩეულ სიტყვასაც კი შეუძლია საეაღალო შეცდომა გამოიწვიოს, რაც უცხოელ მკითხველს არასწორ შთაბეჭდილებას შეუქმნის ქართული პოეტის მსოფლმხედველობაზე, მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებაზე. ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება ამას წინათ „მაცნეში“ გამოქვეყნებული ზ. გამსახურდიას წერილი⁷. ავტორმა ვეფხისტყაოსნის ორიგინალის ინგლისურ თარგმანებთან შეპირისპირების საფუძველზე წარმოაჩინა ზოგიერთი პრინციპული ხასიათის შეცდომა, რომელსაც პოემის პროლოგის ნებისმიერ უცხოურ თარგმანში შეიძლება შევხვდეთ. შესაძლოა, რუსთაველის მკვლევრებმა ზ. გამსახურდიას ზოგიერთი მოსაზრება არ გაიზიარონ, მაგრამ ვეფხისტყაოსნის ტექსტის „თარგმანება“ იმ სახით, რომელიც მან შემოგეთავაზა. ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს რუსთაველის მომავალ მთარგმნელებს. მეცნიერული რუსთველოლოგია ამ ეროვნული ძეგლის საზღვარგარეთის ენებზე თარგმნის დღევანდელ ეტაპზე მთელი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს პოემის თარგმნის ყოველ ახალ ცდას. მხოლოდ ამგვარად შეიძლება თავიდან ავიცილინოთ ყოველგვარი შემთხვევითობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რუსთაველის რელიგიურ-ფილოლოგიური შეხედულებების. აგრეთვე მისი მხატვრული აზროვნების თავისებურებათა არასწორი გაგება. პოეტის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პოემის ყველა ადგილის თარგმანება აუცილებლად უნდა ემყარებოდეს რუსთველოლოგიაში ტექსტის სადღეისოდ შემუშავებულ და მიღებულ წაკითხვას. ამ მხრივ კარგი მაგალითია კ. ბუდენზიგის მიერ ამ უკანასკნელ ხანებში შესრულებული გერმანული თარგმანი.

⁶ შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 3; მისივე „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის, „ციცკარი“, 1965, № 2, გვ. 124.

⁷ ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, № 4.

ვეფხისტყაოსნის უცხოურ თარგმანებს შორის უნგრული თარგმანები საუკეთესოა და აღიარებული. მიუხედავად ამისა, ამ თარგმანებს აქვს თავისი ხარვეზები. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა პოემის იმ სტროფებში, სადაც რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები მეტად აღმართულია. საქმე ისაა, რომ ბ. ვიკარი დააბნია პოემაში ასახულმა გეოგრაფიულმა არემ და მოქმედი პირების სხვადასხვა ეროვნულმა წარმომადგენლობამ. როგორც ჩანს, მთარგმნელი მოელოდა, რომ პოემაში არაბად წარმოდგენილი აეთანდილი იქნებოდა ისლამის მიმდევარი, ინდოელი ტარიელი კი — ბუდიზმისა, მაგრამ რაკი ბ. ვიკარმა პოემაში ვერც ერთი ამ სარწმუნოების ნიშნები ვერ აღმოაჩინა, გაუგებრობად მიიჩნია ვეფხისტყაოსანში აქა-იქ ჩაქსოვილი ქრისტიანული აღმსარებლობის ამსახველი სტრიქონები (მაგ.: სტრიქონი — „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?“ (791,1)⁸, რომელიც მიგვანიშნებს პავლე მოციქულზე და მის ეპისტოლეებზე⁹, ვიკართან ასეა თარგმნილი: „წაგიკითხავს, როგორ ჰკიცხავენ სიყვარულის მოციქულებს“ — *olvastad, hogy megszólta a szeretet apostolait*) და ამ ნიადავზე თავის თარგმანში მიუტევებელი შეუსაბამობა დაუშვა. რაც შეეხება შ. ნუცუბიძის თარგმანს, მასში შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანის გავლენით. თითქოსდა უნდა გატარებულიყო სამყაროს შეცნობის პანთეისტური თვალსაზრისი, მაგრამ თარგმანში პანთეისტური თვალსაზრისი არ არის გატარებული. ამის მიუხედავად, ევროპისეული თარგმანის წინასიტყვაობაში ეკითხულობო: „თსულების უამრავ სტროფში გზნეულ ცალკეულ პასაჟებში პოეტის ქებას ასხამს ვაჟკაცურ ბრძოლას. მაგრამ ეს შემართება უაღრესად მიწიერი: რაინდები იბრძვიან და კვლებიან ამ დიდებისათვის. მათ ღმერთი კი არ უმზადებს გვირგვინს ზეციური სასუფეველსათვის“, არამედ ისინი რჩებიან „დიდ ერთში“ (a „nagy-ígybe olvadnak űn“¹⁰; „დიდ ერთში“ იგულისხმება ერთიანი სამყარო). ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორის ი. ჩატლოშის ობიექტულობა. რომელიც გამორიცხავს რუსთაველის მხატვრულ აზროვნებაში იმქვეყნიური სინამდვილის რწმენის არსებობას, ეჭვგარეშეა, წარმოადგენს შ. ნუცუბიძის დებულების განმარტებას¹¹, რომლის თანახმად შ. რუსთაველის მსოფლმხედველობა ემყარება პანთეისტურ მატერიალიზმს. პანთეისტური გაგებით, ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა. ღმერთი საგანთა იმანენტური მიზეზია და არა ტრანსცედენტური. პანთეიზმი უარყოფს ღმერთის პიროვნულობას, მის ტრანსცედენტურობას. ამიტომ იგი არ არის სამყაროს შემოქმედი.

შ. ნუცუბიძე დაბეჭდვით იცავდა იმ მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსნის პირველივე სტროფი პანთეისტური მატერიალიზმის თვალსაზრისს შეიცავს¹². შ. რუსთაველი აქ შეგნებულად არ ასახელებს ღმერთს. რადგან ეს გარემოება დაარღვევდა პოეტის „თავისუფალ სააზროვნო განწყობასო“ — აცხადებდა პატივცემული მკვლევარი¹³. ამიტომ, შ. ნუცუბიძემ თავის რუსულ თარგმანში

⁸ სტროფთა თანმიმდევრობა მოგვყავს პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

⁹ ა. გაწერელია, რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი. „ცისკარი“, 1970, № 7, გვ. 142.

¹⁰ ვეფხისტყაოსნის ევროპისეული თარგმანის ბოლოსიტყვაობა, გვ. 316.

¹¹ III. Р у с т а в е л и, Витязь в тигровой шкуре, М., 1941, გვ. 18.

¹² III. Н у ц у б и д з е, Творчество Руставели, Тбилиси, 1958, გვ. 273; მისივე ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის, „ცისკარი“, 1965, № 2.

¹³ იქვე, გვ. 25.

რამდენჯერმე სცადა „რომელმან შექმნა სამყარო“ როგორმე დაეახლოვებინა ღმერთისა და სამყაროს პანთეისტური მსოფლგაგებისათვის¹⁴. ამ თარგმანის -უკანასკნელ გამოცემებში სურათი ოდნავ შეცვლილია, თუმცა ღმერთი აქაც სამყაროს შემოქმედ არსებად გამოიყურება¹⁵.

პირველი სტროფის „რომელმან“, როგორც მრავალგზის აღუნიშნავთ რუსთაველის მკვლევარებს, გულისხმობს პიროვნულ ღმერთს¹⁶. „ასეთი ღმერთი უცხოა პანთეიზმისათვის, რომლისათვისაც შესაქმის პროცესი უპიროვნო, მარადიულ-აუცილებელი პროცესია, ხოლო ქრისტიანული თეიზმისათვის შესაქმე თავისუფალი, შემოქმედებითი აქტია პიროვნული ღმერთისა“¹⁷. ამასთან, ქრისტიანული თვალსაზრისით, სამყაროს შექმნა მიეწერება ერთარსება ღმერთს, რომელიც თავისი ბუნებით სამპიროვანია. ღმერთის ასეთი გაგება საბოლოოდ დამკვიდრდა ნიკეას (325 წ.), შემდგომ კი კონსტანტინოპოლის (385 წ.) სინოდებზე და აქედან მოკიდებული იგი თითქმის მთელს საქრისტიანოში ელემენტარულ კეშმარიტებად იქცა. „რომელმან“ გულისხმობს ქრისტიანულ ღმერთს (თავისი ბუნებით სამპიროვანს. ღმერთის ყოველ ხსენებაზე სავალდებულო არასოდეს ყოფილა მისი ცალკეული იპოსტასების ჩამოთვლა: ეს ყოველი ქრისტიანის ცნობიერებაში თავისთავად იგულისხმებოდა).

შ. ვეორეშის მიერ ეეფხისტყაოსნის უნგრულად თარგმნილი პირველი სტროფი. თუმცა იგი ერთგულად მიჰყვება შ. ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანს, მაინც იჩენს ამ უკანასკნელისაგან ერთგვარ გადახვევას. „რომელმან“ (ნუცუბიძისეული „ТОТ“) მას სწორადა აქვს თარგმნილი. ნაცვალსახელი „aki“ („ki“) ღმერთის იდენტური მნიშვნელობით სწორად გვხვდება ახალი აღთქმის წიგნებში (შეად.: János 5, 23—30). მართებული იქნებოდა უნგრულ მთარგმნელს სიტყვა „სამყარო“ ეთარგმნა არა „világ“-ით (világ, Welt), არამედ სიტყვა „mennye“-ით (mennye, Firmament). ამით დაცული იქნებოდა შესაქმის თანმიმდევრობა. შ. ვეორეშს, ნუცუბიძისაგან განსხვავებულად უთარგმნია ორიგინალისეული შესიტყვება „ძალითა მით ძლიერითა“ („CÁM B. T. E. T. B. E. M. B. C. E. M. E. T. Y. U. M.“). უნარგლი მთარგმნილი ამ შესიტყვებას მეტაფორულად გადმოსცემს („ყოვლისშემძლე ხელით“ — „mindenható kézzel“), რითაც უახლოვდება ორიგინალის აზრს (ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში კრეაციონიზმთან დაკავშირებით უხვად ვხვდებით მსგავს გამოთქმებს, მაგ.: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და დაბადებულსა ქმნულსა ხელთა მისთასა სამყარო“ (ფსალმ. 18,2)— „Az egék hirdetik az erös Ister rek dicsöségét, és az ő kezei ek mu kiját hirde'i ama kiterjesztett erősség“ (Zsolt. 19,2); -და კუალად: შენ დასაბამსა, უფალო, ქუეყანა დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთანი ცანი არიან“ (ებრ. 1,10)— „Es te Uram, kezdetben fundálád a földet: és a te kezei ek művei az egék“ (Zsid. 1,10).

მეორე სტრიქონი („ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეციით მონაბერიითა“) ასეა თარგმნილი: „az égből az élet lehet minden létezőnek adta“ („ზეციდან სიცოცხლის სული (სამშვინველნი) მიანიჭა ყოველ არსებას“). როგორც ვხედავთ, აქ პრინციპული ხასიათის შეცდომაა დაშვებული. თუ ბიბლიის უნგ-

¹⁴ შეად.: რუსული თარგმანის 1941 და 1957 წწ. გამოცემები.

¹⁵ შეადარე ა. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 211.

¹⁶ იქვე, გვ. 210.

¹⁷ ზ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, დასახ. შრ., გვ. 37.

რული თარგმანის ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ვეორეშს „სული“ უნდა ეთარგმნა სიტყვა „lélek“-ით (дух, Geist) და არა „lehel“-ით (სამშეინე-ლი). ამ სტრიქონში იგულისხმება არსთა შექმნა ზეგარდმო მონაბერი სულით.

პროლოგის მეორე სტროფი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სხვა-დასხვაგვარადაა გააზრებული. მკვლევართა ერთი ნაწილი მას სრულიად უმარ-თებულოდ ჩანართადაც კი აცხადებდა და ამ გარემოებას იმით ხსნიდა, რომ პირველსა და მეორე სტროფს შორის არ არის ორგანული კავშირი. ზოგი მკვლევრის თვალსაზრისით, პროლოგის პირველ სტროფში შესაქმნის დასრუ-ლებული სურათის გადმოცემის შემდეგ, მეორე სტროფში ერთგვარ შეუსაბა-მობას ქმნის სტრიქონი — „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექქმენ, სახე ყოვლისა ტანისა“.

შ. ნუცუბიძე რამდენჯერმე შეეხო ამ სტროფთან დაკავშირებულ სა-კითხებს¹⁸. რადგან პროლოგის მეორე სტროფში თავს იჩენს რუსთაველის აშ-კარად არაპანთეისტური შეხედულება იმკვეყნიურ სამყაროზე, შ. ნუცუბიძე გამოსავალს იმაში პოულობს, რომ ზოგიერთ სხვა სტროფთან ერთად პროლო-გის მეორე სტროფს რუსთაველისავე შემდეგდროინდელ ჩანართად მიიჩნევს¹⁹.

პროლოგის პირველი სტროფის მსგავსად, მეორე სტროფშიც თვალსაჩი-ნოდაა გამოკვეთილი რუსთაველის ქრისტიანული, ბიბლიურ-კრეაციონისტუ-ლი თვალსაზრისი. თუ პირველ სტროფში საუბარია ცისა და ქვეყნის შექმნა-ზე, ყველა არსის შექმნაზე, რომლებშიაც შედის აგრეთვე ადამიანი. მეორე სტროფში რუსთაველი ლაპარაკობს პირველი ადამიანის სხეულის შექმნაზე, რომელიც არის სახე ყოვლისა ტანისა²⁰. ამ სტროფის უკუთარგმანი ასე გამო-იყურება: „ყოველ ტანს შენ აძლევ ფორმას, ღმერთო, ერთადერთო. სატანის დასათრგუნავად მომეცი ძალა. მფარველო, ამინთე გულში სიყვარული, რომელიც სიკვდილამდე არ ჩაქრება. განმწმინდე ცოდვებისაგან ის. ვინც შენი სრა-სასახლის მდგმური გახდება“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის ვეორეშისეული უნგრული თარ-გმანი მთლიანად ძალად მხატვრულ დონეზეა შესრულებული. მაგ²¹ამ, როგორც პროლოგის პირველი ორი სტროფის დედანთან შეჯერებამ გვიჩვენა, იგი გარ-კვეული თვალსაზრისით მაინც სცილდება ორიგინალს, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ პწკარედით, რომლითაც პოეტი სარგებლობდა.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის პირველი და მეორე სტროფები უაღრესად მნიშვნელოვანია რუსთაველის ფილოსოფიურ-რელიგიური მრწამსის დასად-გენად და საერთოდ მთელი პოემის მთლიანობაში აღსაქმელად და გასააზრებ-ლად. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია ყოველ უცხოელ მთარგმნელს მაქსი-მალური შესაძლებლობა ჰქონდეს პწკარედით მართებული ინტორმაცია მიი-ლოს, რაც ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა თარგმანის ძალად დონეზე შეს-რულებისათვის.

¹⁸ Ш. Н у ц у б и д з е, Творчество Руставели; მ ი ს ი ე ე, ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის. „ცისკარი“, 1965, № 2; მ ი ს ი ე ე, მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა, „ცისკარი“, 1966, № 5.

¹⁹ Ш. Н у ц у б и д з е, Творчество Руставели, გვ. 367.

²⁰ ზ. გაგნაძე რ დ ი ა, დასახ. შრ., „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972 № 2, გვ. 48.

მარიამ კარაელაშვილი

ვეფხისტყაოსნის
ეპისატიუნისეული რედაქციის ხელნაწერთა
კროლოგისათვის

მზებნათუნისეული რედაქციის ნუსხათა (JKOT) პროლოგი ფრიად თავისებურია სტროფული წყობით¹. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას წარმოადგენს ეს პროლოგი² რამ განაპირობა მისი განსაკუთრებული სახე?

რუსთველოლოგიის ისტორია მოწმობს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ეს სავსებით გასაგებია: აქ მოცემულია პოეტის თეორიულ შეხედულებათა მთელი სისტემა. რიგი ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელთა სწორ ინტერპრეტაციაზეც დიდადაა დამოკიდებული პოემის მართებული გაგება.

პროლოგის შესწავლას მიეძღვნა აკად. ნ. მარის ფუნდამენტური ნაშრომი „Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсови́й шкуре» Шоты из Руставы“, დაწერილი 1910 წელს. აქ მან გარკვეულ თეორიულ წინამძღვრებზე დაყრდნობით ტექსტის საკუთარი რეკონსტრუქცია წარმოადგინა, რომელშიც პროლოგის 22 სტროფი შევიდა მხოლოდ. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარყოფდა პროლოგის ავთენტურობას. იმ რუსთველოლოგთა რიგი, რომელთაც პროლოგი პოემის მიუცილებელ კომპონენტად მიაჩნიათ, ვეფხისტყაოსნის პირველი გამომცემლის — ვახტანგ VI სახელით იწყება. ეს შეხედულება გაიზიარა ძველი და ახალი დროის თითქმის ყველა რუსთველოლოგმა.

თუმცა პროლოგის სტროფული შედგენილობა ხელნაწერებში სხვადასხვაა, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრით მისი მოცულობა 31 სტროფით განისაზღვრება. რაც შეეხება სტროფთა თანმიმდევრობას, სპეციალურ ლიტერატურაში არჩევენ ორგვარ წყობას — ე. წ. „თავდაპირველს“, რომელიც „სამეფო სახლის“ (ABCMX) ხელნაწერებშია დაცული, და „ზაზასეულს“, წარმოდგენილს ზაზასეულ (D) ხელნაწერში და დასტამბულს ვახტანგ VI მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“. უკვე სავსებით გამორკვეული და დამტკიცებულია, რომ „ზაზასეული“ თანრიგი სტროფებისა გამოიწვია ხელნაწერში ფურცელთა აღრევამ, და ერთადერთი მისაღები რიგი სტროფთა თანმიმდევრობისა დაცულია „სამეფო სახლის“ ხელნაწერთა რედაქციაში.

აკად. ალ. ბარამიძის საფუძვლიანი დასკვნით, ვეფხისტყაოსნის პროლოგი აგებულია გარკვეულ ტრადიციულ პრინციპებზე დაყრდნობით², სადაც თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ღვთისა და მეფეთა ქება, შემდეგ კი ცალკეული სიუჟეტური რკალები: ამბავთათვის (ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები), მოშაირეთათვის, მიჯნურთათვის³.

მზებნათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის კვლევისას ჩვენს ინზანს არ შეადგენს პოეტის თეორიულ შეხედულებათა ანალიზი; ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი მტკიცედ შეკრული

ერთობლიობაა; „სამეფო სახლის“ ხელნაწერებში წარმოდგენილი, ხოლო პოემის გამოცემებით დაკანონებული⁴ მისი სახე ჩვენთვის ამოსავალი პრინციპია მზებნათუნისეული რედაქციის პროლოგის ტექსტის საანალიზოდ. ასევე არ შეეხებოდა პროლოგის გარშემო გამოთქმულ სხვადასხვა ჰიპოთეზას, არც პროლოგის რეკონსტრუქციის სხვადასხვაგვარ ცდას, რამდენადაც ისინი არაა დაკავშირებული ჩვენთვის საინტერესო რედაქციასთან. საკითხის სიკვდილისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მიმოვიხილოთ ხელნაწერებში წარმოდგენილი ვითარება პროლოგისა და საგანგებოდ პროლოგის ტექსტოლოგიური შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

ვეფხისტყაოსნის მკვლევარი და გამომცემელი ს. კაკაბაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოემის პროლოგს: აქ ეძიებდა იგი მასალას შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის. პოემის პროლოგის პირვანდელი მოცულობის დასადგენად იგი მიმართავდა მამუკა თავაქარაშვილის (H 599) და მამუკა ბებური-შვილის (S 2829) ხელნაწერებს და საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ბებური-შვილის ხელნაწერის „პროლოგი არ შეიცავს თამარის შესხმის სტროფებს, თუმცა მასში არის სტროფები „მე რუსთველი ხელობითა“, „ესე ამბავი სპარსული“ და სხვა“⁵. მკვლევარს ეს გარკვეული ისტორიული ვითარების ანარეკლად ჰიაჩნდა: ჩვენთვის საინტერესო რედაქტირებულ (J) და ქუთაისურ (O) ხელნაწერთა პროლოგის შედარებით EF პროლოგთან ს. კაკაბაძემ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ეს ხელნაწერებიც უარყოფენ რამდენიმე სტროფს, რომლებშიც ნახსენებია თამარი და რუსთველი, რომ პროლოგის ადრინდელი მოცულობა 23 სტროფია და „ამგვარად, პოემის პროლოგში თავდაპირველად არ ყოფილა სტროფები თამარის და თვით რუსთველის მოხსენიებით“⁶. მკვლევარის აზრით, პროლოგის ეს პირვანდელი რედაქცია ასახულია რიგ ხელნაწერებში, მაგრამ შემდგომდროინდელი ნართაული სტროფების ჩამატებით. რუსთველის სახელის შემცველი სტროფები პირველ რიგში ემატება ამ შემდგომდროინდელ ვარიანტებს, თამარის სახელი კი მათში არ ჩანს. ამგვარ ხელნაწერთა შორის სარგის კაკაბაძე პირველ რიგში მიუთითებს რედაქტირებულ ხელნაწერს, აგრეთვე ქუთაისურ, ნაკაშიძისეულ და ხოვლელის ნუსხებს (JOKI)⁷.

მ. გუგუშვილი ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის“ საგანგებოდ თავს უთმობს პროლოგის ტექსტის შესწავლას; ამ თვალსაზრისით ხელნაწერებს ორ ჯგუფად ჰყოფს — ზოგ ხელნაწერს დაუცავს პროლოგის ვრცელი ტექსტი, ზოგს — მოკლე, რაც შეეხება თანრიგს, აქ პირველი თანრიგი ABCEF ხელნაწერებშია. მეორე კი DG-ში. აქ მკვლევარი სავსებით საფუძვლიანად გამოყოფს რედაქტირებულ ხელნაწერს: „ცალკე დგას ხელნაწერი H461, რომელშიც პროლოგი ძალზე დაზიანებულია, გადარჩენილი ფურცლების კიდებებიდან ირკვევა, რომ ხელნაწერებში პროლოგის თანრიგი ძალზე არეული ყოფილა, არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება H461-ის მსგავსი თანრიგი“⁸.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის კლასიფიკაციაა მოცემული ს. ცაიშვილის ნაშრომებში. „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაში“ ავტორი გამოყოფს პროლოგის სამ ტიპს: პირველ ტიპს განეკუთვნებიან ხელნაწერები, რომლებიც თავნაკლულია, ხოლო სტროფული თანამიმდევრობა ჩვეულებრივი აქვთ (EF[NYZ]), მეორე ტიპს — სტროფთა ჩვეულებრივი თანამიმდევრობის მქონე, ოღონდ ვრცელი შედგენილობის ხელნაწერები (ABCDEFGHI[M]O[RT]X), მესამე ტიპს — ე. წ. „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერები (DGH[LQ]UV)⁹.

აი ძირითადად ის მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამო.

როგორია ჩვენი პოზიცია ამ საკითხში?

მწეხათუნისეული რედაქციის ტექსტის გარკვეული სტილისტური რედაქცია გეიკარნახებს პროლოგი განვიხილოთ იმავე პრინციპების მიხედვით, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი ნუსხათა ისტორიულ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით¹⁰. ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი პროლოგისა ისეთივე რედაქციულ ჯგუფებად განიყოფება, როგორც საკუთრივ პოემის ტექსტი, ამიტომ მწეხათუნისეული რედაქციის პროლოგი უნდა გამოვეყოთ ცალკე, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ისევე, როგორც სამეფო სახლის (ABCMX), ზაზასეული (DUV), პებურიშილისეული (FIRZ) ტიპის პროლოგები — რედაქციაში გაერთიანებულ ნუსხათა შინაგანი მსგავსება-განსხვავებანი ყველაზე ჭეშმარიტი კრიტერიუმი იქნება მათი წარმომავლობის და ბუნების დასადგენად. ამიტომ მწეხათუნისეული რედაქციის პროლოგის განსაკუთრებული ტიპოლოგიური სახის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ხელნაწერთა რკალში, რომლებიც გენეტიკურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული მთელი ტექსტის მანძილზე. თვით პროლოგის სტროფულ შედგენილობას — ჩანართ სტროფთა რაოდენობას — მეტად მცირე მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ამ შემთხვევაში პოემის ტექსტის სივრცე-სიმოკლე პირობით ცნებად გვეჩვენება.

გადავხედოთ მწეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერებს — რა მასალას გვაწვდიან კვლევისათვის? თვით იმ ხელნაწერს (T—W17), რომლის სახელიც მთელ რედაქციას ვუწოდეთ, პროლოგის შემცველი ფურცლები დაკარგული აქვს¹¹. პროლოგის ერთადერთი ფურცელია გადარჩენილი ნაკაშიძისეულ ნუსხაში; რჩება რედაქტირებული და ქუთაისური ხელნაწერები — ორივე მეტად დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებით ხერხდება ტექსტის ერთგვარი აღდგენა, მაშასადამე, ჩვენი ანალიზი ძირითადად ამ მონაცემებს ეყრდნობა.

რედაქტირებული (J) ხელნაწერის პროლოგი

	1 recto
	ამა ამბისა...
I	A 1 — პირველი თავი
	2(1) — რომელმან შექქმნა
	— ? 4(3)
	— ? 3(2)
	— ? 7(6)
	1 verso
	8(7) — მო დავსხდეთ
	6(5) — მიბრძანეს მათად
	— ? (8)
	— ? (4)
	— ?

		2 recto
		34(26) --- ამა საქმესა
		27(21) — მას ერთსა
		28(22) — მიჯნური შმაგსა
		29(23) --- მიჯნურსა თვალად
		31(24) --- მიჯნურობა არის
II		2 verso
		33 --- მას ცოცხალი
		32(25) — ხამს მიჯნური
		35(27) — არს პირველი
		36(28) — ხამს თავისსა
		38(29) — მას უშმაგო
		3 recto
		39(30) — მიკვირს კაცი
		12(10) — თვალთა მისგან
		13(11) — რაცა ვისცა
		A 14 --- თუ მიჯნურსა
		15(12) — შაირობა პირველადვე
		3 verso
III		16(13) — ვითა ცხენსა
		17(14) — მაშინლა ნახეთ
		19(15) --- მოშაირე არა ჰქვიან
		20(16) — მეორე ლექსი
		A 21 — ამბავი წერილად
		4 recto
		22(17) — მესამე ლექსი
		24(18) — ჯამს მელექსე
		2126(1669) — ამირან დარეჯანის ძე
		აქა ამბავი...
		11(9) — ესე ამბავი სპარსული
		41(32) — იყო არაბეთს როსტევან

ფაქტობრივი მონაცემები ასეთია:

1. აქ არაა პროლოგის კუთვნილებად მიჩნეული ორი სტროფი:

25(19) — ჩემი აწ სცანით ყველამან

26(20) — ვთქვა მიჯნურობა პირველი

2. ჩანართთაგან პროლოგის ტექსტშია:

A 1 — პირველ თავი დასაწყისი

A 14 — თუ მიჯნურსა მიჯნურობა

A 21 — ამბავი წერილად უამბოს

A 33 — მას ცოცხალი ნუ ელევის

3. პროლოგის ბოლო სტროფი 40(31) გადატანილია პოემის ტექსტში 76v გვერდზე.

4. ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შემცველი და ხელნაწერული ტრადიციით ეპილოგის კუთვნილებად მიჩნეული ნართაული სტროფი 2126(1669) შემოტანილია პროლოგში და (9) სტროფთან ერთად წინ უძღვის პოემის პირველ თავს.

5. რაც მთავარია, სტროფთა თანამიმდევრობაში წარმოდგენელი ქაოსია: (26) სტროფი წინ უსწრებს (21)-ს, (30)-ს მოსდევს მე-(10), მე-(18)-ს — ჯერ (1669), შემდეგ (9). ამის გამო არეული და გახლეჩილია სიუჟეტური რკალები: „ამბავთათვის“, „მოშაირეთათვის“, „მიჯნურთათვის“.

თუ ამ პროლოგის ტექსტის სიუჟეტური თანამიმდევრობის გარკვევას ვეცდებით, ამგვარი სურათი წარმოგვიდგება: [ღვთისა და მეფეთა ქება], მიჯნურთათვის, ამბავთათვის, მოშაირეთათვის, ამბავთათვის. უდავოა, ასეთი დალაგება (მითუმეტეს, რომ შიგადაშიგ ტექსტიც არასრულია), თუ იგი რედაქტორის კალამს ეკუთვნის, იმდენად სუბიექტურია, რომ მისი ახსნა არავითარ ლოგიკურ საფუძველს არ ემორჩილება, მაგრამ ვცადოთ ამ სტროფულ ანარქიას მივუდგეთ არა შინაარსობრივი, არამედ სხვა თვალსაზრისით; ხელნაწერში წარმოდგენილ თანამიმდევარ სტროფებს თუ ფრაგმენტებად დავყოფთ, ამგვარი სურათი წარმოგვიდგება:

I ფრაგმენტი: 2(1) — 10(8) სტროფები;

II ფრაგმენტი: 27(21) — 39(30) სტროფები;

ფრაგმენტი: 12(10) — 24(18) სტროფები¹².

„სამეფო სახლის“ ხელნაწერებში მოცემული და რუსთველოლოგიაში მიღებული თანრიგის შესაბამისად ეს ფრაგმენტები ასე უნდა დავალაგოთ: I—III—II. ასე მივიღებთ პროლოგის ტრადიციულ (თუმც ხარვეზიან) სახეს: 2(1)—10(8), 11(9)—24(18), 27(21)—39(30).

როგორც ვხედავთ, ცალკეულ სტროფთა დალაგება თუ არა, მთლიანი ფრაგმენტები მაინც ემორჩილება გარკვეულ ლოგიკას: ეს მეტად მნიშვნელოვან მონაცემად გვეჩვენება რედაქტირებული ხელნაწერის პროლოგის ასახსნელად. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს პროლოგი გადაღებულია ხელნაწერიდან, რომლის პირველი ფურცლები ამოვარდნილი იყო აკინძული წიგნიდან და არეულად დალაგებული. სტროფთა — უფრო სწორად — ეპიზოდთა თანმიმდევრობა, პროლოგის ახალი „კომპოზიცია“ სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა. მაგრამ ჩვენმა ამ მოსაზრებამ ნაადრევი დასკვნის შთაბეჭდილება რომ არ დატოვოს, გადავხედოთ მზეხათუნისეულ რედაქციაში შემავალ სხვა ხელნაწერებს, რომელთა პროლოგი მეტ-ნაკლებად გადაურჩა ეამთა სიაცეს.

ქუთაისური ხელნაწერის (O) პროლოგი

1 recto

თავი პირველი...

{	40 ¹ — 3ე ღმერთო ერთო
	2(1) — რომელმან შექმნა
	1 — პირველ თავი
	2 ¹ — შენ შექმენ დავით

		1 verso
		2 ² — მეფობა ტახტი
		4(3) — ვის შვენის
		5(2) — ჰე ღმერთო ერთო
		7(6) — აწ ენა მინდა
		2 recto
I		7' — შენ გევედრები
		8(7) — მო დაესხდეთ
		8(5) — მიბრძანეს მათად
		აქა ამბავი...
		10(8) აბგ . მე რუსთველი
		2 verso
		10(8)დ
		5(4) — თაქარს ეაქებდეთ
		21 — ამბავი წერილად
		[დატოვებულია ცარიელი ადგილი]
		3 recto
		25(19) — ჩემი აწ
		24(26) — ამა საქმესა
		27(21) — მას ერთსა
		28(22) — მიჯნური შმაგსა
		3 verso
II		29(23) — მიჯნურსა თვალად
		31(24) — მიჯნურობა არის
		Λ 33 — მას ცოცხალი
		40(31) — თუ მოყვარე
		4 recto
		32(25) — ხამს მიჯნური
		35(27) — არს პირველი
		36(28) — ხამს თავისსა
		38(29) — მას უშმაგო
		4 verso
		39(30) — მიკვირს კაცი რად
III		16(13) — ვითა ცხენსა
		17(14) — მაშინლა ნახეთ
		19(15) — მოშაირე არა ჰქვიან
		5 recto
		20(16) — მეორე ლექსი
		22(17) — მესამე ლექსი
		24(18) — ხამს მელექსე
		კარი პირველი
		41(32) — იყო არაბეთს

ტექსტის მონაცემები:

აქამდელი სტროფებიდან პროლოგში არაა:

- 11(9) — ესე ამბავი სპარსული
- 12(10) — თვალთა მისგან უნათლოთა
- 13(11) — რაცა ესცა ბედმან მისცეს
- 15(12) — თუ მიჯნურსა მიჯნურობა
- 26(20) — ვთქვა მიჯნურობა პირველი

2. ჩანართ სტროფთაგან ხელნაწერშია:

- A 1 — პირველ თავი დასაწყისი
- A 21 — ამბავი წერილად
- A 33 — მას ცოცხალი

გარდა ამ გავრცელებული ჩანართებისა, აქაა ფრიად სპეციფიკური ჩანართებიც:

- 40¹ — ჰე ღმერთო ერთო
- 2¹ — შენ შექმენ დავით
- 2² — მეფობა ტახტი პორფირი¹³
- 7¹ — შენ გევედრები

3. სტროფთა თანამიმდევრობა დარღვეულია. საყურადღებოა, რომ აქაც (26) სტროფი უსწრებს (21)-ს.

აქაც გამოვყოთ თანამიმდევარი სტროფები ცალკე ფრაგმენტებად:

- I ფრაგმენტი: 2(1) — 10(8) სტროფები,
- II ფრაგმენტი: 25(19) — 39(30) სტროფები,
- III ფრაგმენტი: 16(13) — 24(18) სტროფები.

შევუდაროთ ეს ფრაგმენტები რედაქტირებულის შესაბამის ფრაგმენტებს: აქ I ფრაგმენტში შედის პროლოგის პირველი რვა სტროფი, თუმცა მათი თანამიმდევრობა დარღვეულია: (1), (3), (2), (6), (7), (5), (8), (4)¹⁴, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს რედაქცია იცნობს პროლოგის რვავე სტროფს, რომლებშიც ღვთის ქებასთან ერთად თამარისა და რუსთველის სახელებიცაა მოხსენიებული. ეს მეტად მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სტროფები აუცილებლად იყო რედაქტირებულ ხელნაწერშიც (ალბათ ამავე თანრიგით¹⁵).

რედაქტირებულის და ქუთაისურის პროლოგის II ფრაგმენტების დიდი მსგავსება ექვს არ უნდა იწვევდეს: ორივეგან (21) სტროფით დაწყებულ რიგს წინ უძღვის (26)-ე სტროფი, ოღონდ ქუთაისურ ნუსხაში არის მე-(19) სტროფი, რომელიც რედაქტირებულში დაკარგულია.

III ფრაგმენტი ორივე ხელნაწერში არსებითად ერთსა და იმავე სტროფებს შეიცავს იმ განსხვავებით, რომ ქუთაისურ ხელნაწერში არაა (9)—(12) სტროფები ამ ფრაგმენტიდან. ჩანს, ეს სტროფები რაღაც მიზეზის გამო არ შესულა ქუთაისური ნუსხის ტექსტში¹⁶.

პროლოგის სტროფთა ტრადიციული რიგის აღსადგენად ქუთაისური ნუსხის ფრაგმენტები ისევე დალაგდება, როგორც ქუთაისურისა — I—III.—II. უკვე ეს მონაცემი მოწმობს ქუთაისურ და რედაქტირებულ ხელნაწერებში წარმოდგენილი პროლოგის ტექსტის გენეტიკურ კავშირს.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ორი ხელნაწერი, რომელნიც მზეხათუნისეულ რედაქციას განეკუთვნებიან — ნაკაშიძისეული (K) და გვიანდელი G' (Q 796).

ნაკაშიძისეული ნუსხის პროლოგიდან მხოლოდ ერთი ფურცელია გადარჩენილი, ისიც დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება აღდგენა. აქ სულ რვა სტროფია ასეთი თანმიმდევრობით verso: (21), (22), (23), (24), recto: (25). A33, (16), (13). სტროფთა ამ არეულ განლაგებაშიც დაზიანებული პროტოგრაფის სახე ჩანს. მიუხედავად მასალის სიმწირისა. ეს ერთი ფურცელიც კი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქუთაისურ-ნაკაშიძისეულ ნუსხათა კავშირზე. როგორც არაერთხელ თქმულა, ეს ორი ნუსხა სავსებით იდენტურ ტექსტს შეიცავს (განსხვავებანი მეტად უმნიშვნელოა); ამასთან გადაწერილია ერთი პირის მიერ, მაგრამ პროლოგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, KO ერთმანეთისაგან არაა გადაწერილი და თითქოს დედანიც არ უნდა ჰქონდეთ საერთო. ამ ერთი ფურცლის მიხედვით რაიმე გადამწყვეტის თქმა ძნელია, თუმცა უეჭველად მიგვაჩნია, რომ იგი გენეტიკურად (ისევე, როგორც მთელი ხელნაწერი) მზეხათუნისეულ რედაქციასთანაა დაკავშირებული.

G' ხელნაწერი ვარიანტების მიხედვით KO-ს იდენტურია (თ-თქმის ასლი). მისი პროლოგი საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს. პირველ ყოვლისა, საყურადღებოა, რომ ეს პროლოგი არასრულია (გავიხსენოთ, რომ ამ ხელნაწერის გადაწერის დროისათვის ვახტანგ VI-მ უკვე დაბეჭდა ვეფხისტყაოსნისი ზაზა-სეული ტიპის სრული პროლოგით); ამასთან ფურცელზე საგანგებოდაა დატოვებული თავისუფალი ადგილები ტექსტის შესავსებად.

G' პროლოგი

5 recto

] პირველი []

3(2) — ჰე ღმერთო ერთო

2(1) — რომელმან შექმნა

A1 — პირველ თავი დასაწყისი

[გამოტოვებულია ადგილი ერთი სტროფისთვის]

25(9) — ჩემი აწ სცანით ყველამან

34(26) აბ — ამასა საქმესა მიჯნურნი

5 verso

34(26) გდ

27(21) — მას ერთსა მიჯნურობასა

28(22) — მიჯნური შმაგსა გვიქვიან

29(23) — მიჯნურსა თვალად სიტურფე

31(24) — მიჯნურობა არის ტურფა

A33 მას ცოცხალი ნუ ელევის

40(31) — თუ მოყვარე მოყვრისათვის

6 recto

40(31) გდ

[გამოტოვებულია ადგილი სამი სტროფისთვის]

კარი პირველი როსტეგან არაბთა მეფისა

40(32)

44(33)

47(35)

რა შეიძლება ვთქვათ პროლოგის ამგვარი ტექსტის შესახებ? რადგან თვით ხელნაწერს დეფექტი არ აქვს, ჩანს, პროლოგის ტექსტი ამ სახითაა გადმოწერილი პროტოგრაფიდან; რჩება შთაბეჭდილება, რომ გადამწერს იგი პოემის დასრულებულ ნაწილად მიუჩნევია (რა თქმა უნდა, საგანგებოდ დატოვებული ადგილების შევსების შემდეგ). ეს პროტოგრაფი ვერ იქნებოდა ვერც ქუთაისური, ვერც ნაკაშიძისეული ხელნაწერი (პირველი გაცილებით ვრცელია G'-ის პროლოგზე); მაშასადამე, G' გადამწერს ხელთ ჰქონია KO ტიპის ხელნაწერი, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია. თვით G'-ის პროლოგი რომ ტიპოლოგიურად მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგთანაა დაკავშირებული. ეს სტროფთა თანამიმდევრობაზე ზერელედ თვალის გადავლებითაც კი ცხადია.

ამგვარად, ჩვენთვის უკვე ცნობილია მზეხათუნისეული ტიპის პროლოგთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი მონაცემი — შეიქრა გენეტიკურად დაკავშირებულ ხელნაწერთა რკალი: რედაქტირებული, ქუთაისური, ნაკაშიძისეული. G' — ყველასთვის ერთნაირადაა დამახასიათებელი სტროფთა უჩვეულო თანამიმდევრობა. ნიშანდობლივი საერთო თავისებურებანი. ბუნებრივია დაისვას კითხვა: რა არის ეს — გადამწერ-რედაქტორის შეგნებული ჩარევა და რეკონსტრუქცია პროლოგისა, თუ სხვა რამ?

რა გვეთქმის პირველი მოსაზრების შესახებ? მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგი რომ კომპოზიციის სუბიექტური გააზრების რაიმე კვალს ატარებდეს. მაშინ უნდა მოგვეჩვენა რაღაც ობიექტური კრიტერიუმი ახალი კომპოზიციისა. ერთ-ერთ ასეთ საყრდენ დებულებად პროლოგში თამარის და რუსთველის სახელთან დაკავშირებული სტროფები მიგვაჩნია. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ეს სტროფები „არასასურველი“ იყო ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ომელიმე ხელნაწერისათვის, ანდა რომ ეს სტროფები იქ საერთოდ არ იყო?

თუ გავიზიარებდით სარგის კაკაბაძის დებულებას, რომ თავაქარაშვილის, ბებურიშვილისა და რედაქტირებული ხელნაწერები არ იცნობენ სტროფებს, რომლებშიც თამარია მოხსენიებული, მაშინ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ რედაქტირებულში არაა (19) სტროფიც. შეგვეძლო განგვეგრძო მეტად ეფექტური მსჯელობა ამ სტროფთა თვითნებური ამოღების შესახებ იმ მოტივით, რომ აქ ნახსენებია პოეტის ტრფიალი მეფე-ქალის მიმართ; ეს იქნებოდა რედაქტორის პოზიციის გამოხატულება (ერთგვარი ანარეკლი პოლემიკისა რუსთველის პიროვნების გამო). იქნებ ამგვარი დასკვნის უფლება მოეცა ამ რედაქციის ნუსხათაგან ომელიმეს იზოლირებულად განხილვას, მაგრამ ამგვარი მიდგომა აშკარად ცალმხრივი იქნებოდა: მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგის ერთმანეთთან შეჯერება სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგენს ვითარებას. როგორც უკვე ვნახეთ, ქუთაისური ხელნაწერის პროლოგში არის ყველა სტროფი თამარისა და რუსთველის მოხსენიებით. მართალია, მათი რიგი ტრადიციულისაგან განსხვავდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაა მთავარი. ამის მიხედვით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ რედაქტირებულ ხელნაწერშიც

იყო ეს პირველი რვა სტროფი (სხვაგვარად როგორ წარმოვიდგინოთ რედაქტირებულის პირველი ფურცელი — ეს პირველი სტროფები თუ არა, სხვა რა უნდა გვევარაუდა მათ ნაცვლად?).

ყველა ის ფაქტობრივი მონაცემი, რომლებიც გარკვეულ ნაშანდობლობათა სისტემად დალაგდა მსახათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის ერთად განხილვისას, მოწმობს რომ ამ ტიპის პროლოგის საფუძველი არაა შეგნებული რედაქცია და მისი ამ სახით ჩამოყალიბება განაპირობა დაზიანებულმა პროტოგრაფმა (პროლოგის სტროფთა არეული თანამიმდევრობა აქ იმდენად მსგავსია, რომ საერთო შორეული არქექტივის არსებობა ეჭვს არ იწვევს). ცნობილია, რომ ხელნაწერს ყველაზე მეტად პირველი და ბოლო ფურცლები უზიანდება; თავისთავად ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორედ პროლოგის შემცველი ფურცლებია შელახული ან საერთოდ დაკარგული, მოწმობს ამ დებულების სიმართლეს. ამიტომ საეცებით გასაგებად უნდა ჩაითვალოს ის გამსაკუთრებული მდგომარეობა, რაც მსახათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგში შეიასწავა: საეცებით უდავოა, რომ მათ საერთო პროტოგრაფში პირველი ფურცლები ამოვადნილი იყო ყდიდან, რამაც გამოიწვია მათი არათანმიმდევრული დალაგება არაკვალიფიციური გადამწერის ხელში. ამით უნდა აიხსნას ამ ტიპის პროლოგის სტროფთა თავისებური განლაგება. თუ დაეკვირდებით, ამგვარი მდგომარეობა თავისი ბუნებით საეცებით ანაღ გიურია საზნასეული ტიპის პროლოგის წარმოშობისა.

პროლოგის ტექსტისთვის. რედაქტირებულ: ვარიანტულ წანაკრისთა თვალსაზრისითაც ეტყობა პროლოგს განსხვავებული ხელწერა. აი რამდენიმე ნიმუში:

11(9) ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ერთ მარგალიტი თბოლი, ხელისხელ საგოგმანები.

J ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები.
ერთ მარგალიტი თბოლი ხელისხელ საგოგ[მანები].

24(18) სტროფი მთლიანად გადაკეთებულია, მაგრამ ეტყობა, რომ „ნარედაქტორები“ ვარიანტის საფუძველი პროლოგის ტექსტის ტრადიციული ტექსტია როგორც ჩანაფიქრის, ისე წყობის მიხედვით:

ხამს მელექსე ნაჭირვალსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს.
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს.
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

J კამს მელექსე ნაჭირვალსა ცუდად []
ვინც უყვარდეს, მას აქებდეს, მისგან []
მოშორვება ვითმცა გასძლოს, ან გაყრასა
[...]

არ წესია საყვარელსა კაცი გულსა [...]

მსგავსი სიტყვიერი მასალა¹⁷ გვიკარნახებს, რომ ვარიანტის შექმნის ჭეშმარიტი სტიმული დაზიანებული ტექსტის გადამწერისეული რესტავრაცია უნდა იყოს. მართალია, სტროფმა სრულიად ახალი სახე მიიღო, მაგრამ, ეტყობა, ცდილან შეენარჩუნებინათ მისი შინაარსი¹⁸.

38(29) სტროფის შემცველი გვერდი მთლიანად დეფექტურია, გადაჩენილია მხოლოდ სარიტმო სიტყვათა დასასრული, მაგრამ აქ ვხედავთ საყურადღებო გარემოებას — J-ში ამ სტროფის სარიტმო სისტემა სხვაგვარი ყოფილა: სარიტმო ერთეულია „აენოს“; სამწუხაროდ, თვით სიტყვები არ გაირჩევა, ვიცით მხოლოდ, რომ მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვა ყოფილა „შეაზენოს“, რომლის ანალოგიური ვარიანტი პოემის არც ერთ ხელნაწერში არაა¹⁹.

ტექსტში გააზრებული რედაქტორული ჩარევის ნამუშად მიგვაჩნია პროლოგის ბოლო სტროფის (40(31) — თუ მოყვარე მოყვრისათვის...) გადატანა საკუთრივ პოემის ტექსტში და შინაარსით შესაფერის ადგილას მოთავსება (რატომ უნდა, როგორც ეს ანონიმ რედაქტორს ესმის). ეს სტროფი, რომელიც განეკუთვნება „მიჯნურთათვის“ თქმულ პროლოგისეულ ციკლს, ჩართულია თინათინის და ავთანდილის საუბრის ეპიზოდში. ტარიელის პოვნის შემდეგ არაბეთს დაბრუნებული ავთანდილი თინათინს მოახსენებს ვეფხისტყაოსანი ჯმის ამბავს და თავის განზრახვას — წაეიდეს მის საშველად: „დრო დამიცემგან მისღვისა, მითქვამს დაღება თავისა“. ამას მოსდევს სტროფი: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი კირსა არ დამრიდად“... აი, ამ (702) და (703) სტროფებს შორის მიუჩენია რედაქტორს ადგილი პროლოგის სტროფისათვის. მისი აქ მოთავსება ალბათ ამ ორი სტროფის მსგავსება დასაწყისში განსაზღვრა („თუ მოყვარე მოყვრისათვის“ და „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“), თუმცა ცხადია, რომ სიტყვა „მოყვარეს“ ამ სტროფებში სრულიად სხვადასხვა გაგება აქვს: პროლოგის სტროფში იგი მიჯნურს ნიშნავს, მეორე შემთხვევაში კი მას ბეგობრის, ძმადშეფიცულის მნიშვნელობით ხმარობს ავთანდილი.

აი ამ სტროფის ვარიანტული ცვლილებანი:

40(31) სიარული, მარტოება შეენის გაქრად დაეთვლების,
იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების.

J სიარული, მარტოება შეენის გაქრა მოეცლების,
იგონებდეს, მისგან კიდე ნუმცალავინ ეგულები ს.

ეს სტროფი ასევეა გადატანილი პოემის ტექსტში მხეხათუნისეულ ხელნაწერშიც, რაც მოწმობს JT პროლოგთა გენეტიკურ კავშირს.

ქუთაისური: აქაც არის თავისებური ვარიანტული წაკითხვანი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ერთი გრაფიკული ხასიათის ნაირკითხვა. ცნობილი ტაეპი: „მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი“ რუსთველოლოგიაში ყველაზე საპაექრო პასაჟთა რიცხვს მიეკუთვნება „ხელობა“ სიტყვის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ხელნაწერებში ეს სიტყვა წარმოდგენილია ხ-ანით „ხელობითა“, მხოლოდ ქუთაისურ ხელნაწერშია „ქელობითა“. საგანგებოდ არ შევეხებით მეცნიერებაში გამოთქმულ ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ თანამედროვე კომპეტენტური მეცნიერული აზრით ამ ტაეპში „ხელობა“ არის პოემაში გატარებული კონვენციური მოტივის — „მიჯნურობის გამო გაშმაგების, გახელების“ — მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა და მისი მართებული გრაფიკული სახე დატულია ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში („ხელობითა“)²⁰.

სხვა ვარიანტებია:

- 5(4) მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული
 0 მელნად ვიხმარე გიშრისა ტბა კალმად მინა ხეული
 8(7) მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი
 0 მო დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ შეშრობილი
 0 დავჯე. რუსთველმან გავლექსე მისთვის გულლახვარსობილი
 0 დავჯე. რუსთველმან გავლექსე მისთვის ვარლახვარსობილი
 25(19) მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია
 0 მისი სახელი შეფრფინვით ქვემორე მითქვამს მიქია.

ზოგიერთი ამ ვარიანტთაგან ემენდაციის კვალს ატარებს — მაგალითად, „შეუშრობილი“ რითმისთვის შექმნილი ხელოვნური ფორმაა ზმნისა „შეუშრობელი“ (სხვათა შორის, ასეა UV ხელნაწერებში), ქუთაისური ნუსხა კი მას ცვლის „არ შეშრობილით“; ტაეპში „დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი“ ტმესს დაუბნევია გადამწერი და ამიტომ საკვებით შეგნებულად საკუთარი კონიექტურა უმჯობინებია: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის ვარლახვარსობილი“.

პროლოგის პროტოგრაფისთვის. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერების პროლოგის პროტოგრაფი? ძიებისთვის ამოსავალი იქნება ჩვენს ხელთ არსებული ტექსტის რამდენიმე მომენტები: 1. ფრაგმენტებში წარმოდგენილ სტროფთა განლაგება; 2. დამახასიათებელი ფაქტი, რომ ამ ხელნაწერთა პროლოგში 27(21) სტროფს წინ უძღვის 34(26) სტროფი; 3. ის სტროფები, რომლებიც არაა ამ რედაქციაში.

დავაკვირდეთ, რომ რედაქტირებულ ხელნაწერში II და III ფრაგმენტებში პროლოგის ტექსტიდან (ჩანართთა გამორიცხვით!) 10-10 თანამიმდევარი სტროფია (აქა-იქ დარღვეული განლაგებით, მაგრამ ეს საკითხს არ ცვლის) — აი, ამ დეტალში, ჩვენი აზრით, უნებურად იჩინა თავი პროტოგრაფის მკაცრმა კონტურმა და იგი იმდენად მყარ კონსტანტად მიგვაჩნია, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლება გარკვეული მსჯელობის აგება. I ფრაგმენტი რომ ხელნაწერის პირველი ფურცელია, ეს ცხადია; II ფრაგმენტი უეჭველად ატარებს მესამე ფურცლის ნიშნებს. ამ ორი მონაცემის საფუძველზე კი უნდა დავასკვნათ, რომ III ფრაგმენტი მეორე ფურცელი იქნებოდა.

ახლა მეორე მომენტის მოშველიებით ვცადოთ პროლოგის სტროფთა განლაგების წარმოდგენა; თუმცა მეორე ფრაგმენტი 34(26) სტროფით იწყება, მისი ფაქტიური დასაწყისი 27(21) სტროფია; ამის მიხედვით ერთ ფურცელზე 27(21)—39(30) სტროფები ასე განლაგდება:

recto	verso
27(21)	34(26)
28(22)	35(27)
29(23)	36(28)
31(24)	38(29)
32(25)	39(30)

როგორც ვხედავთ, ამგვარი განლაგებით გვერდზე 5 სტროფა²¹. ავილოთ ფურცლის ეს სახე ამოსავლად და ვცადოთ მის მიხედვით პროლოგის პროტოგრაფის მოდელის შედგენა:

1		2		3	
recto	verso	recto	verso	recto	verso
2(1)	7(6)	13(11)	20(16)	27(21)	34(26)
3(2)	8(7)	15(12)	22(17)	28(22)	35(27)
4(3)	10(8)	16(13)	24(18)	29(23)	36(28)
5(4)	11(9)	17(14)	25(19)	31(24)	38(29)
6(5)	12(10)	19(15)	26(20)	32(25)	39(30) ²²

2 v გვერდზე სტროფთა დალაგებას მეტად საყურადღებო გარემოება ახასიათებს: თუ ამ გვერდზე არის სტროფები 20(16), 22(17), 24(18), 25(19), 26(20), მაშინ შეიძლება მოვეუწახოთ ახსნა ჩვენი ამოსავალი დებულების მესამე პუნქტს — რატომ არაა ხელნაწერში 25(19) და 26(20) სტროფები. ვიმსჯელოთ ასე: 24 (18) სტროფი რედაქტირებულში სრულიად განსხვავებული ტექსტითაა წარმოდგენილი. მაშასადამე, იგი აღდგენილია ძირითადი სტროფის რელიქტის მიხედვით, ე. ი. 2 V გვერდის ქვემო კიდე დაზიანებული იყო, გადარჩა ბოლოდან რიგით მესამე 24(18) სტროფის ნაშთი, რომლის შენარჩუნებაე გარკვეული ვარიაციით ხელნაწერში მოხერხდა, მომდევნო ორი სტროფი კი იმდენად იყო შელახული, რომ აღარ გაირჩეოდა; ამიტომაც J-ში არაა 25(19) და 26(20) სტროფები²³.

III ფრაგმენტში სტროფთა რიგის ფაქტიური დასაწყისი 11(9) სტროფია, ამიტომ იგი უნდა ვიგულისხმოთ r გვერდის დასაწყისში, ამის მიხედვით სტროფები ფურცელზე ასე განაწილდება:

recto	verso
11(9)	17(14)
12(10)	19(15)
13(11)	20(16)
15(12)	22(17)
16(13)	24(18)

როგორც ვხედავთ, მივიღეთ რიგი (9)—(18), ეს კი რედაქტირებული ხელნაწერის პროლოგში ჩვენ მიერ გამოყოფილი III ფრაგმენტის ასლია; ამგვარი უნდა ყოფილიყო დედნის მე-2 ფურცელი.

ყოველივე ამ ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებით J-ის უშუალო პროტოგრაფში მეორე და მესამე ფურცლებს ასეთი სახე ექნებოდა:

2		3	
recto	verso	recto	verso
(9)	(14)	(21)	(26)
(10)	(15)	(22)	(27)
(11)	(16)	(23)	(28)
(12)	(17)	(24)	(29)
(13)	(18)	(25)	(30)

როგორც O და G' ხელნაწერთა მონაცემებიც მოწმობენ, მთელი ამ რედაქციის დამატასიათებელი ნიშანია (26) სტროფის (21)-ის წინ გადატანა. ამგვარად ეს ადრევე უნდა მომხდარიყო (ვფიქრობთ, უფრო ადრე, ვიდრე ხელნაწერის ფურცლები აირეოდა). რით შეიძლება ამ გარემოების ახსნა? წარმოვიდგინოთ, რომ წიგნის ყდიდან ამოვარდნილი მე-3 ფურცელი შებრუნებით

(verso—recto) იღო და გადამწერმა გადაწერა დაიწყო 3 verso-დან, გადაწერა 24(26) სტროფი, მაგრამ შეამჩნია შეცდომა, გადააბრუნა ფურცელი და განაგრძო გადაწერა სწორი თანმიმდევრობით (ე. ი. 26, 21, 22 და ა. შ.). ამგვარად მოხდა (26) სტროფი (21)-ს წინ; მაშასადამე: recto: (26, 21, 22, 23, 24), verso: (25, 27, 28, 29, 30). ამის შემდეგ მოხდა ფურცელთა აღრევა — მესამე ფურცელი მოხდა მეორე ფურცლის წინ. ამას მოწმობს პროლოგის ნაშთი სამივე ხელნაწერში:

	2		3	
recto		verso	recto	verso
(26)		(25)	(9)	(14)
(21)		(27)	(10)	(15)
(22)		(28)	(11)	(16)
(23)		(29)	(12)	(17)
(24)		(30)	(13)	(18)

ზემოთქმულზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელნაწერი გადაწერილია დედნიდან, რომელშიც (19 და 20) სტროფები უკვე დაკარგული იყო, ხოლო მე-3 და მე-2 ფურცლებს ადგილი ჰქონდათ შენაცვლებული (ე. ი. დაღებულნი იყო 1—3—2).

ამის შემდგომ კი ტექსტში უკვე რედაქტორის ჩარევად უნდა მივიჩნიოთ მე-(9) სტროფის გადატანა პოემის დასაწყისი თავის — როსტევან არაბთა მეფის ამბის წინ. ჩანს, სტროფი „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ რედაქტორს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ამიტომ უშუალოდ პირველ თავს უკავშირებს. ალბათ სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ეპილოგის სტროფის „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“ პროლოგში ჩართვაც (9) სტროფის წინ და იატორიულ-ლიტერატურული ცნობების შემცველ სტროფთა ერთგვარი შინაარსობრივი რკალის შეკვრა უშუალოდ პოემის დასაწყისის წინ.

ყოველივე ამას მოსდევს პროლოგის ტექსტში ინტერპოლაციათა შეტანა²⁴ და ამის გამო სტროფთა თანრიგის კიდევ უფრო მეტი აღრევა. ჩვენს ხელთ არსებული იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელიც ანალიზს ემორჩილება, ამგვარი სავარაუდო რეკონსტრუქცია მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგისა დასაშვებად მიგვაჩნია.

* * *

სრულიად განსაკუთრებული ვითარება გვაქვს მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერებში პირველი ნართაული („პირველ თავი დასაწყისი“) სტროფის გამო. ამ სტროფმა მოაღწია „სამეფო სახლის“ (ABCMX), ბებურიშვილისეული (FIRZ), ზაზასეული (DUV) და მზეხათუნისეული (JKOT) რედაქციის რამდენიმე ხელნაწერით²⁵. პირველი სამი რედაქციის ნუსხებში ნიუანსურ განსხვავებათა მიუხედავად სტროფის შინაარსი ერთ გარკვეულ ტონალობაში ედერს:

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
 ეუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორც არსულად,
 საეროა, არ ახსენებს სამეფასა ერთ არსულად,
 ABC, FI თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად,
 DU არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად²⁶.

როგორც ვხედავთ, მეოთხე ტაეპის ვარიანტული წაკითხვით (ABC და FI-ში უფრო ვიწრო გაგებაა — აქ მხოლოდ ღვთის მსახურზეა ლაპარაკი, მაშინ როდესაც ზაზასეული ვარიანტი გულისხმობს საერთოდ მკითხველს — სასულიერო რანგის იქნება იგი თუ ერისკაცი) სტროფის საერთო ხასიათი არ იცვლება, შემთხვევის (ვინც არ უნდა იყოს იგი) რელიგიური წარმოდგენები და სულისკვეთება მტკიცებას არ საჭიროებს. ვეფხისტყაოსნის ძირითად ბრალდებად ისმის სიტყვები — „საეროა (და არა საღმრთო!), არ ახსენებს სამებასა ერთარსულად“ (გავიხსენოთ შავთელის „არსებით ღმერთმან, სამებით ერთმან“... ფორმულა, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია რუსთველის თანამედროვეთა ნაწერებისა). დაუფარავემა იდეოლოგიურმა მიზანდასახულობამ სტროფი განსაკუთრებული მეცნიერული ყურადღების ობიექტად აქცია. პ. ინგოროყვამ იგი ჩათვალა „ძველ პოლემიკურ დანართად“²⁷, რომელშიც ინტერპოლატორი ვეფხისტყაოსნის არაქრისტიანულ ნაწარმოებად აცხადებს (პოემაში „არ არის ხსენება სამებისა, მისი გადაკითხვა წაწყმედას უღრის“²⁸). ამგვარად, თვით რუსთველსაც ბრალად ედება სარწმუნოებიდან განდგომა. აკად. ალ. ბარამიძე ამ სტროფს მიიჩნევს პასქვილად, რომელიც „პოემას აცხადებს უცხოურ, სპარსულ ნაწარმოებად... ეს ნაწარმოები ანტიქრისტიანული ბუნებისაა. არ იცნობს ერთარსება ქრისტიანულ ღმერთს... საეროა, არსად (არსებად) თვის ხორცს და არა სულს“²⁹. ს. ცაიშვილის აზრით, „აქ ჩანს ეკლესიურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შეხედულება. ვეფხისტყაოსნის მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსული“...) ვულგარული გაგებით მათ შეუთხზავთ პასქვილი“³⁰. მ. გუგუშვილი, ავტორი წიგნისა „პოლემიკა რუსთველის გარშემო“, თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი მიმართული ეს სტროფი ვეფხისტყაოსნის შესახებ დაწერილი პირველი კრიტიკული ნაწარმოებია და მას ვერ მივიჩნევთ პასქვილად“³¹. შ. ონიანმა საგანგებოდ გამოიკვლია ეს სტროფი და მიიჩნია პირველ რუსთველოლოგიურ ნააზრევად, რომელიც კლერიკალური პოზიციებიდანაა დაწერილი დაახლოებით XIII—XIV სს-ში: „სტროფის ავტორი იმ სასულიერო პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ და ცდილობდნენ მისთვის სახელი გაეტეხათ მკითხველი საზოგადოების წინაშე“³².

როგორც ვხედავთ, ხსენებული სტროფის მნიშვნელობა გასცდა ჩვეულებრივი ჩანართის ფარგლებს და პრინციპული იდეოლოგიური საკითხების საკვლევ საგნად იქცა. ამ შემთხვევაში მოსაზრებათა გარკვეულ სხვადასხვაობას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — ჩავთვლით ამ სტროფს „ძველ პოლემიკურ დანართად“. „პასქვილად“, თუ „კრიტიკულ ნაწარმოებად“, ერთი რამ უდავოა: მის შემთხვევლს ვეფხისტყაოსნის და მისი ავტორის მიმართ კეთილი ზრახვა არ ამოძრავებდა. გავიხსენოთ მრავალი წლის შემდგომ ტიმოთე გაბაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ეს იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწებაი და განპრყუნა ქრისტიანობა“³³. თუ გაეითვალისწინებთ იმ წყაროებს, რომლებიც საფუძვლად დაედო პოემის ვახტანგისეულ გამოცემას (ესენია BCDEFG ხელნაწერები³⁴), გვირგვინოსანი რუსთველოლოგისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო ეს სტროფი; მისი განმაქიქებელი ტენდენციური მიზანდასახულობის პასუხად ისმის ვახტანგ VI სიტყვები: „სხვის თარგმანს როგორც სთარგმნით ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს“³⁵.

აი, ამ ვითარების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ხელნაწერებში წარმოდგენილი ვარიანტია ამ სტროფისა:

პირველთაჲ დასაწყისი ეგრე ნათქვამი სპარსულად.

უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცარსულად,

სასმენელად შვენიერი, გათარგმნული მით

ქართულად.

მსმენელთათვის მარგებელი, ყურნი მივსცეთ

გულის სრულად³⁶.

ამგვარი სახით წარმოგვიდგინა ეს გახმაურებული სტროფი ქუთაისურმა და G' ხელნაწერებმა. პირველ ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ეს სტროფი ამგვარი რედაქციით მიგვაჩნია არა მარტო ამ ორი ხელნაწერის (OG'), არამედ ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ყველა ნუსხის კუთვნილებად: ნაკაშიძისეული (K) ხელნაწერის იდენტურობა ქუთაისურთან გვაძლევს საფუძველს მის პროლოგშიც ვივარაუდოთ სტროფი ამ რედაქციით, ხოლო რაც შეეხება რედაქტირებულ (J) ხელნაწერს, მის 1 რეცის გვერდზე შემორჩენილი სიტყვათა ფრაგმენტები მოწმობენ, აქაც ასეთივე ტექსტი იყო³⁷; ვფიქრობთ ანალოგიური ვითარება იქნებოდა რედაქტირებულის იდენტურ მზეხათუნისეულ ნუსხაშიც. ამგვარად უეჭველად გვეჩვენება, რომ სტროფას ეს რედაქცია დამახასიათებელია ჩვენთვის საინტერესო ოთხივე ხელნაწერისათვის (JKOT).

უნდა ყოფილიყო გარკვეული სტიმული, რომ შექმნილიყო ეს სტრიქონები. როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავენ, ნართაული სტროფის პირველსავე „სამეფო სახლის“, ბებურიშვილისეულ და ზაზასეულ ხელნაწერებში უნდა იყოს წარმოდგენილი³⁸. ამ სახით სტროფის შინაარსობრივი მთლიანობა განპირობებულია მეორე ტაეპში წამოყენებული დებულებით — „არსსა შეიქს ხორცარსულად“. შემდგომი ტაეპები ამ წინამძღვარზე დამყარებულ დებულებებზედ მიგვაჩნია, მაშინ როდესაც [JK]O[T] რედაქციის მესამე-მეოთხე ტაეპების დაკავშირება მეორე ტაეპის დასასრულთან ძნელია.

როგორც ვხედავთ, პირველი ნართაული სტროფი აერთიანებს ორ საწინააღმდეგო — ამასთან დიამეტრულად საწინააღმდეგო საწყისს: ერთია ქრისტიანულ ფორმალიზმზე და საეკლესიო დოგმატიკაზე დამყარებული გმობა ვეფხისტყაოსნისა, ხოლო მეორე — მისი აშკარა აპოლოგია³⁹. სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის ფონზე ეს ვარიანტი გამიზნული კონტრადიქციის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის რეაბილიტაციაა: სტროფის გააზრების აპოლოგეტური მიზანი სავსებით ცხადია და ჩვენთვის უცნობი შემთხვევის უკომპრომისო პოზიციის მაჩვენებელი. თუ გავითვალისწინებთ იმ სიტუაციას, რომელმაც განაპირობა სიტყვები: „საეროა, არ ასენებს სამებასა ერთარსულად, არას გვარგებს საუკუნოს რა დღე იქნას აღსასრულად“, და იმასთან ერთად იმ გარემოებას, რომ თვით ვანტანგ VI პოემის გაგების არსებული ტენდენციების გამო იძულებული იყო „საღვთოდ“ ეთარგმნა იგი და თავიც კი ემართლებინა („ღვთისა და კაცის წინაშე მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დავშვერ“) ⁴⁰. ქვეშარტად დიდ ღირსებად უნდა ჩაეუთვალოთ ამ ვარიანტის ავტორს სტროფის ამგვარად გადაკეთება.

ეს ორი ტაეპი პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით ამ ხელნაწერების კუთვნილ ბევრ ნართაულ სტროფს ჩამოუვარდება, მაგრამ შემთხვევლის კეთილშობილი განზრახვა ანაზღაურებს ამ ნაკლს. „სასმენელად მშვენიერი, გადათარგმნული მით ქართულად, მსმენელთათვის მარგებელი, ყურნი მივსცეთ გულის სრულად“ — იგივეა, რაც ვაატანვ VI მიერ ოქმული: ვეფხისტყაოსანი „არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დაოგი და ამით ნამუშავევარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება“⁴¹. სიტყვიერი მასალა პროლოგის მე-9 და მე-12 სტროფებს მოგვაგონებს („ესე ანბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და „საღმთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“). ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ მზეხათუნისეული რედაქციის ვაოიანტი თითქოს შეფარვით, მაგრამ თანმიმდევრულად უპირისპირდება ნართაული სტროფის დეტალებებს: იქ თუ ვკითხულობთ = „ნათქვამია იგ სპარსულად“, აქ გვეუბნებიან „გათარგმნული მით ქართულად“; იქ: „არას გვარგებს საუკუნოს“, აქ: „მსმენელთათვის მარგებელი“⁴². ამასთან ეს სიტყვები პოემის მცოდნეებში უნებლიეთ იწვევს ასოციაციას „საღმთო საღმთოდ გასაგონი“... (აქვე გავიხსენოთ თეიმურაზ II-ის „საღმრთოდ, საერთოდ სრული და რატკბილად გასაგონები“...).

ჩანს, რომ ამ ვარაუდის ავტორი (ვინაა იგი — მკითხველი, გადაწერილი თუ რედაქტორი „ხელნაწერისა“) არაა შემთხვევითი პიროვნება; მან საფუძვლიანად იცის პოემა: მისი მიზანია ვეფხისტყაოსნის რეაბილიტაცია და სტროფის ამგვარი გადაკეთებით შეგნებულად გამოხატავს საკუთარ მრწამსს. სამართლიანობა მოითხოვს, მივუზღოთ კუთვნილი ჩვენთვის ამ უსახელოდ დარჩენილ პიროვნებას და ვეფხისტყაოსნის „ავად მჩხრეკელთა“ წინააღმდეგ გამოცულ ერთ-ერთ პირველ აპოლოგეტად იგი მივიჩნიოთ.

М. Ю. КАРБЕЛАШВИЛИ

К ВОПРОСУ ПРОЛОГА «МЗЕХАТУНОВСКОЙ» РЕДАКЦИИ РУКОПИСЕЙ ВЕПХИСТКАОСАНИ

Резюме

Пролог Вепхисткаосани, представленный в списках «Мзехатуновской» (ЖКОТ) редакции рукописей поэмы, отличается весьма своеобразной последовательностью строф. Сравнительный анализ фактического материала дает основание заключить, что отклонение от традиционного порядка строф — следствие неправильного расположения выпавших из рукописи листов. В подтверждение этого положения дана попытка определения формата протографа и гипотетическая реконструкция его модели на материале «редактированной» (J) рукописи. В статье особое внимание уделено той редакции первой интерполированной строфы (A₁), которая представлена в «Кутаисской» (O) рукописи. Судя по общей ее направленности, она содержит сознательную контрадикцию тенденциозной клерикальной интерполяции и ее безвестный автор предстает перед нами, как один из первых апологетов Руставели.

შენიშვნები

1. იუსტ. აბულაძე, ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“-ს რედაქცია: შესწორებანი და შენიშვნანი „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით, მეორე სერია, ტფილისი, 1920, გვ. 21 და შპდ. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, კვ. 125—130; მისივე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1956, კვ. 14—18; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, იუსტიკე აბულაძის რედაქციით, ტფილისი, 1926, გვ. IX. მ. ვუგუშვილი, ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის, თბილისი, 1958, გვ. 17; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, კვ. 39—41; ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 10.
2. ალ. ბარამიძე. — შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 23—24.
3. სტროფთა თანამიმდევრობის მახედით: ღვთის ჭება (1—2), მეფეთა ჭება (3—5), ტარელის ჭება და აეტორაჟ თავის მოხსენება (6—8), აშავეთათვის (9—11), მოშაირეთათვის (12—19), მკნურთათვის (20—31).
4. პროლოგის სტროფთა „სამეფო სახლისეული“ რიგი პირველად ს. კაკაბაძის და იუსტ. აბულაძის გამოცემებში აისახა. ყველა შემდგომი გამოცემა ამ რიგს იცავს.
5. ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, კვ. 14.
6. იქვე, გვ. 15—16.
7. იგულისხმება EF ხელნაწერები, რომელთაგან პირველს პროლოგის დასაწყისი 8, ხოლო მეორეა — 7 სტროფი აკლია. სპეციალურ ნაშრომში გარკვეულია, რომ ეს ნუსხები მიმდინარეობენ თავნაკული დედნიდან. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 26—27.
8. ვუგუშვილი, ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის, თბილისი, 1958, 17.
9. საგანგებოდ უნდა გაეიმეოროთ აეტორის შენიშვნა, რომ ამ შემთხვევაში იგი თავს იკავებს ტერმინისაგან „რედაქცია“, რადგან პროლოგის სხვადასხვა ჭგულთა გამოყოფილია ძირითადად „მექანიკური“ და არა შეგნებული ხასიათის ცვლილებათა ნიშნის მიხედვით. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, გვ. 182, შენიშვნა 20.
10. მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 339—350.
11. შემდგომში უდლიათ მზებათუნისეული ხელნაწერის ამ ხარვეზის შევსება, მაგრამ გვიან გადაწერილი ტექსტი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საჭარო ინფორმაციას არ შეიცავს.
12. ფრაგმენტი იწყება (26) სტროფით, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არ აქვს.
13. 40. 21-2 არის ხოვლელის (1) ხელნაწერშიც.
14. საინტერესოა, რომ ამ სტროფთა რიგი არეულია ხოვლელის ნუსხაშიც (1).
15. შედარებისთვის გამოვვადგება ასეთი ფაქტი: ორივე ამ ხელნაწერში მე-(7) სტროფს მოსდევს მე-(5).
16. იქნებ ეს პროტოგრაფის ნაკვალევია და გადაწერს ერთი გვერდი გამორჩა? (0 ოთხეულითაა ნაწერი; უნდა ვიგულისხმობთ, რომ ერთ გვერდზე იქნებოდა (9—10—11—12) სტროფები).
17. შდრ. „ნაჭირებსა მისსა ცუდად“ და „ნაჭირვალსა ცუდად“; „მისთვის ხელოვნობდეს. მას აქებდეს“ და „ეინც უუეარდეს, მას აქებდეს“.
18. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ J ხელნაწერს პროლოგის ძირითადი ტექსტის სწორედ ის ორი სტროფი აკლია (19 და 20), რომლებიც უშუალოდ (18) მოსდევს, და ისიც, რომ ამ გადაკეთებული სტროფით თავდება რედაქტირებულ ხელნაწერში წარმოდგენილი პროლოგი პოემისა.
19. ამ სტროფის სარიტმო სისტემა ხელნაწერებში დარღვეულია: გაამედაენოს — იენოს — ნოაიენოს — ამტკიენოს; როგორც ვხედავთ, ა. ტაეპის რითმა არ ეთანხმება სამ დანარჩენს. ეტ. 1966 წლის გამოცემებში მიღებულია კონიექტურა „გაამჩიენოს“. რა თქმა უნდა, სტროფის ნარედაქტორებ ვარიანტზე მსჯელობისთვის არავითარი რეალური საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ გაცერთ შევნიშნავთ, რომ პოემაში არის J დამაგვარი რითმის ანალოგია; შდრ.:

38 (29)

1439

J [კამბეღ] ვროს
შეზახსოს

გ. ნელ აე
შე ხაჯე

20. აქვე უნდა შევიშინოთ, რომ „ქელოზათა“ O ხელნაწერის უშუალო ვადაწერის ნაპოვნად არ უნდა იყოს. ხელნაწერის საერთო ბუნების მიხედვით ეს ვადაწერი მეტად გულმოდგინე კოპიატა. და ამგვარი დაწერილობაც სიტყვისა მის შიერ დედნიდან უნდა იყოს ვადლებული.

21. შევაქციოთ ყურადღება, რომ ყველა ეს სტროფი აბრიათაჲ ტექსტის კეთენილება: A33. რომელიც ამ ფრაგმენტში შედის, ჩვეულებრივ ჩანართადაა შინდელა. სხვათა შორის, მის ისეთ მოწმობას, რომ A33 სტროფს ერთი გარკვეული ადგილი პროლოგის ტექსტში არ აქვს; ხელნაწერში იგი სხვადასხვა სტროფთანაა შოთავსებული. ჩანს, იგი კლოსსა და ვადაწერა თაისი შეხედულებებისამებრ მიუჩინს მას ადგალს.

40(21) სტროფა სხვა ფურცელზე მოხედებოდა, რომ ლხეც ახალა შევა — სიკეთრივე ვეფხისტყაოსნის კა. შევადგება ამ გარემოებით აისხნას რომ ეს ვადაწერა ერთ პოემის ტექსტში გადაიტანა.

23. გვიხსენებთ, რომ ქუთაისურ (O) ხელნაწერში არაა 26(20) სტროფი: ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ ფურცლის ბოლოს მოთავსებული ეს სტროფი დახიანდა. JO ნუსხათა სერთო არტეტიკია ვარაუდი უშვებს აეთ შესაძლებლობას. ამასთან O ხელნაწერი პროტოგრაფთან დავაშირებით გვაქვს კიდევ ერთი მონაცემი: ამ ხელნაწერში არაა 11(7), 12(10), 13(11) და 15(12) სტროფები. თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ოთხი სტროფი ერთი ვერსია იყო და ვადაწერს გამოირჩა (K ნუსხათა თითოეულ ვერსზე ხომ ეს სტროფია — ჩანს, ეს ფორმალური მხარეე ტრადიციას!), მაშინ სტროფები აქ იქნებოდა განაწილებული: 11(9), 12(10), 13(11), 15(12); 16(13), 17(14), 19(15), 20(16); 22(17), 24(18), 25(19), 24(20). როგორც ვხედავთ, 26(20) სტროფი აქაც ფურცლის კიდეშია. ის გარემოება, რომ თანამოდევარ სტროფიდან O-ს წხოლოდ ერთი აკლია, J-ს კი ორი, მოწმობს, რომ ქუთაისურის სავარაუდო პროტოგრაფი უფრო ადრეა ვადაწერილი.

24. რაც შეეხება ჩანართ სტროფებს A14, A21, A33, ჩვენი ფიქრით, ისინი სათანადო ვერდებზე მიწერილი გლოსებია და მათი ინტერპოლირება ხდება მას შემდეგ, რაც მხვებუნისეული რედაქციის პროლოგის ფურცლების და სტროფების თანმიმდევრობა დაირღვა. იგივეს ვერ ვიტყვიეთ A1 — „პირველთაჲ დასაწყისი“ სტროფის შესახებ, რომელიც ამ ჩანართებზე გაცილებით ადრინდელი ჩანს და, ეტყობა, პროლოგის ტექსტს ძალიან ადრე შემატებია.

25. ფურცელი, რომელზეც ეს სტროფი შეიძლება ყოფილიყო, აქლია [E]GIKLMNP-QRST[X] ხელნაწერებს, სტროფი არაა V ნუსხაში (რადგან მისი პროლოგი ვადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 41—42).

26. აქ ცალკეულ ვარიანტებს არ მივუთითებთ, რაც შეეხება თვით სტროფის წარმოშობას, ეიზიარებთ შ. ონიანის მოსაზრებას, რომ ხელნაწერის სათაურსა და ნართაულ სტროფს შორის „უთუოდ არსებობს გენეტიკური კავშირი — ერთ-ერთი მათგანი მეორეზეა დამოკიდებული“ (იხ. შ. რუსთველი — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1966, გვ. 328—329). ჩვენი აზრით, სტროფის შექმნა განაპირობა „სამეფო სახლის“ და ზახახეული ტაძის ხელნაწერებში დადასტურებულმა სათაურმა: „დასაწყისი პირველა ამბაეი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უხმობენ. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის მიჭნურობა, კარი პირველი იწყების ი“ — შტრ. „პირველთაჲ დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, უხმობთ ვეფხისტყაოსნობით“, ხოლო მეორე ტაძის დასასრული — „არსსა შეიქმს სორც:რსულად“ — ნაკარნახევი უნდა იყოს პროლოგის პირველი სტროფის მეორე ტაძით „ზეგარდმო არსსა სულითა ყენა ზეცით მონაბერითა“. ამ სიტყვებთან უშუალო აზრობრივ და ლოგიკურ კავშირშია ნართული სტროფის მომდევნო ტაძები.

27. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბილისი, 1926, გვ. 54.

28. იქვე, გვ. 55.

29. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 497.

30. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 61 (იხ. აგრეთვე უნიშვნა 1).

31. მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბილისი, 1966, გვ. 17.

32. შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1966, გვ. 328.

33. მოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა ტიმოთესაგან, ქართლის მთავარეპისკოპოსისა, პლ. იოსელიანის გამოცემა, ტფილისი, 1852, გვ. 154.

34. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957, გვ. 54, 113.

35. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 10.

36. როგორც დამოუკიდებელი წინადადება, გაუმართავია „ყურნა მიესცეთ გულას სრულად“. ინტელიჯენციის შინაარსის მიხედვით მნელი არაა, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით სწავლად შეიძლება. რას უნდა ნიშნავდეს „გულის სრულად ყურთა მიცემა“? რატომაა თანაბრი ფუნქციის მქონე ორი არსებითი სახელი ვ. ყოფილი? ხომ არ იყო: „გულისყური მიესცეთ სრულად“?

37. გ. ტაყში შემორჩენილია პირველი სიტყვა „სასმენელად“. ალბათ მთლიანად ტყე იყო: „სასმენელად შეენიერი, გათარგმნული მით ქართულად“. დ. გაიჩევა პირველი სიტყვა „მსმენელთა (თვის)“, ე. ი. იგივე, რაც O-ში.

38. მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბილისი, 1966, გვ. 19—20, შენ. 22. შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1966, გვ. 320.

39. ჩვენთვის საინტერესო ვარიანტის შესახებ მ. გუგუშვილი წერს: „ამ ხელნაწერებსა წაკითხვი სტროფი ვეფხისტყაოსნის ქებას შეიცავს და ჩამოცილებული აქვს კრიტიკულ ელემენტი“. მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბილისი, 1966, გვ. 19—20, შენიშვნა 22; შ. ონიანი იბოწმებს მეოთხე ტაქსის OG' ვარიანტს და თვლის, რომ იგი „აშკარად ტექსტის შემდეგდროინდელი გადაკეთებაა, რომელიც ეწინააღმდეგება სტროფის მთელ შინაარსს“. შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1966, გვ. 320.

40. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 10.

41. იქვე.

42. ამგვარი კონტრადიქციის და პროლოგის ტექსტის ზოგჯერ მოწინააღმდეგეობის მიხედვით ფიქრობთ, რომ ამ ვარიანტის ავტორს ხელთ ზაზასეული ტიპის ვარიანტი უნდა ჰქონოდა (გამორიცხული არაა, რომ სტროფი იყო G ნუსხაშიც, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოა როგორც ზაზასეულ, ისე მზეხათუნისეულ ხელნაწერებთან).

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

მურმან გელთაძე

„ნათურქალის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ 55-ე სტროფის პირველ სტრიქონში გვხვდება სიტყვა „ნათურქალი“:

„ალაფობდეს საქურქლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“¹.

„ნათურქალი“ განმარტებულია მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალურ ლექსიკონებში. პროფ. იუსტინე აბულაძეს „ნათურქალი“ ახსნილი აქვს შემდეგნაირად: „თურქებისათვის წართმეული, თურქების ნაქონი“². „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ლექსიკონებში „ნათურქალი“ თითქმის ერთნაირად არის განმარტებული: „თურქების კუთვნილ ყოფილი“³, „თურქების ნაქონი, თურქების დანატოვარი“⁴, „თურქებთან ომში ნაშოვნის“⁵. ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედ თარგმანში აღნიშნული სტრიქონი შემდეგნაირად არის თარგმნილი: „Расхища: ась ее соковнишница, словно добытая у тюрков“⁶. „ნათურქალის“ ასეთი გაგება აისახა ზოგიერთ მსატერულ თარგმანშიც:

„Не жался, бралн—словно стап турецкннй нес уроп“⁷;

„Ris an sich wie Türkenhabe rasci die Kostbarkeiten all“⁸.

როგორც ვხედავთ, „ნათურქალი“ თითქმის ერთნაირად არის გაგებული და განმარტებული. გავიხსენოთ ეს ადგილი უფრო ვრცლად. თინათინი ტახტზე აღის და გამეფების აღსანიშნავად ბრძანებს საჩუქრების გაცემას:

უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საქურქლენია!

ამილახორო, მოასხი რემა, ჭოგი და ცხენია!“.

მოიღეს. გასცა უზომო, სიუხეე არ მოსწყენია.

და ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 17.

² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1926, გვ. 270.

³ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927, გვ. 201.

⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბ., 1920, გვ. 298.

⁵ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ, თბ., 1957, გვ. 375.

⁶ Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, Тб., 1966, გვ. 15.

⁷ Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод с грузинского Ш. Нущубидзе, Тб., 1966, გვ. 19.

⁸ Schota Rusthawali, Der Recke im Tigerfell, Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert, Berlin, 1955, გვ. 46.

ალაფობდეს საკურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაიქსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა,
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბეჭსა, ზეციით ნაბუჭალსა.
არ დაარჩენს ცალიერსა არ უქასა და არცა ქალსამ.

თუ მხედველობაში მივიღებთ „ნათურქალის“ ტრადიციულ განმარტებას, მაშინ ჩვენთვის საინტერესო აღგილი ასე ითარგმნება: „მის საგანძურს იტაცებდნენ, როგორც თურქისთვის წართმეულს“ (56/55). არ შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული გაგება ამახინჯებს აზრს, ასეთი შედარება პოეზიის ენისათვის ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც „თურქისათვის წართმეული“, „თურქის ნაქონი“, რატომ ენიჭება ასეთი მნიშვნელობა კონკრეტულად თურქზე მითითებას? ამის ახსნა უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის მიხედვით არ ხერხდება, რამდენადაც თურქებთან ბრძოლაზე და მათთან ომის შედეგად ნადავლის ჩაგდებაზე პოემაში არაფერია ნათქვამი. შესაძლოა, ამიტომ ვახტანგ VI ცდილობს ამ შედარებას ახსნა მოუძებნოს ისტორიაში: „ნათურქალობა ამაღ დაუწერია: ქართლში, რომ თურქი მოვიდა დავით აღმაშენებლის მამის ჟამში და დავით ის ალაფა, ვითომ იმისათვის ალაფობდენო, — შესატკობბრად უქნია“⁹. ვახტანგის კომენტარი ხელოვნური ჩანს.

„ნათურქალის“ ტრადიციული განმარტება როგორც 'თურქის ნაქონი, თურქისათვის წართმეული', გულისხმობს, რომ „ნათურქალა“ ნა-ალ პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით წარმოქმნილია ძირიდან „თურქ“, რომელიც ქართულში ცნობილია როგორც ეთნონიმი. ასეთი მნიშვნელობით გვხვდება იგი „ვეფხისტყაოსანშიც“. ნა — არ, ნა — ალ (რაე- ნარეე ფუძეებთან დისიმილაციით) და ნა — ევ „აფიქსებით წარმოქმნილი სახელი გამოხატავს სხვადასხვა სახის ყოფილობას. ურთიერთობა ძირეულსა და წარმოქმნილს შორის ლექსიკური შინაარსის მხრივ ისეთია, რომ წარმოქმნილი აღნიშნავს ა) საგანს, რომელიც წინათ იგივე იყო, რაც ძირეულით აღნიშნული (მწყემსი: ნა-მწყემს-არ-ი); ბ) აღგილს, სადაც წინათ ის საგანი იყო, რომელსაც ძირეული აღნიშნავს (ნა-სოფლ-არ-ი); გ) საგანს, რომელიც იმ აღგილს იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს (მთა: ნა-მთ-ევ-ი); დ) დროს, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი (შუალამე: ნა-შუალამ-ევ-ი). შეიძლება ერთმა და იმავე სიტყვამ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა მოგვეცეს: ნა-ლეკ-არ-ი ლეკყოფილსაც აღნიშნავს და ლეკეთში (ლეკებში) ნამყოფსაც. ასეთივეა ნაოსარი“¹⁰. (პრეფიქს-სუფიქსი ნა-ალ აწარმოებს აგრეთვე მიმღეობასაც). მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული წარმოების მოდელს და ძირისათვის ამოსავალ მნიშვნელობად მივიჩნევთ „თურქ“-ს, როგორც ეთნონიმს, მაშინ „ნათურქალს“ შეიძლება ჰქონოდა შემდეგი მნიშვნელობანი: 1) თურქ-ყოფილი; შდრ. „ნათათრალი — თათრად ნამყოფი, გაქრისტიანებული თათარი, ყოფილი მაჰმადიანი. ევედრეთ ჩემთვის უფალსა, გთხოვთ ნათათრალი სალია! (ვაჟა). რუსუდანის ვაჟს კი მამად ჰყავდა ნათათრალი მთავარი (ი. გოგებაშვილი)“¹¹. შდრ. აგრეთვე ნასომხარი

⁹ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ტ. I, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 16—17.

¹⁰ თარგმანი პირველ წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა თქმული ბატონის შეილის გამგებლის, პატრონის ვახტანგისა: აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, ტ. I, თბ., 1966, გვ. 22.

¹¹ აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 135.

¹² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბ., 1958, გვ. 1290.

‘სომეხ-ყოფილი’: „ნასომხარი ხარ და მუცელი გძლევს ისევ“ (კალმასობა, გვ. 29). ნათურქავალი და სხვ. 2) ადგილი, სადაც წინათ თურქები იყვნენ; შდრ. ნასომხარი (სოფლის სახელი)¹³, ნარუმალი (ადგილის სახელი ძირიდან რუმ)¹⁴, ნარუმევი (ადგილის სახელი)¹⁵, ნაჭურთვალი (ადგილის სახელი)¹⁶; 3) თურქეთში ნამყოფი. ჩამოთვლილი მნიშვნელობანი არ უდგება „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო კონტექსტს და ამდენად მიუღებელია, ხოლო თუ „თურქ“ ძირის ამოსავალ მნიშვნელობად მივიჩნევთ „თურქს“, როგორც ეთნონიმს, „ნათურქალს“ ვერ მივანიჭებთ მნიშვნელობას „თურქისათვის წარამეულს“. აღნიშნული მოდელისათვის ასეთი მნიშვნელობით სიტყვების წარმოქმნა არ არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ნა-გლახაკ-არ-ი ნიშნავს ‘გლახაკად ნამყოფს’ და ‘გლახაკობით. მათხოვრობით ნაშოვნს’ და არა ‘გლახაკისათვის წარამეულს’; ნა-აეაზაკარ-ი — ‘აეაზაკად ნამყოფს’ და ‘აეაზაკობით შეძენილს’, ნათურქავალი — ‘ნათურქავად ნამყოფს’. ხომ არ უნდა ჰქონოდა თურქს გარდა ეთნიკურისა სხვა მნიშვნელობაც. ცნობილია, რომ თურქულ ენებში სიტყვა „თურქს“ (türk) ჰქონდა სხვადასხვა მნიშვნელობა, მაგალითად, ძვ. თურქულში türk ნიშნავდა ‘ძლიერს. ღონიერს’ და სხვა¹⁷, ჩალათაურ ენაში — ‘მამაცს, მკაცრს’¹⁸, პოეზიის ენაში — ‘ლამაზს, ჭაბუკს, საყვარელს’¹⁹ და სხვა. türk სიტყვა, როგორც ეთნონიმი ჩამოყალიბდა შედარებით გვიან, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში²⁰. 1500 წლის განმავლობაში თურქი, როგორც ეთნიკური ტერმინი. განიცდიდა ცვლილებას და იძენდა სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ ელფერს²¹. ჩვენთვის აქ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ოსმალურ-თურქულში „თურქ“ (türk) ნიშნავს ‘მძარცველს, მტაცებელს, ველურს, უხეშს’. თუ თვალს გადავაავლებთ ტერმინ „თურქის“ ევოლუციას, დავინახავთ, რომ კონტაქტი უცხო კულტურასთან და თურქების მიერ უცხო კულტურის შეთვისება იწვევს „თურქის“ ტრანსფორმაციას; ის იძენს გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ ელფერს, ხდება ტერმინი „თურქის“ დაპირისპირება სხვა ტერმინისადმი, იქმნება ოპოზიცია, სადაც თურქი ჩვეულებრივ აღნიშნავს ნობადს. მომთაბარეს. ა. ა. ვალიტოვა აღნიშნავს, რომ სპარსულენოვან ძეგლებში ნიზამ ალ-მულქის „სიასეთ-ნამეში“ (XI ს.) და რაშიდ ედ-დინის ჯამი ათ-თავარიხში (XIV ს.) „თაზიკ“ (ტაჯიკი) აღნიშნავს არა მარტო შუა აზიის ირანულ მოსახლეობას. არამედ ბინადარ მოსახლეობას და უპირისპირდება თურქულ-

¹³ ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

¹⁴ ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 66.

¹⁵ ი ქ ე ე, გვ. 50.

¹⁶ ი ქ ე ე, გვ. 74.

¹⁷ Древнетюркский словарь, Л., 1969, გვ. 599.

¹⁸ Р а д л о в В. В., Опыт словаря тюркских наречий, т. III, СПб, 1905, გვ. 1560.

¹⁹ Б у д а г о в Л. З., Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб, 1869, გვ. 351

²⁰ К о н о н о в А. Н., Опыт анализа термина тюрк, «Советская этнография», 1949, № 1, გვ. 40—47; Г у м и л я в Л. Н., Древние тюрки, М., 1967, გვ. 22.

²¹ ტერმინ „თურქის“ სოციალურ-პოლიტიკური და ეთნიკური მნიშვნელობა განხილულია ვ. ვ. ბარტოლდის, ნ. ა. არისტოვის, ს. პ. როლსტოვის, ა. ნ. ბერნუტამის, ა. ნ. კონონოვის და სხვათა შრომებში. საკითხის ირგვლივ სრული ბიბლიოგრაფია იხ. ა. ნ. კონონოვის ხს. შრ.; აგრ. ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ცნობები თურქული რომებისა და ხალხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 44—49.

მომთაბარე მოსახლეობას (სადაც შედიოდნენ მონღოლებიც) და გამოთქმა „თურქ-უ-თაზიკ“ ნიშნავდა ყველა წოდების ხალხს²². ასევე სხვადასხვა სოციალურ შინაარსს შეიცავდა ტერმინები „თურქი“ და „ოსმალი“ ოსმალურ ეპოქაში.

ტერმინი თურქის ტრანსფორმაცია იწყება მაშინ, როდესაც თურქები შემოდიან უცხო კულტურის სფეროში. იქმნება წარმოდგენა თურქზე, როგორც უხეშ ძალაზე, გაუნათლებელზე, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში ხსნიან უცხო კულტურის ზეგავლენით²³. აკად. ვ. გორდლევსკი მიუთითებს ამ მხრივ ირანელთა როლზე: თურქი „როგორც კი მოხვდა სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ, სწრაფად შეიცვალა, შეითვისა სპარსელთა შეხედულება, რომელთათვის თურქი წარმოდგენდა უხეშ მოძალადეს“²⁴. მიუხედავად თურქების დამსახურებისა ისლამის წინაშე, მუსლიმურ მწერლობაში თურქებს ხსენებენ ხშირად „ღვთის რისხვად“ და „ანტიქრისტეს მოციქულებად“²⁵. მუსლიმ მწერლებს მოჰყავთ ფალსიფიცირებული ჰადისი, რომელსაც მიაწერენ წინასწარმეტყველ მუჰამედს, რომელმაც ალბათ არაფერი იცოდა თურქების არსებობაზე. ამ ჰადისის მიხედვით თითქოს ალაჰს ეთქვას: „მე მყავს არმია, რომელიც დავაყენე აღმოსავლეთში. მე ვუწოდებ მათ თურქები; მოვათავსე მათში ჩემი რისხვა და ბრძენი; და ყველგან, სადაც რომელიმე ადამიანი ან ხალხი დაარღვევს ჩემს კანონს, მე მივესევე მათ თურქებს. — და ეს იქნება ჩემი შულისძიება“²⁶. აღსანიშნავია, რომ ამ ჰადისს იმეორებს ცნობილი ლექსიკოგრაფი, წარმომობით თურქი მაჰმუდ ქაშლარელი (XI ს.)²⁷. აკად. ვ. გორდლევსკის მოაქვს ნაწყვეტი აფლიაქის ისტორიული თხზულებიდან, სადაც გადმოცემულია სელჩუკური ეპოქის ცნობილი პოეტის ჯელალედდინ რუმის (XIII ს.) შეხედულება თურქებზე: შეიხ სალაჰედდინს დაუქირავებია თურქი ხელოსნები ბაღის კედლის ასაშენებლად. ჯელალედდინი მას ეუბნება, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო ბერძენი ხელოსნები, თუ კედელი დასანგრევი იქნებოდა, მაშინ აუცილებელი იქნებოდნენ თურქი ხელოსნები: „სამყაროს აშენება ბერძენის სპეციალობაა, დანგრევა — თურქების“²⁸. ასეთი უარყოფითი შეხედულება თურქზე ფეხს იკიდებს თვით თურქებს შორის, პირველად კლერიკალურ და ფეოდალურ წრეებში, რამდენადაც ამ ფენის წარმომადგენლები ნაზიარები იყვნენ არაბულ-სპარსულ კულტურას. მეორე მხრივ, წარმოდგენა თურქზე, როგორც უხეშ ძალაზე, გზას იკაფავს თვით ხალხის წიაღშიც და ეს დაკავშირებულია სოციალურ ფაქტორებთან, მომთაბარისა და ბინადარი მოსახლეობის დაპირისპირებასთან; როდესაც ორი უცხო კულტურა ხვდება ერთმანეთს, ადგილი აქვს ეთნიკური ტერმინების ტრანსფორმაციას. ასე მაგალითად, როდესაც მომთაბარე უზბეკებმა დაიპყრეს თურქესტანი XVI საუკუნეში, ბინადარ

²² Валитова А. А., Этнонимы в тюркоязычном памятнике XI в. „Кутадгу Билг“, М., 1964, гл. 4.

²³ Горделевский В. А., Государство сельджукидов в Малой Азии, Избр. соч., т. I, М., 1960, гл. 89.

²⁴ Горделевский В. А., Из истории османской пословицы и поговорки, Избр. соч., т. II, М., 1961, гл. 270.

²⁵ Горделевский В. А., Государство сельджукидов..., гл. 89.

²⁶ იქვე.

²⁷ Бартольд В. В., Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, Соч., т. II, ч. I, М., 1963, гл. 691.

²⁸ Горделевский В. А., Государство сельджукидов..., гл. 132.

მოსახლეობას ირანელებსაც და თურქებსაც ისინი უწოდებდნენ სართებს და ამ მხრივ იგი უპირისპირდებოდა უზბეკს, ხოლო შემდგომში, როცა უზბეკთა დიდი ნაწილი გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე, ამ მხრივ სართს უპირისპირდება ყაზახი²⁹. სოციალურმა ფაქტორმა გავლენა იქონია ტერმინი თურქის ტრანსფორმაციაშიც. როგორც ცნობილია, ცხოვრების გაბატონებული წესი თურქებში იყო მომთაბარეობა, რომელსაც თურქი ადვილად ვერ თმობდა. „თურქისათვის ქალაქი ციხეა“³⁰, — ამბობს თურქული ანდაზა. თურქების ასეთი განწყობილება გამოხატულია კონსტანტინოპოლში მცხოვრები უფლისწულის იზხედინის (XIII ს.) სიტყვებში, რომლითაც მან მიმართა ბიზანტიის იმპერატორს: „ჩვენ თურქებს არ შეგვიძლია ქალაქში მუდმივი ცხოვრება, გამოგვიყავით სადმე განაპირა მხარეს მიწა“³¹. მომთაბარე თურქულ-ოღუზური ტომები სიამოვნებით მიდიოდნენ განაპირა სამხედრო სასაზღვრო ზონებში (აღ), სადაც ისინი თავისუფლად აძოვებდნენ თავიანთ ჯოგს და არბევდნენ მეზობელი ქვეყნის მოსახლეობას და, როგორც უენიშნავს მემათიანე, ჰქონდათ „ცხოვრება სანატრელი. ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თვისთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩვენთა ნაპირთა არბევდიან ტყვითა და ალაფითა საესეთა“³². ყაჩაღური რბევა (aqın) სელჯუკიანების დროს სახელმწიფო ხაზინის შევსებისა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების საშუალებას წარმოადგენდა³³. ომში მონაწილეობა ოღუზი-თურქი ტომებისათვის არ იყო მძიმე მოვალეობა, ომი მათთვის იქცა ერთგვარ სპორტად. „ომს მოჰქონდა მდიდარი ნადავლი და აკმაყოფილებდა სამხედრო ინსტიქტს“³⁴. მომთაბარე თურქული ტომები არ ინდობდნენ საკუთარი ქვეყნის ბინადარ მოსახლეობასაც. ასეთი დარბევის ტიპიურ შემთხვევას გადმოგვცემს აკად. გორდლევსკი: „Юрьюки и туркмены шумно и бурно шествовали по Анатолии, их соблазняли тучные поля оседлых крестьян и спускаясь с гор, они уничтожали посевы, разоряли села, грабили их, угоняли скот, людей и т. д. Мирное население должно было терпеть бесчинства пока они совершались кочевниками узаконенными их соседями“³⁵. მოულოდნელი და სწრაფი დარბევა, რომელსაც მიმართავდა მომთაბარე თურქი ტომები უბედურებად იქცა ბინადარი და ქალაქის მოსახლეობისათვის. იქმნება თვით თურქ ხალხში წარმოდგენა თურქზე, როგორც უბნე ძალაზე, მძარცველზე. საინტერესოა ამ მხრივ თურქული ანდაზები: „სადაც თურქის ცხენი ფეხს დაადგამს, იქ ბალახი აღარ ხარობს“³⁶. „თურქი შეიძლება მეცნიერი გახდეს, მაგრამ იგი ადამიანი ვერ გახდება“³⁷. „თურქს მისცეს ფაშობა და მან პირველად მამამისი მოკლა“³⁸, მაგრამ სულ სხვანაირად არის შეფასებული ოს-

²⁹ Бартольд В. В., История культурной жизни Туркестана, Соч., т. II, ч. I, М., 1963, გვ. 197.

³⁰ Гордлевский В. А., Из истории османской пословицы..., გვ. 271.

³¹ Гордлевский В. А., Государство сельджукидов..., გვ. 74.

³² ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 332.

³³ Гордлевский В. А., Государство сельджукидов..., გვ. 101.

³⁴ იქვე, გვ. 99.

³⁵ იქვე, გვ. 93.

³⁶ Гордлевский В. А., Из истории османской пословицы..., გვ. 270.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე, გვ. 271.

მალთ თურქულ ანდაზაში: „ოსმალის აქვს მეფური სიდიადე, ქაბუღელს — სილაძაძე, ფრანგს — ჭკუა“³⁹. ცხადი ხდება, თუ რატომ უარყოფდნენ ოსმალთ თურქები „თურქს“, როგორც ეთნონიმს. მხოლოდ ქემალისტური რევოლუციის შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილებით „თურქი“ აღდგა ეთნონიმის უფლებაში: ტერმინი „ოსმალ“ (osmanlı) შეიცვალა ტერმინით „თურქი“ (türk).

ლ. ბუღაგოვის თავის ლექსიკონში „თურქი“ განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „كرد | türk | -- турок, туркмен понимается в значении простого народа, варвара, хищника, поэтому турки османские не хотят называться этим именем, и зазывают себя عثمانلو (osmanlı)“⁴⁰. ანალოგიური განმარტება ოსმალურ-თურქულისათვის მოცემული აქვს აკაფ ვ. რადლოვს: „türk — необразованный, хищник, бродяга... поэтому османы не хотят называться турками, а называют себя всегда османлы“⁴¹. აღსანიშნავია, რომ 'მოულოდნელი თავდასხმისა და გაძარცვის' მნიშვნელობით ოსმალურში იხმარება სპარსულიდან შემოსული სიტყვა türktaz⁴². ამ მნიშვნელობით იგი უაღრესპირდება hücum-ს. რომელიც აღნიშნავს 'შეტევას, თავდასხმას' ზოგადად. ასეთი ნიუანსს კომპოზიტ türktaz-ს აძლევს კომპონენტი türk (კომპოზიტის მეორე კომპონენტი არის აწმყო დროის ფუძე ზმნიდან كتحس 'ვენება', 'თავდასხმა'). თურქი 'ძარცველის, მარბიელის' მნიშვნელობით ცნობილი უნდა ყოფილიყო ქართულშიც. სავარაუდებელია აგრეთვე ამ ძირიდან ნაწარმოები ზმნის აღსებობაც 'დარბევის გაძარცვის' მნიშვნელობით. ასეთი ზმნა დავიწყებული მნიშვნელობით დასტურდება ქართულში. კერძოდ, ქართულურ დიალექტში ვხვდებით: „თუოქვა“ 'ტუქსვა'⁴³; შდრ. ანალოგიური წარმოების რუსული „туркаты“ 'სიცოცხლის გამწარება, შავი ღლის დაყენება'⁴⁴, შდრ. აგრეთვე „თურქობა“ 'დარბევის, აოხრების, შემოსევის' მნიშვნელობით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. „და ეს იყოს პირველი და დიდი თურქობა“⁴⁵.

თუ „ნა-თურქ-ალ-ში“ ძირის ამოსავალ მნიშვნელობად მივიჩნევთ 'ძარცველს, მტაცებელს', მაშინ „ნათურქალის“ მნიშვნელობა იქნება 'ნატაცები', 'ძარცვის, რბევის შედეგად ნაშოვნის', ე. ი. ნადავლი. შდრ. ყაჩაღი და „ნაყაჩაღ-არ-ი 1. ყაჩაღად ნამყოფი, ძველი ყაჩაღი... 2. ყაჩაღობით შეჭენილი ნა-

³⁹ იქვე, გვ. 270.

⁴⁰ Б у д а г о в Л. З., Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб, 1869, გვ. 351.

⁴¹ Р а д л о в В. В., Опыт словаря тюркских наречий, т. III, СПб, 1905, გვ. 1559.

⁴² შდრ. შამს ედღინ სამის განმარტება: türktaz—koşur hücum ederek çarıl ve garet etme (გვ. 399, شى. سامى—قاموس تركى در سعادت ۱۳۱۷ء); შდრ. აგრეთვე ლ. ბუღაგოვის განმარტება: türktaz нападение, набег по обычаю тюрков, быстрое и печальное нападение хищников (Буд.-სლ., გვ. 351).

⁴³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, 1955, გვ. 494.

⁴⁴ რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1959, გვ. 469.

⁴⁵ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 320.

შოენი. ნადავლით, ნაყაჩადარით კაცის დარჩომა ძნელია (ვაჟა)⁴⁶. შდრ. აგრეთვე ქურდი და ნა-ქურდ-ალ-ი. მაშასადამე, არა „თურქისთვის წართმეული“, არამედ თურქის 'მძარცველის, მარბიელის' მიერ ნაშოენი, თურქობით 'რბევით' ნაშოენი. „თურქი“ აქ აღარ აღნიშნავს ხალხის სახელს. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს „ნათურქალი“ ესმის როგორც ნადავლი. იგი გვაძლევს ასეთ განმარტებას: „ალაფობდეს — სტყვენვიდეს, იკლებდეს. ნათურქალი — ნატყვენვი“⁴⁷.

მაშასადამე, „ნათურქალი“ უნდა გავიგოთ როგორც 'ნადავლი' საერთოდ და არა 'თურქისათვის წართმეული'. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო აღგილი „ვეფხისტყაოსნიდან“ შემდეგ შინაარსს მიიღებს: „მის საქურქლეს იტაცებდნენ, როგორც ნადავლს“ (56/55₁).

⁴⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 1403.

⁴⁷ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 19.

(წარმოადგინა საქართველოსწესრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიქიამ)

ენო სოფრაჟილი

„ითიკის“ შეღვენილობისათვის

(ბერძნული ხელნაწერები)

ძნელია მთელი სიღრმით შეფასდეს ათონის ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლის, ექვთიმე ათონელის ღვაწლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. დიდი ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული მწერლისა და უნარიანი ორგანიზატორის. ათონის ივერის წინამძღვრის დამსახურება პირველი რიგში. მის მთარგმნელობით მოღვაწეობაში მდგომარეობს. ექვთიმე ათონელი სთელი თავისი შეგნებული სიკაცხლის მანძილზე დიდი გულისყურით უსმენდა ბერძნული ლიტერატურის მაჯისცემას და ქართულ მწერლობას შესანიშნავი თარგმანებით ამდიდრებდა. წლობით ისხდნენ ასკეტები მონასტრის ბნელ სენაკებში საყვარელ ეტრატებთან. საქართველოდან ნებით წასულთ თუ განდევნილებს ერთი სურვილი ამოძრავებდათ — მშობლიური მწერლობის გაპლდრება. უჩიოდნენ ხელების კანკალს, თვალების ტკივილს, ბერძენი ბერების ვერაგობას, მაგრამ უწყვეტლივ გადაჰქონდათ ეტრატებზე ქართულად ახმოვანებული ბერძენთა ნააზრევი. დაისახეს რა მიზნად, თარგმნეს ბიზანტიური მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიაწოდეს ქართველ ხალხს სულიერი კულტურის გასამდიდრებლად. ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და მრავალნი, ვინც ცნობილნი არიან და ვის სახელებსაც დრომ დავიწყების ფარდა გადაათარა, ამ დიად მიზანს ემსახურებოდნენ. ექვთიმემ «თარგმნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვაჲ კნინლა — და შეუძლებელ არს¹, და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“². მან, რომელსაც „ქელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“, საფუძველი დაუდო ათონის ლიტერატურული სკოლის მთარგმნელობით მეთოდს, მისი შესანიშნავი თარგმანების ტრადიციებზე აღიზარდა მთარგმნელთა რამდენიმე თაობა.

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ თხზულებათა შესახებ შესაძლოა არასრულ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მისი მამის იოანეს ანდერძი, რომელიც თითქმის უცვლელად გადაუტანია გიორგი მთაწმინდელს თავის თხზულებაში: „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“. აქ დასახელებულ თარგმანთა რიცხვი ხუთ ათეულს აღემატება. ანდერძში პირველად ჩამოთვლილი

¹ ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ბეჭდები, II, 1967, გვ. 62.

² იქვე. გვ. 61.

ახულებები წარმოადგენენ ექვთიმეს პირველ თარგმანებს, იმ ნაწარმოებებს, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებდა ქართველ საზოგადოებას და რომელთა ნაკლებობაც განსაკუთრებით იგრძნობოდა. პირველი თხზულება, რომელიც ექვთიმეს ქართულ ენაზე აუთენტურობისა, არის „თარგმანება იოვანეს იაფისა სახარებისაჲ, ბ. მერმე სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი იაფი ლ. გ. მისივე თარგმანება ფსალმუნთაჲ თავი იბ, დ. წიგნი იოანესი, რომელ არს კლემექსი...“ და ა. შ.³

ჩვენ შევჩერდებით ბასილ კაპადოკიელის ორი ნაწარმოების თარგმანზე. ანდერძიდან ირკვევა, რომ სრულიად ახალგაზრდა ექვთიმეს, თავისი მამის იოანეს სიცოცხლეში, მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისშივე უთარგმნია დიდი კაპადოკიელის, ბასილის სწავლანი, ხოლო შემდეგ მისი ფსალმუნთა განმარტებები. ეს ის ქადაგებებია, რომელთაც კესარიის ეპისკოპოსი და პონტოს ეგზარხოსი ეკლესიის კათედრიდან წარმოთქვამდა. მათში ნათლად გამოიკვეთა ბასილის, როგორც პიროვნების, მორალური სახე, სიმართლე და კაცობიანობა. ეს საუბრები ხდებოდა მსჯელობის საგნად ყველგან, კერძო სახლებსა და ეკლესია-მონასტრებში, მათით ერთნაირად ტკებოდნენ დიდგვაროვანი და მდაბიონი. ბასილი, განუმეორებელი მოქადაგე, იძულებული იყო შეემოკლებინა თავისი ქადაგებები, რათა გარს შემოხვეული მსმენელები სამუშაოდან არ მოეცდინა. ბასილის სიცოცხლეშივე იწოდებოდნენ მისი ქადაგებები ლიტერატურულ შედეგებად; მათი გაცნობა ნიშნავდა უმაღლესი ცოდნის შეძენას.

მთელი ქრისტიანული სამყარო და რა თქმა უნდა ქართველებიც დიდად აფასებდნენ ბასილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მისი პომილიების თარგმნა ქართულ ენაზე იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რომ მეფე დავით კუროპალატის ბრძანებით საქართველოდან ათონზე გაემგზავრა ბერი იორდანე, პომილიების შემცველი კრებული გადაწერა და საქართველოში ჩამოიტანა.

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ეს კრებული ქართულ ლიტერატურაში ცნობილია „ითიკის“ სახელწოდებით და მას ასე განმარტავენ: „ითიკა წარმოადგენს კრებულს, რომელიც ქართულ თარგმანში შედგება პომილექტიკური, მორალური, ასკეტიკური-მისტიკური და ეგზეგეტიკური ხასიათის 53 სტატიისაგან, ამ კრებულის ცალკეული სტატია ჩვენ გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერში“⁴. „ითიკის“ შემცველი ყველა ხელნაწერის განხილვის შემდეგ ამგვარი განმარტება დაზუსტებას თხოულობს. დავიწყოთ სათაურით. ბასილის პომილიათა კრებულის მიმართ სახელწოდება „ითიკას“ არ იცნობს არც ექვთიმეს მამის იოანეს ანდერძი. მითუმეტეს არც „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ და არც ბასილის პომილიათა შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერები. სამაგეროდ ბერძნული ხელნაწერები, თითქმის ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ატარებს სახელწოდებას „αὐτὴ ἰθίκα“⁵.

„αὐτὴ ἰθίκα“ ჩვეულებრივ შეიცავს ორგვარი ხასიათის პომილიებს. ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებსა და საუბრებს სხვადასხვა თემაზე. რომელიც

³ თ. გორდონი, ჭრონიკი, I, 1892, გვ. 241.

⁴ ვ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 205.

⁵ V. R u d b e r g, Etudes sur la tradition manuscrite de saint Basile, Uppsala, 1957, გვ. 59.

გორც იოანე ათონელის ზემოთ დასახელებული ანდერძი მოწმობს, ექვთიმეს ეს ქადაგებები გაუცალკევებია შემდეგი სახელწოდებებით: „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“. სწორედ ამ პირველი სათაურით არის ცნობილი ბასილ კაპადოკიელის შესანიშნავი საუბრების უძველესი კრებულები (Ath—49, H—2251, Jer—105), რომლებიც ან შეიცავს ფსალმუნებზე დაწერილ არც ერთ ქადაგებას. სახელწოდება სწავლანი შესაძლოა წარმოადგენს ბერძნული სიტყვის $\alpha\chi\lambda\alpha\iota$ -ს თარგმანს (ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი მოღვაწეობიდანაც. გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილ დიდის ცხოვრებიდან“ სიტყვების ეთიკურისა და პრაქტიკურის შემცველ ადგილს ეფრემ მცირე ასე თარგმნის: „რაჟამს სწავლითა და საქმითა სიტყუათა მისთა ეიკითხვიდე. განვიწმინდები სულით და კორცით“⁶, (ე. ი. ეთიკური ნიშნავს სწავლითს, ხოლო პრაქტიკული საქმითს), ან თარგმანს ჰომილიათა მეორე სახელწოდებისა: „ $\Delta\iota\delta\alpha\chi\eta$ τῶν ἐν ἀρχαῖς πατρὶς ἡμῶν Βασιλείου τῶν Μεγάλων“.

მართალია, მხოლოდ გვიან გადაწერილ ქართულ ხელნაწერებში დაიკავა ბერძნულ ხელნაწერთა ანალოგიით, ფსალმუნებზე აგებულმა ქადაგებებმა თავისი კუთვნილი ადგილი ბასილის საუბრების გვერდით (სწორედ ამათგან ორი ყველაზე გვიან გადაწერილი კრებული ატარებს სახელწოდება „ითიკას“), მაგრამ მათთან ერთად ბასილის მხოლოდ საუბრების შემცველი უძველესი ხელნაწერებიც ქართულ მეცნიერებაში ცნობილია არა „სწავლანის“, არამედ „ითიკის“ სახელწოდებით⁷.

ამ სახელწოდების დამკვიდრებას ხელი შეუწყო სხვა გარემოებამაც: ქართულ-მეცნიერებაში გამოითქვა აზრი, „რომ აღნიშნული კრებული წარმოადგენს ბასილის ასკეტიკური ნაწერების, ანუ ბასილის „ასკეტიკონის“ ერთ ნაწილს“⁸, მისივე „ $\Pi\lambda\alpha\chi$ “-ს და ორი სხვა ასკეტიკური სტატიის თარგმანს. ამ აზრის შესაბამისად აკად. კ. კეკელიძე ექვთიმეს მიერ თარგმნილი „ითიკის“ შესატყვის ბერძნულ ტექსტს მიუთითებდა PG. 31 ტომის 653—870 გვერდებზე, სადაც „მოთავსებულია სამი ასკეტიკური სტატია, რომელთა შორის ძირითადია თხზულება, რომელსაც ამ გამოცემაში — ბერძნულ ენაზე ეწოდება სწორედ ითიკა — $\Pi\lambda\alpha\chi$ (Moralia)“⁹. მკვლევარმა ე. სინთიბიძემ პირველმა გაარკვია, რომ „ექვთიმეს თარგმნილ კრებულ „ითიკაში“ არ არის არც ერთი სტატია, რომლის ბერძნული ტექსტი წარმოდგენილი იყოს დასახელებული ტომის 653—870“¹⁰ და რომ ამ კრებულში წარმოდგენილია ბასილ კაპადოკიელის ჰომილიები. ამათგან წმინდა ასკეტიკური შინაარსის არის მხოლოდ ერთი თხზულება: სწავლა, „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა“. „ეფრემ მცირემ თარგმნა ბასილის „ასკეტიკონი“ იმ თხზულებიანად, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „ითიკა“. ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონში“ შევიდა სამივე თხზულება, რომლებიც დასახელებულ გამოცემაში

⁶ ციტატა მოყვანილია: ე. სინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი, 1969, გვ. 117.

⁷ არ გადაუხეხვეთ ტრადიციას და ქართულ თარგმანს ჩვენც ამავე სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

⁸ ე. სინთიბიძე, დასახ. შრ., გვ. 115.

⁹ იქვე, გვ. 116.

¹⁰ იქვე.

653—870 გვერდებზეა წარმოდგენილი და რომლებშიაც კ. კეკელიძე ექვთიმეს თარგმნილი „ითიკის“ ბერძნულ ტექსტს ხედავდა¹¹. მკვლევარი აქვე განიხილავს იმ განმარტებას (კომენტარს), რომელიც დაურთავს ეფრემ მცირეს მის მიერ თარგმნილ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებისათვის „ბასილ დიდის ცხოვრება“, რათა მკითხველი დაეზღვია ამ ორი თხზულების ერთმანეთში აღოვეისაგან¹².

„ითიკის“ ქართული ხელნაწერები შედგენილობისა და თავების თანამიმდევრობის მიხედვით მნიშვნელოვან თავისებურებებს ამჟღავნებენ; ასევე ბერძნულმა კრებულებმაც საუკუნეების მანძილზე შედგენილობის მიხედვით დიდი ცვლილებები განიცადა. ასე რომ, არა მარტო „აჲ ჴს:აჲ“-ს ქართული თარგმანის შედგენილობა უნდა განისაზღვროს, არამედ თვით „აჲ ჴს:აჲ“-ს შედგენილობის დადგენაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და თანამედროვე ბიზანტიოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

„აჲ ჴს:აჲ“-ს ქართული თარგმანის შედგენილობა შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ქართულ ხელნაწერებზე დაყრდნობით, ბერძნულ ხელნაწერთა მონაცემების გარეშე. ამიტომ პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბერძნულ კრებულებში არსებული მდგომარეობა, მათი შედგენილობა და შემადგენელი თავების თანამიმდევრობა, რათა გაირკვეს რა ტიპის ბერძნული ხელნაწერებით უსარგებლია ექვთიმეს და რამდენად. მითუმეტეს „ითიკის“ უძველესი ხელნაწერი მის სიცოცხლეში, 981 წელს არის გადაწერილი.

ბასილ კაპადოკიელის თხზულებებმა მრავალი პრობლემა წამოჭრეს და გადაიქცნენ იმ მეცნიერული კვლევის საგნად, რომელიც ემყარება ერთადერთ, მართებულ, ხელნაწერის შესწავლის გზას.

პირველი უცხოელი მეცნიერი, რომელიც დაინტერესდა ხელნაწერთა ტრადიციით და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ბასილის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერების კვლევის საქმეში, იყო ფრანგი აბატი მ. ბესიერი (გარდაიცვალა 1918 წელს). მან მთელი სიცოცხლე მოანდომა ბასილ კაპადოკიელის წერილების შემცველი ხელნაწერების კლასიფიკაციას და სისტემაში მოყვანას. ეს გამოკვლევა მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა ჟერინგლისურ ჟურნალში „Journal of Theological Studies“ (1919—22 წწ.), ხოლო 1923 წელს იგი გამოვიდა ცალკე წიგნად: „La tradition manuscrite de la correspondance de s. Basile“ (The Clarendon Press, Oxford). ამავე საკითხს მიეძღვნა მეორე შრომაც: „Studien zu den Briefen des hl. Basilius“, რომელიც გამოვიდა 1944 წელს. მისი ავტორი ა. კავალინი თავისი შრომის საწყისად მიიჩნევდა მ. ბესიერის მიერ შეგროვილ ხელნაწერებს და ეთანხმებოდა მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ეს დასკვნები მრავალმხრივ შეაფასო და გაამდიდრა. ბასილის ასკეტიკური ნაწერებიც დიდი ხანია გადაიქცნენ კვლევის საგნად. ადრე არსებულ ნაშრომთა შორის მნიშვნელოვანია ვ. კლარკის „The Ascetic Works of Saint Basil“, London, 1925. ასკეტიკური ნაწარმოებების შესწავლის საქმეში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის სამ მეცნიერს, რომელთაც განაგრძეს ორი საუკუნის წინ

¹¹ ე. ხ ი ნ თ ი ბ რ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 116.

¹² იქვე, გვ. 117.

გარნიესა და მარანის¹³ წამოწყებული დიდი კვლევითი მუშაობა. ესენი არიან: დ. მენდიეტა, ფ. გეტე და ე. გრიზომონი.

1953 წელს გამოქვეყნდა ფრანგი მეცნიერის ვ. რუდბერგის შრომა: „Elden sur la tradition manuscrite de saint Basile“, Uppsala, 1953. როგორც სათაური მიუთითებს, ავტორი თავის შრომაში, ბასილის ბერძნულ ხელნაწერებზე დაყრდნობით განიხილავს მის წერილებს, ასკეტიკურ ნაწარმოებებს და ქადაგებებს. ნაშრომი დიდ ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივ, რომ ბასილის სხვა თხზულებათა გვერდით პირველად დაეთმო ადგილი ქადაგებათა ტრადიციის შესწავლას. რადგან, როგორც თვითონ ავტორი მიუთითებს, მანამდე არ ყოფილა ქადაგებათა შემცველი ხელნაწერების კლასიფიკაციის არც ერთი ცდა.

რუდბერგის ნაშრომი, ერთი მხრივ, განხილული უნდა იყოს როგორც არსებული მასალების სისტემაში მოყვანის პირველი ცდა, მასალებისა, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში მხედველობაში არ იღებდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მან, მსგავსად გრიზომონისა, თავი შეიკავა მრავალი ფსევდობასილური თხზულების ავტორის ვინაობის დადგენისაგან.

ქადაგებათა ტრადიციის შესწავლისას რუდბერგი მხოლოდ ბერძნულ ხელნაწერებით შემოიფარგლა¹⁴. ბასილ კაპადოკიელის ჰომილიათა შემცველი 169 ხელნაწერი იმდენ თავისებურებას ამჟღავნებდა, რომ მკვლევარი იძულებული გახდა, ერთმანეთში არევის თავიდან აცილების მიზნით, ისინი ჯგუფებად დაეყო. ამის შემდეგ ყველა ეს ხელნაწერი გაერთიანდა თოთხმეტ სახეობაში (ტიპი), გარდა რამდენიმესი, რომელთა ამა თუ იმ ტიპთან მიკუთვნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

თხზულებები, რომლებიც ჩვეულებრივ განეკუთვნებიან ქადაგებათა რიცხეს, წარმოადგენენ სხვადასხვა ხასიათის ტექსტთა დიდ რაოდენობას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფსალმუნებზე აგებული თვრამეტი ქადაგება (P.G., 29, 209—493, P.G., 30, 72—117). შემდეგ 31 სხვადასხვა ქადაგება ანუ ე. წ. საუბრები სხვადასხვა თემაზე (P.G., 31, 164—617, 1429—1509) და რამდენიმე ცალკე მდგომი ნაწყვეტი, უფრო ხშირად ოთხი ეპისტოლე: 45, 46, 243, 260, (P.G., 32, 365—381, 901—912, 953—968).

ბასილ კაპადოკიელის ქადაგებათა შემცველი ბერძნული კრებულები (ხელნაწერები) შეიცავენ: 1. ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს, 2. საუბრებს ანუ ჰომილიებს სხვადასხვა თემაზე, რომელიც ხელნაწერთა ძირითად და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 3. ე. წ. „დამატებებს“, რომლებიც წარმოადგენენ ბასილის ეპისტოლეებს, მისსავე ასკეტიკურ ნაწერებს და ფსევდობასი-

¹³ ბასილ კაპადოკიელის თხზულებათა მრავალრიცხოვან გამოცემებს შორის საუკეთესოა ის, რომელიც მოამზადა სენ-შორის რელიგიური ორდენის მღვდელმა. ე. გარნიემ (Sulien Garnier). მან გარდაცვალებამდე მოასწრო ორი ტომის გამოცემა (1725 წელს). მისი საქმე დაასრულა პ. მარანმა (Prudent Maran). რომელმაც გამოსცა მესამე ტომიც.

¹⁴ რუდბერგმა მძიმე და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მოიპოვა და გამოიკვლია უმდიდრესი მასალა ბერძნული ხელნაწერების სახით. მის მიერ შესწავლილ და აღწერილ ხელნაწერთა უმრავლესობა არ იყო მოხსენებულიც კი ნაბეჭდ კატალოგებსა და მეცნიერულ შრომებში. მუშაობდა იგი საფრანგეთის, საბერძნეთის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის წიგნსაცავებში. მოახერხა გაცნობიერება მოსკოვში დაცულ ბერძნულ ხელნაწერთა დიდ ნაწილს. ასე, რომ, ბერძნულ ხელნაწერთა მიმოხილვა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ჩვენს გამოკვლევაში შეტანილია სწორედ რუდბერგის ზემოთ დასახელებულ შრომაზე დაყრდნობით.

ლურ თხზულებებს, რომელთა ავტორის დადგენა დღეს თითქმის შეუძლებელია. ო. სხვა ავტორთა გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ნიქროპირის და სხვათა შრომებს.

გარნიეს მიერ გამოცემულ ქადაგებათა თანამიმდევრობა არც ერთ ბერძნულ იელნაწერში არ არის დაცული. ეს თანამიმდევრობა დაკავშირებულია ტექსტების უტყუარობასთან. პირველი ოცდაოთხი თავი ბასილისეულად მიჩნეული ქადაგებებია. მათ მიყვება ხუთი ჰომილია: 1. Ὁμιλία περὶ τῆς ἀγίας Πνεύματος. (P. G, 31, 1429—1437); 2. Ὁμιλία ἰηϋεῖσα Λαζιζοῖς. (P. G. 31, 1437—1457); 3. Ὁμιλία εἰς τὴν ἀγίαν τὴν Χριστοῦ γέννησιν. (P. G, 31, 1457—1476); 4. Ὁμιλία περὶ μετάνοιας. (P. G, 31, 1476—1488); 5. Πρὸς τοὺς σαχιοφρατῆνας ἡμῶν ἐπεὶ τρεῖς μῆνας λήγομεν. (P. G, 31, 1488—1496); და ბოლოს ორი ტექსტი: 6. Ἐὶς τὸν Μὴ δμῶς ὑπνοῦν τοῖς ἁφίμαξις, ἡγμῆ ἐπινοασθῆναι εἰς βλασφημίαν. (P. G, 31, 1497—1508); 7. Τοῦ ἀποσπῆ περὶ νηστείας λέγει Γ'. (P. G, 31, 1508—1509).

როგორც უკვე მივუთითეთ, მრავალრიცხოვან ხელნაწერთა შესწავლის შედეგად რუდბერგმა ისინი გააერთიანა თოთხმეტ ჯგუფში. ტიპებად დაყოფის პრინციპი მის შრომაში შედგენილობის, თავების თანამიმდევრობისა და დანატებების მიხედვით მონათესავე ხელნაწერთა დაჯგუფებაში მდგომარეობს¹⁵. ამ ჯგუფებს მკვლევარი ასე აღნიშნავს: A, B, C, D, E, F, G, H, K, L, M, N, O, P.

თოთხმეტი ტიპის დაწვრილებითი შესწავლა, უფრო სწორედ მათში შემავალ ხელნაწერთა დაწვრილებითი შესწავლა, შორს წაგვიყვანდა. ამიტომ შევადგინეთ ტაბულა. რომელზედაც ილუსტრირებულია ბერძნულ კრებულებში შემავალი თავების ერთი ნაწილის, ბასილის 31 ქადაგების დასათაურება (მინის გამოცემის მიხედვით). რადგან ეს ქადაგებები ანუ საუბრები სხვადასხვა თემაზე წარმოადგენს ბერძნული ხელნაწერების ვრცელ და ძირითად ნაწილს, მათი მონაცემების გათვალისწინებას არსებითი და შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს 31 ქადაგება ასეთი შედგენილობითა და თანამიმდევრობით გვხვდება მხოლოდ გარნიე — მარანისა და მინის გამოცემაში¹⁶. არც ერთი ბერძნული ხელნაწერი არ შეიცავს მათ ასე სრულად და დიდი რაოდენობით¹⁷) ამის შემდეგ ტაბულაზე აღილი დავეთმეთ უკვე დასახელებული თოთხმეტი ჯგუფის ხელნაწერთა შემადგენელი თავების ერთ საერთო „კორპუსს“ (მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იმავე ჯგუფის

¹⁵ ფ. რუდბერგი, დასახ. შრ., გვ. 57.

¹⁶ გარნიე-მარანის მიერ დადგენილი და გამოცემული ბასილის ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის უცვლელად დაიბეჭდა 1857 წელს მინის გამოცემის 29—32 ტომების სახით.

¹⁷ Migne-ს გამოცემა არ შეიძლება გამოგვადგეს სანიმუშოდ, როდესაც საუბარია ბერძნული ხელნაწერების შედგენილობასა და მათი შემადგენელი თავების თანამიმდევრობაზე. ცნობილია, რომ გარნიემ სწორედ ამ 31 ქადაგებიდან 7 უკანასკნელი ფსევდო-ბასილურ თხზულებათა რიცხვს მოაკუთხა. მაგ., ჰომილია Ὁμιλία περὶ μετάνοιας (PG, 31, 1476—1488) გამოიცა ჯერ კიდევ 1532 წელს. მას იცნობს მხოლოდ ხუთიოდე ხელნაწერი. არც ერთი გამოცემა არ იძლევა ცნობას იმის შესახებ, თუ საიდან მოდის (ზუსტად რომელი ხელნაწერიდან) მონანიებაზე დაწერილი ეს ქადაგება. კიდევ უფრო იშვიათია; Ἐὶς τὸν Μὴ δμῶς ὑπνοῦν τοῖς ἁφίμαξις, ἡγμῆ ἐπινοασθῆναι εἰς βλασφημίαν. (PG, 31, 1497—1508). ეს თხზულება 1677 წელს გამოსცა კოტელიემ (Cotelier). იგი ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ბერძნული ხელნაწერით, რომელთაგან ორი აშკარად ფსევდობასილურია.

	Λ	Λh49
Περὶ νηστείας λόγος Α. (164—184) მარხვისა თჳს	1	1
Περὶ νηστείας λόγος Β. (185—197) მარხვისა თჳს ე. თაჳი მეორე.	2	2
Ὁμιλία εἰς τὸ πρὸς εὐχ. (197—217) სიტყვა მის თჳს მთავრ წინამწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს: ეგრძაღე თავსა შენსა...	3	3
Περὶ εὐχαριστίας. (217—237) მადლობისა თჳს	4	4
Εἰς τὴν μάρτυρα, Ἰουλίτταν, καὶ τὰ λοιπόμενα τῆς προλεξιθεῖ- σης ὁμιλίας τῆς περὶ εὐχαριστίας. (237—261). იულიტა მოწამისა თჳს და ნაკლებუენებისა თჳს პირველ თქუბელისა მის თა- ვისა და მადლობისა თჳს ე.ე.	5	5
Εἰς τὸ βῆτον τῶν κατὰ Λουκᾶν, Ἰνναγγελίου, „Καθελὼ μου ἀποθήκας, μεῖζονας ἰκονομάχου καὶ περὶ πλεονεξίας. (261—277). სიტყვა მის თჳს, ვითარმედ დაეარღუნე საუბრენი და უდიდებნი. აღვაშენებ და ანვაძრებისა თჳს.	9	8
Ὁμιλία πρὸς τοὺς πλυστοῦντας (277—304) მდიდართა მიმართ.	10	9
Ὁμιλία ῥηθεῖσα ἐν λιμῶ καὶ ἀνγμῶ. (304—328) სწავლა... რომელ თქუა ჟამსა სიყმობისა და უწვიმროებისასა.	11	—
Ὁμιλία ὅτι οὐκ ἔστιν αἴτιος τῶν κακῶν ὁ Θεός. (329—353) ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთა.	6	6
Ὁμιλία Ι'. Κατὰ ἑρμηνείων. (353—372) მრისხანეთა თჳს.	7	7
Ὁμιλία ΙΑ'. Περὶ ψιθόνου. (372—385) თქუბელი... შურისათჳს.	8	—
Ὁμιλία ΙΒ'. Εἰς τὴν ἀρχὴν τῶν Παροιμιῶν. (385—424) დაწყებისათჳს სოლომონის ოჯათა.	12	—
Ὁμιλία ΙΓ'. Προτρεπτικὴ εἰς τὸ ἄγιον βίβιασμα. (424—444) წმობისა ნათლის ღვინისა თჳს.	13	10
Ὁμιλία ΙΔ'. Κατὰ μεθύοντων. (444—464) მომთრვალებთა თჳს.	14	15
Ὁμιλία ΙΕ'. Περὶ πίστεως. (464—472) სარწმუნოებისა თჳს წმობისა სამებისა.	15	11
Ὁμιλία Ις'. Εἰς τὸ, „Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος“. (472—481). დაწყებისა თჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითჳნ იყო სიტყუა.	16	12
Ὁμιλία ΙΖ'. Εἰς Βαριλάμ μάρτυρα. (483—489)	18	

	λ	Ath— —49
“Ομιλία III’. Εἰς Γόρδιον τὸν μάρτυρα. (489—508)	19	
“Ομιλία IV’. Εἰς τοὺς ἁγίους τεσσαρακοντα μάρτυρας. (508—525) შესხმა წმინდა რომელი მონაგვითა.	20	14
“Ομιλία K’. Περὶ ταπεινοφροσύνης. (525—540) სიძაბდისა თჳს.		17
“Ομιλία KA’. Περὶ τοῦ μὴ προσηλωσθαι τοῖς βιωτικαῖς, καὶ περὶ τοῦ γενομένου ἐμπρησμοῦ ἐξώθειν τῆς ἐκκλησίας. (540—564). არა შექცევისა თჳს საქმეთა სიძლინათა და ცუცხლისა მის თჳს, რომელი შეეღვა მათინ კესარიელთა ქალაქსა.	23	18
Πρὸς τοὺς νέους. „Ὅπως ἂν εἴῃ Ἑλληνικῶν ὠφελσίντε λόγων. (564—589)	24	
“Ομιλία KI’. Εἰς τὸν ἅγιον μάρτυρα Μάμαντα. (589—600)		
“Ομιλία KΔ’. Κατὰ Σαβελλιανῶν, καὶ Ἀρείου, καὶ τῶν ἄνο- μοίων. (600—617).		
“Ομιλία περὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος. (1429—1437) სულისა წმინდისა თჳს.	17	13
“Ομιλία ῥηθεῖσα ἐν Λακίδοις. (1437—1457) სწავლას, რომელ თჳთა ლაზიკეს ქალაქსა.	21	16
“Ομιλία εἰς τὴν ἁγίαν τοῦ Χριστοῦ γέννησιν (1457—1476) ...შობისათჳს უფლისაა ჩუენისა იესუ ქრისტესა.	25	
“Ομιλία περὶ μετάνοιας. (1476—1488)		
Τοῦ αὐτοῦ ὁμιλία. Πρὸς τοὺς συκοφαντοῦντας ἡμᾶς ὅτι τρεῖς θεοὺς λέγομεν. (1468—1496)		
Εἰς τὸ. Μὴ ὄψις ὕπνον σοῖς ἑσθλαμοῖς, μηδὲ ἐπισοσταῖς σοῖς βλεφάροις. (1497—1508)		
Τοῦ αὐτοῦ περὶ νηστείας λόγος. Γ’. (1508—1509)		

ხელნაწერები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რუდბერგმა შესძლო დაეძებნა თითოეულ ჯგუფში შემავალ თუნდაც ძლიერ განსხვავებულ ხელნაწერთათვის თავების ერთი საერთო თანამიმდევრობა). მათთან ერთად მოვათავსეთ 981 წლის ათონური ქართული ხელნაწერის შემადგენელი თავების თანამიმდევრობის ნიმუში. (ქართულ ხელნაწერს აღვნიშნავთ ასე — Ath—49). აქ ტაბულის მონაცემებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათონის მთაზე გადაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერი ძალიან ახლოს დგას პირველ, მრავალრიცხოვან ე. წ. A ტიპის ბერძნულ ხელნაწერთან. ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა აღმოსავლეთში წარმოიშვა (კონსტანტინოპოლი, ათონი, კესარია, ანტიოქია). A ჯგუფის ხელნაწერები გან-

B	C	D	E	F	G	H	K	L	M	N	O	P
22				21	12		26	15		24	21	1
21							23		22	23		
										17	18	
16	16	15	16	17	11	18	16	21	13	25	8	9
17	17			1		2	17		18			
	21			22			21	14	23	22	18	

საკუთრებით მტკიცე კავშირს ამჟღავნებს ათონთან. 32 ხელნაწერიდან 14 იქიდან ნოდის. ამიტომ ათონზე თარგმნილი ქართული კრებულის შესახებ დასმულ კითხვებს სწორედ ამ ტიპის ბერძნულმა ხელნაწერებმა უნდა გასცენ პასუხი. როგორც აღინიშნა, მასში გაერთიანებულია ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა, რომელთა დიდი ნაწილი IX—X—XI საუკუნეებს განეკუთვნება. მათი შემადგენელი თავების რაოდენობა 1—55 შორის მერყეობს. აქედან მხოლოდ ექვსი ხელნაწერი შედგება ზუსტად 42 თავისაგან. რუდბერგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ 42 თავისაგან შემდგარი ხელნაწერები უნდა წარმოადგენდნენ „კორპუს“ A-ს საწყის მდგომარეობაში. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელნაწერ Rome, Vaticanus 418,

X—XI es, რომელიც შეიცავს 44 ტექსტს. აქედან დანომრილია მხოლოდ 42, ამის შემდეგ გადამწერს მიუწერია: $\tau\epsilon\iota\sigma\ \tau\omega\ \eta\mu\epsilon\rho\alpha\ \nu$ (როგორც უკვე მიუთითებ, ხელნაწერებში ბასილის ჰომილიებს ჩვეულებრივ ეწოდებათ „ $\tau\alpha\ \eta\mu\epsilon\rho\alpha$ “). ეს იმას ნიშნავს, რომ Vaticanus 418-ში, 1000 წლის წინ გადაწერილ ხელნაწერში „ $\tau\alpha\ \eta\mu\epsilon\rho\alpha$ “-ს სათაურის ქვეშ შედიოდა მხოლოდ 42 თავი. მასში შემავალი თავების წყობა ზუსტად არის დაკული ამ ჯგუფის 15 ხელნაწერში, აქედან 6 ათონური წარმოშობისაა. წყობის დარღვევა, რასაც ადგილი აქვს სხვა ხელნაწერებში, უმნიშვნელოა და არსებით განსხვავებას არ ქმნის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ A ჯგუფის ხელნაწერთა ძირითადი „კორპუსის“ დადგენისას რუდბერგი მხოლოდ ზემოთ დასახელებული ექვსი ხელნაწერთა შემოიფარგლა. ჩათვალა რა ისინი სანიმუშოდ ამავე ჯგუფის დანარჩენ ხელნაწერთათვის¹⁸. ეს „კორპუსი“, უფრო სწორედ 42 თავის შემცველ ხელნაწერთა შედგენილობა, ასე წარმოგვიდგება: 1—17 თავის ჩათვლით ისინი შეიცავენ ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებებს. ეს ფსალმუნებია: 1, 7, 14, 14 : 2, 28, 28 : 2, 29, 32, 37, 44, 45, 48, 59, 51, 114, 115. შემდეგ მოდის საუბრები სხვადასხვა თემაზე შემდეგი თანამიმდევრობით:

18. Περὶ νηστείας λόγος Α. (Ieiun. I).
19. Περὶ νηστείας λόγος Β. (Ieiun. II).
20. Ὁμιλία εἰς τὸ πρόσεχε σεαυτῷ. (Attende.)
21. Περὶ εὐχαριστίας. (Grat. act.)
22. Εἰς τὴν μάρτυρα Ἰουλίτταν. (Iulitta).
23. Ὁμιλία ἔτι: ὅτι ἔστιν αἴτιος τῶν κακῶν ὁ Θεός. (Deus non auct).
24. Ὁμιλία κατὰ ἔργιζομένων. (Ira).
25. Περὶ φθόνου. (Invidia).
26. Εἰς τὸ ῥητὸν τοῦ κατὰ Λουκῆν. (Destruam).
27. Ὁμιλία πρὸς τοὺς πλουτοῦντας. (Divites).
28. Ὁμιλία ῥηθεῖσα ἐν λιμῷ καὶ ἀγμῷ. (Fam et sicc.).
29. Εἰς τὴν ἀρχὴν τῶν Παροιμιῶν. (Princ. Prov.)
30. Προτροπικὴ εἰς τὸ ἅγιον βάπτισμα. (Bapt.).
31. Κατὰ μεθύοντων. (Ebrios.).
32. Ὁμιλία περὶ πίστεως. (Fide.).
33. Εἰς τὸ, „Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος“. (Princ Joh.)
34. Ὁμιλία περὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος. (Sp. S.)
35. Εἰς βαρλαάμ μάρτυρα. (Barlaam).
36. Εἰς Γόρδιον τὸν μάρτυρα. (Gordius.).
37. Εἰς τοὺς ἁγίους τεσσαράκοντα μάρτυρας. (XL mart.)
38. Ὁμιλία ῥηθεῖσα ἐν Λακίζοις. (Lacizis.).
39. Περὶ ταπεινοφροσύνης. (Humilit.).
40. Περὶ τοῦ μὴ προσηλωσθαι τοῖς βιωτικοῖς καὶ περὶ τοῦ γενόμενου ἐμπρησμοῦ ἕξωθεν τῆς ἐκκλησίας. (Mund. adh).
41. Πρὸς τοὺς νέους. „Ὅπως ἂν ἐξ Ἑλληνηκῶν ὠφελοῦντο λόγων“. (Adolesc.).
42. Ὁμιλία εἰς τὴν ἁγίαν τοῦ Χριστοῦ γέννησιν. (Chr. gen.).

¹⁸ ფ. რუდბერგი, დასახ. შტ., გვ. 59.

თუ ეოთმანეთს შეეადარებთ A „კორპუსს“ და ამავე ქადაგებებს მინის გამოცემის მიხედვით (P.G. 31, 164—617, 1429—1509) აღმოჩნდება, რომ Poenit... Ne ded..., და Ieiun. III-ის გარდა „კორპუსს“ აკლია კიდევ სამი ქადაგება. ესენია: Mamas (23), Sab. et Ar. (24) და Calumn Trin. (29). დამატებებში, რომელიც მოჰყვება ცამეტ ხელნაწერს, და რომლის რაოდენობაც მერყეობს ორიდან თხუთმეტ ნაწყვეტამდე, შედის ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებიდან ორი უკანასკნელი, ისე როგორც სამი ეპისტოლე: 45, 46, 260 (ესენი განიხილებიან როგორც ჰომილიები).

ხელნაწერთა ერთი ჯგუფი გარკვევით არ ატარებს A „კორპუსის“ ნიშნებს, მაგრამ შემადგენელი თავების თანამიმდევრობაზე დაყრდნობით, რუდბერგი ცდილობს პარალელი გაავლოს მათსა და ამ ჯგუფის სხვა ხელნაწერებს შორის. მაგ. Parisinus 956 (XIV ს.) წარმოადგენს ნაწყვეტს თხუთმეტი ნომრით: 24—38, რომელთაგან 24—30 იცავენ „ნორმალურ“ თანამიმდევრობას.

ქართული კრებული სხვა ჯგუფის ბერძნულ ხელნაწერებთან არავითარ ნათესაობას არ ამჟღავნებს, ამიტომ პირდაპირ გადავალთ ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებათა განხილვაზე. კერძოდ, რა ადგილი უჭირავთ მათ ბერძნულ ხელნაწერებში, რა რაოდენობით და როგორი თანამიმდევრობით არიან განლაგებულნი. ამ ქადაგებებთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მინმა 18 ტექსტიდან ხუთი (ფს. 14, 28 : 2, 37, 115, 132) ფსევდობასილურ თხზულებათა რიცხვს მიაკუთვნა. თუმცა ამ ქადაგებებიდან პირველი ისევ აღადგინა და გამოცემაში შეიტანა (PG, 29, 249).

ბერძნულ ხელნაწერებში ყველაზე იშვიათია 132-ე ფსალმუნზე დაწერილი ქადაგება. რუდბერგი ამ ჰომილიას შეხვდა მხოლოდ რვა ხელნაწერში, რომელთაგან ექვსი განეკუთვნება M ჯგუფს. აი, რა შეიძლება ითქვას დასკვნების სახით ამ ტიპის ქადაგებათა შესახებ:

1. ყველა ბერძნული ხელნაწერი, როგორც წესი, შეიცავს ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს. ამგვარად საუბრები სხვადასხვა თემაზე და ფსალმუნებზე დაწერილი ქადაგებები ბერძნულ ხელნაწერებში განუყოფელია.

2. ეს ჰომილიები სხვადასხვა ტიპის ხელნაწერებში სხვადასხვა ადგილას არიან განლაგებულნი; ხშირ შემთხვევაში — დასაწყისში. მხოლოდ რამდენიმე ჯგუფის (E, F და G) ხელნაწერებს ახასიათებს ფსალმუნებზე აგებული ჰომილიების განსხვავებული განლაგება. კერძოდ, ხელნაწერი იწყება პირველ ფსალმუნზე დაწერილი ქადაგებით, შემდეგ მოდის ჰომილიები სხვადასხვა თემაზე, შემდეგ კვლავ ფსალმუნებზე აგებული ჰომილიები. მსგავსი მაგალითები მოწმობს, რომ ყველა ეს ქადაგება ადრე, ხელნაწერების დასაწყისში იყო მოთავსებული.

3. ფსალმუნებზე დაწერილ ჰომილიათა რიცხვი სხვადასხვა ხელნაწერში მერყეობს 13-დან 18 თავის ჩათვლით. ყველაზე ხშირად მათი რაოდენობა 16-ს ან 17-ს აღწევს. ეს მერყეობა გამოწვეულია იმით, რომ ბერძნული ხელნაწერები იკლებენ ან იმატებენ რამდენიმე ქადაგებას. ამათგან ჩვენ პირველად შევჩერდებით 37-ე ფსალმუნზე დაწერილ ჰომილიაზე. იგი, ისე როგორც 28-ე ფსალმუნზე დაწერილი მეორე ქადაგება (28 : 2), ყველაზე ხშირად აკლიათ ბერძნულ ხელნაწერებს ან შეცვლილი აქვთ ადგილი. M ჯგუფის სამ ხელნაწერში: Messine Messanensis 19, XIs, Escorial Scorialensis Ω—III—16, XII^s (1104). Escorial Scorialensis Ψ—II—12, XII^es ისინი მოთავსებულია ბოლოში იმ მიზეზით, რომ უცნობია მათი ავტორი, ხოლო Rome Vaticanus 415.

X საუკუნის ხელნაწერს დართული აქვს სქოლიო, სადაც მითითებულია, რომ 37-ე ფსალმუნზე დაწერილი ქადაგება არ ეკუთვნის ბასილი კაპადოკიელის კალამს. რაც შეეხება (28 : 2) 28-ე ფსალმუნზე დაწერილ მეორე ქადაგებას, მას საერთოდ არ იცნობს B, H, E, F ჯგუფის ხელნაწერთა უმრავლესობა. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ 37-ის გვერდით 28 : 2 განიხილება როგორც ფსევდობასილური თხზულება.

4. გარდა ამ ორი ქადაგებისა. ხელნაწერებს აკლია მე-14. მე-15 და 115-ე ფსალმუნზე დაწერილი ქადაგებები.

5. ზოგ შემთხვევაში 17 ქადაგების შემცველი ხელნაწერები იყენებენ იშვიათ, 132-ე ფსალმუნზე დაწერილ ჰომილიას (მასზე უკვე გვქონდა გაკვირით საუბარი). რომელსაც ძირითადად შეიცავს M ჯგუფის ხელნაწერები. საზოგადოდ ეს ხელნაწერები გამოირჩევიან სწორედ მათში შემავალი თავების სიმრავლით. კერძოდ, აქვთ ძალიან ვრცელი დამატება და შესაბამისად ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებათა რიცხვიც 18-ს სწორედ აქ აღწევს.

ასეთია ფსალმუნებზე დაწერილ ჰომილიათა რიცხვი, თანამიმდევრობა და განლაგება ბერძნულ ხელნაწერებში. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს ქადაგებები და საუბრები სხვადასხვა თემაზე ყველა ბერძნულ ხელნაწერში (გამონაკლისის გარდა) განუყოფელია.

ზემოთ აღნიშნულ თხზულებათა გარდა, ბასილის ქადაგებათა შემცველი ხელნაწერები შეიცავენ ე. წ. „დამატებებს“, ე. ი. შრომებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ განეკუთვნებიან ქადაგებათა ტრადიციას. რა ხასიათის თხზულებებს წარმოადგენს ეს დამატებები, რა რაოდენობითა და თანამიმდევრობით არიან ისინი განლაგებულნი ბერძნულ ხელნაწერებში, არის თუ არა ზემოთ დასახელებულ 14 ტიპის ხელნაწერთა შორის განსხვავებანი დამატებათა მიხედვით, აქვს თუ არა ამა თუ იმ ჯგუფის ხელნაწერებს ე. წ. „საკუთარი“ დამატებითი თხზულებები? აი კითხვები, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი.

„დამატებათა“ რიცხვში ჩვეულებრივ შედის: 1. ბასილის ეპისტოლეები, სხვა ავტორთა თხზულებები, 3. ბასილის ის შრომები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ქადაგებათა ტრადიციას და 4. ფსევდობასილური თხზულებები.

1. ბასილის ქადაგებათა კრებულები დიდი რაოდენობით შეიცავენ მის ეპისტოლეებს. ხელნაწერებში მათი საერთო რაოდენობა 30-ს აღემატება. 14 ჯგუფიდან ორი (M, N) — შეიცავს წერილების მთელ სერიას. აი, ის ეპისტოლეები, რომელთაც ადგილი დაიმკვიდრეს ბასილის ჰომილიათა შემცველ ხელნაწერებში: 2, 5, 6, 11, 15, 16, 17, 21, 22, 38, 42, 44, 45, 46, 52, 53, 59, 85, 90, 92, 115, 154, 174, 210, 243, 260, 261, 262, 321, 366 (P.G, 32, 219—1110).

2. იმ სხვა ავტორთაგან, რომელთა ნაწარმოებებსაც შეიცავენ კრებულები, საკმარისია დავასახელოთ გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და ა. შ. მაგ., ხელნაწერი Atheniensis 320 (XIII ს.) შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის 16, ხოლო Milan Ambrosianus 1003 (X ს.) იოანე ოქროპირის ერთ თხზულებას. განსაკუთრებით საინტერესოა იშვიათი პალიმესტი Berlin, Berolinensis 263, IX ს. მასში მოთავსებული ბასილის ჰომილიები გადაწერილია IX საუკუნეში, ხოლო უკვე მოგვიანებით, XI საუკუნეში ხელნაწერი ხელმეორედ შეუესიათ ეფრემ ასურისა და იოანე ოქროპირის შრომებით. Paris Parisinus 497 (X ს.) შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის „Epitaphium Basilii...“ (P.G, 36, 493—605), ხოლო Vienne Vindob theol.

37, X—XI საუკუნის ხელნაწერი კი გრიგოლ ნოსელის „Encomium Mellium epix...“ (P.G. 46, 851—864). მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება.

დამატებათა რიცხვში აგრეთვე ძალიან ხშირად შედის ბასილის ასკეტიკური ნაწარმოებები:

1. De Baptismo — ნათლისღების შესახებ 1 1 (P.G, 31, 1513—1525);
2. De Baptismo — ნათლისღების შესახებ, 1 :2, (P.G, 31, 1525—1572);
3. Discours 11 — სიტყვა 11 (P.G, 31, 625—648);
4. Discours 12 — სიტყვა 12 (P.G, 31, 648—652);
5. Ex asceticis (Τὸ ἀσκητικὸν ἔργον)¹⁹.

3. ბასილის ჰომილიათა შემცველი ხელნაწერები დიდი რაოდენობით შეიცავს ფსევდობასილურ ნაწერებს. იმ „საეკეო“²⁰ თხზულებათაგან, რომლებიც ხელნაწერებში შესულია ბასილის სახელით, პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნეს:

ა. Περὶ παρθενείας (Virg.), (Ἐκείνου ἡμῶν τὸ ἀποδείξιαιον λαβὼν παρὰ τῶν Μονῶν). ამ ჰომილიის დასაწყისას მცირე ნაწილი გამოქვეყნებული იქნა კარდინალ პიტრას მიერ (S. B. Pitra, Analecta Sacra etc., V, 1888, p. 108). განხილულ ბერძნულ ხელნაწერთაგან მას იცნობს თურძმეტი.

ბ. Ἰνὰ τὰ ὕδατα καὶ εἰς τὸ ἕρπον βῆπαναμα. (In aquas) (Τὸν ἕρπον χμῖς ἐπὶ τῆς παρῆρας καὶ παρῆρας ἀπαχυσήσας.). ამ თხზულებას იცნობს მხოლოდ M ჯგუფის ხელნაწერები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი შესულია ერთ-ერთ ჰაგიოგრაფიულ კოლექტში (Vatic. 679, XIs, ff. 271r—272v) იოანე ოქროპირის სახელით.

გ. Ἰνὰ τὸ ἕρπον πάσχα (Pascha) (Χριστὸς ἐγερθήτω, χριστάμασεν Χριστὸς ἀναστῆ, ἀναστῆμασεν). ეს ნაწარმოებიც შესულია მხოლოდ M ჯგუფის სამ ხელნაწერში და აუცილებლად მიეკუთვნება ფსევდობასილურ თხზულებათა რიცხვს.

ორი ჰომილია: De misericordia et iudicio (P.G, 31, 1705—1714) და Homilia consolatoria ad aegrotum (P.G, 31, 1713—1722). (Parisina, 1839) Mis et iud. შედის 20 ხელნაწერში. იგი ძალიან ადრე შევიდა ბასილის თხზულებათა შემადგენლობაში, რადგან ნახსენები აქვს სვიმეონ მეტაფრასტს (P.G, 31, 1164). Hom. cons. გვხვდება M და N ჯგუფის 17 ხელნაწერში, რომლებიც ერთხმად მიუთითებენ მის ფსევდობასილურ წარმომავლობაზე. ეს ჰომილია ეკუთვნის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის პროკლეს კალამს (390—446) და ინტერესს იწვევს, როგორც ნიმუში პროკლეს რელიგიური მკერმეტყველებისა. ასევე ფსევდობასილურ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის რამდენიმე

¹⁹ ეს თავი განსხვავებული დასასრულით შესულია ხელნაწერებში: Athous Iviron 58 (XIII ს.) და Vatic. 733 (XIV ს.), რომლებიც წარმოადგენენ ასკეტიკური ხასიათის კრებულებს.

²⁰ როგორც უკვე აღინიშნა, მის მიერ გამოცემული 31 ქადაგებიდან, გარნიემ ფსევდობასილურად მიიჩნია შეიღი უკანასკნელი. „საეკეო“ ჰომილიათა რიცხვს რუბერგი კიდევ უმატებს 23-ე და 24-ე თავებს. ესენია: Ἰνὰ τὸν ἕρπον μαρτυρεῖ Μάρτυρα. (P. G. 31, 589—600). 2. Κατὰ Σαββηλαίου καὶ Ἀρείου, καὶ τῶν ἀποστόλων. ფსევდობასილურად წოდებული ეს თხზულებები ყველაზე ხშირად მეორდება (PG, 31, 600—617) თოთხმეტევე ჯგუფის ბერძნულ ხელნაწერებში და მტკიცედ უკავშირდება ბასილის სხვა ნაწარმოებებს. სწორედ ამან განაპირობა მათი დამკვიდრება ბასილის თხზულებათა საუკეთესო გამოცემაში.

გამოუქვეყნებელი ჰომილია, რომელიც ძირითადად მოთავსებულია L, M და N ჯგუფის ხელნაწერებში:

1. Εἰς τὸν πατρὸς αὐτοῦ ἐπίσκοπον ἐγκώμιον (Πρὸς ἐστὶν ὁ ποιμὴν ὁ καλὸς...);
2. Εἰς τὴν Τριᾶδα (Ἐπίγνωσις πατρὸς...);
3. Εἰς ἄγιον πᾶσα (Ὁς ξέντην ἐορτήν...);
4. Εἰς τὸ κατὰ Λουκᾶν εὐαγγέλιον καὶ εἰς τὴν "Λυκᾶν τὸ δὲ παιδίον (Πρώτην μὲν, ἀγαπητὴ Συναγωγῶν.);
Εἰς τὴν λιμνῆν Γεννησαρέθ, καὶ εἰς Πέτρον τὸν ἀπόστολον. (Ἡ Γεννησαρέθ πόλις ἐστὶ τῆς Γαλιλαίας);
6. Εἰς μνήμην μαρτύρων (Οἱ ἄγιοι μάρτυρες, σὶ ἀληθείας μάρτυρες);
7. Εἰς Ἀβραάμ (Πανήγυριν τὴν εἶποι);
8. Ἐκ τῶν κατὰ Λουκᾶν εὐαγγέλιον εἰς (Ὡς κατὰ τὰ τῆδε πάντα καὶ πολλὰ φέρουσιν.);
9. Εἰς τὴν τῶν ἀποστόλων χειροτονίαν. (Μωυσῆς μὲν τῷ Σινῇ πολλὰκις ἐπιβέβηκεν ἕρει.);
10. Περὶ τῆς ἐν Χριστῷ πολιτείας. (Ἀδελφοὶ μακαρίας κλήσεως);
11. Ἀρχὸς β' περὶ παρρησίας. (Οἱ μὲν τὴν προαίρεσιν ἀνθρώπου.);
12. Περὶ καρτερίας καὶ θεραπειαιῶν πόνων. (Ἀγαθότης μὲν Θεὸς πάντων ἀπ. ἀρχῆς αἰεὶς ἐστίν.);
13. Περὶ εὐπορίας (Περὶ τῆς πολιτείας ἡμῶν, ἀδελφοί.).

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ X საუკუნეში გადაწერილი ბასილ კაპადოკიელის ქადაგებათა კიდევ ერთი ბერძნული კრებული Gr—48. ცნობილი პაპიროლოგის გიორგი წერეთლის არქივიდან, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბელგიელი მეცნიერის ა. ჯაკობის განსაზღვრით, ეს ხელნაწერი იტალიური წარმოშობისაა, გადაწერილია იტალიის ერთ-ერთ ბერძნულ მონასტერში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრებული არ შეიცავს იმ ჰომილიებს, რომლებიც ხშირად მხოლოდ იტალიური ხელნაწერების საკუთრებას წარმოადგენენ და რომლებიც იტალიურმა ტრადიციამ ბასილის შემოქმედებას მიაკუთვნა: ესენია: Horam illam ორი გამოუქვეყნებელი თხზულება Pasca და In aquas, ასევე Sp. S და Mamas-ის შერწყმით მიღებული ერთი ჰომილია (25 + 23).

მასში შემავალი თავების განლაგებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. რომ ამ ხელნაწერს არაფერი აქვს საერთო როგორც ათონურ ბერძნულ კრებულებთან. ისე ჩვენთვის საინტერესო ათონური წარმოშობის ქართულ ხელნაწერთანაც.

²¹ ეს ხელნაწერი დაწერილებით არის აღწერილი. იხ. E. Θ. Γραστρεμ, *Неизвестный греческий сборник бесед Василия Великого*, „მატე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 1, გვ. 173—178.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა).

უჩა ცინდელიანი

ძველი აღთქმის ქართული თარგმანის შიშართეზისათვის
აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტებთან „მეფეთა“
IV წიგნის მიხედვით

(ძირითად ტექსტში შესული წაკითხვები)

ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა¹ აკვილასა და სვიმასოსის იმ ვარიანტების შესახებ, რომლებიც ბიბლიის ქართული ნუსხების A-570, A-646 და J-113²-ის არშიებზეა დადასტურებული³. ვარიანტების აღნიშვნის ამგვარი ტრადიცია ძირითადად LXX jzy ნუსხებსა, სირო-ჰეგზაპლასა და სომხურში გამოიყენება⁴. დროთა განმავლობაში ხელნაწერების არშიებზე დადასტურებული ეს ვარიანტები გადამწერებს, უმთავრესად კი რედაქტორებს, ძირითად ტექსტში შექმონდათ მათზე სპეციალური მითითების გარეშე და ამრიგად, მარგინალური წაკითხვა ძირითადი ტექსტის კუთვნილებად გადაიქცეოდა ხოლმე⁵. ამ სტატიის მიზანს „მეფეთა“ IV წიგნის ქართული თარგმანის სწორედ ანალოგიური წაკითხვების წარმოჩენა და გაანალიზება წარმოადგენს. მაგრამ სანამ საკუთრივ ქართული მასალის განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია მოკლედ შევეცხოთ LXX ძველი თარგმანის მიმართების საკითხს „უმცროს“ მთარგმნელთა მასალასთან.

LXX ტექსტის განვითარებაში ახლა გარკვევით გამოიყოფა ოთხი საფეხური: 1 ძველი ბერძნული თარგმანი, 2 პროტო-ლუკიანეს ტექსტი 3 *zachę* რეცენზია და 4 ორიგენეს რეცენზია, რომელიც ჰეგზაპლას სახელწოდებითაა

¹ იხ. უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში (მარგინალური წაკითხვები), „მატნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1973 წელი. ამ საკითხს სპეციალური სტატია უძღვნა I. Birdsall-მა: *Traces of the Jewish Greek Biblical Versions in Georgian Manuscript Sources*, *Journal of Semitic Studies*, vol. 17, № 1, Spring, 1972.

² ბიბლიის ქართულ ნუსხებს აღნიშნავთ ლიტერებით: A—570=I, A—646=Γ, J—113=J, A—51=S, ოშკის ბიბლია=O.

³ FI ნუსხების ვარიანტების უმრავლესობა წარმოდგენილია ავტორების დასახელებით, ხოლო J ნუსხაში ჩვენ მიერ პირველად დადასტურებული ექვსივე ვარიანტი ანონიმურია. ამათგან სამი FI ნუსხების ვარიანტებს დაემთხვა, დანარჩენ სამს კი FI ნუსხები საერთოდ არ იცნობს. როგორც უკვე აღნიშნეთ, ერთ-ერთ ამ უცნობ ვარიანტთაგანს პარალელი ეძებნება უცხოურ ტექსტებში. სომხური ტრადიციის მიხედვით იგი სვიმასოსს მიეწერება, ხოლო j(ing) Syr(mg) წყაროებში ეს ვარიანტი, მსგავსად J ნუსხისა, ანონიმურია.

⁴ ესარგებლობთ წყაროებით: *The Old Testament in Greek*, ed. by Brooke Mclean Thackeray, vol. II, I and II Kings, Cambridge, 1930. *საიოიადაჟიონე მათიხან, ნათ. II, ქ. ლენსოიქ, 1805.*

⁵ B o J o h n s o n, *Die Hexaplarische Rezension des Ersten Samuelbuches der Septuaginta*, Lund, 1963, გვ. 107—122. *Septuaginta-Studien*, herausgegeben von A. Rahlfs, *Studien zu den Königbüchern*, Cöttingen, 1904. *Les Devanciers D'Aquila*, par D. Barthelemy, Leiden, 1963.

ცნობილი⁶. ამათგან პირველი სამი ქმნის ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის პრე-მასორეტულ ტიპს, ხოლო მეოთხე ბერძნული და მასორეტული ტექსტების ასიმილაციას წარმოადგენს⁷. ამიტომ ბიბლიოლოგია დღეს ცხოველი ინტერესით იკვლევს, თუ LXX რომელი ვერსიები და რომელი ნუსხები განიცდიან ჰეგზაპლას აშკარა გავლენას და რომელი — არა⁸. ცალკეული წიგნების მიხედვით ეს საკითხი მონოგრაფიულადაც არის შესწავლილი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისეთი ტექსტები, როგორცაა LXX ალექსანდრიული ვერსია. მასთან ახლო მდგომი CX ნუსხების ტექსტი, ლუკიანეს რეცენზია და სომხური თარგმანი აშკარად ჰეგზაპლას გავლენას განიცდიან, თუმცა ეს გავლენა შესაძლებელია მეორეულიც იყოს⁹.

ამასთანავე უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ბიბლიის ყველა წიგნი ერთგვარად როდია დავალებული ჰეგზაპლასაგან. ასე მაგალითად, პამფილიუსის მიერ „მეფეთა“ ოთხივე წიგნი, „ნეშტთა“ I და II და „ესთერის“ წიგნები საგულდაგულოდ იქნა შედარებული ორიგენეს ჰეგზაპლებთან¹⁰. ასევე აშკარად ჰეგზაპლასთანაა კავშირში „რუთის“, „მსაჯულთასა“ და „ესაიას“ წიგნებიც¹¹.

ძველი აღთქმის ქართული თარგმანი ორიგენეს ჰეგზაპლებთან მიმართების თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელია¹². ამგვარი სამუშაოს ჩატარება კი ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ქართული ბიბლიის ისეთი საკვანძო საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა ქართული ტექსტის თარგმნის დროისა და წყაროს საკითხები. კერძოდ კი. გარკვევა იმისა, თუ ბიბლიის ქართული თარგმანი LXX რომელ ტექსტებთან ავლენს მეტ სიახლოვეს, პრე-მასორეტულთან თუ ორიგენეს ჰეგზაპლებთან, ქართული ტექსტის მრავალ საჭირობოროტო საკითხს მოჰფენდა შუქს. ამგვარი სამუშაოს დასაწყის ეტაპად მიგვაჩნია სწორედ ისეთი წაკითხვების გამოვლენა, რომლებიც წარმოშობით „უმცროს“

⁶ J. S h e n k e l, Chronology and Recensional Development [in the Greek Text of Kings, Cambridge, 1968, გვ. 5, და შემდგომ.

⁷ იქვე, გვ. 5.

⁸ I. S o i s a l o - S o i n i n e n, Der Charakter der asterisierten Zusätze in der Septuaginta, Helsinki, 1959; Die Infinitive in der Septuaginta, Helsinki, 1965.

⁹ B o J o h n s o n, ხს. შრ., გვ. 107; J. S h e n k e l, ხს. შრ.; საკითხის დასმისათვის იხ. I. S o i s a l o - S o i n i n e n, Die Textformen der Septuaginta-Übersetzung der Richterbuches, Helsinki, 1951; J. Z i e g l e r, Beiträge zur Jeremias - Septuaginta, Göttingen, 1958.

¹⁰ Septuaginta Vetus Testamentum Graecum... vol. VIII, 3, Esther. edidit R. Hanhart. Göttingen, 1966, გვ. 60.

¹¹ I. S o i s a l o - S o i n i n e n, Die Textformen...; J. Z i e g l e r, ხს. შრ.; მისივე: Textkritische Notizen zu den jüngeren griechischen Übersetzungen des Buches Jsaias, Göttingen, 1939.

¹² ვიციით მხოლოდ, რომ ორიგენეს ჰეგზაპლებს ჩვენში ჯერ კიდევ X ს. გასულამდე იცნობდნენ. ამ დროისათვის მას „ექუსშთასავლელი“ პრქმევია, ხოლო XI ს. არსენ იყალთოელს მის ნაცულად ახალი ტერმინი „ექუსკეცი“ შემოუღია (იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 425). საგანგებოდაა შესასწავლი უცხოურ ტექსტებში (LXX Syr Arm) ჰეგზაპლარული ნიშნებით (✕ asteriskus, ÷ obelus და inobelus) აღნიშნულ წაკითხვებთან ქართული თარგმანის მიმართების საკითხი. ასევე ძალზე დიდ ინტერესს იწვევს თვით ამ ნიშნების გამოყენება-არგამოყენების საკითხი ქართულ ტექსტში. ჯერ-ჯერობით ოშკის ბიბლიაში ჩვენ დავადასტურეთ ✕ და ÷ ნიშნების გამოყენების რამდენიმე შემთხვევა და, რაც ძალზე საგულისხმოა, ისინი გვხვდება სწორედ იქ, სადაც Syrc₂Or წყაროების მიხედვით ამ ნიშნების ხმარებაა მოსალოდნელი.

მთარგმნელებს, უმთავრესად აკვილას ან სვიმახოსს განეკუთვნება და შეჭრილია ძირითად ტექსტში მათზე სპეციალური მითითების გარეშე¹³.

როგორც ამას ფაქტობრივი მასალაც დაგვანახვებს, ამგვარი წაკითხვების წყაროს დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. ამასთანავე არც „მეფეთა“ IV წიგნის ყველა ნუსხა იძლევა ამ მხრივ ერთიან სურათს¹⁴. ზოგ ნუსხაში „უმცროს“ მთარგმნელებთან დაკავშირებული მასალა მეტი დოზითაა წარმოდგენილი, ზოგში კი — ნაკლები, რაც ცალკეული ნუსხის ტექსტის ისტორიის დასახასიათებლად ძვირფას ინფორმაციას წარმოადგენს. ხელნაწერებს შორის მასალის წარმოდგენის ხასიათშიც შეინიშნება სხვაობა:

ხელნაწერების ერთ ნაწილში „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტს მთლიანად განუდევნია ძირითადი ტექსტის წაკითხვა, ხოლო მეორე ნაწილში ძირითადი ტექსტის წაკითხვის პარალელურად დადასტურებულია მისი ვარიანტიც. რის შედეგადაც საბოლოოდ ვღებულობთ ე. წ. მრჩობლ (დუბლეტურ) წაკითხვებს. მრჩობლი წაკითხვებით განსაკუთრებით გამოირჩევა J ნუსხა, რაც ამ ხელნაწერის მიმართ საგანგებოდ გვამახვილებინებს ყურადღებას:

2₁₄: $\alpha\phi\phi\omega$ B: $\alpha\psi\omega$ s'he: *αψιψιψι*: აფფო S: ოფფო O: ამფო FI ნაცვლად $\alpha'\sigma'$ -თან კვითხულობთ: α' *ααι-περ σ' ααι νυν j. LXX r* იძლევა *νυν* წაკითხვას. რაც შეეხება J ნუსხის მრჩობლ წაკითხვას „და აწცა აფფო“, იგი პარალელს ამ შემთხვევაში მხოლოდ LXX v ლიტერით აღნიშნულ ნუსხასთან პოულობს, რომელშიც გვაქვს ანალოგიური წაკითხვა: *ααι νυν αφφω*. J ნუსხის ამ მრჩობლი წაკითხვის გამოკლებით, Ψ რედაქციის ნუსხები აქაც ერთად დგას და უპირისპირდება Σ რედაქციის ათონურ ნუსხას: *πσθ ε μεδς Ηλεισσ αφφω* B: სადა არს უფალი იგი ელიაესი ოფფო O| *πσθ ασρ:ος ο μεος Ηλεισσ αφφω εμoxySyr: αρ σα α'ρ α'θ ιηψαψ αψιψιψι*: სადა არს უფალი ღმერთი ელიაესი აფფო (ამფო FI!) FIS: სადა ხარ უფალი ღმერთი ელიაესი და აწცა აფფო J (შდრ. MT где Гсспсдх Бсг Илии он самый) *εμoxySyrAgn* და ქართული F I J S წყაროების *ჯ'დ ο μεος: σα α'ρ α'θ*: არს უფალი ღმერთი ისევ $\alpha'\sigma'$ -გან არის დავალებული: LXX j ნუსხა მათთვისაც *ჯ'დ ο μεος* წაკითხვას უთითებს.

ანალოგიური სურათია 10₁₀ მუხლშიც, სადაც LXX $\alpha\phi\phi\omega$: *αψιψιψι*: აფფო F I O S წაკითხვის $\alpha'\sigma'$ -ის ვარიანტებად j ნუსხა ასახელებს: α' *ααι-περ σ' ουν νυν*. სომხური არშიაზე უთითებს ანონიმურ ვარიანტს *αψθθ*. J ნუსხას ეს ვარიანტიც ძირითად ტექსტში შეუღანია: აწ აფფო. ასეთივე მრჩობლი წაკითხვა დასტურდება Syr-შიც, რომელიც კემბრიჯული გამოცემის თანახმად კითხულობს: $\alpha\phi\phi\omega$ | + \times σ' *igitur i ure* Syr „ამრიგად აწ“.

განხილული ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, რომ J ნუსხის ძირითადი ტექსტის ორივე წაკითხვა (2₁₄: და აწცა, 10₁₀: აწ) σ' -ის *ααι νυν | ουν νυν* ვარიანტებს შეესატყვისება (შდრ. 10₁₀-ის სომხური *αψθθ* „აწ“ ანონიმური ვარიანტიც).

¹³ JS ნუსხებში დადასტურებულ რამდენიმე ასეთ წაკითხვაზე ჩვენ უკვე მიუუთითეთ. იხ. უ. ციციანი, ხს. შრ., გვ. 58.

¹⁴ ქართული ნუსხები რედაქციულად ასეა განაწილებული: Σ რედაქციის ტექსტი წარმოდგენილია 976 წლის ათონური ნუსხით, ხოლო დანარჩენი F I J S ნუსხები Ψ რედაქციაშია გაერთიანებული.

3₄: LXX ἦν ἡ ἀρχὴ: *ἔρ ἡσικαῖθ* ed: *ἔρ ἡσικαῖθ* codd: იყო ნეკედს O: იყო ნოკედს FIS| იყო ნოკედს მემცხოვრე J. LXX კემბრიჯული გამოცემა აქ იცნობს α'σ'-ის ვარიანტებს: α' ἦν ποιμιστροφος |Syr(uid)Syr-ap-Barh-ed „იყო ფარის მეთვალყურე, ფარის მკვებავი“: σ' ἦν τρεφῶν βοακηματα | „იყო მკვებავი ფარისა ან ნახირისა“. სომხური ტექსტი ასახელებს სამ ანონიმურ ვარიანტს: *չպիտ, խաչնասիտ, հասարոյծ*. ამათგან პირველი ვარიანტი *չպիտ=հովիւ* „მეცხვარე, მწყემსი“. რაც შეეხება დანარჩენ ორ ვარიანტს, ისინი შედგენილობით კომპოზიტებია: *հաս + ա + ռոյծ (րուծի)* „ფარის მკვებავი“, *խաչն + ա + տիտ* „ფარის მეთვალყურე“.

J ნუსხის „მემცხოვრე“ ზემოთ განხილული ვარიანტებიდან ყველაზე უკეთ სომხურ *չպիտ*-ს შეესატყვისება, თუმცა არც იმ ფაქტს უნდა ავთაროთ გვერდი, რომ ანალოგიური მრჩობლი წაკითხვა — *ποιμιστροφος ἡ ἀρχὴ*¹⁵ — სემპტიანტის x ნუსხაშიც დასტურდება, რომელთანაც J ნუსხა სხვა მხრივაც ამტკიცებს ნათესაობას¹⁶.

3₇: *μητρίμελιος: ἡλιζ (ἡλιζ: ἡλιζ* codd): სინანულ FICS| რისხვა სინანულ J; კემბრიჯ. გამოცემის მიხედვით აქ Syr Syr-ap-Barh წყაროებში გვაქვს α'-ს ვარიანტი *irritatio* „აღგზნება, აღელვება“, ხოლო სომხურის არმია კი ანონიმურ ვარიანტს *ահարկու թիւն*-ს „შიში, საშინელება“ ასახელებს. აქვე დავიმოწმებთ Velus Latina-სა და LXX № 71 ნუსხის ივენებს, რომლებიც შესაბამისად ძირითად ტექსტში კიბულდობენ *tristitia*=*λαπη* „მწყუხარება“, რაც ნათელს ხდის J ნუსხის „რისხვა“ წაკითხვის სიახლოვეს Syr Syr-ap-Barh წყაროების α'-ს ვარიანტთან. საყუ აღვებთა, რომ „რისხვა სინანულ“ მრჩობლი წაკითხვა ამჯერად J ნუსხის გარდა არც ერთ წყაროში არ დასტურდება.

10₂₇: ამ მუხლის σ'-ის ვარიანტებზე, რომლებიც დასტურდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტექსტებში, უკვე გვქონდა საუბარი¹⁷, ამიტომ აქ მხოლოდ ქართულ მასალას დავიმოწმებთ. ამ მუხლის „ყვეს იგი აღგილ სასკოროთა“ ძირითადი ტექსტის წაკითხვას FI ნუსხების არშიაზე აქვს σ'-ის „სასავლედ და სასკორედ“ ვარიანტი. J ნუსხა აქ კვლავ მრჩობლ წაკითხვას გვთავაზობს¹⁸: „ყვეს იგი აღგილ სასკორეთა სასკოროთა“, რაც მარგინალური ვარიანტის ძირითად ტექსტში შეჭრის შედეგი ჩანს. პარალელურ ტექსტებში არც ამჯერად გვხვდება მრჩობლი წაკითხვა.

23₅ LXX *μαζοσρῶθ* ებრაული *mazzārōt*-ის ტრანსკრიბირებული ვარიანტია. სირიული, გარდა იმისა, რომ ებრაულ *mazzārōt*-ს უცვლელად აღნუსხავს, უთათებს აგრეთვე α'-ს ვარიანტსაც: *תויע* *μαζοσρῶθ* | α' *Izūdīe* Syr ხო-

¹⁵ შტრ. ასევე: *ἦν ἡ ἀρχὴ* | *ἀρχαιοποιη* r: *pecuarius* Lat⁽²⁾: *nutriens oves* Syr-ap-Barh-codd; აგრეთვე: *ἡ ἀρχὴ* | *ἀρχιποιμενα* o: *ἀλλοι: ερμηγευται εἰπον τον ἡ ἀρχὴ* z, ე. ი. „*ἀρχιποιμενα*-ს სხვა კომენტატორები ნოკედად იტყვიან“: σ' *kaput paslorum* Syr-ap-Barh (α' pro σ' codd).

¹⁶ უ. ცინდელიანი, მეფეთა პირველი ორი წიგნის ქართული რედაქციები, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 47 და შემდგომ.

¹⁷ უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმეონის ვარიანტები..., გვ. 58; I. Birdsall, ხს. შტრ., გვ. 107.

¹⁸ ვარიანტული სხვაობით ეს მრჩობლი წაკითხვა განმეორებულია S-შიც: „ყვეს იგი აღგილ სასკორედ სასკოროთა“. შტრ. აგრეთვე 15₆: აფთოთ FJ S| α' ფარულად FI| დაფარულად აფთოთ S და 25₄: *την Αραβια: σιρσρσϰ* | არაბიაჲსა O| *την εν: δουσμας* ს+ : აღმოსავლეთ F(I)| არაბიათ აღმოსავლეთ S.

ლო LXX pi ნუსხებში μαζσαρამ] ασρσις i: τα θιδεα ζοσθηα τος οσρσος
 p. სიტყვა მაჯსარამ სულ ორჯერაა ნახმარი ბიბლიაში და ნიშნავს ზოდიაქოს¹⁹. როგორც Syr აკვილას ვარიანტი Izūdiē, ისე P ნუსხის ჯოსთჲა²⁰ ამავე მნიშვნელობით ჩანს გამოყენებული. სომხური ტექსტი სათანადო ადგილას კითხულობს **ⲕ Ლⲁⲱⲱⲛⲓⲕⲁⲱ**, რაც ნიშნავს როგორც „ვარსკვლავს“, ისე „თანავარსკვლავედსაც“. ქართული **Ⲛ** რედაქციის შესაბამისი „და ვარსკულავთა“ წაკითხვა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გაგებულ იქნეს ორგვარად: „ვარსკვლავი || თანავარსკვლავედი“, რაც თითქოს კომპენსირებულია **Ⲛ** რედაქციის მჩრბლ წაკითხვაში „და ვარსკულავთა და ჯომთა“ FIJS (მდრ. ჯომი 4 მეფ. 23, პლიადი, მრავალვარსკვლავი, საბა). როგორც ჩანს, ჯომი აქ ზოდიაქოს სინონიმადაა ნახმარი (ზოდიაქოც ხომ მრავალი ვარსკვლავისაგან— 12 თანავარსკვლავ დისაგან შედგება) და წარმოშობით კავშირში უნდა იყოს „უმცროს“ მთარგმნელთა ტრადიციასთან²¹. ფაქტობრივად ანალოგიური ხასიათისა უნდა იყოს რამდენიმე მჩრბლი წაკითხვა, რომელსაც ჩვენ აქ **Ⲛ** რედაქციიდან მოვიყვანთ, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ისინი გაჩენილი იყოს პირვანდელი ქართული თარგმანის უცხო წყაროსთან ხელახალი შეჯერების ნიადაგზე; განსაკუთრებით ითქმის ეს **Ⲛ** მუხლის მიმართ: ⲉⲛⲁⲟⲗⲁⲛⲁⲛⲟ: აღიხილა JS (I დეფ.) **Ⲛⲁⲛⲓⲕⲁⲱⲣⲁⲱ**: ან დე ზობა (ან დე რძობა F, γ, ρ და აღიხილა (F)C.

22₂₀ **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: მშვიდობით FIJS] **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** ASyr: მშვიდობით + იერუსალემს O. კემბრიჯული გამოცემა აქ უჩვენებს: **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** **ⲉⲓⲣⲓ**. **ⲁ' Ჟ' Კ' Ᲊ' Დ**. IACO Syr = **ⲟ: γ' ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** **ⲓⲛ: Ჟ' (Ჟ'Z) ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** **ⲓⲛ**. მაშასადამე, „იერუსალემს“ წაკითხვა **Ⲛ** რედაქციაში უნდა მოხვედრილიყო ან A Arim Syr წყაროების მეშვეობით (ისინი თავის მხრივ დავალებული არიან **ⲟ'** წყაროსაგან), ანდა უშუალოდ **ⲟ'** წყაროს საშუალებით. უფრო ამ უკანასკნელისაგან, რადგან **Ⲛ** რედაქცია მსგავსად **Ⲛ** რედაქციისა კითხულობს „საფლავსა“, მაშინ როდესაც A Arim Syr წყაროებში აქ „ადგილსა“ წაკითხვა გვაქვს: **ⲉⲓⲛⲁⲧⲟⲛⲟⲩⲟⲩⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: საფლავად შენდა მშვიდობით FIJS: საფლავსა შენსა მშვიდობით + იერუსალემს C] **ⲉⲓⲟⲩⲟⲩⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** A Syr: **ⲓⲛⲓⲕⲁⲱⲣⲁⲱ ⲓⲛⲁⲛ**; თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რედაქტორმა ქართული ტექსტის შეჯერების დროს „იერუსალემს“ წაკითხვა კი შეიკანა ტექსტში, მაგრამ მეორე წაკითხვა „საფლავსა“ გაუსწორებლად დარჩა.

25₁₃: **ⲙⲉⲕⲁⲱⲛⲁⲙ**: **Ⲛⲁⲓⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ** cd: **Ⲛⲁⲓⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ** codd] **ⲓⲛⲁⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ** by(mg) **ⲉⲓⲟⲩⲟⲩⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**. ხარისხნი FIS (J დეფ.): ხარისხნი იგი და მიქონოდნი (I) იგი O. კემბრიჯული გამოცემის თანახმად Syr აქ გვაძლევს **ⲟ'**-ის ვარიანტს: **ⲛⲁⲓⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ** **ⲟ'** el bases, რაც კარგად ეთანხმება ქართულ „ხარისხნი“-ს. სომხური არშის ვარიანტი **ⲓⲛⲁⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ** „ქოთანი, ურნა“, რომელსაც სომხური ტრადიცია **ⲁ'**-ს

¹⁹ G. L a m p e, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961, გვ. 819. (იმოწმებს იობ. 38₂₃) სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ.: F. Z o r e l l. Lexicon Hebraicum et Aramaicum Veteris Testamenti, Roma, 1960, გვ. 424.

²⁰ ბერძნული ლექსიკონებში **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ** ფორმად დასტურდება, გვაქვს მხოლოდ **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**
²¹ ზოჯერ J ნუსხაში (მას **Ⲛ** რედაქციის სხვა ნუსხებიც შეუერთდება ხოლმე) თავს იჩენს ისეთი მჩრბლი წაკითხვები, რომლებიც სხვა ნიადაგზე უნდა იყოს გაჩენილი: 5₁₈ **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: ირინი-იქსნი: კურთხევა O: კურთხეული (+იგი I) IFS] ევლოგია **ⲉ** კურთხეული J: 23₂₁ **ⲓⲛⲁⲛⲉⲕⲓⲛⲓⲟⲓⲩⲁⲛ**: **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: დღესასწაული O] ზატიკი პასექისა **ⲉ** FIJS; 23₂₂: **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: **ⲉⲱⲉⲓⲣⲓⲕⲓ**: ზატიკი S: დღესასწაული O] ზატიკი ენებისა **ⲉ** FIJ (მდრ. აგრეთვე 23₂₃: ზატიკი (+იგი S) უფლისა **ⲉ** OS] ზატიკი ესე ენებისა **ⲉ** FIJ.

მიაწერს, ცხადია, ვერ იქნება ქართული წაკითხვის წყარო. საგულისხმოა, რომ 25₁₆-ში **Ϛ** რედაქციის „ხარისხთას“ ბაღლად **Ⲛ** რედაქციაში მხოლოდ „მიქონთ-ნი“ წაკითხვას ვხედავთ (იხ. ქვემოთ).

გარდა განხილული მრჩობლი წაკითხვებისა, „მეფეთა“ IV წიგნის ორივე ქართულ რედაქციაში საკმაოდ დაიძვებნა ცალკეული წაკითხვები, რომლებიც უთუოდ კავშირშია „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტებთან. როგორც ამას ფაქტობრივი მასალაც დაგვანახევებს, მაგალითების სიუხვით აქაც **Ϛ** რედაქცია. კერძოდ კი. J ნუსხა გამოირჩევა, მაგრამ ძალზე საინტერესოა **Ⲛ** რედაქციის ჩვენებაც. რომელიც აქა-იქ უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს ხოლმე:

1₂: **ⲁⲁ: ⲉⲡⲉⲥⲉⲩ Ⲡⲟⲭⲟϥⲓⲁϥ Ⲕⲓⲁ ⲧⲟⲛ ⲔⲓⲁⲧⲤⲱⲧⲟⲛ ⲧⲟⲛ ⲉⲛ ⲧⲩ̅ ⲛ̅ⲡⲉⲣⲱⲩⲁ ⲁⲛⲧⲟⲛ ⲧⲩ̅ ⲉⲛ Ⲛⲁⲙⲁⲣⲉⲓⲁ**²²: **სⲌ ოსიკა ორიქიⲁ | ოქონიⲁ Მⲟⲣსⲁ Კⲁს ᲁⲣდაბაგით Მⲁⲙⲁⲣⲓⲁს FIJS |** და აღვიდა Მⲟⲣსⲁ კანკელსა Კⲁს Მⲟⲣსⲁ Კⲓსსა, რომელ იყო Მⲁⲙⲁⲣⲓⲁს და გარდამოვარდა O. როგორც ვხედავთ, განსხვავება **Ⲛ** და **Ϛ** რედაქციებს შორის ძალზე დიდია, რაც გამოწვეულია **Ⲛ** რედაქციის ტექსტში Ჟⲓ Მⲁⲙⲁⲣⲓⲁს წყაროდან მომდინარე ფენის თანაარსებობით: 1) **LXX Ⲕⲓⲁ ⲧⲟⲛ ⲔⲓⲁⲧⲤⲱⲧⲟⲛ ⲧⲟⲛ ⲉⲛ ⲧⲩ̅ ⲛ̅ⲡⲉⲣⲱⲩⲁ: | Მⲟⲣსⲁ Კⲁს ᲁⲣდაბაგით FIJS** ნაცვლად კემბრიჯული გამოცემა უთითებს: **ⲁ'**-ს ვარიანტს **ⲡⲉⲣⲓ ⲧⲟⲛ ⲁⲓⲭⲗⲓⲛⲔⲟⲧⲟⲛ (ⲁⲓⲭⲗⲓⲛⲔⲟⲧⲟⲛ)**²³ **ⲉⲛ Მⲉⲣⲱⲩⲁ ᲁⲛⲧⲟⲛ JZ**, რასაც თავისი ლექსიკური ბერძნობით²⁴ ზუსტად ემთხვევა **Ⲛ** რედაქციის „კანკელსა Კⲁს Მⲟⲣსⲁ Კⲓსსა“ წაკითხვაც. 2) ყველა პარალელური ტექსტი, მათ შორის აკვილაც, აღნიშნულ მონაკვეთს იწყებს ასე: **ⲁⲁ: ⲉⲡⲉⲥⲉⲩ**²⁵: **ს Მⲟⲣსⲁ**: და გარდამოვარდა FIJS. **Ⲛ** რედაქცია კი ასე: და აღვიდა O. ამ უკანასკნელს კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ტექსტებიდან მხოლოდ **Velus Latina** ემხრობა: **ei ascendit, თუმცა Ⲛ** რედაქცია მთლიანად არც Კⲁს ემთხვევა **et ascendit Ochosias in specula sua superiora que erant in Samaria**: და აღვიდა Მⲟⲣსⲁ კანკელსა Კⲁს Მⲟⲣსⲁ Კⲓსსა, რომელ იყო Მⲁⲙⲁⲣⲓⲁს და გარდამოვარდა O. გარდა ბერძნობისა, **Ⲛ** რედაქციას ლათინურისაგან განასხვავებს „და გარდამოვარდა“ წაკითხვაც, რაც **Velus Latina**-ს **Ⲛ** რედაქციის უშუალო წყაროდ მიჩნევას გამოიჩინებს. მაშასადამე, **Ⲛ** რედაქცია ფლობს რომელიღაც მესამე, ჩვენთვის უცნობ, ბერძნულ წყაროს, რომელიც აკვილას თარგმანისაგან რედაქციულად სხვაობდა. სომხური აქ აკვილა-სემახოსის ვარიანტებს არ იცნობს.

5₁₁: **ⲁⲁ: ⲉⲡⲉⲥⲉⲣⲉⲩⲉⲩⲉⲛ: Მ Მⲟⲣსⲁ** | **ⲁⲁ: ⲁⲛⲧⲉⲣⲛⲟⲩⲉⲩⲉⲛ** b+: და გარდამოვარდა FIS და გარდამოვარდა **JO=σ'** et salutit Syr.

6₁₁: **ⲉⲗⲉⲁⲓⲛⲟⲩⲉⲩⲉⲛ Მ Მⲟⲣსⲁ: Მⲟⲣსⲁ Კⲁს ᲁⲣდაბაგით** | **ⲉⲗⲉⲁⲓⲛⲟⲩⲉⲩⲉⲛ Მ Მⲟⲣსⲁ** b₂c₂: განისხვავდა გული **FIJS=σ'** turbatum est cor Syr (შდრ. perturbatum est cor Lat).

8₃: **ⲙⲁⲛⲛⲁ B: ⲙⲁⲛⲛⲁ** Acliv^b: **ⲙⲁⲛⲛⲁ** O: **ⲙⲁⲛⲛⲁ** FS(J დეფ.)**ⲛⲁⲣⲁ** b+ g y (mg) Jos: ძღუენი **J=σ'** munera Syr.

²² **Ⲡⲟⲭⲟϥⲓⲁϥ — Ⲛⲁⲙⲁⲣⲉⲓⲁ | > b+**.

²³ აქვე გვაქვს სემახოსის ვარიანტიც: **ⲡⲉⲣⲓ ⲧⲟⲛ ⲁⲓⲭⲗⲓⲛⲔⲟⲧⲟⲛ | Ⲕⲓⲁ ⲉⲗⲉⲁⲓⲛⲟⲩⲉⲩⲉⲛ** | თეატრ. „მბრუნავი სტენის ერთ-ერთი სახე“. რაც ცხადყოფს **Ⲛ** რედაქციის წაკითხვის მხოლოდ და მხოლოდ **ⲁ'**-ს ვარიანტიდან მომდინარეობას.

²⁴ **ⲁⲓⲭⲗⲓⲛⲔⲟⲧⲟⲛ**, **ⲓⲛⲟⲩ** — აქ: მოაჭირი. შდრ. **Ⲛ**-ს „კანკელსა“, რას ბაღლად **Ϛ**-ში სულ სხვა ნობრივი სურვილიდან მომდინარე სიტყვა „არდაბაგით“ გვაქვს.

²⁵ საყურადღებოა, რომ ლუკ. რეცენზია, რომლის ძლიერი გავლენაც **Ⲛ** რედაქციას ატყუია, აქ მხოლოდ **ⲁⲁ: ⲉⲡⲉⲥⲉⲩ** წაკითხვას იცნობს.

8₉: *μαανα* B: *μαννα* g^v Aeth: *მანნაი* | *ბარა* c₂^a Jos: ძღუენი FIJOS.

17₃: *μαναχ* B: *μναη* Cyr: *μανα* s* (uid) Aeth: *მანნაი*, მანნანასა FS: მანნასა O | *ბარა* b+gor^a? z=a' *ბარონ* jz | ხარკსა. J=σ' *φορον* jz Syr. სომხური ასახელებს σ' *ιαϊανι* *ინ* „ცხადი, გაცხადებული რამ“ ვარიანტს, რაც არც ერთ წყაროსთან არ პოულობს სერტოს. ეს ვარიანტი გაუგებრობას უნდა ემყარებოდეს. მოდის *ინ* < *ინ* < *ინ* წაკითხვიდან, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს „ქონებას, მონაგარს, მონახვექს“, მაგრამ ვარიანტის მეორე ნაწილი *ιαϊανι* ამ კონტექსტში ნაინც გაუგებარია.

17₄: *μαναα* B: *მანნაი*, მანნა F: მანანა OS | ხარკი J (I) (შღრ. ✕ ε' *μυ- nera* Syr).

20₁₂: *μανααν* B | *ბარა* bc₂e₂: *ყათარაჟა* ძღუენითა FIJS: ძღუენნი S=a' σ' ε' *doi a* Syr „სახუქარი“.

10₁₆: *ἐλαβεν* B | *ευρεν* AN omh Aeth: *იჟი*: პოვა FIJOS=σ, *ευρεν* j.

10₁₈: *ἐζήλωσεν* BAvhAethSyr | *ουνηθροισεν* N: *ძიიიქსაი* შეკრიბა FIJOS=σ' *coi gregavit* Syr.

11₁₀: *τούς σε:ρομάστας και τούς τρισσούς* | *იჟიარჟანან* *և* *იჟიანისი* *ჟინ* =σ' *τα δορατα και την πανοπλιαν* jz: პორლები (+იგი FOS) და კაქუ-ჭური FJOS (შღრ. *τας φαρετρας και τα δορατα* b+).

11₁₅: *ἔσωθεν τὸν ἀσηρώθ:* | *ი* *ინეროიით* *საიეროქსაი*: სადეროთით O: სადეროთით FS (I ღვ.) | სახლისაგან ღმრთისა J(?): შღრ. α' *των περιφορον* jSyr σ' *των διαταξων* j. აქ J ნუსხის წაკითხვის „სახლისაგან ღმრთისა“ კავშირი α' σ'-ის ვარიანტებთან ცხადად არა ჩანს, ამიტომაც იგი კითხვის ნიშნის ქვეშ მოგვყავს. შღრ. 11₁₈, სადაც ძირითადი ტექსტის „სადართოდ“ არშინაზე წარმოდგენილია „ფოლოცთა F, ფოლოცი J“ ვარიანტებით.

19₂₃: *τὸ μέγεθος:* *ი* *ინბოქინ* | სიმაღლე FJOS (I ღვ.)=σ' *altitudi- nem* Syr „სიმაღლე“.

23₅: *τούς χωμαρείμ:* *ი* *ინიარქინ* | *ιερείς* b+i (mg) Syr (mg): მღვდელი იგი FIJS: (ქურუმნიცა იგი O ?)=α' *sacerdotalia* Syr. სომხური უთითებს *ინიანან* „წარმართული ტაძარი“, „კერპი“ აკვილას ვარიანტს, რაც შინაარსობლივ სცილდება Syr აკვილას ვარიანტსა, b+i (mg) Syr (mg) და ქართული წყაროების ჩვენებას.

23₁₀: *ἐν τῇ πόλει:* | *ი* *ინარქინ*: ქალაქსა მას O | *τω ορει* b+Luc „მთასა მას“ FIJS=σ' *in monte* Syr: σ' *ი* *ინიან*.

23₁₀: *ἐρρύθησαν* B | *δ:εσωθη* b+g Thdt: განეჩნეს FIJO=σ' *effugerunt* α' *servata sunt* Syr (შღრ. *ευρεθησαν* AN z* *rell* Syr: *ყთან*: პოვეს S).

23₂₄: *φελητάς* B | *εγγαστριμύθους* b+: მუცლით მეზღაპრენი FIJS=σ' *ventriloquos* Syr (შღრ. *ი* *ინი*: ულუკნი O: α' *magos* Syr).

25₉: *οἶκον* ζο: *ითინ* | *μεγαν* (-γα o) b+xy: სახლები დიდი F (>IOS, J ღვ.)=α' σ' [domum] *inagnam* Syr.

25₁₂: *και εις ταβείν* | *και εις γεοργους* b+y(mg): *և* *იარჟიანარარსი* და ყანის მოქმედად FIS (მოქმედად >I, J ღვ.)=α' *et in fossores* Syr Syr-ap-Barh „მთხრელად“ (C რედაქცია აქ კითხულობს: მეუჩვედი?).

25₁₄: *τὰ ἰαμείν* | *τας κρεαγρας* b+Chr: ფუცხუები FIS: ფუცხუნი O=α' *et urcos* Syr „კავი“=α' *αγκιστρα* j „ანკესი, კავი“ (შღრ. σ' *αναληπτηρα* j „ამოსაღები“).

25₁₆: *και τὰ μεχωνῶθ:* *և* *ინინინი* | მიქონოთნი O | *και τω βασεων* b+Chr: და ხარისხთა FIS (J ღვ.)=σ' ε' *et bases* Syr.

25₁₇: *τὸ* *Χωθάρ:* *ი* *ინი* | ქოთარი O | *τα επιθεματα* b+: (სუეტის) თავნი FIS (J ღვ.)=α' *κεφαλις* j (შღრ. σ' *ακρογωνιαιον* j=σ' *ბაი* *სინან*);

განხილული ფაქტობრივი მასალიდან კარგად ჩანს, რომ „მეფეთა“ IV წიგნის მიხედვით „უმცროს“ მთარგმნელთა ტრადიციის გავლენა Ψ რედაქციაში Σ რედაქციასთან შედარებით გაცილებით ძლიერია (29 : 3). თავის მხრივ Ψ რედაქციის ნუსხებიდან ჰეგზაპლარული მასალით პირველ ადგილზეა J ნუსხა: 23 ნიმუშიდან 9 შემთხვევაში უმცროს მთარგმნელთა მასალა მხოლოდ J ნუსხაში აისახა, ხოლო დანარჩენ 14 შემთხვევაში მას Ψ რედაქციის სხვა ნუსხებიც შეუერთდა. ამას თუ დაემატებთ იმ ფაქტსაც, რომ J ნუსხის არშიაზე დადასტურდა ერთი ისეთი მარგინალური ვარიანტი, რომელსაც ქართული ტრადიცია საერთოდ არ იცნობს, შეიძლება დაბეჭდვით ვთქვათ: ქართული ხელნაწერებიდან J ნუსხა „უმცროს“ მთარგმნელთა მასალას ყველაზე ახლოს იცნობს²⁶. რაც შეეხება ქართული თარგმანის ძირითად ტექსტში შესულ უმცროს მთარგმნელთა ვარიანტების წყაროს, იგი (როგორც ამას განხილული ნიმუშებიც აჩვენებს) ყველა ვარიანტისათვის ერთი და იგივე არ უნდა იყოს. ნიმუშების უმრავლესობაში (5₂₁, 6₁₁, 20₁₂, 23₅₋₁₆₋₁₈₋₂₁, 25₉₋₁₂₋₁₃₋₁₄₋₁₆₋₁₇) ს + Syr წყაროები ფიგურირებს. მეორე ადგილზეა jzSyr წყაროები (1₂, 2₁₄, 3₂₇, 11₁₀, 17₃, 17₄, 19₂₃, 23₅) და მხოლოდ ოთხჯერა გვაქვს (3₄, 10₁₉, 10₁₅, 10₁₈) ANArm წყაროებთან საერთო მაგალითები. ეს მონაცემები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ქართული თარგმანის ძირითად ტექსტში შესული „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტების მთავარ წყაროდ ლუკიანეს რეცენზია²⁷ და სირო-ჰეგზაპლა (Syr) უნდა მივიჩნიოთ.

პირობითი ნიშნების განმარტება

LXX—სექტანტა.

B—Codex Vaticanus.

A—Codex Alexandrinus.

N—Codex Venetus.

ხ+—ლუკიანეს რეცენზიის ხ'бoc.ε.δ ნუსხები.

cx—Codex Alexandrinus-თან ახლო მდგომი ნუსხები.

jyz—სექტანტის ჰეგზაპლარული ნუსხები.

MT—ბიბლიის მასორეტული ტექსტი.

Syr—სირო-ჰეგზაპლა.

Syr-ap-Barh—

Lat—ლათინური თარგმანი.

Arm—სომხური თარგმანი.

Aeth—ეთიოპური თარგმანი.

ა'—აკვილა.

შ'—თეოდორიონი.

σ'—სეიმახოსი.

ε'—ჰეგზაპლას მეხუთე სვეტი.

Or—ორიგენი

Chr—Chrisostomus.

Jos—Josephus.

Luc—Lucifer.

Thdt—Theodoretus.

mg—მარგინალური წაკითხვა.

ed—გამოცემა.

codd—ნუსხა.

rell—სხვა ნუსხები.

>—ნაკლებია.

+—მეტია.

²⁶ J ნუსხა გადაწერილია დეფექტური დედნიდან. მას აკლია მრავალი ვრცელი და მოკლე მონაკვეთი. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ არსებული ამ ხელნაწერის ფოტოპირიც დაბალი ხარისხისაა, რაც უთუოდ შეიტაცს იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო მასალა ბოლომდე გამოვლენილად ვერ ჩაითვლება.

²⁷ განსაკუთრებით დაბეჭდვით შეიძლება ვანვაცხადოთ ეს 23—25 თავებიდან დამოწმებული მაგალითების მიმართ, რადგანაც ამ თავების მიხედვით Ψ რედაქციის ტექსტი თითქმის პედანტური სიზუსტით მიჰყვება ლუკიანეს რეცენზიას და თვალსაჩინოდ სხვაობს ქართულს Σ რედაქციისა და BArm წყაროებისაგან. ეს საკითხი მომავალში სპეციალური კვლევის საგანი იქნება, რადგანაც მეფეთა წიგნების დანარჩენ ნაწილში სწორედ Σ რედაქცია განიცდის ლუკიანეს რეცენზიის ძლიერ გავლენას, Ψ რედაქცია კი შედარებით თავისუფალია მისგან და სომხურისაყენ აქვს მეტი მიდრეკილება.

ნიმუ ანთიქმე

ზოგიერთი საკითხი არაბული მუსიკის ისტორიიდან

I. არაბული ძაღებიანი საკრავი ალ-'უდი. ალ-'უდი არაბთა ძირითადი ძაღებიანი საკრავი იყო. იგი (resp. მისი სახესხვაობანი) გავრცელებული ყოფილა ისლამის წინაღობინდელ პერიოდში სხვადასხვა სახელწოდებით: ალ-'უდ (العود), მიზჰარ (المزهر), ქირან (الكران), ბარბატ (البربط), მუვათ-თარ (الموتر)¹. არაბი ავტორების ალ-ქინდის (IX ს.) ალ-ქარანბის, (X ს.), ავიცენას (XI ს.) და ალ-ურმავეს (XIII ს.) მუსიკის თეორიებს ამ საკრავის ზგერათა სისტემები განაპირობებენ.

სახელწოდება „ბარბატთან“ დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ავიცენამ ერთადერთმა გამოიყენა სიტყვა „Barba“ ალ-'უდის აღწერისას². ამ სახელწოდებას გსიანი შუა საუკუნეების სხვა არაბ მუსიკის თეორეტიკოსებთან არა ვგუდებო³.

რაც შეეცება სიტყვის ეტიმოლოგიას, მას სპარსულ ბარბატთან აკავშირებენ, რაც ბატის გულს ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ ეს სახელწოდება საკრავის ფორმითაა შეპირობებული. თანამედროვე ერაყელი ფილოლოგი მაჰტუზი განმარტავს. რომ ბარბითი იგივე ალ-'უდია, რომელიც შეიქმნა სპარსეთში, საიდანაც არაბებმა გადმოიღეს. მისი აზრით, სპარსული ბარ (გული) იმაზე მიგვიბიბებს, რომ შემსრულებელი საკრავს მკერდზე იყრდნობდა³.

XIII საუკუნის ცნობილი არაბი მუსიკის თეორეტიკოსი და ვირტუოზი შემსრულებელი ალ-ურმავე ალ-'უდის განვითარების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „იბოდე, რომ ხელოვნების ამ დარგის წარმომადგენლებს შეეძლოთ ხელის სწრაფად გადატანა, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სათანადო ტექნიკა, ჩვევა და (დიდი) გამოცდილება ჰქონდა. როდესაც ვერ ახერხებდნენ ორი ტონის დროის ერთ პერიოდში დაკავშირებას, გაადვილების მიზნით ისინი იგონებდნენ: სამ, ოთხ, და მეტ სიმიან საკრავებს“⁴.

„მუსლიმური დასავლეთის“ გზით არაბული ალ-'უდი საშუალო საუკუნეებში მთელ ევროპაში გავრცელდა. გერმანელი მკვლევარის კურტ ზახსის აზრით, არაბული ალ-'უდი საფუძვლად დაედო ესპანურ laud-ს, პორტუგალიურ alaude-ს, ფრანგულ luth-ს, გერმანულ laute-ს და სხვა. ავტორი ხაზ-

¹ გვ. 25 * 1956, فارمر، تأريخ الموسيقى العربية، مصر،

² Land, Remarks on the earliest Development of Arabic Music, Intern. Congr. of Orientalists, 1892, გვ. 157.

³ Mahmoud el-Hefny, Ibn Sina's Musiklehre, Berlin, 1930, გვ. 44.

⁴ თავი VII, كتاب الأذوار في معرفة النغم و الأذوار،

ჯასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მე-15, მე-16 საუკუნემდე ალ-‘უნდი ყველაზე მეტად გავრცელებული ძალებიანი საკრავი იყო. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი თავის ადგილს თანდათან სხვა საკრავებს უთმობს⁵.

როგორც ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, საქართველოში უდი არ ყოფილა ძალზე გავრცელებული. ქართველები იცნობდნენ მას, მაგრამ ისე არ მოსწონდათ, როგორც ირანსა და არაბეთში. უდი საკრავთა შორის თეიმურაზ პირველს დასახელებული აქვს იქ, სადაც „იოსებ-ზილიხანიანი“ მისრეთის ხელმწიფის მეჭლისზე მყოფი საკრავთა მწყობრის შემადგენლობაა აღნიშნული: „ჩანგ-სეთაი, უდ-ქამანჩი, მულნი ყანუშს შეეხმობის“. „ლეილ-მაჯნუნიანი“: „იყო ზარი და ქვითინი, არ თუ კერა ჩასტა უდისა“⁶.

სულხან-საბა ორბელიანი არ განმარტავს უდს, ხოლო რაც შეეხება ბარბითს, იგი აღნიშნავს: ბარბითი არის მულნი⁷.

მულნი ალ-‘უნდის მსგავსი ძალებიანი საკრავია. მის გამოგონებას და პრაქტიკაში შეტანას მაჭფუზი ალ-ურმავის სახელს უკავშირებს⁸.

ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს ასახელებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის რამდენსამე ნიმუშს, სადაც ეს საკრავი მოიხსენიება:

„მოქმორდი ლხინსა ყოველსა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“ „ვეფხისტყაოსანი“.

„კვლავ გრძელდება ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ჯღერა“ „ვეფხისტყაოსანი“.

„იყო კარგი სიხარული, ბარბითისა ტყბილად ჟღერა“ („როსტომიანი“, ტ. 167C-ე).

„ქართველ ისტორიკოსთა და მეხოტბეთა თხზულებებში ბარბითი არსად არ არის დასახელებული. ეს გარემოება თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ბარბითი საქართველოში ძალზე გავრცელებული საკრავი არ ყოფილა. მაინც ქართული ბარბითი ბერძნულ ბარბიტონს უდგება და სპარსული ბარბატისაგან განსხვავდება. ორივე ყელ-მუცლიანი, დაბალი ხმის მქონებული საკრავი იყო, რომელთა სახელის ეტიმოლოგიაც და ნამდვილი რაობაც ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. ის გარემოება, რომ ამ საკრავის ქართლში განმტკიცებული სახელი სპარსულითგან კი არა, არამედ ბერძნულითგან მომდინარეობს, ამ საკრავის საქართველოში დიდის ხნიერებას ამტკიცებს და შესაძლოა, მომავალში აღმოჩენილმა თუ გამოქვეყნებულმა ქართულმა ძეგლებმა ცხადდეს, რომ ეს საკრავი არც თუ ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო საქართველოში, როგორც ამას ამჟამად ცნობილი ქართული ძეგლები ცხადყოფენ“⁹.

არაბულ მუსიკალურ ტრაქტატებში დაწვრილებითაა აღწერილი ალ-‘უნდი. იხვან საჰანს წარმომადგენელთა ტრაქტატებში ვკითხულობთ: „... დამზადებულია ხისაგან. სიგანე და სიღრმე ერთმანეთთან კარგადაა შეფარდებული. სიგრძე 1/2-ჯერ აღემატება სიგანეს. ტარი საკრავის მთელი სიგრძის 1/4-ია. იგი გამოთლილია თხელი, მსუბუქი ხისაგან. დეკა ნაზი, მოუხრელი და განსაკუთრებით მსუბუქი და ჟღერადი უნდა იყოს“¹⁰.

⁵ ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1936, გვ. 160.

⁶ იქვე, გვ. 160.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 45.

⁸ გვ. 5, შესავალი, 1961, *محمفوظ ، الأرموى ، كتاب الادوار ، بغداد* .

⁹ ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, დასახ. შრ., გვ. 154.

¹⁰ M. H e l n y, Ibn Sina's Musiklehre, Berlin, 1930, გვ. 44.

მაჰჰუუზი გვაწვდის ალ-‘უდის ასეთსავე დახასიათებას, მცირედი დამატებით: „ჩაისის სიღრმე სიგანის ნახევარია. შედგება 32 ნაწილისაგან“¹¹.

ალ-ქარაბის სიტყვით ალ-‘უდი: „...ყველაზე მეტად გავრცელებული საკრავია. განეკუთვნება ისეთ საკრავთა რიგს, რომლებიც ტონებს ძალების დანაწილებითა გამოასცემენ. მის ვიწრო ნაწილზე, ძალების ქვეშ განლაგებულია ფარდები. მათი რაოდენობა ძალების იმ ნაწილების შესაბამისია, რომლებიც ტონებს გამოასცემენ... ძალები პარალელურად მიემართებიან საკრავის ჯორაკისაგან. ჯორაკში გაივლიან განსხვავებული პოზიციების მქონე ძალების ბოლოები, შემდეგ ისინი თავს იყრიან ერთ წერტილში იმგვარად, რომ ძალების განლაგება სამკუთხედის გვერდების ფორმას მოგვაგონებს“¹².

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არაბ ავტორთა მოსაზრებები ალ-‘უდის ძალებისა და ფარდების შესახებ.

ძალები. ცეკლი არაბული ალ-‘უდი ოთხძალიანია. ესენია: ბამმი — *gravisima*, მისლას — *tertia*, მასნა — *secunda*, ზირ — *inferior*. ბამმი და მისლასი ნაწლავისაგან მზადდებოდა. მასნა და ზირი კი აბრეშუმისაგან. ძალები ნაირფერადოვანი იყვნენ: ბამმი — შავი, მისლას — თეთრი, მასნა — წითელი, ზირ — კი ყვითელი ფერისა იყო. ბამმი მისლასს მისდევს. იგი სიმსხოთი მისლასზე $\frac{1}{3}$ -ით მეტია. მისლასი მასნას მისდევს. იგი სიმსხოთი მასნაზე $\frac{1}{3}$ -ით მეტია. მასნა ზირს მისდევს. იგი სიმსხოთი ზირზე $\frac{1}{3}$ -ით მეტია. ზირი ყველაზე წვრილი და ყველაზე მაღალი ელერადობის ძალია¹³.

ალ-ქინდი (IX ს.) უპირველესი არაბი მუსიკის თეორეტიკოსი, იცნობს მეხუთე ძალსაც¹⁴.

ბარბითის მეხუთე ძალის შემოღება და მისი პრაქტიკაში დიდის წარმატებით გამოყენება ვირტუოზ შემსრულებელსა და მუსიკის თეორეტიკოსს *ابن جرير*-ს მიეწერება. იგი ანდალუზიის აკადემიაში თავის მოწაფეებს ხუთძალიან ბარბითზე ასწავლიდა დაკვრას¹⁵.

ალ-ქინდი მოგვითხრობს მხოლოდ ხუთძალიანი ბარბითის შესახებ. მეხუთე ძალს შემდეგნაირად აღნიშნავს: ზირ ალ-ასჰალ, ზირ ას-სანბ, ზირ ალ-ქანდი¹⁶. ამომწურავად არის დახასიათებული ხუთძალიანი ალ-‘უდი ალ-ქარაბის, ავიცენას, ალ-ურმავის მუსიკალურ ტრაქტატებში. მეხუთე ძალს საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ვერც ანდალუზიისა და ვერც არაბულ აღმოსავლეთში ფეხი ვერ მოიკიდა და ბარბითი კვლავ ოთხძალიანი დარჩა¹⁷.

ოთხძალიანი ბარბითის უპირატესობას ლიტერატურაში კოსმოლოგიური მომენტით ხსნიან. ალ-ქინდი განმარტავს ოთხძალიანი საკრავის უპირატესობას, რომელიც ელემენტის ოთხად დაყოფას შეესაბამება (თანავარსკვლავედთა, მოვარას, ქარის, მიმართულების, წელიწადის დროის, თვის, დღის სხეულის,

¹¹ გვ. 43. 1964, *معجم الموسيقى العربية*, بغداد.

¹² G. L. Kosegarten, *Alii Ispanancensis liber cantilenarum magnus*. *Gripesvol-diae*, t. I, 1840, გვ. 47

¹³ გვ. 28-29, 1964, *معجم الموسيقى العربية*, بغداد.

¹⁴ გვ. 48, 1969, *رسالة الكندي في خبر صناعة التأليف*, مصر.

¹⁵ იქვე, გვ. 49.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

ადამიანის ცხოვრების და ა. შ.). ეს გაგება აღმოსავლეთში საუკუნეების გან-
მავლობაში შეინარჩუნეს¹⁸.

ფარდები. „ფარდები ნიშნებია ძალებიანი საკრავის ტარზე, რომელთა ს-
შუალებითაც ირკვევა ტონების ამოსავალი ადგილი ძალის სხვა ნაწილებისა-
გან, ამით ირკვევა ტონები, რომლებიც მელოდიას ჰქმნიან“¹⁹.

ალ-ქინდრ ასე განმარტავს ფარდის რაობას: „ფარდები ძალზე თითების
განწყობის ადგილებია. ისინი მიგვითითებენ თითების განწყობის ადგილებს“²⁰.

ალ-ქინდრის ტარზე ალ-ქინდრისთან ოთხი ფარდია. ესენია: დასთან საბაჰ
დასთან ალ-ვუსტა, დასთან ბინსირ, და დასთან ხინსირ. პირველ ფარდზე გა-
დაჭიმულია ბამმის ნაწილი, მეორეზე მისლას ძალის ნაწილი, მესამეზე მასნა
ძალის ნაწილი, მეოთხეზე კი ზირ ძალის ნაწილი. როგორც ზემოთ იყო აღნი-
შნული. ძალები ნაირფერადოვანნი იყვნენ, შესაბამისად ნაირფერადოვანი იყო
ფარდებიც, რაც ხელს უწყობდა თითების განწყობის ადგილების ადვილად მი-
გნებას. ალ-ქინდრ აღნიშნავს კიდევ ერთ ფარდას — დასთან ხარჯ ალ-ხინსირ-
ხინსირის იქეთა. საკრავის ტარზე ამ ფარდის ამოსაცნობად არავითარი ნიშანი
არ იყო. იგი მოისინჯებოდა ვარაუდით. ალ-ქინდრს წინამორბედი ავტორებიც
ადასტურებენ, რომ ამ ფარდის აღმნიშვნელი ნიშანი ტარზე არ ყოფილა²¹.

ყოველი თავისუფალი ძალი გამოსცემს ბგერას, რომელსაც არაბები მუტ-
ლაკ ალ-ვათარს უწოდებენ. ბამმ ძალის თავისუფალი ქლერადობა უნდა შეესა-
ბამებოდეს მომღერლის ყველაზე დაბალ ბგერას. თავისუფალი ძალები შემ-
დეგნარად მოიმართებიან: მუტლაკ ბამმი — ლა, მუტლაკ მისლას — რე, მუტ-
ლაკ მასნა — სოლ, მუტლაკ ზირ — დო, მეხუთე თეორაული ძალი — ფა²².

ოთხძალიანი ალ-ქინდრის ტარზე ფარდები შეადგენენ მონაკვეთს, რომელიც
ოთხი კვარტის ტოლია (დიუფუ დიუფი ალ-ლეზი ბილ-არბა‘).

ამ სისტემას ნაკლოვანება გააჩნდა — ოთხმაგი კვარტა არ ქმნიდა ორმაგ
ოქტავას (დიუფუ ალ-ლეზი ბილ-ქულლი), აკლდებოდა მას ორი ტანინის ინ-
ტერვალი. ალ-ქინდრის შემოაქვს რამდენიმე წინადადება ბგერათა სრულყო-
ფისათვის: 1) ხინსირის ფარდის გვერდით გადაიჭიმოს ორი ახალი ფარდი. ეს
ორი ახალი ტონი ათვისებულ იქნეს მხოლოდ ზირ ძალის შემთხვევაში. თუკი
არ იქნება დაცული მისი მხოლოდ ზირის ფარგლებში გამოყენება, ეს შექმნის
მთელ რიგ სირთულეებს, რითაც დარღვეულ იქნება ბგერათა განწყობის ტრა-
დიციული ადგილები, 2) შეიცვალოს ძალების მართვის ტრადიციული წესი,
3) დაემატოს მეხუთე ძალი ზირის ქვევით, შესაბამისად ტარზე მიინიშნოს
ახალი ფარდიც²³. ბგერათა სრულყოფის ასეთსავე წესს იცავს ავიცენაც²⁴.

ალ-ურმაენს (XIII ს.) ხუთძალიანი ალ-ქინდრის ტარზე შვიდი ფარდია გან-
ლაგებული. მის მუსიკალურ ტრაქტატში „ქითაბ ალ-ადვარ“ ვკითხულობთ:
„წინაპრებმა შექმნეს ხუთძალიანი საკრავი. ყოველი ძალის მუტლაკს (თავი-
სუფალ ქლერადობას) უთანაბრებდნენ ბგერას, რომელიც მოისმოდა ამ ძალის

¹⁸ Mahmoud el-Hefny, op. cit. გვ. 44—45.

¹⁹ თავი II, كتاب الادوار, الارموي

²⁰ გვ. 49 1969, يوسف شوقي، رسالة الكندي في حبر صناعة التأليف، مصر.

²¹ იქვე.

²² იქვე, გვ. 51.

²³ Kosegarten, G. L., op. cit., გვ. 25.

²⁴ Hefny M., op.-cit., გვ. 46.

ზევითა ძალის $\frac{3}{4}$ ნაწილიდან. საჭირო გახდა შექმნილიყო შვიდი ფარდი. (ამ შემთხვევაში) სრულყოფილი გახდა ბგერათა სისტემა, რადგან ყოველ ტონს ას-სიკლში (დაბალ ოქტავაში) თავისი შესაბამისი ბგერა ჰქონდა ალ-ჰიდდაში (მაღალ ოქტავაში)“. ფარდების სახელწოდებებია: დასთან ზა'იდ, დასთან მუ-ჯანნიბ, დასთან საბაბა, დასთან ვუსტა ქურს, დასთან ვუსტა ზალზალ, დასთან ბინსირ, დასთან ხინსირ²⁵.

II. XIII საუკუნის არაბი მუსიკის თეორეტიკოსი ალ-ურმავენ. ალ-ურმავენ (რომლის სრული სახელია საფინ ედ-დინ 'აბდ-ალ-მუ'მინ იბნ იუსუფ იბნ ჭახირ ალ-ურმავენ) თავის სახელოვან წინამორბედთა ალ-ქინდის. აეიყენას და ალ-ქარაზის მუსიკალური ტრაქტატების საფუძველზე შექმნა ახალი, სრულყოფილი სისტემა მუსიკის თეორიისა.

ალ-ურმავენს შემოქმედება მოიცავს მუსიკას და პოეზიას, ისტორიას და სამართალს, მათემატიკას და ლიტერატურას. იგი იყო შესანიშნავი კალიგრაფი და ვირტუოზი შემსრულებელი ალ-'უნზე.

ტრადიცია ალ-ურმავენს მიაწერს ორ მუსიკალურ თხზულებას, რომელთაც ახალი ეტაპი შექმნეს შუა საუკუნეების მუსიკის ისტორიაში. პირველი ეხება

კომპოზიციურ მიმართებებსა და რიტმულ ზომებს („كتاب الشرفية في علم النسب“ (التأليف والأوزان الإبقاعية), მეორე—ტონებისა და ინტერვალთა მიმართების საკითხს („كتاب الأدوار في معرفة النغم و نسب أبعادها“).

„الشرفية“-ს ნუსხები დაცულია: პარიზში (2479), ენაში (1515), ბერლინში (5506), ბრიტანეთის მუზეუმში (Or 136 და 2361), ბოდლანის საცავში (Uri, cmxxii, Marsh, 115); აქვეა დაცული (Uri, mxxvi 2 marsh 512) უსათაურო და უავტორო მუსიკალური ტრაქტატი, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი პ. ჯ. ფარმარი „აშ-შარჰინასთან“ აიგივებს²⁶.

„كتاب الادوار“-ის ნუსხები მსოფლიოს მრავალ სიძველეთსაცავშია წარმოდგენილი. უძველესი ნუსხა დათარიღებულია პ. 633 წლით. იგი დაცულია ეგვიპტის ნურ 'უსმანიას საცავში (შიფრი 3653)²⁷. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ 14 მუსიკალურ ხელნაწერს შორის (Or 2361) „ქითაბ ალ-ადვარს“ უჭირავს რიგით მესამე ადგილი (არა აქვს მითითებული ავტორის სახელი)²⁸. ამავ საცავშია შემოხსენებული ტრაქტატის სხვა ნუსხებიც (1660, Suppl. 823). ეგვიპტის დარ ალ-ქუთუბში (ფუნუნ ჯამილა 349) წარმოდგენილი ხელნაწერი გადაწერილია 'აბდ ალ-ქარიმ იბნ საჰრუდის მიერ და თარიღდება პ. 733 წლით²⁹.

ალ-ურმავენს პირველ თხზულებას ევროპელი მუსიკათმცოდნეები გაეცნენ Carra de Vaux-ს წერილის მეშვეობით³⁰, რომელშიაც წარმოდგენილია

²⁵ 卷 VIII ، كتاب الادوار... ، الرموى

²⁶ H. G. Farma r, Arabic musical manuscripts in the Bodlein library, London, 1925, გვ. 10—11.

²⁷ 卷 26 1951 ، عباسى العزاوى ، الموسيقى العراقية ،

²⁸ 卷 19 1969 ، يوسف شوقى ، رسالة الكندى فى خبر صناعة التأليف ،

²⁹ 卷 31 عباسى العزاوى

³⁰ პ. ჯ. ფარმარის წინასიტყვაობა: R. D'Erlanger, La musique arabe, Paris, 1938, გვ. VI.

ტრაქტატის რეზიუმე. ხოლო ამ მონუმენტური ქმნილების პირველი მთარგმნელი ფრანგი რუდოლფ დ'ერლანჟერია.

Carra de Vaux-ის აზრით, ხსენებული ნაშრომი ალ-ფარაბის მუსიკალური ტრაქტატების ნაწილია. ამასვე ამტკიცებს გ. გროვე ნაშრომში „Dictionary of music and musicians“³¹.

პ. ჯ. ფარმარი არაბული მუსიკალური ტრაქტატების დეტალური შესწავლის შემდეგ ამტკიცებს, რომ „აშ-შარაფიას“ ავტორი ნამდვილად ალ-ურმავენი, რომ ალ-ურმავენი ალ-ფარაბისა და ავიცენას, სკოლის მიმდევარია და არა მათი მიმბაძველი. მუსიკის თეორიის მთელი რიგი საკითხები ალ-ურმავენიდან სულ სხვა თვალსაზრისით არის გაანალიზებული. იგი განიხილავს რა ტონებსა და ინტერვალებს, ბგერის ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით ასწორებს წინამორბედთა არაზუსტსა და ზოგჯერ არასწორ განმარტებებს. ხოლო რაც შეეხება კილოთა თეორიას, აქ იგი ემიჯნება ალ-ფარაბისა და ავიცენას, იყენებს ბერძნულ სისტემებს, რომელნიც განვითარების უმაღლეს საფეხურამდე აყვავს. ტერმინოლოგია და კლასიფიკაციის მეთოდი დამამტკიცებელია იმისა, რომ ალ-ურმავენი ითვალისწინებს როგორც ბერძენ, ასევე სპარს ავტორებსაც³².

ალ-ურმავენი სისტემატიკითა სკოლის მამამთავარია. ევროპელი მკვლევარების აზრი განსხვავებულია ამ საკითხის გადაწყვეტისას: პ. ჰელმჰოლცი და ა. ელისი პირველობას 'აბდ ალ-კადირ იბნ ჯაუბის (XV ს.) აკუთვნებენ³³, ე. ლანდს მიაჩნია, რომ ამ თეორიის ბირთვი იხვან ას-საჟანს წარმომადგენელთა მუსიკალურ ტრაქტატებშია³⁴, ხოლო ფეტისი მას ალ-ქინდისთან და ალ-სარახსისთან ეძიებს³⁵.

პ. ჯ. ფარმარი განიხილავს რა ამ ავტორთა ჩვენამდის მოღწეულ ნაშრომებს, ვარაუდობს, რომ მათში სისტემატიკის კვალიც კი არ არის.

ევროპელი მუსიკათმცოდნეებისათვის კარგა ხანი საიდუმლოდ რჩებოდა სისტემატიკითა მამამთავრის პრობლემა. მათი არასწორი დებულებების მიზეზი უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ეს მკვლევრები მხოლოდ ორიენტალისტი და არა მუსიკოსები იყვნენ.

კილოს პირველ დიდ თეორეტიკოსად ალ-ურმავენი მიაჩნია პ. ჯ. ფარმარს. სისტემა, რომელიც ჩამოაყალიბებს ელინისტმა სქოლასტიკოსებმა, აგრეთვე ძველი სკოლის არაბმა თეორეტიკოსებმა: ალ-მავსილემ, ალ-ქინდემ, ალ-ფარაბემ, ავიცენამ, არ იყო სრულყოფილი³⁶.

სისტემატიკითა თეორიამ დიდი გავრცელება ჰპოვა XVI საუკუნემდე ახლო და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებში. ურმავენის ეყრდნობიან და მის შრომებზე იზრდებიან მომდევნო თაობები. პ. ჯ. ფარმარი აღნიშნავს: „ყველა შემდგომი თეორეტიკოსი, რომელიც თურქულად ან სპარსულად წერდა, მისი მიმდევარი იყო“. „ქითაბ ალ-ადვარს“ უამრავი კომენტატორი ჰყავდა. მათგან უპირველესი იყო 'აბდ ალ-კადირ ალ-მარაღი (XV ს.). ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ 14 მუსიკალურ ხელნაწერთა შორის რიგით მეოთხე, მეხუთე,

³¹ იქვე.

³² H. G. F a r m a r, op. cit. გვ. IX.

³³ H e l m h o l t z H., On the sensations of tone, London, 1895, გვ. 222.

³⁴ J. P. L a n d, Recherches sur l'histoire de la gamme arabe, Congres Int. des Or., 1883, tome I, გვ. 39.

³⁵ F e t i s, Histoire generale de la musique, Paris, 1869, tome II, გვ. 368.

³⁶ H. G. F a r m a r, op. cit. გვ. X.

მეექვსე ხელნაწერი „ქითაბ ალ-ადვარის“ კომენტარებს წარმოადგენენ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „شرح كتاب الادوار“ მავლანა მუბარაქ შა-ქისა. ჰ. ჯ. ფარმარი აზუსტებს, რომ მუბარაქ შაჰად ცნობილი ავტორი არის თავისი დროის უბადლო კომენტატორი ალ-ჯურჯანი. კომენტარი დაწერილია 1375 წელს და მიძღვნილია სულთან სუჯა'ისადმი (1358—84 წწ.)³⁷.

ალ-ურმავე დაიბადა დაახლოებით 1210—20 წწ. როგორც ერთ-ერთი წყარო გვამცნობს, ალ-ურმავეს განათლება თავრიზში მიუღია. სწავლობდა იგი არაბულ ენას, ლიტერატურასა და კალიგრაფიას. უღზე დაკვრა კი შედარებით გვიან დაუწყია, მაშინ იგი უკვე სახელმძღვანელო კალიგრაფი ყოფილა³⁸.

აბასელთა უკანასკნელი ხალიფა მუსთა'სიმი (1242—1258 წწ.) „კაცი მხიარული, უნებისყოფო, მუსიკისა და ჯამბაზთა მოყვარული“³⁹, გახალიფდა თუ არა, სასახლის კარზე შემოიკრიბა მრავალი პოეტი და მუსიკოსი. მათ შორის უპირველესი ადგილი ალ-ურმავეს ეჭირა. თავდაპირველად ხალიფამ მას სასახლის წიგნთსაცავის გასაღები ჩააბარა. ერთ-ერთ ნაღიმზე, როდესაც მომღერალმა ქალმა სახელად ლაჰაზმა მსმენელი მოხიბლა მომაჯადოებელი ჰანგებით, ხალიფამ შეიტყო, რომ მომღერალი ალ-ურმავეს მოწაფე იყო. ხალიფა აღტაცებაში მოიყვანა ალ-ურმავეს უბადლო შემსრულებლობითმა ოსტატობამ უღზე და ამის შემდეგ იგი განუყრელად ხალიფას გვერდით არის⁴⁰.

მონღოლთა მიერ ბაღდადის დაპყრობის შემდეგ (1258 წ.). ალ-ურმავე მოღვაწეობს ალ-ჯუვეინის და მისი ძმის შამს ელ-დინ მუჰამმადის კარზე, სადაც იგი ინშას საქმეს განაგებდა. მასვე ჰქონდა მინდობილი შამს ელ-დინის ვაჟის შარაქი ელ-დინის აღზრდის საქმე. ალ-ურმავეს სახელს უკავშირებდა ორი ახალი საკრავის გამოგონება (ნუზჰა და მულნი) და 130-მდე სასიმღერო მელოდია.

გარდაიცვალა ალ-ურმავე 10 საფარს, ოთხშაბათ დღეს, 3 693 წელს (1294 წ.)⁴¹.

ხელნაწერთა აღწერილობა. ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით „ქითაბ ალ-ადვარის“ ორ ნუსხას: ერთი გამოცემულია ფოტოტიპიური წესით ჰუსეინ 'ალი მაჰჰუზის მიერ ბაღდადში 1961 წელს. მას აღვნიშნავთ B ასოთი. მეორე დაცულია კაიროს დარ ალ-ქუთუბში (ფუნჯენ ჯამილა 349). მას აღვნიშნავთ K ასოთი. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია ამ ნუსხათა მიმართების საკითხი.

ტრაქტატი გადაწრილია 882 წელს ჰიჯრით მუსიკოს არ-რინადის მიერ. იგი ილუსტრირებულია და მოიცავს 40 გვერდს. ქალაღის ზომა 22×13. სტრიქონთა რაოდენობა მერყეობს 17-სა და 21-ს შორის. არეები დაფარულია ავტორისეული შენიშვნებით, რომელთა გაშიფვრა მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია შესაძლებელი. ხელნაწერის დაცულობა ძირითადად კარგია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენსამე გვერდს (35, 37, 39), რომელთა ამოშიფრვა მიკროფილმის სიძველის ან მელნის ლაქის გამო შეუძლებელია. ხელნაწერი ნასხით არის შესრულებული.

³⁷ F a r m a r H. G., op. cit., გვ. XII—XIII.

³⁸ გვ. 27 1951 ، عباسی العزای ، الموسیقی العراقیة ، بغداد ،

³⁹ История стран зарубежной Азии в средние века, Москва, 1970, გვ. 365.

⁴⁰ გვ. 27—31 op. cit. ، عباسی العزای

⁴¹ იქვე, გვ. 27—31.

ტექსტი იკითხება ცუდად. იგი გაუხმოვნებელია; ფრაზები ერთმანეთისაგან არ არ არის გამოყოფილი. თა მარბუტას წერტილები, ჰამზა და თეშლიდი რიგ შემთხვევაში სრულიადაც არ არის აღნიშნული. სიტყვის ბოლოს,

ხოლო μ -ის სიტყვის შუაში ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია. ტექსტი წარმოდგენილია სრულად — მოცემულია დასაწყისი და დასასრული.

კაიროს ნუსხა დათარიღებულია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გადაწერილია 733 წელს ჰიჯრით კალიგრაფ ას-საჰრუდის მიერ. ნუსხას აქვს თავ-ფურცელი, რომლის ამოშიფრვა არ ხერხდება. ხელნაწერი მოიცავს 100 გვერდს. ქაღალდის ზომაა 15X10. სტრიქონთა რაოდენობა იმ გვერდებზე, რომელზედაც არ არის საილუსტრაციო გამოსახულება, თერთმეტია, ხოლო სხვა შემთხვევაში მერყეობს 5-სა და 10-ს შორის. ხელნაწერი შესრულებულია ნასხით. დაცულობა ძირითადად კარგია. ფრაზები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არ არის. მიუხედავად ზემოხსენებულისა, რიგ შემთხვევაში ცალკეული სიტყვის, ხოლო ზოგჯერ კი მთელი ფრაზის წაკითხვა არ ხერხდება (გვ.: 2, 11, 12, 83, 84, 85, 88).

B და K ნუსხების შედარების შედეგად შესაძლებელია ტრაქტატის ტექსტის დადგენა. შესავალი ნაწილიდან მოყოლებული XV თავის ჩათვლით, B ნუსხის ყოველი თავი K ნუსხის თავს ემთხვევა. თხრობის ძირითადი საზი ერთნაირად წარიმართება. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ისინი არ არიან იდენტურნი. გვსედება ცალკეული დაშორებანი, რომლებიც შემდეგნაირად ჯგუფდება:

- 1) განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული სიტყვა ან ფრაზა.
- 2) თხრობა ერთ ხელნაწერში უფრო ვრცლადაა, ვიდრე მეორეში.
- 3) ცალკეული წინადადება ერთში დასტურდება, მეორეში კი არა.

შეიძლება ითქვას, რომ B და K ხელნაწერები ერთი და იმავე ძეგლის — „ქითაბ ალ-ადეარის“ ორი სხვადასხვა ნუსხაა. ქრონოლოგიურად K ნუსხა უსწრებს B ნუსხას თითქმის 150 წლით.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ალექსი ჰინგარაული

ლექსიკოლოგიური ძიებანი

(„ჭერი“, „ბროლის ჭერი“, „ჭერეხი“, „ჭერხო“...)

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ჭერი ასეა ახსნილი: ნა-
ჯბონის (ოთახის, დარბაზის...) ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც უშუ-
ალოდ კედლებს ეყრდნობა...“ ჭერის ეს მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნო-
ბლია.

ქართულ დიალექტებში ჭერის სხვაგვარი მნიშვნელობებიც დასტურ-
დება; ზოგი მათგანი გლ-შიაც არის გათვალისწინებული.

ხევსურულში ჭერი წვრილი და გრძელი, დაუმუშავებელი მრგვალი
სეა. ჭერს იყენებენ სახურავის თავხეებზე (კეზებზე) დასაწყობად, ღობის გა-
საკეთებლად და სხვ. ჭერი-ს სინონიმებია: კეზი-კეზა ხეები, ხე, ჭერის-გალი.
კომპოზიტი ხე-ჭერი სახლის სახურავის ხის მასალას, ხეებსა და ჭერებს
ნიშნავს¹.

„(სახლის მშენებლობაზე) ხუყუკ დორღს ნაიტანენ. აფენს, ხეებს ნასჭიან. ზოგებ
წელენა-დ' კარებია მაიღებენ. სხვებ წაელენა-დ' ჭერს მაჭრია“ (ქართ. დიალ., გვ. 5);
„(აღიას ძმას) სახლ ღამია ნაფარ-ნუფარებო,
კიღის-თავ ჭერნი უღებებანო“ (ფონ. კალენდ., 7,14);
„ამღას ბერდიათ გაგაი სამის თემობის კარია,
ჭალას მაივლა სანგლადა დიღველთ ნაქოცი მკედარა.
ზედ გააყარა ხე-ჭერი, თავ-თავის დიღველის ძეალია“ (წელიწდ., გვ. 233).

მეღექსე ამბობს: ბერდიათ გაგამ იმდენი დიღველები დახოცა, რომ სან-
გარს ჭერებად და ხეებად (საშენ მასალად) მათი ძვლები დაახურაო.

ჭერი ხევსურეთში საკაცის გასაკეთებლადაც იხმარებოდა. ჭერზე დააკ-
რავდნენ ხალიჩაში ან ფარდაგში გახვეულ ცხედარს და ასე მიჰქონდათ სასაფ-
ლაოზე. ერთ ლექსში ასეა აღწერილი მოხუცი სამუჟას დასაფლავება:

„მაიღეს ბათაკიანი, მაიღეს ჭერი, ჭპანი,
სამუჟა გამაათარეს შეშისგალიეთ გამკმარი“ (მივლ.).

სხვა ლექსში ჭერით წისქვილის ღარში გაჩხირულ ყინულს აცლიან:

„ჩემთან ჩამაიარიდი, მაგცა წისქვილის ჭერია,
წისქვილთ-უენას გიყუდავ ღარის საჩხვლეკელ ჭერია“ (მივლ.).

როცა სახლი დაინგრევა, სხვა სამშენებლო მასალიდან კეზებს (თავ-ხეებს)
და ჭერებს გამოარჩევენ და ააყუდებენ, რომ არ დაღპეს. აქედანაა გამოთქმა
„ჭერთ აყუდება“, რაც მეტაფორულად სახლის დანგრევას ნიშნავს. ცნობილ
ხევსურულ ლექსში „ღევების ქორწილი“ არის ასეთი სტრიქონი:

„დახკართ! — მყოლებ იძახან, — ჭერს აუყუდნათ ბერასა!“ (ხევს. პოეზ., 546,2).

¹ იხ. ალ. ჰინგარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 277.

ხევსურულში **ჭერა** თოფის ეპითეტია („გრძელი, დიდი თოფი“):

„ჭერაჲ შიშნიაისამ ტყვია დალაღა ჩქარიო,
შიშნიაე, ნუმე შაგეკსნება წელზედ ნაბამი პმალიო,
ნუმე გაგიტყდება ჭერაი, არხოტის რკინის კარიო“ (ხევს. პოეზ., 102,9,13).

სხვა ლექსში **ჭერა**-ს მოთხრობითის ფორმაა ფუძედ გაგებული:

„თოფის ჭერემის ტყვიაჲ შორით დაგიძრა ტანია“ (ხევს. პოეზ., 30, ბ. 2).

მოკრილი ხის მნიშვნელობით იხმარება **ჭერი** და **ხე-ჭერი** მოხეურში:

„ბანსა და თავხეებზე ეწყობოდა მომცრო ზომის ხეები, ხოლო ხეებზე მაჯის სიმსხო სარები, რასაც მოხეურად ეწოდება **ჭერი**...“ „მეორე და მესამე სართულის გადახურვაშიც ხეებისა და რიგი სხვა მასალის წყობის ანალოგიური სურათი გვაქვს. ასეთი სახურავის ძველი მოხეური სახელწოდებაა „**ხე-ჭერი**“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დასახელებული შემადგენელი ნაწილებიდან სახურავის კომპლექსის მთავარი ელემენტებია ხეები და **ჭერი**“² (ხაზი რ. ვენია, — ა. კ.).

ჭერის იგივე მნიშვნელობა დასტურდება მთიულურსა, გუდამაყრულსა და ფშაურში:

მთიულური: „სამრდის წყალი და ლება მოსლემბი (=მსხვილი ხეები), **ჭერიცა** ფუძლემბა ზაშინა (**ჭერი** — მოსლემბზე გაღებული წერილი ხეები)“ „... მოსლემბის გარდა კიდე გეინდო ჭერი. ეს ჭერიც ტყიდან მოგეპეტ. ჭერი არის წიფელი, ტირიფანი, ბალი, მურყანანი და რა ვერც. დავსეთქაეთე. მამრე შქირღება ჭერის სიპი, იალა (=იელი, — ა. კ.). მოიტანთე და დავხეიქაეთე“ (ქართ. ლიალ., გვ. 56, ხაზი ჩვენია, — ა. კ.).

ამ ტექსტისათვის დართულ ლექსიკონში **ჭერი** ასეა ახსნილი: „სახლის სახურავის მოსლებზე (მსხვილ ხეებზე) დაწყობილი მრგვალი, წვრილი ხეები (შეიძლება მრგვალი შეშა ან ფიცარიც იყოს)“.

„ეღლებ რო ავამთავრებთ, ზედ გურგალ ხეებ — მოსლებს ეალაგებთ... მოსლებზე კი უკვე **ჭერი** (გათლილი წერილი ხეები რაღა) უნდა დაეალაგოთ, მერე **ჭერზე** იალასა და ჩალას დაყრით და სუ ბოლოს მიწას“ (ლ. კაიშ., ხელნაწერი მასალები).

გუდამაყრული: „თავხეებზე გაწყობილია შოლტები (კოჭები)... მამრე შოლტებზე დავჭერავთე, წერილ ხეს დაეყრით (ხელნაწერი მასალები, სოფ. მაქართა: 6), „მამრე ის დამფარდის შოლტითა (კოჭები), იმეებზე **ჭერი** დაეყარით“ (იქვე, 6).

ლ. კაიშაური წერს: „თავხეზე უფრო წვრილი ხეები მოსლები ალაგია, მოსლებზე კი უკვე წვრილი ფიცრები — **ჭერი** ანუ **ჭერხოა**, მერე — კი უკვე ბანი“³. ე. ი. მთიულურში **ჭერიც** და **ჭერხოც** ერთი ნივთის, წვრილი, მოკრილი, მრგვალი ან გაპობილი ხის სახელია.

ფშაური: „მემრე წაწყობენ შოლტებსა, იმ შოლტებზე დააყრიან **ჭერსა**, წერილ ხესა“ (ხელნაწ. მას., სოფ. ელიაგზა, 1): „შოლტებს ზემოდან დააყრიდენ დახეილი ან მრგვალი ხისაგან ორი-სამი ვერშოკის სისქის **ჭერსა** (შინამრეწვ., სოფ. შარახევი); „მოქცეულზე წერძილების ზევითა ბრტყელ თავზე ფიცრებით დაიფარებოდა და შემდეგ აღმა მიცერებით **ჭერი** დაეყრებოდა“ (იქვე).

ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ერთ ფშაურ ხალხურ ლექსში **ჭერი** კარის ურდულის (კეტის) მნიშვნელობით ჩანს ნახმარი:

² ე. ი. თ. ი. შვილი, სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში, „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 175.

³ ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, 1967, გვ. 124.

„ეუკაციის სისხლით შაღებულს ღედა დასტირის მიწასა:
იმის სახლის კარს ღუშმანი ჭერებხაც უმტერევეს ხისასა“ (ეაყა, IV, 147, 12).

მთაში ძველებურ სახლებს კარსუკან კეტის (კედის) გაყრით კეტავდნენ⁴. ამ კეტს ფშაველი მელექსე „ჭერს“ ეძახის.

გლ-ში ჭერის მეექვსე მნიშვნელობა ასეთია: „ზოგჯერ იხმარებოდა იატაკის მნიშვნელობით // კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ზღავი. (როსაფის) ბოსელში ჭერი აყარეს, მიწა ღრმად გათხარეს, მაგრამ მაინც ვერა იპოვეს-რა (გ. წეჩეთ.). // კუთხ. (გურ.) სასიმიინდის იატაკი (მრგვალი წვრილი ხეებისაგან)“.

გ. შარაშიძე წერს: „ჭერი — ნალიის, სასიმიინდის იატაკი, წარმოადგენს ერთმანეთზე მიწყობილ მრგვალ ხეებს (დიამეტრი 10—15 სმ.)...“

რაჭულში ჭერი ბოსლის იატაკია, ზღვეა: „უმალ იყო ღუროიანი (=სათოფურიანი, — ა. ჭ.) სახლი სამატაყიანი. ძირი იყო ბოსელი და ჭერი ეგო“ (ქართ. დიალ. გვ. 532).

ამრიგად, იმერულსა, გურულსა და რაჭულში ჭერი მრგვალი ან დაპობილი ხის იატაკია. გლ-ს ჩვენებით ჭერი (მნიშვ. 7) აჭარულსა და ხევსურულში „გაუთლელი, დაუმუშავებელი წვრილი ხე“-ა. საილუსტრაციოდ მოტანილია „ჭერის ღობე“.

ძველსა და ე. წ. საშუაალ ქართულში (გარდა „ვეფხისტყაოსნისა“) სიტყვა ჭერი საერთოდ ვერ დავადასტურეთ (ვემყარებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ფონდს). გვიანდელ ძეგლებში („რუსუდანიანი“, თეიმურაზ პირველისა და ბესიკის შემოქმედება...) ჭერს დღევანდელი მნიშვნელობა (ПОТОЛОК) აქვს. საბასთანაც მხოლოდ ეს მნიშვნელობა („ჭერი — სართული“) დასტურდება.

ყველაზე ძველი ძეგლი, რომელშიაც სიტყვა ჭერი შეგვხვდა, არის „ვეფხისტყაოსანი“. ამ ძეგლში ჭერი ორჯერ გვხვდება და ორგანვე მეტაფორის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია („გიშრის ჭერი“ და „ბროლის ჭერი“).

განვიხილოთ ორივე შემთხვევა ცალ-ცალკე.

1. 1009-ე სტროფში ვკითხულობთ:

„ფრიღონ თქენა ესე სიტყვანი მოთქმითა შეენიერთა;
სული დაიღეს, დაღუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა.
აეთანდილ მჭვრეტთა ახელებს ტურთითა აერ-ფერითა,
მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიშრისა ჭერითა“.

ამ მეტაფორას („გიშრის ჭერი“) მკვლევრები ნაირნაირად ხსნიან. ყველაზე ადრე მას, რამდენადაც ვიცით, თეიმურაზ ბაგრატიონი შეეხო: „გიშრის ჭერი თვალის კაკლის ბროლი დაფარული, რომელიცა, რეცა ცისა ფიგურისა და სიმრგვლისა სახედ განკვეთოვნებს“ — წერს იგი („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, გვ. 185). როგორც ვხედავთ, ჭერი თ. ბაგრატიონს მისი გვიანდელი მნიშვნელობით („ПОТОЛОК“) ესმის.

ამ მეტაფორას განიხილავდნენ კ. ჭიჭინაძე⁵ და პროფ. ალ. ბარამიძე⁶. ჭერი ამ მკვლევრებსაც დღევანდელი მნიშვნელობით („ПОТОЛОК“) ესმის, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს.

⁴ შდრ. კეტი და დაკეტვა (დიალ. კელი — დაკედვა), აგრეთვე საწყვევარი სიტყვა ოჯახ-კეტიანი, ე. ი. ოჯახგამოკეტილი, ოჯახაობრებული(?).

⁵ „ვეფხისტყაოსანი“, 1934, გვ. 295.

⁶ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 246.

წამწამების დასახასიათებლად რუსთაველს მრავალი მეტაფორა აქვს. ჩვენ მხოლოდ იმ ორშემადგენლიან მეტაფორებს დავიმოწმებთ, სადაც პირველი შემადგენელი გიშერია:

1. გ ი შ რ ი ს ტ ე ვ რ ი:

„მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქეათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია“ (1254,2);
„სისხლისა ღერამან შელება წითლად გიშრისა ტევრები“ (1336,2).

2. გ ი შ რ ი ს ს ა რ ი:

„კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა (1228,4);
„სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარეენ გიშრისა სარითა,
მას მოვემორვე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა“ (889,1).

3. გ ი შ რ ი ს ს ა ყ ე:

„ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“ (194,4).

4. გ ი შ რ ი ს წ ნ ე ლ ი:

„ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“ (1280,2).

5. გ ი შ რ ი ს დ ა ნ ა:

„დადუმდეს, ცრემლნი მოჰყვეთნა შეემან გიშრისა დანამან“ (266,4).

6. გ ი შ რ ი ს შ უ ბ ი:

„შიგან სისხლისა მორვესა ეყრდნის გიშრისა შუბები“ (1146,2).

7. გ ი შ რ ი ს ხ ე:

„ჩემნი მომკლველნი წამწამნი შეენი გიშრისა ხენია“ (1261,4).

8. გ ი შ რ ი ს ღ ა რ ი:

„ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა“ (1140,3);
„მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად“ (86,3).

9. გ ი შ რ ი ს ს ა ტ ი:

„სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები“ (267,4).

10. გ ი შ რ ი ს ტ ა ლ ა:

„სულნი გაიქცნეს, მოღრიკა თაე გიშრისა ტალამან“ (1340,3).

ამათ გარდა წამწამების მეტაფორებია ალვის ხე (1147,3), ყორნის ბოლო (1363,3) ან ყორნის ბოლო-ფრთანი (46,4), ლერწმის სარი (891,3) და ინდოთა რაჯში (835,2; 1346,2).

ამრიგად, წამწამებს თოთხმეტი ორშემადგენლიანი მეტაფორა აქვს „ვეფხისტყაოსანში“. ეს მეტაფორები, უპირველეს ყოვლისა, ფორმის მიხედვით ახასიათებს წამწამებს: ტ ე ვ რ ი, ს ა რ ი, ს ა ყ ე, წ ნ ე ლ ი, ხ ე, დ ა ნ ა, შ უ ბ ი, ღ ა რ ი, ტ ა ლ ა, რ ა ზ შ ი, ფ რ თ ა (ბოლო-ფრთა)...

თორმეტჯერ ფორმასთან ერთად ფერიც არის მოხმობილი მსაზღვრელად (ათჯერ — გიშერი, ერთხელ — ყორანი, ერთხელ — ინდო).

არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ წამწამები რაიმე ბრტყელი, სახუჩავის (დღევანდელი ჭერის) მსგავსი საგნით იყოს განსაზღვრული მეტაფორულად.

ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ჭერი „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია მისი პირვანდელი მნიშვნელობით — მოჭრილი მრგვალი, წვრილი ხე, ლატანი, ქოკი, სარი. „გიშრის ჭერი“ ისეთივე მეტაფორაა, როგორც „გიშრის სარი“, „გიშრის წნელი“, „გიშრის ღარი“, „გიშრის შუბი“... სარიც მოჭრილი წვრილი ხეა, წნელიც, ღარიც, შუბის ტარიც და ჭერიც. მეტაფორულად კი სადავო სტროფში „გიშრის ჭერი“ გიშრის წამწამები ა.

II. როცა ავთანდილმა ტარიელს ნესტანისეული რიდის ნაჭერი აჩვენა, ტარიელმა გრძნობა დაკარგა, გული წაუვიდა, რამაც ავთანდილი ძალიან შეაშფოთა.

„ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შევნიეროთ,
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერიოთა.
გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერიოთა,
მუნით წყარონი გამოხდეს, ძოწსა ვამსგაესენ ფერ იოთა“⁷ (1342).

უფრო გაცხოველებული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეტაფორამ ბროლის ჭერი („ბროლისა ჭერიოთა“).

თ. ბაგრატიონის აზრით „ჭერიოთა“ დაჭერასაც ნიშნავს და ჭერსაც (დღევანდელი მნიშვნელობით)⁷. დ. ჩუბინაშვილი: ბროლისა ჭერიოთა — ბროლის ხელის დაჭერით⁸; კ. კიკინაძე: ბროლის ჭერი — თითებიო⁹ და შემდეგ: „ხომ შეიძლება ყორანი თვალებად იქნეს გაგებული და ბროლის ჭერი ცრემლებით აბრწყინებულ წამწამებად?“¹⁰ დ. კობიძე: „ყორანი თმაა, ბროლის ჭერი — თითები“¹¹. ალ. ბარამიძე „ყორანი თმაა (შავი თმა), ბროლის ჭერი — ხელი თითებით“¹². კვლავ კ. კიკინაძე: ბროლის ჭერი — თავის ზედა ნაწილი შუბლითურთ, „ბროლის ჭერიოთა“ — ბროლის ჭერიდანო¹³. ალ. ბარამიძე იზიარებს კ. კიკინაძის ამ ახსნას¹⁴. კ. დანელია: შავ წამწამებს (ყორანი) ხშირ-ხშირად აპობს, ახამხამებს (გაჰგლეჯს), (წამწამებს) ამოძრავებს, აფრთხიალებს (აფრთხობს) ცრემლების (ბროლი) მოწოლით, დაჭერითო (ჭერიოთა)¹⁵.

თუ სარწმუნოა ჩვენი ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჭერი მოჭრილი ხეა, ლატანია, ხოლო მეტაფორა „გიშრის ჭერი“ წამწამებია, ზემოგანხილულთაგან არც ერთი მოსაზრება გასაზიარებელი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევრებს ჭერი ხან დღევანდელი მნიშვნელობით ესმით, ხან კიდევ დაჭერის მნიშვნელობით.

⁷ თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 249.

⁸ „ვეფხისტყაოსანი“, 1860.

⁹ კ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 194.

¹⁰ „მნათობი“, 1952, № 10, გვ. 152.

¹¹ „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. III, 1947, გვ. 203 და შემდგ.

¹² ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 189.

¹³ კ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 1947.

¹⁴ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 246.

¹⁵ „სკოლა და ცხოვრება“, 1962, № 2, გვ. 79—81.

რას უნდა ნიშნავდეს „ბროლის ჭერი“?

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ხუთი ორშემადგენლიანი მეტაფორა, რომელშიაც მსაზღვრელად ბროლი შედის:

ბროლის წვიმა (873,3, 1320,3) და ბროლის ცვარი (1329,1) — ცრემლია;

ბროლის ველი (194,4) და ბროლის ფიცარნი (1447,4) — ლოყებია;

ბროლის ყორები (1562,2) — კბილებია.

სულ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „ბროლი“ (ცალკე თუ კომპოზიტში) 54-ჯერ გვხვდება. აქედან არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ იგი თითებს (ხელს) უკავშირდებოდეს.

დღევანდელ ქართულში „ბროლის თითები“ („ბროლის მკლავები“) ჩვეულებრივი, ნიადაგსახმარი ხატოვანი გამოთქმაა. ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო იგი რუსთაველის ეპოქაშიაც. მაგალითად, „ვისრამიანში“ ოთხი შემთხვევაა, სადაც ბროლი თითებს (ხელს) უკავშირდება¹⁶.

ამის მიუხედავად, ეს ხატოვანი თქმა, გარდა ზემოაღნიშნული სადავო ადგილისა, რუსთაველთან არ დასტურდება. ეს თავისთავად ანგარიშგასაწევი ფაქტია. უფრო საყურადღებოა შემდეგი გარემოება: „ვისრამიანში“ ბროლი მხოლოდ ქალის (კერძოდ, ვისის) თითების დასახასიათებლად იხმარება. გლ-ს ფონდში აღმოჩნდა 31 შემთხვევა, სადაც ბროლი ხელს (თითებს, მკლავებს) უკავშირდება. აქაც ქალის ხელია (თითებია ან მკლავები)... ეს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არც რუსთაველი გამოიყენებდა ბროლს ავთანდილის (ვაეკაცის!) თითების მეტაფორად.

რაკი საქმე სტატისტიკაზე მიდგა, ვასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: პოემაში სიტყვა გიშერი 28-ჯერ გვხვდება. აქედან 23-ჯერ იგი წამწამებს აღნიშნავს. ორშემადგენლიან მეტაფორებში გიშერი ერთხელ სწორედ ჭერ-თან ერთად აღნიშნავს შავ წამწამებს, თორმეტჯერ კი — ჭერის სინონიმებთან.

ამ მონაცემების მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ სადავო სტროფშიაც გვქონდა „გიშრისა ჭერთა“ და გვაქვს კიდევ, ოღონდ მარტო ერთ ხელნაწერში (ხელნ. S—4499, XVII—XVIII სს. ლიტერი K).

ერთი ხელნაწერის ჩვენება ცოტაა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ (და სხვა ძეგლებშიაც) ხშირია შემთხვევები, როცა სწორედ ერთადერთი ხელნაწერის ჩვენებას ეძლევა ხოლმე უპირატესობა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში კონიექტურის დაშვებაც შეიძლება.

თუ ამ წაკითხვას მივიღებდით („ყორანსა გაგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს გიშრისა ჭერთა“), „ყორანი“ შავი თვალეზი (თვალ-წარბი) იქნებოდა, ხოლო „გიშრის ჭერი“ — შავი წამწამები და ეს მეტაფორა ზემოგანხილულთ დაუდგებოდა გვერდზე. კერძოდ, ეს სტრიქონი თითქმის ზუსტი განმეორება გამოვიდოდა 1280-ე სტროფის მეორე სტრიქონისა: „ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“. მაშინ სადავო სტრიქონის შინაარსი ასე უნდა გაგვეგო: ავთანდილი შავ თვალეზს („ყორანს“) ხშირ-ხშირად ახელს („გაგლეჯს“, შდრ. „ნუშნი გააპნა“), აფრთხობს შავი წამწამების („გიშრის ჭერის“) დაქნევით (დაფახულებით).

¹⁶ იხ. „ვისრამიანი“, 1962, გვ. გვ. 60,7; 123, 29; 156,20; 163,17.

მაგრამ ვივარაუდოთ, რომ „ბროლის ჭერი“ ავტოგრაფისეულია და თითებს ნიშნავს. ეგუება თუ არა ასეთი გაგება კონტექსტს? ვფიქრობთ, რომ არა, აი, რატომ:

ა) შავ თმას გაგლეჯს და ბროლის თითებით აფრთხობსო, ძალიან ბუნდოვანი ფრაზაა: დაფრთხობა შეიძლება ცოცხლისა ანდა გასულიერებულისა. გაგლეჯილი თმის გასულიერება (ცოცხალი არსებისათვის, ყორნისათვის შედარება) და მისი ფრთხობა მეტაფორულადაც შეუძლებელია.

ბ) ზმნა „გაგლეჯა“ ამ კონტექსტს გარდა კიდევ ორჯერ გვხვდება პოემაში და, როგორც მოსალოდნელი იყო კონტექსტის მიხედვით, ორჯერვე სასუბიექტო ქცევა გვაქვს: „თმასა ტევრსა გაიგლეჯდა“ (227,2); „თავი სრულად გაგლეჯა“ (869,3). სადავო სტრიქონში რომ თმის გაგლეჯაზე ყოფილიყო საუბარი, იქაც სასუბიექტო ქცევა უნდა გვქონოდა: როცა თავის თმის გლეჯაზე საუბარი, არავინ იტყვის: „თმა გაგლეჯა“-ო, ამბობენ „თმა გაიგლეჯა (დაიგლეჯა)“.

გ) ასე გაგებულ კონტექსტში არც ზმნიზება „ხშირ-ხშირად“ ჩანს ბუნებრივი: მოქმედება თავისთავად მოკლე დროში ხდება. ასეთ სიტუაციაში არავინ იტყვის: ატირდა და თმას ხშირ-ხშირად იგლეჯდაო...

სტრიქონის ჩვენეულ გაგებას ეს დაბრკოლებებიც ეხსნება:

ა) თვალებისა (თვალ-წარბისა) და წამწამების გასულიერება ბუნებრივია: შავი წამწამების ხამხამი შეიძლება ყორნის ფრთების ქნევას შეეუდაროთ.

ბ) ზმნის ფორმა „გაგლეჯს“ (საარვისო ქცევა) აქ შენიშვნას არ იწვევს: „ვეფხისტყაოსანში“ თვალების გახელისა და ბაგეების გახსნის მნიშვნელობით სწორედ საარვისო ქცევაა გამოყენებული:

„ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“ (1280,2);

„ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომქვირალი“ (1292,4);

„გალიმდის ძოწნი გააპნის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა“ (1337,2).

გ) ზმნიზება „ხშირ-ხშირად“ აგრეთვე ეგუება ასეთ გაგებას: მომენტობრივ სიტუაციაშიაც შეიძლება ითქვას, წამწამებს ხშირ-ხშირად აფახულებდაო. შდრ.:

„ხმა შაქრისფერად გაუხდა ვარდსა ხშირ-ხშირად პობილსა“ (1335,4).

ამრიგად, სადავო სტრიქონში ავტოგრაფისეული ჩანს „გიშრისა ჭერთა“ და ეს მეტაფორა აქაც წამწამებს ნიშნავს. არსებითი კი ამჯერად ჩვენთვის ის არის, რომ სიტყვა „ჭერი“ „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ იხმარება მოკრილი ხის მნიშვნელობით.

ქართველური ენებიდან ჭერი // ჭეი დასტურდება მხოლოდ ქანურში. არნ. ჩიქობავა. მას ასე განმარტავს: „потолок (из круглых балок)“¹⁷. საილუსტრაციო მასალიდან ყურადღებას იქცევს ასეთი ფრაზა: „კერემული ჭერის გოწუბუნ“ — ჭაჭვი ჭერზე ჰკილია, ე. ი. ჭაჭვი (საკიდელი) ჩამობმულია ჭერის ერთ-ერთ მრგვალ ხეზე („круглая балка“) ისევე, როგორც ეს ახლა მთის ზოგ სოფელშია და როგორც ალბათ უნდა ყოფილიყო ყველგან საქართველოში. ქართულსა და ქანურს შორის შესატყვისობა არ დასტურდება, მეგრულში კი სიტყვა „ჭერი“ საერთოდ არა ჩანს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქანურში ეს სიტყვა ამ ფორმითა და მნიშვნელობით ქართულიდან შესულა.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 156.

ამრიგად, ჰერ-ს ქართულში ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს¹⁸: 1. წერილი, მრგვალი, დაუმუშავებელი მოჭრილი ხე, ლატანი და 2. ასეთი ხეებით გაკეთებული სახურავი ან იატაკი. რომელია ამათგან პირვანდელი? ცხადია, პირველია მასალის სახელი, მეორეულია ამ მასალისაგან გაკეთებული საგნისა. ქართველური ენებიდან ამის კარგი მაგალითია **ჩარგვალი** (ჩა + რგვალი) ! „მრგვალი, გაუთლელი ხეებისაგან აშენებული (შენობა) — ძელური“. გლ. მისი სინონიმი ძელური (ძელ-ურ-ი) („1. ძელებისაგან ნაშენი. 2. ამგვარად აშენებული სახლი, — ჩარგვალი“. გლ.) და, რაც ყველაზე მთავარია: **ჰერული** (ჰერ-ულ-ი) 1. კუთხ. (ჰე. იმერ.) მორებით ნაგები, — ძელური. ჰერული სახლი იყო შიგნითაც რგვალი და გარეთაც რგვალი (შინამრეწვ.). 2. კუთხ. (რაჭ.) იგივეა, რაც სხენი“ (გლ.).

შდრ. აგრეთვე ნალია (შდრ. ნალო), ფიცრული... ინდოევროპული ენებიდან ამ რიგისა იქნებოდა ბალკონი, რაც **налка**-ს უკავშირდება¹⁹.

მაგალითების გაზრდა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამითაც ნათელია, რომ ქართული შენობის ზედა ნაწილს „ჰერი“ დარქმევია იმ მასალის მიხედვით, რომლითაც ის კეთდებოდა. მის სინონიმად უძველეს ძეგლებში სართული გვევლინება.

ეტიმოლოგიურად ჰერი „ჰრა“ — ზმნას უნდა უკავშირდებოდეს. ამ ზმნას ქართულში დღემდე ცნობილი ორგვარი გახმოვანება აქვს: ჰერ- / ჰარ- შემონახულია ხევსურულსა და გურულ კილოებში: გურ. გაჰარი („გაჰერი“), ხევს. ნაჰარი („მოჭრილი“, „ნაჰრილობევი“, „ჰრილობა“):

ნაჰ „ბერა ხეებ ჩამაყვარე წისკილასად ნაჰარია“ (ხევს. პოეზ. 682,2); (ივანემ) ორ იქაე წა-მაეციეა, მესამეს გაყეა ნაჰარია“ (ხევს. პოეზ., 201, გვ. 13);

„ჰერე ჯმალს შამაჰეაჰრე, ჯმალა მე მქონდა სამლარი,

მემრე ცხენს შამაჰეაჰრე, ცხენიც მე მყუანდა სალარი.

ორიე იათად გინდოდა, კაცი მომცემი სად არი?

მემრ მითხარ: „ჯმალი რად გინდა?...“ აწ ნახე შალთის ნაჰარია!“ (ალ. ოჩ., 27, 25).

„ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი სტრიქონი: „კარვის კარი ჩახლართული ჩაეჰერ, ჩაეაჰარაბაჰე“ (561,1), C ლიტერით აღნიშნულ ხელნაწერში (H—2074; 17 ს.) იკითხება: „ჩაეჰარ, ჩაეაჰარაბაჰე“ (ალბათ გადამწერი გურულ კილოზე მეტყველებდა).

ქართული ჰარ- ძირის შესატყვისია ჰან. ჰკორ-/ჰკირ-, შკორ-, მეგრ. ჰკირ-²⁰. ზმნას შესატყვისი აქვს, მისგან ქართულის ნიადაგზე ნაწარმოებ ნაზმნარ სახელს (ჰერი) კი — აღარა.

მაშასადამე, ჰერი ნაზმნარი სახელია: ვ-ჰარ — ვ-ჰერ — ჰერი.

ჰერო // ჰერო-ბედელო. ჰერი-დან არის ნაწარმოები (შდრ. გრილი — გრილო, ჩრდილი — ჩრდილო...) „ჰერო“. „ჰერო“ ხევსურეთში („ჯვართ ენაზე“) არის საკულტო ნაგებობის („ჯვარნი“) ნაწილი.

„ბელელში ხომ, გარდა ხუცესებისა, ევრაეის შევიდოდა, ჰეროში კი ყველას შეეძლო შესელა, — ჯელოსან-დასტურებსაც და ხუცესსაც“ (ეთნ., კალენდ., 42, 664); „ბელელში შესელა შეეძლო მარტო გამძლოთ, ე. ი. ხუცესებს. ძილი კი არც მათ შეეძლო იქ. ისინიც იძინებდნენ ჯელოსანთან ჰეროში, ჰეროს დაბლა იყო საბერო“ (იქვე, 42, 655); „ააგეს გუდანის ჯვარის ბელელი და ჰერო (ეთნ., გაოხრ.; გეარ., 3, 28);

¹⁸ ჰერის სხვა, გვიანდელი მნიშვნელობებია [მაგ., „რასაჰე, რაიჰე მიღწეუას ზღვარი“, (გლ.) და მისთ.] ამჟამად არ გვაინტერესებს.

¹⁹ М. Ф а с м е р, Этимологический словарь русского языка, т. I, Москва, 1964.

²⁰ არნ. ჩიქობაია, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 236.

„კამალა ჰეშმარიტისა ხთისგან ას გუნებინი.
ჰერო მიმიცაე ყმათადა, მამწონან ულვაშიანნი (ალ. ოჩ., 91,1).

ჰერო-სა და ბელელ-ის შეერთებით მიღებულია კომპოზიტი ჰერო-ბელელი“:

„შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ჰერო-ბელელზე მდგომო ანგელოზო მცაეი მჟარაეი ხარ სანების ჰერო-ბელელთაი“ (ეთნ. კალენდ.; 4,60); „აქ აშენდ ყველა, რაც ჰვარჩი წესი: ჰერო-ბელელ, ღარბასი, საქვაბე“ (ეთნ. კალენდ., 10,209); „ჩაეადებთეე ღუსურბანსაე ლიბთეე; ჩემ ჰერო-ბელელე მამი აეაშენებთეე“²¹.

ჰერხო; ჰერა-ბჰო. „ჰერხო — თუშ-ფშაე-ხეცსურეთში — ორსართულიანი სახლის ზედა სართული“ (გლ.):

- „ხინკლიანს ჯამს ვერცად ხელაეს, ვერცად ჯამსა თათლიანსა,
- „ჰერხო-ს-კარში ხეხილებსა მსხმოიარეს, ვაშლიანსა“ (მიელ.);
- „ჰერხოთ ჩამადის ღგრიალი ნალესის ფრანგულისაო“ (ხეცს. პოეზ., 209, 34);
- „სანათაურის ჰერხოში ნაფოტ ეყარა ფარისა“ (ხეცს. პოეზ., 141,11);
- „ხუთშაბათ გათენებადა გაეალი ჰერხო-ს კარიო“ (ფშ. ხეცს. პოეზ., 201, 9);
- „ადეგ, ჰერხოჩი დაეგდი ორ-სამის შვილის მამაო“ (ი.ევე, 164,7).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ მთიულურში ჰერხო იგივე ჰერია („მოკრილი ხე“), ე. ი. ჰერი-საგან — ჰერი (სახურავი), ჰერხო-საგან ჰერხო („სახლის მეორე სართული“) წარმოიქმნა.

ჰერხო აგრეთვე კომპოზიტია (ჰერი + ხე) ო დაბოლოებისათვის შდრ., ფართე — ფართო, ღრანტე — ღრანტო, ღელე — ღელო, ფლატე — ფლატო, ჩხნდე — ჩხნდო. შდრ., ჰერო, შდრ., აგრეთვე ჰერული, ძელური, ჯა-რგვალი (იხ. ზემოთ).

ხეცსურულში არის სიტყვა „ჰერა-ბჰო“, რაც სახლის ყველა კუთხე-კუნძულს აღნიშნავს:

„მთელ ჰერა-ბჰონ გამაიარნ, დაუძვე არცა გაწირ“ (მიელ.).

„ჰერა-ბჰო ჰერი-სა და ბჰე-ს შერწყმით მიღებული კომპოზიტია.

ჰერახი // ჰერეხი. ჰერეხი გლ-ში ასეა ახსნილი: „რიყის ქვა, რიყე“. მოტანილია ილუსტრაციები: „ფართხალეზდა იგი ჰერეხზე ამოგდებულ კალმახით“ (ნ. ღუმბ.); „სულ ჰერეხით ეყარნენ დაკრილ-დახოცილები“ (ი. მაქავ., თარგმ.).

შ. არაგვისპირელთან და ვ. ბარნოვთან ჰერახი დასტურდება:

„ყელ-გამოღადრული წერილფება და მსხვილფება საქონელი ჰერახებით ეყარა“ (შ. არაგვ., რჩ. ნაწ. 392,15); „ბერამ... ძლიეს გაარჩია ჰერახებით დაყრილი დაბორკილი ტუსალები“ (შ. არაგვ., რჩ. ნაწ., 11, 57,10); „ჰერახით ეყარა ჩახოცილი ყიზილბაში“ (შ. დად., დიდი მოურავი, 337,20).

ე. ი. კომპოზიტთა შესაყარზე ხან ე გვაქვს (ჰერ-ე-ხი), ხან ა (ჰერ-ა-ხი) (შდრ. ზემოთ ჰერ-ა-ბჰო).

გლ-ს ფონდში აღმოჩნდა ჰერეხის (ჰერახის) ხმარების ათი შემთხვევა. ცხრა შემთხვევაში ეს სიტყვა -ვით თანდებულით იხმარება, ერთხელ კი -ზე თანდებული ერთვის. -ვით თანდებულიანი ფორებიდან კაცი ვერ გაიგებს, რას ნიშნავს ჰერეხი. -ზე თანდებულიანიდან კი აშკარად ჩანს, რომ ჰერეხი ავტორისთვის (ნ. ღუმბაძე) რიყეა.

²¹ თ. ოჩოაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 105.

ფშაურ დიალექტში ჰერეხი „გაკაფული, წაქცეული ხე-ტყე“-ა (გ. ხორნაული):

„აბა-ბა, აი, ბოინშია, ე, ჰერეხივითა ჰერავის აი დაჯოცილ საქონელი“.

მოვიყვანოთ ჰერეხის ხმარების სხვა შემთხვევებიც:

„მთვრალი ხალხი ჰერეხივით ეყარა ზოგი სად და ზოგი სად (ვაჟა, IV, 136,2); „თითქმის მთელი ჯარი დაავადებული იყო და ჰერეხივით ეყარა“ (ი. გოგ., მოთხრ., 266,25); „მანამ მტერი გასროლას მოასწრებდა, ხელმეორედ იგრილა ქართულთა თოფებმა და ეს რიგიც ჰერეხივით მიწაზე დაემხო (იქვე, 257, 26); „დაბანაკებული ლაშქარი სალუქ კარების ჩრდილქვეშ მიყრილა ჰერეხივით“ (შ. დად., გორგი რუსი, 278, 28); „ცნობადაკარგული რაზმელები მალე იქვე ჰერეხივით დაეყარნენ“ (რ. გუბ., ქიაკოკონა, 277, 3).

ათი შემთხვევიდან ცხრაში ჰერეხთან შედარებულია დახოცილი პირუტყვი, დაძინებული, ან დახოცილი ხალხი. საყურადღებოა ი. გოგებაშვილთან დადასტურებული გამოთქმა „(ხალხის) რიგი ჰერეხივით დაემხო“. განა ვინმე იტყვის: ხალხი რიყესავეთ დაემხო? საერთოდ შესადარებლად მოტანილი „ჰერეხი“ იმდენად სიმრავლეს არ აღნიშნავს, რამდენადაც დახოცილი პირუტყვის, დაძინებული (დახოცილი) ხალხის განლაგების ფორმას. როგორც მოქრილი („დახოცილი“) ხეები და ჰერეხი (ხე-ჰერი, ჰერე-ხი) დაეყრება ხოლმე, ისე ეყარა ხალხი, ამბობს ის, ვისაც ჰერეხი მოაქვს შესადარებლად.

ერთი სიტყვით, „რიყე“ და „რიყის ქვა“ ჰერეხი-ს მეორეული მნიშვნელობა უნდა იყოს. ასეთი მნიშვნელობის გაჩენა მოულოდნელი არ არის: რიყე-ც უთავბოლოდ დაყრილი ქვების ერთობლიობაა, სიმრავლეა. რიყე სიმრავლის აღსანიშნავად იხმარება ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“: „მუნ იღვა რიყე თვალისა“ (1366,2); „მუნ ნახეს რიყე აბჯრისა“ (1418,3). შდრ. აგრეთვე გამოთქმა რიყეზე ქვას ვერ ხედავს (=განგებ არ ამჩნევს).

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ გვაქვს კომპოზიტი ხე-ჰერი. ჰერე-ხი და ჰერ-ხო შებრუნებული წყობის კომპოზიტებია.

არც ეს არის შეუძლებელი და მოულოდნელი. ხევსურულ დიალექტში, მაგალითად, „ხე“ და „ქვა“ სიტყვების „და“ კავშირით შეერთებისას, ან კომპოზიციისას „ქვა“ ყოველთვის პირველ ადგილზე დგას („ქვა და ხე“, „ქვა-ხე“), ფშაურში კი პირუტყუ „ხე და ქვა“, „ხე-ქვა“-ა ნორმა. ეს ნორმა გატარებულია ვაჟას ენაშიც. იქ არც ერთი შემთხვევა არ შეგხვდებათ, რომ „ქვა“ წინ იდგეს [შდრ. აგრეთვე „ნაცარ-ქათამა“ და იმერ. ლეჩხ. რაჭ. „ქათანაცარა“ (იხ. გლ.)].

გლ-ს მიხედვით ჰერეხ-ს მეორე მნიშვნელობაც აქვს. ეს არის ერთგვარი თევზი (*Aspius aspius*), „რომელსაც წაგრძელებული სხეული აქვს 60—80 სმ სიგრძისა, 2--4 კგ წონისა; ჩვენში გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს წყლებში“. ჩვენი აზრით, თევზის ეს სახელწოდებაც იგივე ჰერეხია-ა, ხე-ჰერი-ა. თევზს სახელი უნდა შერქმეოდა მაშინ, როცა ჰერეხი ერთ მოქრილ ხეს, ჰერს ეწოდებოდა. ჰერეხი ამ თევზს, როგორც ჩანს, სიგრძის გამო დარქმევია (სახელდების პრინციპისათვის შდრ.: ნაფოტა, წვერა, გველანა, ხმალთევზა...).

ჰრელი. ჰრა (ჰერ-/ჰარ-) ზმნასავე უნდა უკავშირდებოდეს ზედსართავი ჰრელი (*ჰერ-ელ-ი) („ამოქრილი, ამოკვეთილი“). შდრ. კვეთილობა [„ამოკვეთა, ამოქრა (ქვაზე, ხეზე...) რაიმე გამოსახულებისა, წარწერისა და მისთ.“(გლ.)].

„აჩნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელი გამოხუჭუნა კრელი“ (დაბად. 30, 37); შდრ. იქვე: „იაკობ მოიღო კუერთხი ბრაწისა და ნიგუზისა და ძელქეისა ნედლი და გამოხუჭუნა იგი იაკობ“ ე. ი. „გამოხუჭუნა“ ნიშნავს დააქრელა. „აჰა, ვაცები და ვერძები აღვიდოდა ცხოვართა და თხათა სპეტაკი და კრელი და ნაცრის ფერად სხურებული (დაბად., 31, 10).

შდრ. ინგილოური: „დამკრელეველ - კეთით მწერელი ფიცარზე. კორთეს დამკრელეველ ქონში დანაყულ ნახშირს უსომდა, აშიედა (-ამავებდა), ზედაჯათი კირით ჰწერაედა, მასკრა (-„მას უკან“, შემდეგ) ყალმით ჰყრიდა“ (ნ. როსტ.); „დანაქრელევე—ორნამენტირებული. დანაქრელევე კორთე ადათ იყო უწინ“ (იქვე).

კრელი ისევეა ნაწარმოები, როგორც კმელი (გან-ვ-კემ — კმ-ელ-ი), ყველი (შე-ვ-ყავ — ყვ-ელ-ი), ზრქელი, თხელი, ბნელი, ცხელი, ბრტყელი (ძვ. ტყრპელი) და სხვ. ზოგი ასეთი წარმომავლობის მიმღეობა უკვე გასუბსტანტივდა: წნელი (შდრ. და-ვ-წან), ქსელი (შდრ. ქს-ავ-ს, სა-გუს-ალ-ი), ყინელი (შდრ. ყინ-ავ-ს) და მისთ.

სვანურში ეს სიტყვა ქართულიდან ნასესხები ჩანს. იქ გვაქვს ფორმა „კკრელ“: ჟიჟ ქამენხჳნ ლი კკრელ ი მარე — სგამენხჳნ („გველი გარედანაა კრელი, ადამიანი — შიგნიდან“).

ზანურშიც ასეთივე ვითარებაა: ჰანურში გვაქვს „ჰერელი“, მეგრულში — „კკრელი“. პროფ. არნ. ჩიქობავა წერს: „ეს სიტყვა ქართულიდან შეთვისებული უფროა, ვინემ ძველი საერთო კუთვნილება... ამიტომ ჰერ-ელ-ის სრულხმოვნიალობა მეორეული ხასიათისაა (ეს საერთოდ. იშვიათია ზანურ კილოებში: სრულხმოვნიალობა იქ პირველადი მონაცემია“²².

კრელ-ის კრა-სთან დაკავშირებას მხარს უჭერს ირანული, საერთო ინდოევროპული წარმომავლობის სიტყვა Kard-ისგან („კრა“ → „დანა“, „ხმალი“. „ხანჯალი“)²³ ნაწარმოები სიტყვები ზოგ ქართულ დიალექტში. ხევსურულში „ნაქარდა“ (ნა-ქარდა) ხეზე ამოჭრილი ორნამენტის ერთერთი სახეა. ხეზე დაქრელებულს ნიშნავს აგრეთვე „დანაქარდაული“²⁴. შდრ. გურ.: „დაქარდული — გრძლად დასერილი, დაჭრილი. „დაქარდული ხორცი“; „დაქარდული აქ თლა ბარკალი (კრილობისაგან)“ (გ. შარაშ.).

ხევსურულშივე „ქარდვა“ ქარგვა-ს ნიშნავს: „იმის გამო, რომ შილაის თანაბარი დესთები აქვს, მასზე ქარდვა გაადვილებულია“... „ნაქარდი“ აღნიშნავს „ნაქარგს“. შდრ. ლიტერატურული „არნადი“ ხევსურულ „არნაგს“²⁵.

ეს სიტყვა დასტურდება ხევსურულ პოეზიაში:

„კაითა, ქარსამის ქალო, ძმას ნუ უქარდავ ტყაეთაო, —
მაეალის თუში გულდიდი, მავა, მაგიჭრის თავსაო“ (ხევს. თაერსებ. 416, 33);
„შენც შაგენახა ბოთლაი, არაყიანი ცამკამი.
კიდევ რა გაუკეთიდი, იცნი ლამაზა ქარდვანი“ (ეთნ. სტ.-მასპ., 21, 268).

ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს ლაქარდი, ლაქარდიანი. „ლაქარდი“ ტკბილი, მომხიბლავი სიტყვაა, „ლაქარდიანი ენა“ კი ხატოვანი („კრელი“), ტკბილი, წყლიანი ენა.

ფშაური:

„ქაეარა სასტიკი იყო,
ლაქარდებს განშორებული,

²² არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 236.

²³ В. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, Москва, 1958.

²⁴ აღ. ქინქარაული, დასაბ. შრ., გვ. 254, 292.

²⁵ ე. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, 1939, გვ. 29.

ის ვაყებს არას დასდევდა,
ბაღლობით მოკიდებულნი“ (ბაჩანა, თხზ. 357).
„მოვიდა მოყურიაღე
ლაქარდიანის ენითა“ (ვაჟა, II, 106, 29).

ხევისურული:

„საღწახვალ, თან წამიყვანე, ენა გაქვს ლაქარდიანი“ (ხეეს. პოეზ. 543,21);

„გიორგის შაეხვეწები, გიორგის მოღე ყელლილიანთ: დაქმარება გამიწიეთაე, ენით ხართე ლაქარდიანნიე“ (თ. ოჩ. 70).

ამრიგად **ჭრა** — **ჭრელი**, **ქარღ** — **ქარღვა** სემანტიკურ პარალელებს ქმნიან.

დაჭერა; **ჭირი**. ქართულ **ქარ-/ჭერ-** („გა-ვ-ქარი // გა-ვ-ჭერი“) ძირს ქანურში შეესატყვისება **ჭკორ-** // **ჭკირ-** // **შკორ-**, მეგრულში — **ჭკირ**²⁶.

მეორე ქართული ზმნის **ჭერ-** // **ჭირ-** (ე-ი-ჭერ — და-ვ-ი-ჭირ-ე) ძირის შესატყვისად ვარაუდობენ მეგრულ **ჭკორ-**-ს, რაც „მონას“ ნიშნავს²⁷. **ჭკორ-** ძირი შემორჩენილი უნდა იყოს მეგრულ გვარებში: გეგეჭკორი („გეგეს, წმინდა გიორგის მონა, ყმა“, „დაჭერილი“), პაჭკორია („პაპას, მღვდლის მონა, ყმა“, „დაჭერილი“, „კუთვნილი“). აშკარად იგივე ძირი ჩანს მეგრულ გვარში **ვა-დაჭკორია**.

მეგრული **ჭკორ-**-ის ასე ახსნას ის დაბრკოლება ახლავს, რომ მისი შესატყვისი **ჭარ-** („დაჭერილი“-ს მნიშვნელობით) ქართულში არა გვაქვს. ქართულში **ჭარ-** ჭრის მნიშვნელობით დასტურდება.

მეგრული **ჭკორ-** ძირის ახსნა დავას არ გამოიწვევს, თუ ქართულ **ჭარ-/ჭერ-/ჭირ-** („დაჭრა“ — „შეკვრა“, „დაჭერა“) ძირებს ერთი წარმომავლობისად მივიჩნევთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, შემთხვევითად ხომ ვერ ჩავთვლით, რომ ქართ. **ჭრა-**-ს და **დაჭერა-**-ს მეგრულში ერთი და იგივე (**ჭკორს**) შესატყვისი აქვს?

მაშასადამე, ძირი **ჭარ-/ჭერ-ჭირ-**, რომელიც დაპირისპირებულ ცნებებს გამოხატავს, ისეთივე გახმოვანებისაა, როგორც **ჩან-** („ჩანს“), / **ჩენ-** („აჩენს“ // **ჩინ-** („თვალის ჩინი“, ხეეს. „ჩინს“), **ქარ-** („შე-ვ-ქარ“) / **კერ-** („შე-ვ-კერ-ე“, „შე-ვ-კერ-ბ-თ“) / **კირი** („известь“) და სხვ.

ჭარ-/ჭერ-ჭირ- ძირისა უნდა იყოს ქართული სიტყვა **ჭირი** („მწუხარება“, „ავადმყოფობა“), რომელსაც მეგრულში აქვს შესატყვისები: **ჭკრ-/ჭკირ-**, ქანურში — **ჭკრ/ნჭკრ**²⁸. მორფოლოგიურად ეს სახელზმნა სტვირი (სტვენს — სტვ-ირ-ი), ჩინი (ჩანს — ჩინ-ი), კშირი (კშავს — კშ-ირი) სახელზმნათა მსგავსად ნაწარმოები ჩანს. არც სემანტიკურად უნდა იწვევდეს დავას მისი „ჭრა“, „დაჭერა“ ზმნებთან დაკავშირება. ძველ ქართულში ავადმყოფობის სახელები სწორედ ამ სემანტიკის ზმნებს უკავშირდებოდა: **დაქსნილი**, **განრღუეული**, **განკაფა** („დაქსნა, ძალისა, გინა ხრწნა“, საბა) და მისთ.

„ჭირი“-ს სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბება ჩვენ ასე წარმოგვიდგება: **დაჭერა** („შეკვრა“), წუხილი, ავადმყოფობა. შდრ. ძვ. დაწუხვა ანუ წუხილი

²⁶ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 417.

²⁷ K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 157.

²⁸ შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 410; Г. Климов, Этимологический словарь, გვ. 255. „ჭრა“ ზმნის შესახებ შდრ. თ. გამყრელიძე, დაგ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. გვ. 226, 227, 236—239, 243, 244, 246, 248, 254.

ქართული ლექციონარების ტექსტის ენობრივი თავისებურებანი

(ხუთწიგნეულის მიხედვით)

პარიზის, კალას, ლატალის და სინას ლექციონარები X ს-ის ხელნაწერებია¹. მოსეს ხუთწიგნეულის ტექსტი, რომლის ენობრივ ანალიზსაც ვაკეთებთ ქვემოთ წარმოდგენილ სტატიაში, თითქმის სრულად არის მათში მოცემული.

I. ორთოგრაფიული მოვლენები

1. **ჭ გრაფემის არასწორი ხმარება.** **ჭ** ნიშანი ძველ ქართულში უპირატესად ემ დიფთონგის გადმოსაცემად იხმარებოდა². ჩვენს ხელნაწერებში დადასტურდა **ჭ** გრაფემის არასწორი ხმარების შემდეგი შემთხვევები:

ა) ე-ზე ფუძეგათავებული სახელების სახელობით ბრუნვაში **ჭ**-ს ნაცვლად ე ნიშანია დაწერილი:

მისცა საპურობილე იგი PK, შდრ.: საპურობილჭ K, დაბ. 39, 22; აწ ვითარ ვქმნე საქმე ესე ბოროტი L, შდრ.: საქმჭ PK, დაბ. 39,9.

ამგვარი შემთხვევები ძირითადად ლატალის ლექციონარზე მოდის.

ბ) აღმატებითი ხარისხის ფორმებში გვხვდება ე **ჭ**-ს ნაცვლად:

უმჯობეს L, შდრ.: უმჯობჭს P, დაბ. 29,19; უწინარეს L, შდრ.: უწინარჭს PK, გამ. 10,14. უხუცესი L, შდრ.: უხუცჭსი P, დაბ. 25,23. უძლიერესი L, შდრ.: უძრიელჭსი P, მ. სჯ. 11,23 და სხვა მრავალი.

გ) ე ნიშანი უშნება და ცშნება ზმნურ ძირებში:

უშნ და ცშნ ზმნურ ძირებში PKS ხელნაწერები ყოველთვის **ჭ** გრაფემას გამოავლენენ. რაც შეეხება L-ს, ამ შემთხვევაში იგი ზოგჯერ ე ნიშანს იყენებს:

აღაშენე L, შდრ.: აღაშჭნე P, მ. სჯ. 6,10. აღსაშენებელსა L, შდრ.: აღსაშენებელსა K, გამ. 15,17. აღმოაცენენ L, შდრ.: აღმოაცჭნენ K, დაბ. 1,11 და ა. შ.

დ) ე ნიშანი **ჭ**-ს ნაცვლად ზმნიზედებში: ესრჭთ და ეგრჭთ:

ესრეთ L, შდრ.: ესრჭთ P, გამ. 1,10; დაბ. 45,17; 25,22. ეგრეთ L, შდრ.: ეგრჭთ P, დაბ. 29,26; 45,21.

ე) ისრაშლ || ისრაელ.

მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული კალას ლექციონარში, სადაც „ისრაშლ“ ფორმა გვხვდება ე ნიშნით, ისიც უქარაგმო ფორმაში:

ძეთა ისრაელისათამან K, შდრ.: ძეთა ისრაშლისათამან PLS, გამ. 12,6.

ვ) **ჭ** || ემ

¹ ეს ლექციონარები აღნიშნული გვაქვს ლიტერებით: P, K, L და S.

² Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, М. -Л., 1925, გვ. 3, 4. ა. შ ა ნ ი ძ ე (აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1937, გვ. 252—253. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მასალები **ჭ**-ს ისტორიისათვის (ხელნაწ.), თბ., 1944, გვ. 415. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 5—6.

ხშირია -ეა გრაფემათა ჯგუფის ხმარება θ -ს პარალელურად. ამის მაგალითები ბევრია ლატალის ლექციონარში, შედარებით ნაკლები — K -ში, საერთოდ არ გვხვდება P -სა და S -ში:

ბზეა K , შდრ.: ბზ θ P , გამ. 5,8; 5,10. საქმეა K , შდრ.: საქმ θ LS , დაბ. 2,2. მდინარეა მეოთხეა L , შდრ.: მდინარ θ მეოთხ θ KS , დაბ. 2,14 და სხვა მრავალი.

ზ) ე || θ

ეს მოვლენა, რომელსაც მხოლოდ პარიზის ლექციონარში აქვს ადგილი, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ θ გრაფემის ფუნქცია, როგორც ეა დიფთონგის გამომხატველისა, X ს-სათვის საკმაოდ შერყეულია:

ქუ θ წარმავალი P , შდრ.: ქუეწარმავალი KS , დაბ. 6,20. ხ θ თა P , შდრ.: სეთა L , გამ. 7,19. სჯ θ მს P , შდრ.: სჯემს K , დაბ. 37,12 და ა. შ.

თ) θ გრაფემის ადგილას კალას ლექციონარში ე θ დაწერილობა დასტურდება:

სიცხე θ K , დაბ. 8,22. ეგრე θ თ K , დაბ. 18,15. ძე θ K , დაბ. 18,14. ნოვე θ ს-ნი K , დაბ. 9,18. ეგრე θ თ K , დაბ. 18,15. ნოე θ ს თანა K , დაბ. 7,15.

ი. იმნაიშვილის აზრით, ე არის იმიტომ, რომ იგი იმდროინდელ გამოთქმას შეეფერება, θ კი ძველ ტრადიციას უხდის ხარკს³.

2. **ა გრაფემის არასწორი ხმარება.** ა) ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში იწერება ი ა-ს ნაცვლად:

პირმშოი L , შდრ.: პირმშოა PK , გამ. 4,22. ეზოი L , შდრ.: ეზოა P , გამ. 40,27. სამყაროსა L , შდრ.: სამყაროესაებრ K , დაბ. 1,20. ოქროსა L , შდრ.: ოქროსა P , გამ. 11,2. იუდაისსა L , შდრ.: იუდაესა P , დაბ. 38,22. უდაბნოითგან L , შდრ.: უდაბნოითგან P , მ. სჯ. 11,24. სამინდოითა L , დაბ. 40,16 და სხვ. მრავალი.

ბ) აკლია მოსალოდნელი ა აა და ოა დამავალ დიფთონგებში:

იყვნედ განმანათლებლად სამყაროსა ცისსა L , შდრ.: სამყაროესა ცისაა-სა K , დაბ. 1,15. კარვისა მის საწამებელისასა P , შდრ.: საწამებელისაა-სა L , გამ. 40,20 და მისთ.

გ) ა ზედმეტია:

არა ინებაა K , გამ. 8,32. არაა მისცა L , შდრ.: არა მისცა P , დაბ. 38,14. განვიდა გარეა P , შდრ.: გარე LK , დაბ. 39,18 და ა. შ.

დ) ა ხმარება იქ, სადაც სამწერლობო ნორმების მიხედვით მოსალოდნელია ი:

წარავლინნა... მოციქულნი... ქუეყანად სეარად L , შდრ.: სეირად P , დაბ. 32,3. კამნან P , დაბ. 11,12. მოსებს L , დაბ. 48,1. თოთაამს L , დაბ. 37,17. აახილნა S , დაბ. 22,4; 22,13. აახუნეს L , მ. სჯ. 7,1.

ა გრაფემის ფუნქციის დავიწყების შედეგად შესაძლებელი გახდა მისი დაწერა, იქ, სადაც არავითარი საჭიროება არ იყო, ან იქ, სადაც ნორმების მიხედვით იწერებოდა ი.

θ და ა გრაფემათა ხმარების წესების დარღვევათა უმეტესობა ლატალის ლექციონარში გამოვლინდება.

3. **ვ და უ გრაფემათა მონაცვლეობა.** იმის გამო, რომ ლატალის ლექციონარი სვანეთშია დაცული, იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს ძეგლი სვანის

³ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, ზბ., 1957, გვ. 108.

მიერ გადაწერილი? საკითხის გარკვევისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელნაწერში ვ და უ გრაფემათა მონაცვლეობის კანონზომიერების დადგენას. საქმე იმაშია, რომ სევანურში არ არის კბილბაგისმიერი ვ სპირანტი. ლატალის ნუსხაში რომ უხვად დადასტურებულიყო უ ვ-ს ადგილას, ამ მოსაზრებას შესაძლებელია რეალური საფუძველი გასჩენოდა. მაგრამ ჩვენს ძეგლში მონაცვლეობის ორივე სახე: ვ/უ და უ/ვ დაახლოებით თანაბარი (საკმაოდ მცირე) რაოდენობით დასტურდება:

ა) ვ-ს ენაცვლება უ:

შეიყუანა L, შდრ.: შეიყვანა P, დაბ. 29,13. გუყუნა L, შდრ.: გყვნა P, მ. სჯ. 10,22. აღიმსთუე K, შდრ.: აღიმსთუე PL, გამ. 8,20. იყუნეს K შდრ.: იყვნეს P, მ. სჯ. 10,2; 9,10; დაბ. 37,25.

ბ) უ-ს ენაცვლება ვ:

უკვეთუ L, შდრ.: უკუთუ P, დაბ. 25,22. მარჯვენაჲ L, შდრ.: მარჯუნაჲ K, გამ. 15,6. განისვენებდეს L, შდრ.: განისუნენებდეს P, დაბ. 29,2.

გ) ვი გრაფემათა ჯგუფი დასტურდება უი დიფთონგის გადმოსაცემად.

ეს მოვლენა სულ რამდენჯერმე იჩენს თავს ლატალის ლექციონარში: ჩჩვილი დაბ. 18,7. ნანდვილ დაბ. 18,21. მოვამშვიდო დაბ. 32,20. მეშვიდედ გამ. 12,15. განვიტვინნეთ გამ. 8,26, მიხვიდე მ. სჯ. 6,14.

4. გრაფიკული მონაცვლეობანი, რომელთა მიზეზია უ ბგერის რთული დაწერილობა. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში უ ბგერის გადმოცემა ორი ნიშნით ხდებოდა: ოჲ (Q⁴) ეს რთული დაწერილობა გახდა მიზეზი მთელი რიგი გრაფიკული აღრევებისა:

ა) უ/ჲ. ამგვარი მონაცვლეობის დროს გამოტოვებულია უ გრაფემის პირველი შემადგენელი კომპონენტი — ო. ჩვენი მასალის ფარგლებში ამას აკეთებს მხოლოდ L-ის გადამწერი: თვეთა დაბ. 29,14. იყუნედ დაბ. 1,15. უკვეთუ მ. სჯ. 6,25. ყოვლითურთ გამ. 1,1. მჲნ დაბ. 26,17. გრქჲა დაბ. 26,2. თქჲა დაბ. 25,22.

ბ) უი დიფთონგის ნაცვლად ვი. ამ შემთხვევაშიც ადგილი უნდა ჰქონდეს უ-ს ნაცვლად მარტოოდენ ვ-ს წერას. მას შემდეგ, რაც გადამწერი წერს ვ-ს და მის ქვეშ უ-ს ვარაუდობს, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ვ-ს მან გვერდით ი ხმოვანი მიუწეროს, რადგან მის მიზანს წარმოადგენდა უი დიფთონგის გადმოცემა. ამ მოვლენას ადგილი აქვს ძირითადად ლატალის, უფრო იშვიათად — პარიზის ლექციონარებში:

L: ღჲინოჲ მ. სჯ. 7,13. ხჲიდოდი დაბ. 28,15. წინა-დაიცჲითოს, დაბ. 17,4 და ა. შ.

P: ჲღჲით დაბ. 13,13. თქჲიან დაბ. 10,9. ასჲიან დაბ. 29,3. ეგჲიპტედ დაბ. 37,28. მახჲილი გამ. 5,3.

გ) ო და უ ნიშანთა გრაფიკული მონაცვლეობა:

უ-ო: ქურომსა P, შდრ.: ქურუმსა L, გამ. 2,16. მოცელსა L, შდრ.: მუცელსა P, დაბ. 25,22. ობეთა შენთა K, შდრ.: უბეთა შენთა P, გამ. 4,6. ნოუკუ L, შდრ.: ნუუკუე P, დაბ. 19,17 და ა. შ.

ო-უ: მუალს L, შდრ.: მოვალს P, დაბ. 39,20. გუნებაჲ P, შდრ.: გონებაჲ SK, დაბ. 8,21. რაუდენ L, შდრ. რაოდენნი P, მ. სჯ.: 10,2. თითუეულად L, შდრ.: თითოეულად P, გამ. 12,3.

დ) უ ნიშნის ხმარება ჯ-ს ადგილას. ა. ჩიქობავა⁴ და აკ. შანიძე⁵ უი/უ მონაცვლეობას დიალექტურ მოვლენად მიიჩნევენ. იმისათვის, რომ ეს აზრი მივიღოთ, აუცილებელია დიფთონგის გამონოფთონგებისას უმარცვლო ბგერის შენარჩუნება და მარცვლიანის დაკარგვა სხვაგანაც დადასტურდეს. გარდა ამისა, ყველა ის ხელნაწერი, სადაც ამგვარ მოვლენას ექნება ადგილი, რაიმე ნიშნის (გადამწერის წარმომავლობის ან გადაწერის ადგილის) მიხედვით როგელსამე ერთ მხარეს ეკუთვნოდეს.

უფრო მისაღები გვეჩვენება მეორე განმარტება ამ მოვლენისა, კერძოდ, ამ მონაცვლეობის მიჩნევა წმინდა გრაფიკული აღრევის შედეგად⁶.

ჩვენს მასალაში ეს მოვლენა მხოლოდ ლატალის ლექციონარში დასტურდება. სხვაგან თითო-ორი შემთხვევა თუ გაიპარება, რომელთა კალმის წეცდომად ჩათვლაც შეიძლება მათი სიმცირის გამო:

მოუწოდა ძესა თუსსა L, შდრ.; თუსსა P, დაბ. 27,42. ამას იტყუს უფალი L, შდრ.; იტყუს P, გამ. 7,17; 8,1. შენათუს L, გამ. 8,9. მისთუს L, გამ. 8,12. ასუთ L, დაბ. 29,7. რაჲსათუს L, დაბ. 40,6 და ა. შ.

5. ჯ || უი. პარიზის, სინას და კალას ხელნაწერებში თითქმის უგამონაკლისა ჯ-ს ხმარება უი დიფთონგის გადმოსაცემად. რაც შეეხება ლატალის ლექციონარს, აქ უი დაწერილობა არის ძალიან გავრცელებული (105 შემთხვევა გვაქვს დადასტურებული):

L: სიტყუისა ამის დაბ. 48,1. ზუინად-ზუინად გამ. 8,14. სამკუიდრებელად დაბ. 48,4. წუიმაჲ გამ. 9,33. წინა-დაიცუითეთ მ. სჯ. 10,16 და ა. შ.

K: ხუილოდე-რაჲ დაბ. 3,10. დაწუით გამ. 12,10. მახუილი გამ. 5,21 და შ. (სულ ოციოდე მაგალითია).

6. უა ხმოვანთკომპლექსის გადმოცემა უ და ჯ ნიშნებით. ა) უა/უ:

L: თულნი დაბ. 3,5; 3,7; 45,12; მ. სჯ. 11,7. სიტყუდ დაბ. 18,29; გამ. 5,23; მ. სჯ. 11,19. მწუნვილი დაბ. 2,5; გამ. 10,15. კული მ. სჯ. 11,24. ზლუსა გამ. 15,1 და ა. შ.

ბ) უა/ჯ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლატალის ლექციონარისათვის დამახასიათებელია უ ხმოვნის ჯ ნიშნით გადმოცემა ზოგიერთ შემთხვევაში. ე. ი. უა კომპლექსის ჯ ნიშნით გადმოცემა დაიყვანება უა კომპლექსის უ ნიშნით გადმოცემაზე.

L: შთახვლ დაბ. 26,2. თვლნი დაბ. 29,17; მ. სჯ. 6,20; 7,16. ვრქვს მ. სჯ. 6,20 და ა. შ.

იმის დაშვება, რომ პირველ საფეხურზე ადგილი აქვს დიალექტურ მოვლენას: უა > ო (თუალი || თოლი), მეორეზე კი ო-სა და უ-ს გრაფიკულ მონაცვლეობას, გაჭირდებოდა: ძნელი სავარაუდებელია, რომ ო/უ აღრევა ისე სისტემატურად გატარდა, რომ ო ნიშნიანი ფორმა არსად გაიპარა.

შეიძლება ვარაუდის სახით დაგვეშვა, რომ ადგილი აქვს უბრალოდ ქარაგმის კლებას, რაც არ არის უცხო ლატალის ლექციონარისათვის.

7. ე და ი ნიშანთა გრაფიკული აღრევა (I/I): და იტყოდი მათ P, მ. სჯ. 6,7. მიზორძილთა თანა P, შდრ.: მეზოძირთასა K, მეზოძირთა მისთა L, მ. სჯ.

⁴ ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 75.

⁵ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945, გვ. 049.

⁶ თ. ყაუხჩიშვილი, ხს. შრ., გვ. 381. მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 44.

13,17. აღივსო ქუეყანაჲ სიცრუვეთა მათთაგან PS, შდრ.: სიცრუვეთა K, დაბ. 6,13. და ურჩ ექმნენით უფალსა, ვინაჲთგან გამოგიცხადა თქუენ P, შდრ.: გამოგიცხადა K, მ. სჯ. 9,24.

8. კ და ხ გრაფემათამონაცვლეობა. დადასტურებული გვაქვს ერთი შემთხვევა კ და ხ გრაფემათა მონაცვლეობისა.

მოვქადო წყლით-რღუნაჲ... განხრწნად ყოველი კორციელი P, შდრ.: მოვქადო წყლით-რღვსისა წყალი... განქრწნად ყოველისა კორციელისა K, დაბ. 6,17.

ქრწნა || ხრწნა პარალელური ფორმები დადასტურებულია ძველი ქართული ენის ძეგლებში⁷.

9. ანალოგია. დაწერილია ორი ს ნათესაობით-მიცემითის ანალოგიით: და ამისსა შემდგომად მოვიდეს მოსე L, შდრ.: ამისა P, გამ. 5,1. ნათესავისა მისისა თანა შემდგომად მისსა P, შდრ.: მისა L, დაბ. 17,19 და სხვა მრავალი.

10. ქარაგმათა კლება. ეს მოვლენა დამახასიათებელია მხოლოდ ლატალის ლექციონარისათვის:

აღვაესნე სხლნი ეგუიპტელთანი L, შდრ.: სახლნი P, გამ. 8,21. უწოდა სხლი მისი ზარა L, შდრ.: სახელი P, დაბ. 38,30. და მიგცე ქუეყანაჲ ესე ნათესესა შენსა L, შდრ.: ნათესავსა P, დაბ. 48,4. უგლბდთ უფალსა L, გამ. 15,1. ჰყვი ნიშნები იგი და სსწაულები L, გამ. 15,11.

ზემოთ ჩვენ მიერ აღნუსხულ იქნა პარიზის, კალას, ლატალისა და სინას ლექციონარების ორთოგრაფიული თავისებურებანი. გადახვევებს სამწერლობო ენის ნორმებიდან გვიჩვენებს ოთხივე ეს ხელნაწერი, მაგრამ სხვადასხვა სახისას და სხვადასხვა მოცულობით. ყველაზე მეტი დარღვევა გვხვდება ლატალის ლექციონარში. მისი გადამწერი საკმაოდ სრულად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა სამეტყველო ენამ. გარდა ამისა, გრაფიკული აღრევები და სხვადასხვა შეცდომა ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ ხელნაწერში დასტურდება.

რაც შეეხება პარიზისა და კალას ლექციონარებს, ნორმათა დარღვევები ამ ნუსხებშიც სამეტყველო ენაში მომხდარი ძვრებით არის გამოწვეული, ოღონდ მათ სხვა ხასიათი აქვთ: გადამწერები ცდილობენ დაიცვან სამწერლობო ენის ნორმები, რომლებსაც ისინი კარგად აღარ იცნობენ და უნებურად შეცდომებს უშვებენ.

II. ფონეტიკური პროცესები

ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა

თანხმოვანთა ასიმილაცია. 1. რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია.

ა) მიმსგავსება საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით.

სჯ > შჯ: კაცნი უშჯულონი L, შდრ.: უსჯულონი P, მ. სჯ. 13,14. საშჯელი L, შდრ.: სასჯელი P, მ. სჯ. 10,18. შჯული PL, გამ. 12,14. საშჯელი SL, დაბ. 18,25 და ა. შ.

S₂ და O₃-ის პრეფიქსი ს ჯ ჩ ჭ თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებში შ-დ გადაიქცევა:

⁷ ი. იმ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 131; ზ. ს ა რ ჭ ე ე ლ ა ძ ე, ყ და ლ გრაფემათა და /ჟ/ და /ხ/ ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის, „ორიონი“, 1967, გვ. 262.

სკ>შკ: შკამდე L, შდრ.: სკამდე P, მ. სჯ. 6,11. შეშკამდეს PK, შდრ.: შესკამდეს L, დაბ. 40,17. და შკირდა ძეთა ისრაშლისათა საქმითა მით თიქსათა L, შდრ.: სკირდა P, გამ. 2,23 და ა. შ.

მწ>ნწ: და უფალმან აწვმა სოდომასა და გომორასა ზედა ცეცხლი და წუნწუბი S, შდრ.: წუმწუბი K, დაბ. 19,24.

სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს რეგრესული, კონტაქტური, ნაწილობრივი ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით: წ-მ მიიმსგავსა ბაგისმიერი მ და აქცია იგი კბილისმიერ ნ-დ⁸.

ბ) მიმსგავსება ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით:

ღყ>ტყ: ღალატ-ყო L, შდრ.: ღალად-ყო P, დაბ. 29,11. ვღალატ-ყავ L, შდრ.: ვღალად-ყავ P, ვღალად-ვეყავ K, დაბ. 39,14 და ა. შ.

2. პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია.

ა) მიმსგავსება ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით:

წყირთლთა P, წირთხლთა KSL, გამ. 12,7; KL, მ. სჯ. 11,20; L, მ. სჯ. 6,9.

სავარაუდებელია ასეთი პროცესი: წირთხლი > *წხირთლი (მეტათეზისი) > წყირთლი (პროგრ. კონტ. ნაწილ. ასიმილაცია).

ბ) მიმსგავსება ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით. ასიმილაციური დაყრუება:

შჯ>შჩ: შჩულად K, შდრ.: შჯულად P, შჯულისა SL, გამ. 12,24.

შჩულისა K, შდრ.: შჯულისა P, მ. სჯ. 10,8 და ა. შ.

ასიმილაციის ეს სახე დადასტურებულია მარტოოდენ კალას ლექციონარში.

3. პროგრესული დისტანციური ასიმილაცია.

ა) მიმსგავსება ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით:

კ-დ > კ-ტ: კრეტსაბმელისა მის P, შდრ.: კრედსაბმელისაჲ მის L, გამ. 40,19 და ა. შ.

4. ხმოვანთა ასიმილაცია. ხმოვანთა სრული, პროგრესული, დისტანციური ასიმილაციის ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი მაგალითი: უფალმან აწვმა ცეცხლი და წუნწუბაჲ სოდომოსა და გომოროსა ზედა P, შდრ.: სოდომასა და გომორასა S, დაბ. 19,23.

ბერძნულში და სომხურში ამავე ადგილას ეს გეოგრაფიული სახელები შემდეგი ფორმით არის დადასტურებული: Σόδομα, Σοφια Γόμορρα, Γομόρ.

თანხმოვანთა დისიმილაცია. 1. რეგრესული კონტაქტური დისიმილაცია:

ა) დისიმილაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით:

შჩ>რჩ: რჩულად K, გამ. 12,17. რჩული ჩემი L, დაბ. 26,5. ურჩულო იყვენით K, მ. სჯ. 9,24 და ა. შ.

ზ. სარჩველადე ამგვარ პროცესს ვარაუდობს: სჯ>შჯ (რეგრესული ასიმილაცია)>შჩ (პროგრ. ასიმილ. დაყრუება)>რჩ (დისიმილაცია სპირანტული ელემენტის მიხედვით)⁹.

წინა ორი საფეხური: სჯ>შჯ>შჩ ჩვენ მიერ ასიმილაციაში იქნა განხილული სათანადო მაგალითების დამოწმებით.

⁸ შდრ.: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 71.

⁹ ზ. ს ა რ ჩ ვ ე ლ ა ძ ე, ძველი და საშუალო ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, 1969, № 6, გვ. 229.

და დარჩა ნოვე მარტოჲ K, შდრ.: დაშთა PS, დაბ. 7,23. დაშთა>*დაშ-
 ჰა>დარჩა¹⁰.

2. პროგრესული დისტანციური დისიმილაცია.

არმური>არმული: არმული L, შდრ.: არმური P, გამ. 10,21. არმული
 SLK, შდრ.: არმური P, დაბ. 19,28. არმული LK, გამ. 10,22.

კურჭერი>კურჭელი¹¹: კურჭლითა P, დაბ. 15,14. კურჭელი PK, გამ.
 12,35.

გერარელი>გერალელი: გერალელთანი P, შდრ.: გერარელთანი L, დაბ.
 26,20.

მებოძირი>მიბორძილი: ყოველივე ნატყუნავი მისი შეპკრიბოთ გზასა ზედა
 მიბორძილთა თანა P, შდრ.: მებოძირთასა K, მ. სჯ. 13,17.

ვეარაუდობთ შემდეგ პროცესს: მებოძირი>*მიბოძირი (ე/ი გრაფიკული
 მონაცვ.)>*მიბორძირი (მეტათეზისი და კონტამინაცია)>მიბორძილი (დისიმი-
 ლაცია).

მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი

1. მარტივი კონტაქტური მეტათეზისი:

ა) სვლა > სლვა. იმის შესახებ, თუ რა უღევს საფუძვლად ვ-ს გადასმას
 ამ სიტყვაში, მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს¹². ჩვენს
 მაგალითებში ვ თავის თავდაპირველ ადგილას თითქმის ყოველთვის ჟ-ს სა-
 ხით არის წარმოდგენილი: სლვასა PK, შდრ.: სულასა L, მ. სჯ. 11,19. შესლვად
 PK, შდრ.: შესულად L, დაბ. 19,22. გამოსლვადმდე P, შდრ.: გამოსულამდენ
 L, გამ. 34,34 და ა. შ.

ბ) S₂O₃-ს ჰაეს გადასმა:

გარე-მოვჭლის S, შდრ.: გარე-მოჭვის KL, დაბ. 2,13.

მეტათეზისის ეს სახე კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატუ-
 რაში¹³.

2. მარტივი დისტანციური მეტათეზისი. ძარცუ>ძუარც: განიძუარცა P,
 შდრ.: განიძარცუა LK, დაბ. 38,14, L, დაბ. 38,19. განსძუარცეს PL. შდრ.:
 განსძარცუეს K, დაბ. 37,23.

ღალად-ვეყავ>ვღალად-ყავ¹⁴: ვღალად-ყავ P, დაბ. 39,14, შდრ.: ღალად-ვეყავ
 K, დაბ. 39,15.

¹⁰ იქვე, გვ. 232.

¹¹ ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 312: მკვლევრის
 აზრით, დისიმილაციის ეს სახე მხოლოდ XII ს-იდან აისახება სალიტერატურო ქართულში.

¹² F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953, გვ. 26. გ.
 რ ო გ ა ე ა, ე ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები,
 XVIII, 1958, გვ. 124—125. ზ. ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ე, მეტათეზისი XI—XII საუკუნეების ქართულ
 წერილობით ძეგლებში, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედ. ინსტ. შრომები, XI, 1966,
 გვ. 141.

¹³ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე
 პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 209—210. ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, მეტათეზისის
 ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში, თსუ შრომები, 114, 1965, გვ. 139—149. ზ.
 ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ე, მეტათეზისი XI—XII სს. ქართულ წერილობით ძეგლებში, ნ. ბარათაშვილის
 სახ. გორის პედ. ინსტ. შრომები, XI, 1966, გვ. 144.

¹⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე
 პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 209—210.

ადგილი შესაძლებელია, რომ ე-ს გადასმის მიზეზი იყოს ამ რთული ზმნის ერთიან ზმნად აღქმა და მარტივი ზმნების ანალოგიით S₁-ის ე-ს ზმნის თავდასმა.

3. საურთიერთო მეტათეზისი. ცალიერ>ცარიელ: ცარიელ P, შდრ.: ცალიერი K, დაბ. 37,24; ცარიელნი P, შდრ.: ცალიერად K, გამ.: 3,21.

ძლიერ>ძრიელ: უძრიელშს P, შდრ.: უძლიერეას K, მ. სჯ. 9,14. ძრიელნი P, შდრ.: ძლიერნი L, გამ. 1.11. განძრიელდა P, შდრ.: განძლიერდა L, დაბ. 48,2 და შ.

განგუშირე>განგუშირე: თუმცა მქონდა მახვილი კელსა შინა ჩემსა, მეტქუესვე-მცა განგუშირე შენ P, რიცხ. 22,29.

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა

ჩვენს ხელნაწერებში არცთუ ხშირია ბგერათმონაცვლეობა. მოვიყვანოთ ვეღა დადასტურებულ შემთხვევას:

1. ე-ა: უმწამშსსა K, შდრ.: უმწემესსა L. დაბ. 27,14.
2. ვ-მ: მასკულავნი L, შდრ.: ვარსკულავნი S. დაბ. 1,16.
3. შ-ს: დაჰქსა¹⁵ K, შდრ.: დაჰქშა PS, დაბ. 7,16.
4. ლ-რ: წყრტუ K, შდრ.: წყლტუ PL, დაბ. 27,11.

კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი ა

1. მე ვლალად-ვევავ კმითა დიდითა ფრიად K, დაბ. 39,14. ვლალად-ვევავ K დაბ. 39,18. შდრ.: ლალად-ვევავ K, დაბ. 39,15; ვლალად-ვევავ PL, დაბ. 39,14.

2. ზმნური ძირი ძარცუ, რომელიც მეტათეზისის შედეგად ხშირად ძუარსახეს იღებს, ზემოთ დავადასტურეთ. სინას ლექციონარში შეგვხვდა „ბუარცუ“ ფორმა, რომელშიც მეტათეზისის შედეგად გადასმული უ თავის ადგილსაც ინარჩუნებს: და ასძუარცუა ნოვე სართული S, შდრ.: აღძძარცუა K, დაბ. 8,14.

3. ხოლო იოსებ იყო ათხუიღმეტის წლის K, შდრ.: ათშვღმეტ L, დაბ. 37,2.

თ+შ→ჩ; K-ში თ-მ თავისი ადგილი შეინარჩუნა მას შემდეგ, რაც მ-სთან შერწყმით მოგვცა აფრიკატი ჩ.

ა ნ ა ლ ო გ ი ა

1. ძველ ქართულში ე-ზე ფუძეგათავებულ სახელებს ებ-იან მრავლობის რიცხვში შეიძლებოდა შენარჩუნებული ჰქონოდათ ფუძისეული ე. ი. იმნა: შვილს აღნუსხული აქვს 49 ამგვარი შემთხვევა¹⁶. ასეთი სახელების ანალოგიის ზოგჯერ ორი ე ჩნდება ისეთ სახელებშიც, რომელთა ფუძე ე-ზე არ ბოლოვდება. ჩვენ დადასტურებული გვაქვს მხოლოდ ერთი ამგვარი შემთხვევა: ებლევები იგი მათი... წარლუნა წყალმან K, შდრ.: ეტლები P, მ. სჯ. 11,4.

2. მიხუიდე შემდგომად ღმერთთა უცხოთა და მსახურებდე მათ K, შდრ.: შემდგომად P, მ. სჯ. 8,19.

¹⁵ „დაჰქსა“ ფორმა დადასტურებული აქვს ი. იმნაიშვილს: ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 129.

¹⁶ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 94.

K-ში მანი სიტყვა „შემდგომი“-ს ანალოგიით უნდა იყოს დაწერილი.

3. რაღას ავლებთ ურთიერთარს? L, შდრ.: ურთიერთას P, გამ. 2,13. „ურთიერთარს“ ფორმაში რ განვითარებულია არს ზმნის ანალოგიით¹⁷.

გარდა ზემოთ აღნუსხული ფონეტიკური მოვლენებისა, პარიზის, ლატა-ლის, კალასა და სინას ლექციონარებში დასტურდება ბგერათა კარგვა და ბგერათა გაჩენა. ბგერათა კარგვის ძირითად მიზეზს, როგორც წესი, წარმოადგენს ისეთი ფონეტიკური გარემოცვის არსებობა, რომელშიც ამა თუ იმ ბგერას უჭირს გაძლება. ჩვენ დადასტურებული გვაქვს შემდეგ ბგერათა კარგვა: დ, ვ: თ, ლ, ნ, რ, ს, ლ, ჰ, უ.

რაც შეეხება ბგერათა გაჩენას, აქ მიზეზები შედარებით მრავალფეროვანია და ძნელი დასადგენია: ზოგჯერ ბგერა განვითარებული ჩანს ხმოვანთგამყარის ფუნქციით (სათნოვებაჲ L, შდრ.: სათნოებაჲ P, მ. სჯ. 13,19), ზოგჯერ — აქცესიური კომპლექსის გათიშვის მიზნით (მეყუსეულად L, შდრ.: მეყსეულად P, დაბ. 38,29). ბგერათა გაჩენის მიზეზები ამით არ ამოიწურება. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენს ხელნაწერებში დასტურდება შემდეგი ბგერების გაჩენა: ვ, მ, ნ, ს, უ.

ბგერათა კარგვა-განვითარების მაგალითები მეტად მრავალრიცხოვანია. უმეტესად ისინი ცნობილნი არიან სამეცნიერო ლიტერატურაში და მათი აქ მოტანა არ არის აუცილებელი.

III. მორფოლოგია

ს ა ხ ე ლ ი

1. ადამიანის საკუთარ სახელთა გათანაბრება საზოგადო სახელებთან ბრუნების თვალსაზრისით.

ა) საკუთარ სახელებს სახელობით ბრუნვაში უჩნდებათ ი ნიშანი: აბრაჰამი P, დაბ. 14,19; 14,23; S, დაბ. 18,33; 19,29. ისაკი P, დაბ. 21,4; 21,5; 21,8; 22,2; 22,9; 24,64; 26,8; 26,12; S, დაბ. 22,2; 22,3. იაკობი P, რიცხ. 23,7; L, დაბ. 28,5; 28,6. ენუსი P, დაბ. 5,6; 5,9. ენუქი P, დაბ. 4,17; 5,18; 5,21. ლამექი P, დაბ. 5,28. აბელი P, დაბ. 4,9. ისრაჴლი¹⁸ P, დაბ. 46,1; რიცხ. 24,2. თობელი P, დაბ. 4,22. იობელი P, დაბ. 4,20. ბალაამი P, რიცხ. 22,41. ესავი K, დაბ. 27,21. ბეთელი P, დაბ. 35,19. რებეკაჲ P, დაბ. 24,51. მოსჴ P, გამ. 2,10. მალელჴ P, დაბ. 5,12; 5,15; 5,16. მანასჴ P, დაბ. 41,51; 48,5; K, დაბ. 48,1 (მოსჴ, მალელჴ და მანასჴ ფორმებში ჴ შეიძლება როგორც ეჲ დიფთონგს გამოხატავდეს, ასევე — ე'ს).

ბ) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ადამიანის საკუთარ სახელებთან:

და წარიყვანა ბალააკჲმან ბალაამი თავსა მას ზედა ფოგორისასა P, რიცხ. 23,28. წარიყვანა ბალააკჲმან ბალაამი P, რიცხ. 22,41. აღმიდგინა მე ღმერთმან თესლი აბელის წილ, რომელი მოკლა კაენჲმან P, დაბ. 4,25.

ჩვენი ხელნაწერების მონაცემები მხარს უჭერენ ს. ჩხენკელის იმ დებულებას, რომ „საზოგადო სახელთან გათანაბრება ძველ ქართულში, უპირველესად ყოვლისა, უნდა დაწყებულიყო სახელობით ბრუნვაში“¹⁹.

¹⁷ ე. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ბრუნების სისტემისათვის სეანურში ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 340.

¹⁸ „ისრაჴლი“ აქ იაკობის მნიშვნელობით არის ნახმარი.

¹⁹ ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 76—112.

გ) ემფატიკური ა საკუთარ სახელებთან.

მიცემით ბრუნვაში:

გამოსცდიდა ღმერთი აბრაჰამსა S, დაბ. 22,1. აღუთქუა უფალმან აბრაჰამსა P, დაბ. 15,18. განკვრეება დაეცა აბრაჰამსა ზედა P, დაბ. 15,12. განვირთხ კელი ჩემი მიცემად იგი აბრაჰამსა P, გამ. 6,8. არა იყო შრომა შორის იაკობსა P, რიცხ. 23,21. და შეეშინა მოაბსა ერისა მისგან P, რიცხ. 22,3.

ნათესაობით ბრუნვაში:

სიტყუა უფლისა იყო აბრაჰამისა მიმართ P, დაბ. 15,1. კარვისა მის აბრაჰამისა L, დაბ. 18,10. ცოლისა აბრაჰამისა P, დაბ. 20,18. განყო კელი... დაკლვად... ისაკისა S, დაბ. 22,10. წარავლინა იაკობ მოციქულნი წინაშე ესავისა P, დაბ. 32,3. მოეხსენა უფალსა აღთქუმა იგი თვისი აბრაჰამისა მიმართ, ისაკისა და იაკობისა P, გამ. 2,24. შეიყუარა იგი უფროსს ლიაჲსა P, დაბ. 29,30. დასცხრა ისაკ კურთხევისა მისგან იაკობისა P, დაბ. 27,30. შემდგომად შობისა მის სეთისა P, დაბ. 5,4. კაინანისა²⁰ P, დაბ. 5,10; 11,13. ენუსისა P, დაბ. 5,7. მალელესა P, დაბ. 5,13. ენუქისა P, დაბ. 5,19. ლამექისა P, დაბ. 5,26. არფაქსადისა P, დაბ. 11,11. სალამსა P, დაბ. 11,13. ებერისა P, დაბ. 11,15. ფალეგისა P, დაბ. 11,17. სერუქისა P, დაბ. 11,21.

2. წრფელობითი და სახელობითი ბრუნვების პარალელური ხმარება.

ა) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში:

და იყო განთიადი K, შდრ.: განთიად LS, დაბ. 1,5; 1,8; 1,13; 1,19; 1,23. რამეთუ ბერწი იყო L, შდრ.: ბერწ P, დაბ. 25,21. რომელი არს მცირე L, შდრ.: მცირე S, დაბ. 19,20. ენაჲ ერთი არს ყოველთაჲ P, შდრ.: ერთ P, დაბ. 11,6. ბნელი იყო KS, შდრ.: ბნელ L, დაბ. 1,2. იყო კაცი მაგებელ LK, შდრ.: კაც P, დაბ. 39,2 და ა. შ.

ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით, წრფელობითი ბრუნვის ყველაზე ნიშანდობლივ ფუნქციას წარმოადგენდა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გამოხატვა. სახელადი ნაწილის სახელობით ბრუნვაში დასმა წრფელობითის დასუსტებაზე უნდა მიუთითებდეს.

ბ) რომელი || რომელ²¹ ქვემდებარის ან პირდაპირი დამატების ფუნქციით დამოკიდებულ წინადადებაში:

ქვემდ.: რომელი გეჩუენა შენ? P, შდრ.: რომელ L, დაბ. 37,10. მოუწოდა, რომელნი იყენეს სახლსა მას შინა PK, შდრ.: რომელ L, დაბ. 39,14. რომელი არს სამოთხესა შინა K, შდრ.: რომელ S, დაბ. 2,16.

კ. დ.: რომელი ვეფუცე აბრაჰამს P, შდრ.: რომელ L, დაბ. 26,3. რომელი ქმნა K, შდრ.: რომელ L, დაბ. 2,2. რომელი დაჰბადა K, შდრ.: რომელ LS, დაბ. 2,8. დედაკაცი ესე, რომელი მომეც მე K, შდრ.: რომელ SL, დაბ. 3,12.

3. ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -დ და -ად გეოგრაფიულ სახელებში.

წარვიდა ქარანდ P, შდრ.: ქარანად L, დაბ. 38,10. ანველოზნი მივიდეს მიმწუხრი სოლომდ S, შდრ.: სოლომად PLK, დაბ. 19,1. მოვიწიე... მისლვად ევფათდ L, შდრ.: ეფრათად P, დაბ. 48,7. წარავლინა იაკობ მოციქულნი... ქუეყანად სეირდ P, შდრ. სეირად L, დაბ. 32,3.

²⁰ ეს და ყველა ქვემოთ მოყვანილი ფორმა არის კონტექსტში: „...შემდგომად შობისა მის...“

²¹ ბ. შ ა ნ ი ძ ე. რომელ ნაცუალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის კართველურ ენებში, I, 1956, გვ. 140—141.

ი. იმნაიშვილი თვლის, რომ -დ ნიშნიანი ფორმები უფრო ძველი ვითარების ამსახველნი არიან, ვიდრე -ა-დ ნიშნიანები²².

4. საწყისის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებანი ძველ ქართულში: ჩვენს ხელნაწერებში დასტურდება ერთი და იმავე ზმნის საწყისის სხვადასხვა ბრუნვით გამოხატვის შემთხვევები:

ა) სახელობითი და ვითარებითი ბრუნვების პარალელური ხმარება:

უმრწემისა მიცემა უწინარშს უხუცშისა P, შდრ.: მიცემა L, დაბ. 29,26. შესძინა ცოდვა K, შდრ.: ცოდვად PL, გამ. 9,34. შეენიერ არს განცდა S, შდრ.: განცდად K, დაბ. 3,6. ვერ უძლო ხილვა ქუეყანისა K, შდრ. ხილვად P, გამ. 10,5 და ა. შ.

ბ) ნათესაობით და ვითარებით ბრუნვათა პარალელური ხმარება:

არა უნდა ნუგეშინის-ცემის PL, შდრ.: ნუგეშინის-ცემად K, დაბ. 37,35.

საწყისის გადმოცემა ნათესაობითი ბრუნვით არ არის ბუნებრივი ქართული ენისათვის. ბერძნულ ენაში სურვილის გამომხატველ ზმნებთან, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვა იხმარებოდა²³. ამიტომ ისმის კითხვა: ხომ არა გვაქვს საქმე ბერძნული ენის გავლენასთან ზემოთ მოტანილის მსგავს შემთხვევებში. ეს საკითხი ჯერ ბოლომდე გარკვეულად ვერ ჩაითვლება²⁴.

5. -ებ-იანი მრავლობითი რიცხვი. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში უფრო გავრცელებული იყო სახელის დასმა ნარ-თანთან მრავლობით რიცხვში. მაგრამ არც -ებ-იანი მრავლობითი იყო უცნობი ძველი ქართულისათვის. ჩვენს ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია ამ უკანასკნელის ხმარების შემთხვევები: აქლემებსა PLK, გამ. 9,3. სახლები P, გამ. 10,6; მ. სჯ. 11,6; PL, მ. სჯ. 6,11; K, მ. სჯ. 12,3. სახლებსა PK, მ. სჯ. 8,12. კაპრაულებსა K, გამ. 4,20; 9,3. კარაულებსა PL, გამ. 9,3. მსხუერპლები PKL, გამ. 10,25; K, მ. სჯ. 12,6; P, მ. სჯ. 12,27; PK, მ. სჯ. 12,11. კუერთხები K, გამ. 12,11. სანთლები K, გამ. 12,11. ეტლები KL, გამ. 14,26; PLK, მ. სჯ. 11,4. მკედრები KL, გამ. 14,26; 14,28; L, გამ. 15,21. ცხენები K, გამ. 15,21; PL, მ. სჯ. 11,4. ჰუნები L, გამ. 15,21; K, მ. სჯ. 11,4; ჰუნები K, გამ. 15,21. ნიშები KL, გამ. 15,11; PL, მ. სჯ. 6,22; K, მ. სჯ. 13,2. ნიშებითა P, მ. სჯ. 34,11. სასწაულები KL, გამ. 15,11; PL, მ. სჯ. 6,22; L, მ. სჯ. 7,19; K, მ. სჯ. 13,2. სასწაულებითა P, მ. სჯ. 34,11. სასწაულებისა P, მ. სჯ. 34,11. ქალაქები PL, მ. სჯ. 6,10; PSK, დაბ. 22,17. სახელები P, მ. სჯ. 7,24; 12,3. სერტყები L, მ. სჯ. 7,5. კარვები PL, მ. სჯ. 11,6; P, დაბ. 13,5. კარვებისათა P, დაბ. 4,20. თესლები PKL, მ. სჯ. 11,23; L, დაბ. 27,29. შესაწირავეები P, მ. სჯ. 12,11. სოფლები P, მ. სჯ. 34,3. სანახები P, დაბ. 13,10; 13,11. მონები P, დაბ. 20,14; 24,35. მკველები P, დაბ. 20,14; 24,35. კაცები P, დაბ. 14,21. მთაერები P, დაბ. 14,7. ქალსახლისები P, დაბ. 24,13. ჯურღმულები PL, დაბ. 26,15. ასულებ P, დაბ. 5,4; 5,7; 5,10; 5,13; 5,16; 5,19; 6,1. ძეებ P, დაბ. 5,4; 5,7; 5,10; 5,13; 5,16; 5,19.

6. ისი ნაცვალსახელი. ძველ ქართულში დაკანონებულია ესე, ეგე და იგი ჩვენებითი ნაცვალსახელების ხმარება. რაც შეეხება ისი ნაცვალსახელს, მისი

²² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 413.

²³ С. И. Соболевский, Древне-греческий язык, Москва, 1948, გვ. 269.

²⁴ ი. იმნაიშვილი, სახელის ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; გვ. 181—183. დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 159.

გამოყენების მხოლოდ თითო-ორი ნიმუში მოიპოვება²⁵. მოვიყვანო ჩვენს მიერ დადასტურებულ ფორმებს:

ვინ არს ისი კაცი, რომელი ვალს ველსა ზედა? P, დაბ. 24,65. წარვიდე და ვიხილო ხილვაჲ ისი დიდი, რამეთუ არა დაიწუების მაყულოვანი ისი L. შდრ.: წარვიდე და ვიხილო ხილვაჲ ესე დიდი, რამეთუ არა დაიწუების მაყუალი იგი P, გამ. 3,3.

სახელთან დაკავშირებით ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პარიზის ლექციონარში სხვა ლექციონარებთან შედარებით დიდი რაოდენობით გამოვლინდა გადახვევები ძველი ქართული ენის სამწერლობო ნორმებიდან. ეს დასკვნა ძირითადად ვრცელდება: ა) ადამიანის საკუთარ სახელთა გათანაბრებაზე საზოგადო სახელებთან ბრუნების თვალსაზრისით და ბ) -ებ-იანი მრავლობითი რიცხვის ხმარებაზე.

ზ მ ნ ა

1. დარღვევები მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ხმარებისას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უკვე ძველ ქართულში დადასტურებულია დარღვევები მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნების ხმარებისას²⁶. მოვიტანო დამატებით მასალას:

ა) აკლია S₂:

წარწყმიდნეა იგი? S. შდრ.: წარწყმიდნეა ივინი? K. დაბ. 18,24.

ბ) O₃ (ირიბი) მიცემით ბრუნვაშია, ზმნაში კი ნიშანი არ არის წარმოდგენილი:

და ზადა მუნ სახელსა უფლისასა P, შდრ.: და ჰხადოდა მუნ სახელსა უფლისასა L. დაბ. 26,25. გამოხადეს ლოთს L, შდრ.: გამოჰხადოდეს ლოთს SK, დაბ. 19,5. და განუტეო ერი ეგე და მსახურებდენ უფალსა P, შდრ.: და განუტეო ერი ეგე და ჰმსახურებდეს უფალსა L. გამ. 6,8. რაჲთა მსახურონ უფალსა ღმერთსა მათსა PK. შდრ.: რაჲთა ჰმსახურონ უფალსა ღმერთსა მათსა L, გამ. 10,7. და მოხედა ღმერთმან აბელს P, დაბ. 4,4. კაენს... არა მოხედა ღმერთმან P, დაბ. 4,5.

გ) ერთპირიან ზმნაში წარმოდგენილია ჰაე:

ჰნათობდენ ქუეყანასა ზედა S, შდრ.: ნათობდენ ქუეყანასა ზედა L. დაბ. 1,17. რაჲთა ჰნათობდენ ქუეყანასა ზედა K, შდრ.: რაჲთა ნათობდენ ქუეყანასა ზედა L, დაბ. 1,15.

აი, რას წერს ა. შანიძე ამგვარ მაგალითებზე: „მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ზოგჯერ დამატება კი არ არის, არამედ ადგილის გარემოება. ასეთ შემთხვევაში O₃ არ არის საჭირო და ჩვეულებრივ არც იხმარება“²⁷.

²⁵ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბ., 1966, გვ. 224.

²⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი, I, თბ., 1957, გვ. 181—217; მისივე; სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959, გვ. 317 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 140—141.

²⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 210.

2. **ჰაემეტობის გადმონაშთი.** ძველი ქართული ენის ძეგლებში (IX—X საუკუნეები) აქა-იქ თავს იჩენს ჰაემეტობის კვალი²⁸, ასეთი შემთხვევები არცთუ ძალიან ხშირია. ჩვენს ხელნაწერებში დავადასტურეთ სამი ახალი მაგალითი:

და **ჰილტოლა მოსტ მისგან P, შდრ.:** და **ივლტოლა მოსე მისგან K, გამ. 4.3.** და **აღჰმარცუა ნოვე სართული იგი K, შდრ.:** და **ასძუარცუა ნოვე სართული S, დაბ. 8,14.** არა შორად **განჰწურთედ განსლვად L, შდრ.:** არა შორად **განწურთეთ განსლვად P, გამ. 8,28.**

3. **ოდ სავრცობიანი ზმნების გათანაბრება დ სავრცობიანებთან.** ა. შანიძეს მითითებული აქვს, რომ ძველ ქართულში ოდ და დ სავრცობიან ზმნათა უღლება განსხვავდება ერთმანეთისაგან²⁹. მკვლევრებს შენიშნული აქვთ, რომ უკვე ძველი ქართული ენის ძეგლებში დაწყებულია პროცესი ოდ და დ სავრცობიან ზმნათა უღლების გათანაბრებისა³⁰. ჩვენს ხელნაწერებში დავადასტურეთ ორიოდე მაგალითი, როდესაც:

ა) ოდ სავრცობიანი ზმნები 1 კავშირებითში იღებენ ე ნიშანს დ სავრცობიანთა მსგავსად:

ვიცი, რამეთუ სიტყვთ **გეტყოდეს** შენდა იგი, **გამოგეგებვოდეს** შენ შემთხუევად შენდა. გიხილოს შენ და განიხაროს სიზარულითა დიდითა K, შდრ.: ვიცი, რამეთუ სიტყვთ **გეტყოდის** შენ იგი, და აჰა-ეგერა **გამოგეგებვოდის** შემთხუევად შენდა, გიხილოს შენ და განიხაროს გელსა მისსა P, გამ. 4.14. და იგი **ეტყოდეს** შენ წილ ერსა მას. და იგი **იტყოდის** და იყოს პირ შენდა. და შენ ეყავ მას ღმრთისა მიმართ K, შდრ.: და იგი **ეტყოდის** შენ წილ ერსა მას. და იგი იყოს პირ შენდა. და შენ ეყავ მას ღმრთისა მიმართ P, გამ. 4,16.

ბ) უწყვეტელში ოდ სავრცობიანი ზმნები დ სავრცობიანთა მსგავსად ირთავენ ი-ს: შეინანა ფრიალ სარა და თქუა: არა ვიცინოდი, უფალო K, შდრ.: უვარ-ყო სარა და თქუა: არა ვიცინოდე, უფალო S, დაბ. 18,15.

4. **ნართაული ი უწყვეტელსა და II ბრძანებითში.** ცნობილია, რომ უწყვეტელს თავდაპირველად მწკრივის ნიშანი არ ჰქონდა. ი გაჩნდა I და II პირში როგორც თანხმოვანთგასაყარი მრავლობით რიცხვში (დთ-ს შორის). მრავლობითი რიცხვიდან კი იგი შემდეგ მხოლობით რიცხვშიც გადმოვიდა³¹. ჩვენს

²⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ჰაემეტობა აღიშნის სახარებაში, ტუმ. II, 1923, გვ. 417—424; მისივე: „სინური მრავალთაეი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959, გვ. 317; მზ. შ ა ნ ი ძ ე, ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში, საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 146—147; ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963, გვ. 190; ზ. ს ა რ ქ ე ე ლ ა ძ ე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერში, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, 52, № 1, 1968, გვ. 259—261; მისივე: ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, 1971, გვ. 147—149.

²⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, 1945, გვ. 835.

³⁰ ქ. ლ ო რ თ ე ი ფ ა ნ ი ძ ე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ევრსიები, თბ., 1956, გვ. 138. ზ. ს ა რ ქ ე ე ლ ა ძ ე, ოდ სავრცობიან ზმნათა პირველი სერიის ფორმების ახლებურ წარმოებაზე გადასვლის დათარიღებისათვის (წერილობით ძეგლთა მონაცემების მიხედვით), ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XXXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, 1971, გვ. 56.

³¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 434.

ქველბში დავადასტურეთ რამდენიმე მაგალითი ნართაული ი-ს ხმარებისა უწყვეტელსა და II ბრძანებითში:

და მიწოებდი მაგას L, შდრ.: და მიწოებდ მაგას P, გამ. 2,19. მივედი და შეკრიბენ K, შდრ.: მივედ და შეკრიბენ P, გამ. 3,16. ზროხაჲ თქუენი განასხით P, შდრ.: ზროხაჲ თქუენი განასხით KS, გამ. 12,32. სუი, უფალო P, დაბ. 24,18; შდრ.: სუ შენცა P, დაბ. 24,14.

5. დონიანი ვნებითი გვარის ზმნები. პარიზის, ლატალის, კალასა და სინას ლექციონარებში რამდენიმე მაგალითი მოიპოვება, როდესაც -დ სუფიქსი ვნებითი გვარის ზმნებთან დასტურდება იქ, სადაც მოსალოდნელი იყო -ნ: ხოლო უფალი განრისხდა K, შდრ.: და განრისხნა უფალი გულის-წყრომით P, გამ. 4.14. განრისხდა K, შდრ.: განრისხნა PL, მ. სჯ. 9,8; 9,20; P, მ. სჯ. 9,19. განგირისხდეს L, შდრ.: განგირისხნეს P, მ. სჯ. 6,15. შეჰყინდეს და აზღუდნეს ლელვანი იგი შოვა ზღუასა K, შდრ.: შეჰყინეს და აზღუდნეს ლელვანი იგი შოა ზღუასა L, გამ. 15,8.

ძველი ქართული ენის სამწერლობო ნორმებით უნდა იყოს: შეჰყინნეს. K-ში ორი ნ-ს თავიდან აცილება მოხდა ნ/დ მონაცვლეობით, L-ში კი — ერთი ნ-ს დაკარგვით.

ზემოთ მოყვანილის ანალოგიური შემთხვევები დასტურდება ძველი ქართული ენის სხვა ქველბშიც³².

IV. სინტაქსი

სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობა

1. ობიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში. ძველ ქართულ ენაში ნარიან სახელობითში მდგომი ობიექტი, როგორც წესი, ზმნაში სათანადო ნიშანს აჩენს. ამ წესის დარღვევას უკვე ძველ ქართულშივე ჰქონდა ადგილი³³.

რაც შეეხება ებ-იან მრავლობითში მდგომ სახელს, იგი, ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით, ზმნაში ნიშანს ვერ აჩენს³⁴.

პარიზის, ლატალის, კალასა და სინას ლექციონარებში დადასტურებული გვაქვს მაგალითები, როდესაც:

ა) ნარიან სახელობითში მდგომი ობიექტის მრავლობითობა არ არის ასახული ზმნაში:

³² ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, I, თბ., 1957, გვ. 43, ი. მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, თხუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968, გვ. 35—42. ლ. ნ ო ზ ა ძ ე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში: ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 64—65.

³³ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, თხუ მოამბე, IX, 1929, გვ. 107—119; ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 155; ზ. ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ე, -ნ სუფიქსით გაშობატულ მრავლობით რიცხვში დასმულ სახელს ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში, „მაცნე“, № 3, 1969, გვ. 228—232.

³⁴ ე. დ ო ნ დ უ ა, О двух суффиксах множественности в грузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1967, გვ. 154—155. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, გვ. 200. ა. კ ი ზ ი რ ი ა, ებნიშნაანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში, იკე, VII, 1955, გვ. 37.

დაიმარხენ და ისმინენ... სიტყუანი LK, შდრ.: დაიმარხენინ და ისმინენ... სიტყუანი P, მ. სჯ. 12,28. მოიქსენე აბრაჰამ, ისაკ და იაკობ PL, შდრ.: მოიქსენენ აბრაჰამ, ისაკ და იაკობ K, მ. სჯ. 9,27. სასწაულნი, რომელნი ამცნო მას P. შდრ.: სასწაულნი, რომელნი ამცნნა მას L, გამ. 4,28. უთხრეს რებეკას სიტყუანი ესე P, შდრ.: უთხრნეს რებეკას სიტყუანი ესე L, დაბ. 27,42. იხილეს... ძეთა ისრაჰლისათა... თავნი მათნი K, შდრ.: იხილნეს... ძეთა ისრაჰლისათა... თავნი თვსნი P. გამ. 5,19. აკურთხა იგინი ღმერთმან L, შდრ.: აკურთხნა იგინი ღმერთმან KS, დაბ. 1,22.

ბ) ებ-იან მრავლობით რიცხვში მდგომი სახელი ზმნაში რიცხვის ნიშანს აჩენს:

ეტლები მათი და ცხენები მათი, ვითარ-იგი წარლუნა წყალმან მან P, შდრ.: ეტლები იგი მათი და ცხენები, ვითარ -იგი წარლუნა წყალმან მან L, ეტლები იგი მათი და ჰუნები, ვითარ-იგი წარლუნა წყალმან K, მ. სჯ. 11,4. სახლები სავსე..., რომელ შენ არა აღავსენ PL, მ. სჯ. 6,11. და მოწყვდნეს ბუნ მთავრები იგი ამაღეკელთანი და ამორეველთანი, რომელნი დაშმნებულ იყვნეს P, დაბ. 14,7.

მსგავსი მაგალითები დადასტურებული აქვს ი. იმნაიშვილს³⁵.

გ) ზმნა რიცხვში უთანხმდება მის შემდეგ მდგომ პირველ სახელს. პარიზის, კალას, ლატალისა და სინას ლექციონარებში დავადასტურეთ მაგალითები, როდესაც რამდენიმე ობიექტის არსებობის შემთხვევაში ზმნა პირველ მათგანს უთანხმდება რიცხვში:

და მოექსენა ღმერთსა ნოვე და ყოველნი (იგი — K) მკეცნი PK, და მოექსენა უფალსა ღმერთსა ნოვე და მისთანანი იგი, რომელნი იყვნეს კიდობანსა მას შინა S, დაბ. 8,1. აკურთხა უფალმან... ნოვე და ძენი მისნი PSK, დაბ. 9,1. და შეწირეთ მსხუერპლი იგი თქუენი მუნ, და შესაწირავი, და პირველთა ნაყოფთა თქუენთანი, და ნებსითნი თქუენნი, და აღსაარებისა თქუენისანი, პირმშონი ზროხათა თქუენთანი P, მ. სჯ. 12,6.

2. ზმნაში სუბიექტის მრავლობითობა არ არის ასახული:

გიყუარდინ თქუენცა მწირნი P, შდრ.: და გიყუარდეღ თქუენ მწირნი L, მ. სჯ. 10,19.

ინფინიტივის სინტაქსური ურთიერთობა მასთან დაკავშირებულ სახელთან ჩვენს ხელნაწერებში დავადასტურეთ შემთხვევა, როდესაც ინფინიტივი მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ობიექტს მართავს: ა) მიცემით და ბ) ნათესაობით ბრუნვებში. პირველ შემთხვევაში „ინფინიტივი ზმნისებურ სინტაქსურ ძალას ავლენს, მეორე შემთხვევაში კი გვაქვს სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა: მართული სახელი პრეპოზიციული წყობისას, მართულ-შეთანხმებული — პოსტპოზიციურში“³⁶.

ნულარა შესძინებ ხილვად პირისა ჩემისა K, შდრ.: ნულარა შესძინებ ხილვად პირსა ჩემსა PL, გამ. 10,28.

³⁵ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ. 1957, გვ. 305—308.

³⁶ დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 79.

ვიორგი როგავა

ზოგი თავისებური ფონეტიკური პროცესი
ქართულურ ენათა კომპოზიტებში

როგორც ვიცით, ქართველურ ენებში (ასევე სხვა ენებშიც) ფონეტიკური ცვლილებები მკვლევანდება უფრო კომპოზიტურ წარმოებებში. ასეთებია პირველ რიგში პოზიციური ხასიათის ფონეტიკური პროცესები, როგორიცაა ასიმილაცია (ერდ-გული←ერთ-გული), დისიმილაცია (ორ-ჯელ←ორჯერ). მეტათესია (თერამეტი←ათ-რვა-მეტი)...

ამ რიგის პროცესები არ იქნება ჩვენი მსჯელობის საგანი. ჩვენს ყურადღებას იქცევს კომპოზიტებში მომხდარი თითქოს პოზიციური, ამავე დროს არარეგულარული ფონეტიკური ცვლილებები, როგორიცაა, ერთი მხრით, ზოგი დეცესიური კომპლექსის გამარტივება, მეორე მხრით, ე. წ. ჰაპლოლოგიის მოვლენები.

პირველ რიგში ჩვენ შევეხებით დღე კომპლექსის გამარტივების შემთხვევებს კომპოზიტებში.

დღე დეცესიური კომპლექსი არც ისე იშვიათად გვხვდება ქართულსა და ზანურში: ქართ. დღე, ზან. დღა; ზან. ბურღა, „ბუმბული“ ზან. ნდღულუნ — დნება, ქართ. დღევებს — დღვიბა; ქართ. დღღეზს — დღღიზა; დღვაბა — სოფელია ხობის რაიონში; დღვანი — სოფელია ხულოს რაიონში, დღვანა — სოფელია გეგეჭკორის რაიონში და სხვ.

ასეთ მარტივ ფუძეებში არ შეიმჩნევა ამ კომპლექსში რაიმე სახის ცვლილება, მაგრამ კომპოზიტურ წარმოებაში შეიძლება იგი გამარტივდეს, ე. ი. გაუჩინარდეს ერთ-ერთი წევრი: ან პირველი კომპონენტი დ ხშული, ანდა მეორე კომპონენტი დ სპირანტი. ასეთი ცვლილება შეიძლება მოხდეს ან პოზიციურად, მეორე კომპონენტის ბგერის გავლენით, ანდა ისე, როცა არ ჩანს მეორე შემავალი ფუძის რომელიმე ბგერის გავლენა.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია დღე კომპლექსის გამარტივების ზოგი შემთხვევა:

ზან. დღა „დღე“ სიტყვის დ ხშული, როგორც ვიცით, გაუჩინარდა კვირეულის დღეების აღმნიშვნელ კომპოზიტებში — ჰან. თუთაჩხა, მეგრ. თუთაშხა („ორშაბათი“)←თუთაშ-დღა, ზედმიწ: „მთვარის დღე“¹. ამ შემთხვევაში დ-ს დაკარგვა და დ-ს დაყრუება — ხ-ში გადასვლა პოზიციური ხასიათის ცვლილებაა. არაა გამორიცხული თუთაჩხა-ში ჩ იყოს მიღებული შდ კომპლექსის შერწყმით.

ამავე დღე ფუძის დღე კომპლექსის მეორე წევრის -დ სპირანტის დაკარგვის შემთხვევები დადასტურებული აქვს ა. შანიძეს შდ || მღის თანდებულში.

¹ იე. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960, გვ. 130.

მდე || მდის თანდებული მიღებული ჩანს დღე-დ || დღ-ის სახელისაგან მი-წინ-დებულის დართვით: მდე←მ(ი)-დ(ღ)ე-(დ), მდის←მ(ი)-დ(ღ)-ის².

ასევე, ა. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ სიტყვაწარმოებითი სუფიქსი — დეღ-ი მიღებულია *დღელ-ისაგან — ხვალინ-დეღ-ი←ხვალინ-დღელ-ი³.

მოყვანილ შემთხვევებში ღ-ს გაუჩინარების მიზეზი არ ჩანს. შეიძლება და ეს პროცესი აგვეხსნა თანხმომავანთა თავმოყრით დმდღ || მდღ || ნდღ, რაც მაინცდამაინც არა ჩანს სარწმუნო.

ქართველურ ენებში დასტურდება სხვა შემთხვევები დღე ფუძის დღ კომპლექსის გამარტივებისა კომპოზიტურ წარმოებებში:

ა. მეგრული დამორჩილი „შემოდგომა“ რთული ფუძეა: დამორჩილი←დღა-მორჩილი, სიტყვა-სიტყვით „დღე-მოკლე“ (მორჩილი ქართულიდანაა შესული). ამ კომპოზიტში დღ კომპლექსის ღ კომპონენტი გაუჩინარდა. უშუალო მიზეზი ამ კომპლექსის გამარტივებისა არ ჩანს⁴.

ბ. მეგრულშივე დასტურდება ამავე დღა ფუძის დღ კომპლექსის პირველი კომპონენტის -ღ ხშულის გაუჩინარებაც:

მეგრ. გენალი „ზეგ“ მიღებულია გე-დღან-ისაგან. ეს ამოსავალი სასეობა — გეღღანი შემოინახა ჭანურმა: ჭან. გეღღანი „ზეგ“, ზან. გეღღანი რთული ფუძეა: მეორე კომპონენტია დღან — „დღე“. რაც შეეხება გე-ს, მისი პირველადი ფუნქცია არაა ნათელი. ეგევე გე- უნდა გვექონდეს მეგრულ სიტყვაში გე-წანას „გაისის მომღვენო წელს“, შღრ. წანას „გაისად“. ზანურში ნ. მარს არქაბულ კილოკავში დადასტურებული აქვს გემწანაშე „через год“⁵.

გ. მეგრ. გოღა „გუშინ“ (გოღაწოს „გუშინწინ“) უნდა იყოს მიღებული *გო-ღღა-საგან. გო-ღღა-ს პირველი შემადგენელი ნაწილი უნდა გვექონდეს ზანურის ორსავე კილოში გასული დროის აღმნიშვნელ ზმნისართში გოწოს „შარშან“, „გასულ წელს“.

გოღას ჭანური ვარიანტი არაა შემონახული. აქ გუშინ სხვა ფუძით აღინიშნება — ღოშან⁶.

ჭანური გეღღანის მიხედვით მოსალოდნელი იყო მეგრული გოღღას ამოსავალი ვარიანტი *გოღღა. ორსავე ამ სიტყვაში დღ კომპლექსის ღ ხშულის გაუჩინარება მეგრულში მომხდარა ისეთ შემთხვევაში, როცა ამ რთულ სიტყვათა პირველ კომპონენტში გვაქვს გ ხშული თანხმომავანი: გეღღანი←გე-ღღანი, გო-ღღა←*გო-ღღა. შეიძლება დაისევას კითხვა, ხომ არ მიეწერება ღ-ს გაუჩინარება წინამავალ გ ხშულს. ესეც საეჭვო ჩანს.

ამგვარად, დასახელებულ შედგენილ სიტყვებში ზან. დღა სახელის დღ კომპლექსი გამარტივდა: ერთი რიგის შემთხვევებში გაუჩინარდა მეორე კომპონენტი ღ სპირანტი, ხოლო მეორე რიგის შემთხვევებში დაიკარგა პირველი

² ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 4, გვ. 624.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 131.

⁴ გ. როგაეა, დეცესიურ-პარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში, „მაცნე“, 1965, № 2, გვ. 189.

⁵ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, 1910, გვ. 218.

⁶ დ. ყიფშიძეს მეგრულ გოღასთან დაკავშირებით ნაჩვენები აქვს ქართული ძოღან. იხ. И. Книшндзе. Грамматика мегрельского (иверского) языка, 1914, გვ. 219. ეჭვქოვთ ამ სიტყვათა გარეგნული სიახლოვე შემთხვევითი უნდა იყოს.

კომპონენტი დ ხშული. ამ პროცესს არ უნდა მოეპოვებოდეს კომბინატორულ-სასიათის ახსნა⁷.

ქართველურ ენებში დასტურდება წყ კომპლექსის გამარტივება როგორც პოზიციურად შეპირობებული, ისევე პოზიციურად თითქოს შეუპირობებელი.

ა. ი. ყიფშიძეს აღნიშნული აქვს ყოფილ სენაკის მაზრაში მდინარის სახელწოდება წაჩხურა, ხოლო სოფლისა წაჩხური — შედგენილობით წყარი-ჩხურ-ი „წყალი-ცივი“⁸. ამ სიტყვის ასეთი წარმომავლობა ექვს ან იშვევს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წაჩხურ კომპოზიტისაგან ნაწარმოები მეგრული წაჩხურე: ოწაჩხურეში ხვამა, ოწაჩხურეში ოხვამერი — „ოწაჩხურის სალოცავი“, ოწაჩხურეში ლაგვანი — „(სალოცავ) ოწაჩხურის ქვეერი“. ეს სალოცავი სრულდებოდა შემოდგომამზე. შეიძლება იგი დაკავშირებული იყო წყლის გაცივებასთან, წყალში სიცივის შედგომასთან.

წყარ-ჩხურის პირველი ფუძის დეცესიური წყ კომპლექსის გამარტივება (ყ-ს დაკარგვა) მიეწერება მეორე ფუძის ჩხ დეცესიურ კომპლექსს.

როგორც ეს ს. ჟღენტს აქვს აღნიშნული, ქართველურ ენებში ორი იდენტური დეცესიური ჰარმონიული კომპლექსი ასიმილაციური წარმოშობისა ახსიათებს, ერთი მხრით, ქართულის ქიზიყურ თქმას, მეორე მხრით, ზანურის მეგრულ კილოს, მეგრ. ჩქიჩქუ — ჩიჩქუ, შდრ. ჰან. ჩიჩქუ „ბავშვი“⁹. ე. ი. მეგრულში შესაძლებელია ერთ სიტყვაში გვექონდეს ერთი და იგივე დეცესიური კომპლექსი, მაგრამ მეგრული, როგორც წესი, ვერ ითმენს ერთ სიტყვაში ორ სხვადასხვა დეცესიურ კომპლექსს. მარტივდება ერთ-ერთი კომპლექსი — პირველი კომპლექსი. ამის მაგალითს წარმოადგენს წყარ-ჩხურ-ისაგან წაჩხურ-ის მიღება.

ბ. მეორე ასეთი შემთხვევაა ქართულიდან შეთვისებული წყალ-კურთხევა კომპოზიტის ფონეტიკური სახეცვლილება მეგრულში — წაკურთხია. აქაც წყ კომპლექსი გამარტივდა მომდევნო დეცესიური თხ კომპლექსის გავლენით (დისიმილაციით). ქართ. წყალ-კურთხევა → მეგრ. წაკურთხეა → წაკურთხია, შდრ. ქართ. მწვეარი → მეგრ. წეარი → წიარი...

ამგვარად, წყ კომპლექსის გამარტივების ორივე შემთხვევა კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური პროცესია.

მაგრამ სხვა შემთხვევებში თითქოს არ არის შეპირობებული წყ კომპლექსის გამარტივება:

ა. ქართ. წისქვილი — წყლის ფქვილი¹⁰. წყ კომპლექსის ყ-ს გაუჩინარებას ამ შემთხვევაში ვერ მივაწერთ მომდევნო ფუძის რომელსამე ბგერას ან ბგერათკომპლექსს.

ბ. წარჩე — სოფელია გალის რაიონში. როგორც ი. ყიფშიძეს აქვს დადგენილი, წარჩე-ს ამოსავალი სახე უნდა ყოფილიყო *წყარი-ჩე, ზედმიწ.: „წყალი თეთრი“, შდრ. თეთრიწყარო. ამ შემთხვევაში წყ კომპლექსის ყ-ს გაუჩინარების პირობა არ ჩანს.

⁷ ყურადღებას იქცევს დღე სიტყვის დღე დეცესიური კომპლექსის სხვაგვარი ცვლილება: ქართულიდან შეთვისებული რთულშედგენილი სიტყვა სადღეგრძელო მეგრულში გამოითქმის სადღენძელოს სახით. ამ შემთხვევაში დეცესიური კომპლექსი დღე შეიცვალა აქცესიური დღე კომპლექსით.

⁸ И. Кипишидзе, Грамматика мегрельского (имерского) языка, 1914, გვ. 377.

⁹ ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბ., 1960, გვ. 88.

¹⁰ ა. შანციბე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 158.

ჰყ კომპლექსის გამარტივების შემთხვევა უნდა გვექონდეს კომპოზიტური წარმომავლობის მეგრულ გვარ-სახელში ჭ ი ჳ ო ნ ა ი ა. ჩვენი ვარაუდით, ეს გვარსახელი უნდა იყოს ნაწარმოები სადაურობის არ სუფიქსის საშუალებით სოფლის სახელწოდება დ ი დ ი ჰ ყ ო ნ ი ს ა გ ა ნ — * დ ი დ - ჰ ყ ო ნ ა რ - ი ა „დიდ-ჰყონელი“. დ ი დ ი - ჰ ყ ო ნ ი ამჟამად სოფელია გეგეკორის რაიონში, შდრ. დ ი დ ი - ნ ე ბ ი, ზედმიწ.: „დიდი-კაკლის ხე“ — სოფელი ზუგდიდის რაიონში. ცნობილია სადაურობის აღმნიშვნელი ზან. - არ სუფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელები — ოპიზ-არ-ი, ოდიშ-არ-ია და სხე.¹¹

ჭ ი ჳ ო ნ ა ი ა შ ი დაკარგული ჩანს - არ სუფიქსის რ სონანტი. შდრ. გვარი კოკაია — * კ ო კ - არ - ი ა, ე. ი. კ ო კ - ე ლ - ი (კოკი სოფელია ზუგდიდის რაიონში). კ ო - კ ი, როგორც ზოგადი სახელი, მეგრულში აღნიშნავს კუნძულს, ნახევარკუნძულს, მდინარის ნაპირის ადგილს¹².

არაა გამორიცხული სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელი ტ ა ი ა იყოს მიღებული ტ ა რ ი ა - საგან. მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟის ტარიელის ვარიანტი ტარია: „ასმათმან წყალი და-ასხა, ცნობად მოვიდა ტარია“ (346,1).

შესაძლებელია აგრეთვე გვარი ც ო მ ა ი ა იყოს ც ხ ო მ ა რ ი ა ს ფონეტიკური ვარიანტი.

ჭ ი ჳ ო ნ ა ი ა შ ი (← დ ი დ - ჰ ყ ო ნ ა რ ი ა) ჰ ყ კომპლექსის გამარტივება შეიძლება იყოს დ ჰ ყ თანხმოვანთა თავმოყრის შედეგი. თავკიდური დ მარტივი ხშულის ჭ აფრიკატში გადასვლა მიეწერება უშუალოდ მომდევნო ი პალატალურ ხმოვანს და შემდეგ მომდევნო შიშინა ჰ აფრიკატს. შდრ. ქართ. ჭინჭველი — * დ ი ნ ჰ ყ ე ლ ი ¹³.

როგორც ვნახეთ, არსებითად განსხვავებულია ქართველურ ენებში დ ლ და წ ყ (ჰ ყ) კომპლექსების გამარტივების შემთხვევები: დ ლ კომპლექსის გამარტივება კომპოზიტებში ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან პირველი წევრის დ ხშულის დაკარგვით (მეგრ. გე-ლანი ← გელლანი) ანდა მეორე წევრის — ლ სპირანტის დაკარგვით (მეგრ. და-მორჩილი ← * დ ლ - მორჩილი), მაშინ როდესაც წ ყ (ჰ ყ) კომპლექსში მხოლოდ მეორე წევრი ყ ფარინგალი შეიძლება დაიკარგოს (წარჩე ← წყარი - (რ)ჩე). ეს უნდა იყოს გამოწვეული იმით, რომ წ ყ || ჰ ყ და დ ლ სხვადასხვა ბუნების კომპლექსებია: წ ყ, ჰ ყ - ს რიგის კომპლექსები უფრო ბუნებრივი კომპლექსებია, პირველ რიგში მიღებული ყ, ხ უკანა რიგის ბგერების წ, ც აფრიკატებთან განვითარებით (ცხადია, ზოგ შემთხვევაში პოზიციურადაცაა მიღებული), მაშინ როდესაც დ ლ - ს რიგის კომპლექსები პოზიციურად უნდა იყოს მიღებული, როგორც წესი, ხმოვნის რედუქციის საფუძველზე. დ ლ - ს რიგის კომპლექსების წევრები დ და ლ ერთმანეთის მიმართ თანაბარი ღირებულების ოდენობებია, მაშინ როდესაც წ ყ, ჰ ყ რიგის კომპლექსებში მეორე კომპონენტი ყ ძირითადი წევრის წანაზარდი ჩანს.

მეორე რიგის ფონეტიკური ცვლილებები, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს კომპოზიტურ წარმოებებში, არის ჰაპლოლოგიის საკითხები. ჰაპლოლოგიის შემთხვევები საკმაოდ აცნობილი ქართველურ ენებშიც, ისე როგორც

¹¹ А. Ш а н и д з е, Два чано-мегрельских суффикса в грузинском и армянском языках, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957.

¹² И. К и п ш и д з е, Грамматика мегрельского (шверского) языка, 1914, გვ. 260.

¹³ არნ. ჩ ი ჳ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1938, გვ. 174.

სხვა ენებში¹⁴. მეგრ. ბა-დიდი („ბერიკაცი“) — ბაბა-დიდი, ქან. ბა-დი („ბერიკაცი“) — ბაბა-დიდი¹⁵ და სხვ.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ქართულ გოზინაყ სიტყვაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები. გოზინაყი — საბას განმარტებით არის ნიგუზით თაფლი ნაღულარი || ნიგოზი თაფლით ნაღულარი. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ახლაც, თუმცა ზოგ კილოში იგი ჩურჩხელის მნიშვნელობითაც გვხვდება. გოზინაყ-ი რთული ფუძე ჩანს. პირველი შემადგენელი ფუძეა ნიგოზ-ი. მეორე ფუძე ნაყ ზმნური წარმოშობისა უნდა იყოს. ქართ. ნაყავს ზმნასთან მისი დაკავშირება შეუძლებელია სემანტიკის გამო. შეიძლება ქართულში ნაყ ფუძე იხმარებოდა ცხოვის, წვის მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სვანური ზმნის ფუძე ნაყ — ქჷნ-ნაყ-ე — „გამოაცხო“, ე. ი. „შეწვა“ (შდრ. მეგრ. ჭუნს — „წეავს“, „აცხობს“). მაშასადამე, გოზინაყის სავარაუდო ამოსავალი სახე შეიძლება ყოფილიყო ნიგოზ-ნაყ. ე. ი. ნიგოზი შემწვარი. ამ კომპოზიტში თავკიდური ნი დაკარგულია, უნდა ვიფიქროთ, მომდევნო ფუძის ნა-სთან დისიმილაციით.

თვით ნიგოზ სახელი ქართულში ინდოევროპული ენებიდანაა შემოსული. ინდოევროპულ ენებში ეს ფუძე დადასტურებულია რომანულსა და გერმანულ ენებში — ლათ. *nux, nucis* „ნიგოზი“, ძვ. გერმანული *hnuaz*, ახ. გერმანული *Nuss* „ნიგოზი“. არის გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ქართ. ნიგოზ იყოს შეთვისებული სირიულიდან, სირ. *gauza || giza*¹⁶. ამ შემთხვევაში კი ქართ. ნიგოზ-ის თავკიდური ნი-ს საკითხი აუხსნელი რჩება. მით უმეტეს ნ თანხმოვანი ახლავს ამავე ფუძეს სომხურშიც — ძვ. სომხური *չնკოջ* „ნიგოზი“.

ნიგუზის სახელწოდებაა ზანურში ნეძი, ოლონდ ჭანურში ეს ფუძე უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება — ნიგოზი, ნიგუზის, თხილის, წაბლის გული¹⁷. ზანური ნეძის შესახებ არნ. ჩიქობავას ორი ვარაუდი აქვს გამოთქმული. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო ჩანს მისივე ის ვარაუდი, რომ ზანური ნეძი წარმოადგენს ქართული ნიგოზ-ის გამარტივებულ ვარიანტს¹⁸. მართლაც, ზან. ნეძი უნდა იყოს მიღებული ნიგოზისაგან: ნიგოზ-ი → *ნიოზ-ი → ნოზ-ი → *ნოდ-ი → ნეძ-ი. ერთ-ერთი გარდამავალი საფეხური ამ ფუძისა ნოზ შემონახულია მეგრულში ზმნის სახით — ნოზუნს, ნოზუა — არის თევზაობის ერთი ხერხი: სახელდობრ, ნიგუზის დანაყილი ფოთლების ჩაყრა მდინარის დაგუბებულ ადგილში, რის შედეგად თევზი ნაწილობრივ იწამლება და ადვილად ხერხდება მისი დაჭერა.

ნიგუზის ფოთლების ნაცულად ამჟამად იყენებენ ლაფანის დანაყილ ფოთლებსაც. საყურადღებოა, რომ ქანურად ლაფანს ეწოდება მტკუი კაკალი „ტყის კაკალი“, ინგილოურად კი მტყუან კაკალ¹⁹.

¹⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 201

¹⁵ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 41.

¹⁶ ზ. ალექსიძე, სირიულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 38.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 123.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ. 42.

კომპოზიტებში ადგილი აქვს ქართველურ ენებში ფონეტიკურად გამარტივების ერთ თავისებურ შემთხვევას: რიგი კომპოზიტის პირველი წევრის ორი დ ან მ თანხმოენიდან ერთი ამოვარდება: ქართ. დიაც-ი, როგორც ცნობილია მიღებულია დედა-კაც-ისაგან²⁰. დედა-კაცი → *დეა-კაც-ი → *დია-კაცი → დია-ც-ი; ქართ. დედა-სახლისი → *დეა-სახლისი → დიასახლისი“; მეგრ. დიდა-ჩქიმი → დია-ჩქიმი „დედაჩემი“; მეგრ. *დიდა-ნთილი → დია-ნთილი || დია-ნთირი „სიდედრი“, „დედამთილი“; ქართ. დია-ხ ← დია-ლ ← დია-ლმერთო ← *დეა-ლმერთო ← დედა ღმერთო²¹; მეგრ. მუანთილი ← მუმა-ნთილი — „სიმამრი“, „მამამთილი“; მეგრ. მუა-ჩქიმი ← მუმა-ჩქიმი — „მამაჩემი“.

კომპოზიტების გარეშე, ცალკე სიტყვებში ქართ. დედა, მეგრ. დიდა, მუმა ერთ-ერთ დ და მ თანხმოვნებს არ კარგავს.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ რამდენიმე ტიპური შემთხვევა ბგერათცვლილებისა კომპოზიტურ წარმოებებში ქართველურ ენებში. აქაც მოვიყვანეთ მხოლოდ ქართულისა და ზანურის მასალები. შეინიშნება დიდი რაოდენობით სხვაგვარი ცვლილებებიც კომპოზიტებში, რაც საჭიროებს მონოგრაფიულ შესწავლას.

Г. В. РОГАВА

О НЕКОТОРЫХ ФОНЕТИЧЕСКИХ ПРОЦЕССАХ В КОМПОЗИТАХ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

В композитах картвельских языков наблюдаются некоторые специфические фонетические изменения, необусловленные позиционно: упрощения комплексов $d\gamma$ ($d\gamma \rightarrow d \parallel \gamma$), ζq ($\zeta q \rightarrow \zeta$), случаи гаплогоний и т. д.

²⁰ ა. შ ა ნ ი ქ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 158.

²¹ იქვე, გვ. 631.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ზ უ რ ა ა ბ ს ა რ ჯ ე უ ლ ა ძ ე

დ / ე ლ და ნ ნ ი შ ნ ე ბ ი ა ნ ი მ ე ს ა მ ე ს უ ბ ი ე კ ტ უ რ ი პ ი რ ის
ი შ ვ ი ა თ ი ფ ო რ მ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ უ ი

1. ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, დ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იხმარება I და II ბრძანებითებში ისეთ ზმნებთან, რომელთაც მწკრივის ნიშნად ე მოუდის: იმაღლოდ-ე-ღ (იგინი); დაწერ-ე-ღ (მათ იგი). ეღ S₃ პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში დასტურდება აწმყოს ხოლმეობითში: წერ-ეღ (იგინი მას); I ბრძანებითში — ისეთ ზმნებთან, რომელთაც მწკრივის ნიშანი არ დაერთვის: წერ-ღ-ეღ (იგინი მათ); II ბრძანებითში — ისეთ ზმნებთან, რომელთაც მწკრივის ნიშნად ი აქვთ (გან-მართ-ღ-ეღ (იგინი); აღმო-ს-ცენ-ღ-ეღ (იგინი), ან ნული: თქუ-ეღ (მათ იგი).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია დ და ეღ სუფიქსთა ხმარების ზოგი თავისებურება¹.

ილია აბულაძემ გამოავლინა დ III სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდით რიცხვში: სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, ეღ სუფიქსი — III სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში: უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში. დ. გეწაძის ნაშრომში აღნიშნულია დ სუფიქსის S₃ პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში სტატიკურ ზმნათა აწმყოში, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითსა და II ბრძანებითში ხმარების შემთხვევები.

დ სუფიქსის S₃ პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში გამოყენების ფაქტებს პირველად ა. შანიძემ მიაპყრო ყურადღება: მას აღუნუსხავს ამ რიგის რამდენიმე ფაქტი, შემდგომში კი ეს მასალა ილია აბულაძისათვის გადაუცია². ილია აბულაძის ნაშრომში დამოწმებულია ორი ნიმუში, რომლებიც ვ. თოფურიას მიერ იყო შემჩნეული³. (1952 წელს ვ. თოფურიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაიმოწმა დ სუფიქსის S₃ პირის ნიშნად მხოლოდით რიცხვში ხმარების სამი შემთხვევა).

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, გვ. 043; დ. გ ე წ ა ძ ე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრ., XI, 1952—1953, გვ. 139—147; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით: თსუ შრომები, ტ. 53, 1954, გვ. 131—146; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 521—522; გ. ნ ი ნ უ ა, ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1968 გვ. 49—50; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული გრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 160.

² ამაზე ილ. აბულაძე მიუთითებს (დასახ. ნაშრომი, გვ. 144).

³ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სს. შრ., გვ. 144.

IX—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ჩვენ მიერ გამოვლენილია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში დ სუფიქსის ხმარების არაერთი ახალი ფაქტი.

სტატიკური ზმნების აწმყო. დ. გეწადის და ილია აბულადის ნაშრომებში დამოწმებულია სტატიკურ ზმნათა აწმყოში S₃ პირის ნიშნად მხ. რიცხვში დ-ს ხმარების ათიოდე შემთხვევა. დ. გეწადე ასახელებს: უპყრიედ (გრ. ხანტ.); უფლიედ (შუშ.); ჰმოსიედ (შუშ.); ზე-უმტკმიედ (სახის მეტყ.) ფორმებს; ილ. აბულადე კი — ჰგიედ (A—1142, S—1139); გუგონიედ (A—1142); ჰმოსიედ (S—1139; პარხლ. მრავალთ.), უფლიედ (შუშ.); ჰნთიედ, ჰგონიედ, ზე-უმტკმიედ (სახისმეტყ.)⁴. ზოგიერთი მაგალითი ორივე მკვლევართან საერთოა. ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰნთიედ ფორმას 1920 წელს განიხილავდა ა. შანიძე⁵.

ახლა მოვიტანთ ჩვენს მასალას. სხვა მკვლევრების მიერ უკვე მითითებული ფორმები დამოწმებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენთვის საინტერესო ფორმა ისეთ ძეგლებში გვხვდება, რომლებიც ამ საკითხზე მსჯელობისას აქამდე დამოწმებული არ ყოფილა.

ჰგიედ: ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებული შეუცთომელად ჰგიედ. Sin.—36 273, 29a—273, 2b; და სიყუარულსა მისა ზედა შეუორგულებელად ჰგიედ და მსახურებასა უცონელ არნ. იქვე, 277, 9—12b; ესე არს ტაბლად, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საქმელი. იქვე, 381, 22—23b.

გუგონიედ: და მწუხარებაა მათი ნოგეშინის-ცემა ჩუენდა გუგონიედ. ათ. ასკეტ. კრებ., 303v, 10—12b.

ჰგონიედ: ხოლო მას ესრტთ ჰგონიედ თავი, ვითარცა ღმრთისმსახური. Sin.—35 333. 17-19a; მამხილებელ იგი ენოან და ცუდის მეტყველ ჰგონიედ. იქვე, 535, 12—14b.

ჰმოსიედ: სამოსელი, რომელი მმოსიედ, მრავალ-სასყიდლისად ღირნ. ათ. პატერ., 245r, 21—22.

გმოსიედ: ძველი და წვლილად დაკერული სევენისაა გმოსიედ. Sin.—35 582, 20—22a.

ჰმოსიედ: არამედ ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი. სინ. მრავალთ., 55,12; სახტ, რომელი ჰმოსიედ მოძღუართა, იგი ვერ შეიმოსიან მოწაფეთა. Sin.—36 42,5—7b; სწავლ. იოანე ოქროპ., 93v, 10—11; ჰმოსიედ სამოსელი იგი. შატბ. კრებ., 94r, 25—26b; ხატი იგი მარტოდ ჰმოსიედ. Sin.—35 105, 3a; რომელი ჰმოსიედ მეფეთა. Sin.—11 390v, 24—25.

მიპყრიედ: თვალთა წინაშე მიპყრიედ იგი ვიდრე დაღამებამდე. Sin.—35 626, 3—5a.

უპყრიედ: ნიჩაბი წინაჲთ მას უპყრიედ. ათ. პატერ. 14r, 1—2; რომელსა ყანაჲ უპყრიედ. Sin.—35 609, 8—9b; მრავალთა წელთა უპყრიედ წესი და სამართალი. ბალავარ., 47,35⁶.

⁴ ბოლო ოთხი შენიშნული ჰკონდა ე. თოეერაას: ილ. აბულადე, ხს. შრ., გვ. 144.

⁵ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.

⁶ ილია აბულადეს ეს ფორმა I თურმეობითად მიუჩნევია: ბალავარიანის ქართული რედაქციები, 1957, გვ. 032.

I ბრძანებითი

იტყოდედ: უძალოა იტყოდედ ვითარმედ „ძალ-მიც მე!“ იოველ 3,10
 ႁ, შდრ.: იტყოდენ OI.

განიხილვოდედ: ხოლო განიხილვოდედ ესე მწყემსთაგან, ვაჰან.
 ქვაბ. განგ. 73,21.

პირველი ბრძანებითის მხოლოებითი რიცხვის მე-3 პირში დ სუფიქსი აქა-
 მომდე შენიშნული არ ყოფილა. ეს ფაქტები, რომლებიც XII—XIII საუკუნე-
 თა ძეგლებში გამოვლინდება, არაა გამორიცხული ასახავდნენ I ბრძანებითის
 მწყერივის მოშლას.

II ბრძანებითი

S₃ პირის ნიშნად მხოლოდით რიცხვში დ-ს ხმარების ფაქტები პირველად
 დ. გეწაძემ შენიშნა. მას მოაქვს 9 ზმნა ჩვენთვის საინტერესო ფორმით (კა-
 მედ, გამოილედ, მოიყვანედ, ისმინედ, განლიედ, შეეძინედ, განეშორედ, გექ-
 სენედ, იქმენილ)⁷. გ. ნინუას დამოწმებული აქვს: ისმინედ (ხრონოლრ.); შეე-
 ძინედ (იქვე); გამოილედ (ექუსთ. დლ.)⁸.

დამატებით მოვიტანთ:

თქუდ: და გარემოას მდგომარენი ეტყოდეს: თქვდ (-თქუდ) სახელიცა
 და მამათ. ათ. ასკეტ. კრებ., 151v, 10—14b.

ჩვენს ძეგლებში დადასტურდა გექსენედ ფორმის ხმარების ისეთი შემ-
 თხვევებიც, რომლებიც დ. გეწაძის ნაშრომში არაა დამოწმებული:

მარადის გექსენედ გონებასა შენსა საქმჴ სიმართლისაჲ. მამ. სწავლ., 153,
 15A; აწ გექსენედ მონასტერი ესე. A—397 120v, 13—14; ხოლო თქუენ ნამუ-
 შაკევი რაჲ იხილეთ, მუშაკი გექსენედ. იოანე ღმრთისმეტყ., 155v, 17—20.

II კავშირებითი

დ S₃ პირის ნიშნად მხოლოდით რიცხვში II კავშირებითის მწყერივში შე-
 ნიშნული არ იყო:

დადუმნედ: სოლომონ იტყვს: შეუნიერ არს იგი ხილვად უფროას
 ძეთა კაცთაჲსა, თუ ღმერთი ჩუენი ცხადად მოვიდეს და ღმერთი არა
 დადუმნედ. შატბ. კრებ., 277v, 4—6b.

I თურმეობითი

დ. გეწაძეს დასახელებული აქვს I თურმეობითში დ-ს მხოლოდით რიცხვ-
 ში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ხმარების 3 შემთხვევა (მასმიედ, მისწა-
 ვიედ, აღუპყრიედ), ილ. აბულაძეს — 7 (შეურაცხიედ — ეს მაგალითი მიწო-
 დებულია ა. შანიძის მიერ; უქმნიედ, მიუღებიედ, შეგირაცხიედ, განგიბნევიედ,
 განმიბნევიედ — ამ ორ უკანასკნელზე თავის დროზე მიუთითებდა ა. შანიძე,
 აღუპყრიედ⁹). ამგვარ ფორმებს ილ. აბულაძე კვლავ დაუბრუნდა 1957 წელს
 „ბალაეარიანის“ გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში, სადაც მიუთითა 4 ნი-
 მუშზე: მიცნობიედ, შეუმოსიედ, შეუსწავლიედ, უქმნიედ¹⁰.

⁷ დ. გეწაძე, ხს. შრ., გვ. 143—144.

⁸ გ. ნინუა, ხს. შრ., გვ. 49—50.

⁹ ეს უკანასკნელი ფორმა, რომელიც ამოღებულია „წარტყუნეაჲ იერუსალმნი-საჲს“ ტექს-
 ტიდან, დ. გეწაძესაც აქვს დამოწმებული.

¹⁰ ილ. აბულაძე, ბალაეარიანის ქართული რედაქციები, გვ. 032.

დავასახელებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ ფაქტებს:

განუტყვებიელ: ენთებინ იგი ეგრეთვე, ვითარცა განუტყვებიელ. ლიმონ., 64, 1—2.

უწყიელ: და შემდგომად სამისა დღისა აღმოცდა თმაჲ კორცთა მისთა, ვითარცა კაბუქსა, რომელსა უწყიელ წუერთა გამოსულად. Sin.—46 212r, 13—15; ოდეს ნახის კაცი, რომელსა უწყიელ მკურვალეებითა სარწმუნოებისაჲთა საქმესა. Sin.—35 262, 9—12b.

დაუმარხიელ: და დაუმარხიელ ქალწულებაჲ მათი უფალსა ვიდრე სიკუდილმდე. Sin. — 46 261v, 4—5.

შეუქამიელ: რომელი მკეცისა თანა ბრძოლასა ჰყოფნ, ვიდრე არღა შეუქამიელ მკეცსა მას. ათ. პატერ., 98v, 21—23; Sin.—35 628, 17—19a.

დაუქამიელ: და ნაყოფი მისი ქიათა დაუქამიელ. Sin.—35 609, 9—10b.

შეუპყრიელ: შიშსა შეუპყრიელ მემრუშეთა გული. პარიზ. ლექს., 115r, 29—30b.

შეუმოსიელ: შეურაცხი სავსე ბაყლითა შეუმოსიელ. Sin.—35 309, 3—4b.

შემირაცხიელ: შემირაცხიელ თავისა ჩემისა. ათ. პატერ., 12v, 12—13.

შეურაცხიელ: და რომელი-იგი კელთა აქუნ, არად შეურაცხიელ. ათ. პატერ., 233r, 3—5.

უვლიელ: რაჲზომი-იგი უვლიელ. ექუს. დღ. (აბ.), 106, 13; დაღაცათუ ფრიად უვლიელ. იქვე, 110, 13—14; რომელი უვლიელ საღამე. იქვე, 108, 24—25B; შდრ. უვლიეს A.

მოუგებიელ: ვაჰართა მათ, რომელთა მოუგებიელ მარგალიტი. პარსლ. მრავალთ., 394r, 13—16a.

უყოფიელ: ვის უყოფიელ ქორწილი შეილთა თუსთაჲ. Sin.—62 128v, 33a—128v, 2b.

უკუშვევიელ: და ვიდრე არა უკუშვევიელ ცმელი იგი წინაშე უფლისა. 1 მეფ. 2,15.

უყიდიელ: რომელი მას საკმრად თუსისა სენაკსა უყიდიელ. ათ. პატერ., 8v, 12.

უქმნიელ: მას არარაჲ უქმნიელ ესევითარი. Sin.—35 426, 27—28b.

ა. შანიძეს მითითებული აქვს, რომ ოთხთაეის ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებში მთ. 25,24 და მთ. 25, 26 მუხლები გამოავლენენ განგიბნევიელ, განმიბნევიელ ფორმებს. ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებს მხარს უჭერენ ოთხთაეის რიგი ნუსხები.

და შეიკრიბი, საღა არა განგიბნევიელ მთ. 25,24DE; ოპიზ. ოთხთ. 54v, 8—10b; ტბეთ. ოთხთ. 73r, 7—9b; S—405 54r, 4—6a; Sin.—63 47v, 8—10; A—1699 28r, 25—26a; ვან. ოთხთ. 68r, 6—8b.

და შევიკრიბი, საღა არა განმიბნევიელ. მთ. 25, 26DE; ოპიზ. ოთხთ. 54v, 20b—55r, 1a; A—1699 28r, 5—6b; Sin.—16 82r, 23—24; S—405 54r, 19a—54r, 2b; Sin.—63 47v, 16—17; ურბ. ოთხთ. 56r, 6—7a; ვან. ოთხთ. 68r, 17—19b.

ილია აბულაძემ აღნიშნა მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ელ ნიშნის უწყვეტლის ხოლმეობითსა და II თურმეობითში ხმარების შემთხვევები.

უწყვეტლის ხოლმეობითი

ილია აბულაძე ასახელებს 4 ზმნურ ფორმას (ზრუნვიდიელ, ეტყოდიელ, სცივიდიელ, ქუმილვიდიელ)¹¹, 3 (ვიდოდიელ¹², კმობდიელ¹³, აქუნდიელ¹⁴) მითითებული აქვს ი. ქავთარაძეს.

დამატებით დავასახელებთ რამდენიმე ფორმას:

სწავლიდიელ: თვთ იგინი სცემედ, გარეშტთ სწავლიდიელ და შინაგან ეწყალიედ. Sin. — 36 146, 8—10b.

განჰკაზმვიდიელ: სამეუფოა გზაა სოფლისა ამის ქალაქისანი საწუთროხსა ამის მეფისაა რაა შესლვასა მოელიედ, განჰკაზმვიდიელ და დაავაკებედ ბჭეთა. ათ. მრავალთ., 55r, 26—30b.

იტყოდიელ: და ყოველთა წინაშე თუალთა მათთა აქუნ სიკუდილი და იტყოდიელ. კლემაქს., 64r, 14—15; რომელნი იტყოდიელ, ოდესმე წარკდენ შაბათნი და განვახუნეთ საუნჯენი. სეტყუსათუს, 628, 12—14.

იციხოდიელ: ჩემთა მეგობართა იხილნიან რაა მკუდარნი, იციხოდიელ. კლემაქს., 64r, 14—15.

ეციხოდიელ: რომელსა ყოველნი თანაწარმავალნი ეციხოდიელ. ცხორ. და შესხმ. ბასილისი, 345, 18.

აღგუძრვიდიელ: სხუანი გემოთმოყუარებად აღგუძრვიდიელ. კლემაქს., 141r, 7—8.

ილოცვიდიელ: და ესრეჲთ ვიდრე ქათმისა კმობადმდე ილოცვიდიელ. Sin.—11 106v, 9—10.

II ხოლმეობითი

ილია აბულაძეს დასახელებული აქვს 11 ზმნა II ხოლმეობითის ფორმით, როცა მრავლობით რიცხვში S₃ პირის ნიშნად ელ გვაქვს (მივიდიელ, სხდიელ, დასხდიელ, იქმნიელ, დაშურიელ, განცივნიელ, დაწყნარდიელ, დაეხვნიელ, შეიმოსიელ, ჭუარს-აცუნიელ, იხილნიელ)¹⁵.

დავიმოწმებთ ახალ მასალას:

მოვიდიელ: ძალღნიცა მოვიდიელ და ჰლოშნიელ წუთხსა მას წყლულებათა მისთასა. Sin.—36 29, 20—23b; სწავლ. იოანე ოქრობ., 72v, 9—11.

მივიდიელ: არამედ მრავალნი ეშმაკეულნიცა მივიდიელ საფლავთა მათ თანა და განიკურნიან, სწავლ. იოანე ოქრობ., 146v, 3—6.

გამომკვრტდიელ: აეროვან იქმნიან და შეუენიერ ნერგნი იგი ხეთა, რაყამს გამომკვრტდიელ რტონი მათნი, ათ. მრავალთ., 193v, 23—25b.

თქვედ: რაოდენისცა თქვედ გამსყიდელთა მათ, მისციან. ათ. პატერ., 12v, 5—7.

იქმნიელ: და ოდეს იხილნიან პირნი მათნი გინა სამოსელი, გინა კამლი, გინა საყოფელი მათი, გინა ფოლოცნი მათნი, მხიარულ იქმნიელ გულითა. სწავლ. იოანე ოქრობ., 15r, 19—15v, 4.

¹¹ ილ. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები..., გვ. 137.

¹² ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 104.

¹³ ი. ქავთარაძე, ხს. შრ., გვ. 159.

¹⁴ იქვე, გვ. 178.

¹⁵ ილ. აბულაძე, ხს. შრ., გვ. 133—135. ილ. აბულაძე მაგალითებს ძირითადად იმოწმებს „მამათა სწავლათა“ და „ლიმონარის“ ნუსხიდან.

სხდიედ: ვითარცა-იგი რომელნი უამსა სიცხისასა მახლობელად **სხდიედ** გამოსადინელსა წყალთასა, სწავლ. იოანე ოქროპ., 6r, 18—6v, 2.

წარიყვანიედ: და წარიყვანიედ დედები ცოლად. პროკოპი, 260v, 7—8ს.

ცნიედ: რაჲ-იგი შეემთხვის ზღვს მავალთა, რომელთა იგი ვერა **ცნიედ**. ექუს. დლ., (აბ.) 106, 12—13B; შდრ.: **ცნიან A**.

II კავშირებითი

იყვნედ: და რომელნი ველსა იყვნედ, ნუ შევლენედ მუნ. ლ. 21, 21 C; შდრ.: **იყვნენ DE**.

იქმნედ: გამოხადნა და უჩუენნა სიმკნისანი იგი შრომანი მრავალთა, რაჲთა ხელვიდენ ყოველნივე მსგავსთა თვსთა და ნუგეშინისცემულ **იქმნედ**. უდაბნ. მრავალთ., 59r, 8—12b.

ედ S₃ პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში II კავშირებითის ფორმებთან სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ აღუნიშნავთ.

I თურმეობითი

X საუკუნის ძეგლებში დადასტურდა ისეთი ფაქტები, როცა I თურმეობითში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ედ არის წარმოდგენილი მოსალოდნელი ან სუფიქსის ადგილას:

და იგონებნ ყოველთა საქმეთა თვსთა, რომელნი ცხორებასა მისსა უქმნიედ. Sin.—36 142, 16—18; და მიუპყრიან შარაევანდედთა, რომელთა მიუვლინებიედ იგინი. შატბ. კრებ., 67v, 3—5a; რამეთუ შეუსხმედ სარწმუნოებისა ფერკთაშესა[ს]ხმელნი. ეფრ. ასურ. სწავლ., 177r, 16—18b; არარამსაგან აღიძრვის და არა თანამდებ იქმნის, რაჲამს დაეცნიან კორცნი, რომელ შეუშოსიედ. პარხლ. მრავალთ., 190v, 1—4b; მსგავს არა იგი კაცსა, რომელსა შეუბორკილებიედ ფერკნი. Sin.—35 351, 7—9a.

არის შემთხვევა, როცა მრჩობლი სუფიქსია წარმოდგენილი. ან და ედ: მოუცუშანედ (იგინი მას, შდრ.: მოუცუშამს იგი მას):

რომელნიმე მოკიდებულ არიედ ნამუსრევსა რასმე თივისასა და ზე მოუცუშანედ წყალთა. მამ. სწავლ., 117, 17—18A.

რით უნდა აიხსნას დ/ედ სუფიქსთა ასე ფართო დისტრიბუცია ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა ერთ ნაწილში? ზოგი მკვლევარის ვარაუდით, დ/ედ მესამე სუბიექტური პირის ერთ-ერთ უძველეს მაწარმოებლად უნდა ჩაითვალოს¹⁶. სიმპტომატურია ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო ზმნური ფორმები უმთავრესად თავს იჩენს ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფში: ისეთ ძეგლებში, რომლებიც დაწერილი, ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოში, ან კიდევ სინას მთასა თუ ათონზე.

ეფიქრობთ, რომ დ ან ედ რიგ შემთხვევაში მეორეულია. ასე, მაგალითად, მოუცუშანედ აშკარად ჰიპერუბანული ფორმაა. აქ ედ ზედმეტადაა დაწერილი. მეორეულად უნდა ჩაითვალოს დ ნ-ს ადგილას I და II ბრძანებითებისა და II კავშირებითის ფორმებში. ამ მოვლენის მიზეზი ისაა, რომ იშლება ბრძა-

¹⁶ ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 521—522; დ. გ. ე. წ. ა. ძ. ე., ხს. შრ., გვ. 146; ილ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე., ხს. შრ., გვ. 139. ამგვარივე მოსაზრება გამოუთქვამს გ. როგაევას დ. გეწაძის ნაშრომის გაცნობისას (იხ. დ. გ. ე. წ. ა. ძ. ე., ხს. შრ., გვ. 140).

ნების გამოსატყვის ძველქართულისებური სისტემა. მას შემდეგ, რაც მოიშალა აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის დაპირისპირება, თავს უნდა იჩინდეს დ სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში (კავშირი სტატიკურ ვნებითა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებს შორის სავსებით გასაგებია). „სინური მრავალთავის“ ხელნაწერში ვკითხულობთ:

სადაცა იგი ჰნთიედნ, ყოვლად მუნ არნ. 122,7.

ჰნთიედნ გამომცემელთა მიერ სავსებით სამართლიანად არის ჩატანილი სქოლიოში, როგორც დაუშვებელი ფორმა. მაგრამ საკითხავია, რა არის საფუძველი გადამწერის დაშვებული შეცდომისა? ალბათ ის, რომ ნ და დ სუფიქსთა ოდინდელი დისტრიბუცია ენაში მოშლილია. გადამწერმა არ იცის, სად ნ დაწეროს და სად დ. შეცდომის თავიდან ასაცილებლად იგი ორივე სუფიქსს წერს.

ენობრივი საფუძველი უნდა გააჩნდეს ედ დაბოლოებას უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში. საფიქრებელია, რომ სწავლიდიედ... მოვიდიედ და მისთანა ფორმები განვითარდა ცოცხალ მეტყველებაში (სავარაუდოა, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში), საიდანაც სალიტერატურო ენაშიც შეაღწია.

2. S₃ პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში ნ გვხვდება: აწმყოს ხოლმეობითში (ზინ, წერნ), I ბრძანებითსა (წერდინ, კლევდინ) და II ბრძანებითში (მოკალნ, თქუნ).

ილია აბულაძემ შენიშნა, რომ X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ნ S₃ პირის ნიშნად დასტურდება I თურმეობითის ფორმებშიც. ილ. აბულაძე ასახელებს მაგალითს (უცხოებიენ, H—341 (XI ს.); განმიბნევიენ, შევირაცხიენ, S—407 (X ს.); უზილაღნ S—1139 (X ს.); შეუპყრიენ, წარუმართებიენ, იგაენი სოლომონისნი; წარუწყმედიენ, ისუ ზირაქი¹⁷.

ამათგან სამი (შეუპყრიენ, წარუმართებიენ, წარუწყმედიენ) ა. შანიძის მიერაა დადასტურებული და შემდგომ ილია აბულაძისათვის მიწოდებული¹⁸, ხოლო ერთს (განმიბნევიენ) ყურადღება არნ. ჩიქობავამ მიაქცია¹⁹.

VIII—XII საუკუნეთა ძეგლებში ჩვენ ამ რიგის ოცამდე ახალი ფაქტი დავადასტურეთ. სანამ ჩვენს მასალას მოვიტანდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ილ. აბულაძის, აგრეთვე ჩვენ მიერ გამოვლენილი შემთხვევები ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: I, როცა ე-ნ დაბოლოება ეთანხმება სახელის მრავლობით რიცხვს, II. როცა ნ ზმნაში შეესატყვისება სახელის მხოლოდით რიცხვს.

განვიხილოთ შემთხვევათა I ჯგუფი. ჯერ დავიმოწმებთ სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებს (ამგვარი ფორმები ილია აბულაძეს დადასტურებული არ ჰქონია):

უპყრიენ: მარჯუენით მამისა სამარადისოდ უპყრიენ საყდარნი. სინ. მრავალთ., 169, 29.

გიპყრიენ: არამედ ყოველნი თქუნ თანა გიპყრიენ. ათ. ასკეტ., კრებ. 81, 18—19a.

¹⁷ ილ. აბულაძე, ხს. შრ., გვ. 143—145.

¹⁸ იქვე, გვ. 143.

¹⁹ არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი: ენიშნის მოამბე, VI, 1940, გვ. 39.

I თურმეობითი

დამიწერიენ: ამათ სახარებათა მიწყებით, რომელ დამიწერიენ, ამსახურებდ. ჰაემ. ტექსტ., 364, 7—8.

წარუმართებიენ: ეტლნი ქრისტჳსნი ბევრ წილ არიან და ათასეულნი წარუმართებიენ. ათ. მრავალთ., 121v, 22—24b.

შეურაცხიენ: ვითარცა მდგომარეთა შეურაცხიენ თავნი. ამოს., 6,5 0.

როგორ უნდა აიხსნას ამგვარი შემთხვევები? დავიწყით სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებით: უპყრიენ საყდარნი, ყოველნი გიპყრიენ, მოსალოდნელი იყო უპყრიან, გიპყრიან. სავარაუდოა, რომ ე-ნ დაბოლოება ან'ის ნაცვლად პარადიგმის გასწორების შედეგად მივიღეთ. თუ სუბიექტი მხოლოდით რიცხვშია, ორპირიანი სტატიკური ზმნა უპყრიეს ტიპისა ასე იუღლება: მიპყრიეს მე იგი, გიპყრიეს შენ იგი, უპყრიეს მას იგი... (შდრ.: მიპყრიან მე იგინი, გიპყრიან შენ იგინი, უპყრიან მას იგინი...). მხოლოდითის ანალოგიით ე გადავიდა ისეთ ფორმებშიც, რომელთაც სუბიექტური პირი მრავლობითში შეეწყობათ: მიპყრიენ მე იგინი, გიპყრიენ შენ იგინი, უპყრიენ მას იგინი...

ვფიქრობთ, ანალოგიურად უნდა აიხსნას იე-ნ დაბოლოება I თურმეობითში მოსალოდნელი იან-ის ნაცვლად:

შემირაცხიეს მე ი გ ი (მაგრამ: შემირაცხიან მე ი გ ი ნ ი),

შეგირაცხიეს შენ ი გ ი (მაგრამ: შეგირაცხიან შენ ი გ ი ნ ი),

შეურაცხიეს მას ი გ ი (მაგრამ: შეურაცხიან მას ი გ ი ნ ი).

მხოლოდითის ფორმებიდან I თურმეობითის ნიშნისეული ე გადავიდა მრავლობითში და მივიღეთ: შემირაცხიენ მე ი გ ი ნ ი, შეგირაცხიენ შენ ი გ ი ნ ი და მისთ.

განვიხილოთ შემთხვევათა II ჯგუფი: ნ მხოლოდითში დასმული სახელის ნიშანია.

I თურმეობითი

უცნობიენ: არცა მახლობელი უწყიედ, რაჲ არნ, არცა შორიელი უცნობიენ, სინ. მრავალთ. 104, 23.

შეგირაცხიენ: კადნიერებითა და ამპარტავნებითა არარად შეგირაცხიენ გლახაკი. Sin.—36 88, 27—30a; და ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიენ იგი. Ath.—42 89r, 8—9b.

შეურაცხიენ: შე-სამე-ურაცხიენ უნაყოფოჲ იგი ვითარცა სხუაჲ. სინ. მრავალთ., 139, 12—13; ნაშობსა უკეთურსა მართალთა თანა შეურაცხიენ თავი თვისი. პარიზ. ლექტ., 124v, 10—12a.

მოუგებიენ: ვაჟართა მათ, რომელთა მოუგებიენ მარგალიტი. ათ. მრავალთ., 288v, 12—14b.

შეუდრესიენ: და მოიღის, რომელი — იგი შეუდრესიენ ფურცელი. ათ. პატერ. 76v, 17—18.

მასშიენ: ვიხილე ძმაჲ, რომლისთვის მასშიენ ბრალი რაჲმე. ათ. პატერ., 159v, 3—4.

განმიბნევიენ: და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ. Sin.—30 63v, 14—16a; ტბ. ოთხთ., 143, 17—19b.

დაუმარხავნ: რომელსა დაუმარხავნ სული იგი წმიდაჲ სიწმიდით. ათ. მრავალთ., 285r, 2—3.

მოუკრძალავნ: ხოლო მდაბალსა მას მოუკრძალავნ თავი თვისი სიმდაბლით და აქუნ მარადის პატივი თვისი. ათ. პატერ., 99r, 17—19; Sin.—35 628, 10—14h.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ზმნური ფორმები დასტურდება ქართული ენის ისტორიისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს წერილობით ძეგლებში, როგორცაა: სინური მრავალთავი, მამათა სწავლანი (S—1139), Sin.—36, ათონის მრავალთავი და მისთ., სადაც მრავალ ნეოლოგიზმთან ერთად შემონახულია ქართული ენის უძველესი სტრუქტურის ამსახველი ფორმები.

ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია ილია აბულაძის ვარაუდი, რომლის თანახმადაც, უცნობიენ, შეგირაცხიენ... და მისთანა ფორმები III სერიაში ოდესღაც არსებული კიდევ ერთი ხოლმეობითის გადმონაშთებია²⁰. ილია აბულაძის მოსაზრებით, ეს არის მესამე ხოლმეობითის უძველესი სახე²¹.

როგორც ცნობილია, III ხოლმეობითად მიჩნეულია ისეთი ფორმები, რომლებიც II თურმეობითის ფუძიდან იწარმოება²².

II თურმეობითი

შემერაცხა მე იგი
ებრძანა მას იგი

III ხოლმეობითი

შემერაცხის მე იგი
ებრძანის მას იგი

ამდენად, I თურმეობითზე დაყრდნობილი ხოლმეობითი ვერ იქნება ამოსავალი II თურმეობითის ფუძიდან ნაწარმოები ხოლმეობითისათვის.

უცნობიენ, შეგირაცხიენ და მისთანა ფორმების ხოლმეობითობას ხაზს უსვამს ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში მათ პარალელურად აწმყოს ხოლმეობითის, II ხოლმეობითის ფორმათა ხმარება.

ძველ ქართულში მხოლოდ გადმონაშთიდა გვაქვს ოდესღაც არსებული ამ მწკრივისა. ისმის კითხვა, რა უნდა გვეწოდებინა მისთვის სახელად? სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიცია რომ არა, რომლის თანახმადაც, III ხოლმეობითად მიჩნეულია II თურმეობითის ფუძიდან ნაწარმოები მწკრივი (შემერაცხის, ებრძანის და მისთანანი), უფრო უპრიანი იქნებოდა, სწორედ უცნობიენ, მიუგებიენ და მისთანა ფორმებისათვის გვეწოდებინა III ხოლმეობითი, ხოლო ებრძანის... ჩაგვეთვალა IV ხოლმეობითად. ამით მწკრივთა თანმიმდევრობაც იქნებოდა დაცული (I თურმეობითიდან ნაწარმოები მწკრივის სახელად III ხოლმეობითი გვექნებოდა, ხოლო იმ მწკრივს, რომელსაც II თურმეობითი უძევს საფუძვლად, IV ხოლმეობითი ერქმეოდა) და ისტორიული პერსპექტივაც: უცნობიენ და მისთანა ფორმები თავს იჩენს გაცილებით ძველ ტექსტებში (და ამდენად ენის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურს ასახავს), ვიდრე ებრძანის და მისთანანი.

²⁰ ილ. აბულაძე, დასახ. ხაზრომი, გვ. 145.

²¹ იქვე.

²² ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში; თსუ სამეცნიერო სესია, 1946, მოხსენებათა კრებული, 1947, გვ. 11, ზ. სარჯველაძე, ახალი მასალები მესამე ხოლმეობითის შესახებ: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1972, გვ. 147—149.

ბაპარ გიგინეიშვილი

ხმოვანთა სიბრძნე და აუსლაუტის საკითხი სვანურში

სვანური თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები პირობითად შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავეყოთ იმისდა მიხედვით, უმლაუტიანი ხმოვანი გვაქვს ბოლო მარცვალში თუ მარტივი. უმლაუტიანი ხმოვნის არსებობა ბოლო მარცვალში იმის მაუწყებელი იქნება, რომ ამ სახელებს ბოლოკიდური ი, ე ან ა დაუკარგავთ. მსგავსი მაგალითები საკმაოდაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან. ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ. ასეთია: ბჰრკ „ნაბიჯი“, ტრტ „ხელი“, ფჰრ „ფური“, კან „ხარი“, გრშ „საქმე“, კჷშ „ხველა“, ჟაკჷარ „არყის ხე“ და სხვა. აქედან სიტყვათა ერთ წყებაში (ბჰრკ, ტრტ, კან, გრშ) ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გაელენით, რომელიც ამჟამად გაუჩინარებულია. სახელობითი ბრუნვის ნიშნად ა. შანიძე ე-ს ან ი-ს ვარაუდობს¹. მაგალითების მეორე წყებაში (კჷშ, ჟაკჷარ) აუსლაუტში დაკარგულად ივარაუდება ა ხმოვანი, რომელსაც გამოუწვევია ფუძისეული ე-ს გადაბგერება ა-დ². ამრიგად, თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ეს ჯგუფი შეგვიძლია ისტორიულად წარმოვადგინოთ, როგორც სახელობითი ბრუნვის ი ხმოვნით ან ფუძისეული ე, ა ხმოვნებით დაბოლოებულნი (თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ე სახელობითის მორფემად ნაკლებ სავარაუდებელია ქართულისა და მეგრულის ჩვენებათა გამო).

რაც შეეხება სახელთა მეორე ჯგუფს. რომელსაც ბოლო მარცვალში უმლაუტიანი ხმოვანი არა აქვს, აქ სხვა კრიტერიუმი დაგვეჭირდება. ამ მხრივ ძალზე საყურადღებო ცდა შინაგანი რეკონსტრუქციისა მოგვცა ვ. თოფურიამ. მან მოახდინა კლასიფიკაცია სახელებისა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მიხედვით: „თუ სახელი უმლაუტიანია, მას უთუოდ ნათესაობით ბრუნვაში -იშ ფორმანტი გაუჩნდება. თუ სახელი უუმლაუტოა, მას იმავე ბრუნვაში -აშ დაბოლოება ევლინება“³. პირველ ტიპს განეკუთვნება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სახელები და მსგავსნი, მეორეს კი — ისეთი სიტყვები, როგორიცაა: გეზალ „შვილი“, ნაქამ „სტუმარი“, კოჯ „კლდე“, ქორ „სახლი“, მურყუამ „ციხე“, ნელარ „კასრი“ და სხვა. ამ სიტყვათა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში (გეზალაშ, ნაქამაშ და სხვა) ე. თოფურიას ა ფუძის კუთვნილებად მიაჩნია, ხოლო -შ გენეტივის აფიქსად. ა-ს გაუმლაუტებას იგი სახელობითის ი მორფემას

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, 1925, გვ. 219—220.

² მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტების სისტემა სვანურში, თბილისი, 1969, გვ. 30, 32.

³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, თსუ მოამბე, VII, 1927, გვ. 290.

მიაწერს, რომელიც დაიკარგა და წინამდევალი ხმოვნის უმლაუტი დაგვიტოვა⁴. უფრო თანმიმდევრული გვეჩვენება ნათესაობითის -იშ მორფემიდან ამოსვლა, რომლის ხმოვნით ნაწილს აგრეთვე შეეძლო გამოეწვია ფუძისეული ა-ს უმლაუტი და შემდგომ თანდათანობითი დასუსტებით თვითონ დაკარგულიყო: *გეზლა-იშ → *გეზლა-აშ → გეზლა-შ. ამგვარი ვარაუდი ეკუთვნის ანა გვენცაძეს⁵. ეს მოსაზრება დასაყრდენს პოეებს სვანურის თქმებში ნათესაობითის -აშ ალომორფის არსებობაში.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი სახელები სახელობით ბრუნვაში აღდგება ასეთი სახით: *გეზალა „შეილი“, *ნაქამა „სტუმარი“, *კოჯა „კლდე“, *ქორა „სახლი“, *მურყუჟამა „ციხე“ *ნელარა „კასრი“. საფიქრებელია, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის მორფემის ნულოვანი ალომორფით იყვნენ წარმოდგენილი.

ზოგჯერ -ა-შ დაბოლოება ნათესაობითში ისეთ სახელებსაც გამოაჩნდებათ, რომლებიც ა-ზე არ უნდა ყოფილიყვნენ დაბოლოებულნი. მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიტანთ ქართულიდან შეთვისებულ სიტყვებს: გამ (←*გემჟ) „გემო“ — ნათ. ბრ. გამ-აშ, ჭოქჭრ „ოქრო“ — ნათ. ბრ. ჭოქჭრ-აშ, ბოლ „ბოლო“ — ნათ. ბრ. ბოლ-აშ, ჰანჯუ „ეზო“ — ნათ. ბრ. ჰანჯუ-აშ. ყველა ეს სიტყვა ქართულში ო-ზე ბოლოვდება. აქ უკვე სავსებით ცხადია, რომ სვანურში მომხდარა აშ მიმდევრობის მეტაანალიზი. იგი მთლიანად მიჩნეულ იქნა ნათესაობითის ერთ-ერთ ალომორფად და გავრცელდა სხვა (არა ა-ზე დაბოლოებულ) სახელთა ჯგუფებზედაც.

რა მიზეზია, რომ სახელთა პირველი ჯგუფის ერთ ნაწილს (კჭაშ, უაქუჟარ), რომელთაც ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანად ა უნდა ჰქონოდათ, მისი დაკარგვის შემდეგ ბოლო მარცვალში უმლაუტიანი ხმოვანი აღმოაჩნდათ, ხოლო მეორე ჯგუფის ერთმა წყება სახელებმა, რომლებიც ისტორიულად აგრეთვე ა-ზე ბოლოვდებოდნენ (გეზალ, მურყუჟამ), ამ ა-ს დაკარგვის შემდეგ უმლაუტი არ განივითარეს? ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ პირველი ტიპის სახელებში უკანასკნელის წინა მარცვალში ე ხმოვანი გვექონდა, რომელიც უკანა მიმართულების უმლაუტის შედეგად (ა-ს გავლენით) იცვალა ა-დ, მეორე ტიპის სიტყვებში კი ფუძეში იმავე ადგილას ა ხმოვანი იყო, რომელიც ბოლოკიდურ ა-ს გავლენით ვეღარ შეიცვლებოდა.

წინამდებარე წერილის მიზანია გაარკვიოს, რამ გამოიწვია ბოლოკიდური ფუძისეული ა-ს დაკარგვა და ეხება ეს სხვა ხმოვნებსაც თუ არა. ჯერ ვუპასუხებთ მეორე კითხვაზე. სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა საერთო მოვლენა ჩანს. გვაქვს ი-სა და ე-ს დაკარგვის შემთხვევებიც, ხოლო ო უკვალოდ არ იკარგვის. ის წყვილბაგისმიერი ჟ-ს სახით რჩება.

მოვიტანთ რამდენსამე მაგალითს:

ი# → ი#

კაშ „ქმარი“ (←*კაში), შდრ. ქართ. კაცი, ზან. კოჩი

კაშ „კვამლი“ (←*კაში), შდრ. ქართ. კუამლი

ლაშ „ჩიხვი“ (←*ლაში), შდრ. ქართ. ვაცი, მეგრ. ოჩი

⁴ იქვე. გვ. 293.

⁵ ა. გვენცაძე, ნათესაობითი ბრუნვა სვანურში (სადაპლომო ნაშრომი), თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი, 1970, გვ. 15.

⁶ ვ. თოფურიია, ხს. შრ., გვ. 295.

შდის „თხილი“ (←*შდისი), შდრ. ქართ. თხილი, მეგრ. თხირი
ი-ს დაკარგვის შემთხვევები, როგორც წესი, სახელობითის მორფემისე-
ულ ი-ს შეეხება.

ე# → 0#

მიუ „მზე“ (←*მზეე), შდრ. ქართ. მზე, მეგრ. ბუა
კანარ „ხარები“ (←*კანარე; შდრ. ნათ. ბრ. კანარე-შ)
უსგუარ „ვაშლები“ (←*უსგუარე; შდრ. ნათ. ბრ. უსგუარე-შ)
გიმ „მიწა“ (←*გიმე; შდრ. ნათ. ბრ. გიმე-შ)

ო# → ჟ#

კალჟ „კალო“ (←ქართ. კალო)
პანჟ „ეზო“ (←*პეჟჟ—*პეჟო; შდრ. ქართ. ეზო)
წაჟრ „წერო“ (←*წაჟრჟ—*წერჟჟ—*წერო; შდრ. ქართ. წერო)⁷
ლენტ. აჩჟ „ეჩო“ (←*ეჩჟჟ—*ეჩოჟ; შდრ. ქართ. ეჩო)
თავდაპირველი ბოლოკიდური უ-ს შემცველი სიტყვები ჩვენთვის უც-
ნობია.

მაშასადამე, ა-ს დაკარგვა აუსლაუტში არაა იზოლირებული ფაქტი:
იკარგვიან (ან რედუცირდებიან) სხვა ხმოვნებიც. მაგრამ აქ ილუსტრირებული
შემთხვევების გვერდით არცთუ იშვიათად დასტურდება სიტყვის ბოლოს წარ-
მოდგენილი ა, ე, ბ. მაგალითები⁸:

-ა

დინა „ქალიშვილი“
დერა „გაყინული თოვლი“
კენჟა „ნეკი“
კადა „ნაჯახი“
შირა „წისკვილის ქვა“
ჩერშდა „კვირისთავი“
ჰეჟა „მაჯა“
ტაფწელა „მცენარე“

-ე

ბალე „ფოთოლი“
გუარე „ტყავი“
მარე „კაცი“
ფხულე „თითი“
ეახე „სახელი“
ლალე „ფრთა“
ეჟიჟე „ღვიძლი“
წესხე „ფესვი“
ლარე „სათიბი“

⁷ იხ. მ. ქილდანი, ხს. შრ., გვ. 71.

⁸ იქვე, გვ. 72.

⁹ ესარგებლობთ იმ მასალით, რომელიც ვ. თოფურიას ხსენებულ ნაშრომშია მოწოდებული.

-ი #

კული „შალი“
 კუჭში „ჭადი“
 ტელეფი (მცენარე)

Замечание Антонина о наличии в рукописи «Варлаама и Иоасафа» защитных листов позволяет проникнуть далеко вглубь истории кодекса. Три отрывка Апостола, предохранявшие текст Киевской рукописи от повреждений, принадлежат к уникальному списку Посланий апостола Павла VI в. (кодекс Н)¹¹. В настоящее время известен 41 лист этой рукописи: 12 лл. — Paris, Coisl. 202, фрагменты служили защитными листами тех рукописей библиотеки П. Сегье, которые привезены в Париж из Лавры св. Афанасия на Афоне¹²; 10 лл. — Paris, Suppl. gr. 1074, фрагменты приобретены Эммануилом Миллером и Луи Дюшеном в библиотеке Лавры св. Афанасия, где они служили защитными листами различных рукописей¹³; 8 лл. — Афон, Лавра св. Афанасия¹⁴; 3 лл. — Киев, ЦНБАН УССР, греч. 26 (собрание Антонина)¹⁵; 2 лл. — Ленинград, ГПБ, греч. 14: эти два листа из собрания П. П. Дубровского были прежде листами 3 и 4 рукописи Paris, Coisl. 202¹⁶; 2 лл. — Москва, ГИМ, Синод. греч. 563: фрагмент является развернутым листом рукописи, обрезанным по размеру принадлежавшего к древней библиотеке Лавры кодекса Синод. греч. 140 (60/LXI), где он служил защитным листом¹⁷; 2 лл. — Турин, Biblioteca Nazionale, V. I. 5¹⁸; 1 л. — Ленинград, ГПБ, греч. 14: фрагмент из собрания Порфирия Успенского, приобретенный им в Вато-

¹¹ H. O m o n t, Notice sur un très ancien manuscrit grec en onciales des épîtres de saint Paul, conservé à la Bibliothèque Nationale (H ad epistulas Pauli). Extrait des «Notices et extraits des manuscrits de la Bibliothèque Nationale», t. XXXIII, 1 re partie, Paris, 1889.

¹² B. de M o n t f a u c o n, Bibliotheca Coisliniana, olim Segueriana, sive scriptorum omnium Graecorum, quae in ea continentur, accurata descriptio... Parisiis, 1715, p. 252—253; H. O m o n t, Op. cit., p. 7, 13—14, 33, 35—37, 42, 47, 50—53; R. D e v r e e s s e, Bibliothèque Nationale, Département des manuscrits, Catalogues des manuscrits grecs, II, Le fonds Coislin, Paris, 1945, p. 179—180.

¹³ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 26—29, 40—41, 43—46; Ch. Astruc et M.-L. Concasty, Bibliothèque Nationale, Département des manuscrits, Catalogue des manuscrits grecs, Troisième partie, Le Supplément grec, Tome III, Nos 901—1371, Paris, 1960, p. 169—170.

¹⁴ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 16—22, 25.

¹⁵ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 15, 31—32; K. T r e u, Die griechischen Handschriften des Neuen Testaments in der UdSSR, Eine systematische Auswertung der Texthandschriften in Leningrad, Moskau, Kiev, Odessa, Tbilisi und Erevan, Berlin, 1966, S. 31—34.

¹⁶ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 23—24; R. D e v r e e s s e, Op. cit., p. 179; K. T r e u, Op. cit., S. 31; E. Э. Г р а н с т р е м, Каталог греческих рукописей ленинградских хранилищ, I, Рукописи IV—IX веков, Византийский временник, XVI, 1959, стр. 224.

¹⁷ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 38—39; Систематическое описание рукописей Московской Синодальной (Патриаршей) библиотеки, Часть I, Рукописи греческие, Сост. архимандрит Владимир, М., 1894, стр. 743—744; Б. Л. Ф о н к и ч, Библиотека Лавры св. Афанасия на Афоне в X—XIII вв., Палестинский сборник, вып. 17(80), 1967, стр. 167—175.

¹⁸ H. O m o n t, Op. cit., p. 8, 48—49.

пеле¹⁹; 1 л. — Москва, ГБЛ, ф. 270, № 70, 1, отрывок из собрания П. И. Севастьянова²⁰.

Судя по происхождению большинства фрагментов, кодекс Н находился в Лавре св. Афанасия. В начале XIII в. лаврский библиотекарь, занимавшийся приведением в порядок монастырского книгохранилища, использовал этот древний кодекс для защитных листов некоторых рукописей, по формату которых обрезались и листы Апостола VI в.²¹

Таким образом, едва ли могут быть сомнения в том, что Киевский «Варлаам и Иоасаф» в начале XIII в. входил в состав библиотеки Лавры св. Афанасия на Афоне²².

Обстоятельства, при которых рукопись оказалась в фондах Одесского Общества истории и древностей, остаются, к сожалению, неизвестными. Можно думать, что Антонин подарил рукопись в Одессу, поскольку с 14 октября 1858 г. он являлся действительным членом Одесского Общества истории и древностей²³.

¹⁹ Ibid., p. 8, 30, 55.

²⁰ Ibid., p. 8, 34; К. Т г е и, Op. cit., S. 31—34.

В. de M o n t f a u c o n, Op. cit., p. 251—253.

К сожалению, Антонин не говорит больше в дневнике об «оном изябрьском послушнике», жившем «при каком-то умершем архиерее». Судя по времени первого упоминания о нем — 11 марта 1861 г., а также исходя из слов: «...я в течение короткого пребывания своего здесь приобрел уже 7 древних греческих рукописей...», — нужно думать, что первый визит к Антонину этого послушника произошел в ноябре 1860 г., когда Антонин уже служил в Константинополе. Результатом этого посещения было увеличение рукописного собрания Антонина, который приобрел Псалтирь XII в. и Стихирарь 1106 г. Стихирарь Антонин подарил Русскому Археологическому обществу (рукопись была принесена в дар в 1862 г.; см. Д. П р о з о р о в с к и й, Описание древних рукописей, хранящихся в музее Императорского Русского Археологического общества, СПб., 1879, стр. 14; однако запись в дневнике Антонина об отправке им Стихираря в Археологическое общество датирована 20 июня 1861 г.: ЦГИА СССР, ф. 834, оп. 4, № 1124, л. 33), о чем имеется его надпись на л. I. На л. 259 находится карандашная запись Антонина: «NB. Пометка тетрадей знаками особенного рода (имеются в виду грузинские сигнатуры, поставленные, по-видимому, позже, чем греческие сигнатуры рукой писца. — Б. Ф.). Стихиры на Пасху, неизвестные теперь у нас и в Греции. Имя Иисус—для обличения старообрядцев (см. на закладках). Книга куплена в Константинополе (разрядка наша. — Б. Ф.). Когда перестала принадлежать Ватопедскому монастырю — неизвестно». На верхнем поле л. I — помета начала XIII в.: „+ βιβλίον τῆς τετάρτης ἑβδόμης κς'», принадлежащая библиотекарю Лавры св. Афанасия на Афоне (Б. Л. Ф о н к и ч, Указ. соч., стр. 168—170); на нижнем поле л. 258 об. той же рукой сделана запись: „+ βιβλίον ὅπερ εἶχεν ὁ μοναχὸς Ἐφρ[αίμ] [μετ]νογραφεύς Ἐυδὸκιμος μοναχὸς, ὅστις καὶ ἐκοιμήθη μηνὶ ἀπριλλίῳ εἴ τινός. εἴ ἔτος, εἴ ψχς“ (= 1218 г.). Таким образом, отвечая на вопрос Антонина, можно утверждать, что уже в начале XIII в. ватопедский Стихирарь находился в Лавре св. Афанасия. По-видимому, библиотека «умершего архиерея» состояла (хотя бы отчасти) из рукописей афонского происхождения, что в свете наших разысканий о судьбе Киевского «Варлаама и Иоасафа», представляет немалый интерес.

²³ Записки Одесского Общества истории и древностей, т. IV, 1860, стр. 392. Еще в 1872 г. список «Варлаама и Иоасафа» отсутствовал в фондах Общества, так как в вышедшей в этом году в VIII т. его «Записок» статье «Тридцатилетие Одесского Общества истории и древностей, его записки и археологические собрания», где перечислены все основные рукописи библиотеки Общества, «Варлаам и Иоасаф» не указан (Записки Одесского Общества истории и древностей, т. VIII, 1872, стр. 344).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლილი ხევსურიანი

ახალი შრომა ქართული ლექციონარის საგალობლებზე

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ძეგლი „იერუსალიმის კანონი“ ანუ „იერუსალიმური ლექციონარი“ დიდი ხანია ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა დარგის მკვლევართა ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ ძეგლს პირველად აკად. კ. კეკელიძემ მიაკვლია და გამოსცა 1912 წელს ორი სვანური ნუსხის მიხედვით¹. ნაშრომს აკად. კ. კეკელიძემ დაურთო ვრცელი სამეცნიერო აპარატი, რომელშიც მრავალი ლიტურგიკული საკითხი გააშუქა. 1960 წელს „იერუსალიმური ლექციონარი“ ხელმეორედ გამოსცა პროფ. მ. თარხნიშვილმა². მან მიზნად დაისახა ტექსტის დადგენა ყველა არსებული ნუსხის მიხედვით და ძეგლის ლათინურად თარგმნა, რათა იგი თანამედროვე კვლევისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა. პროფ. მ. თარხნიშვილმა თავის გამოცემას დამატების სახით დაურთო ლექციონარის იმ პოეტურ საგალობელთა ტექსტები, რომლებიც სრული სახით მხოლოდ ცნობილი საბაწმიდელი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილმა სინურმა ნუსხამ (Sin. 37) შემოინახა. ორივე გამოცემას თავის დროზე მრავალი მეცნიერი გამოეხმაურა. „იერუსალიმური ლექციონარი“ ერთხმად აღიარეს პირველხარისხოვან ძეგლად, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან, ხშირ შემთხვევაში ერთადერთ ცნობებს ადრეული ბიზანტიური მწერლობის მრავალი დარგიდან. ლექციონარის მონაცემები თანდათან უფრო კონკრეტული კვლევის საგანი ხდება. ამის დადასტურებაა 1970 წელს ვენაში გამოცემული ავსტრიელი ლიტურგიკოსის ჰელმუტ ლეების ვრცელი ნაშრომი „საგალობლები იერუსალიმის სამრევლო ღვთისმსახურებაში“³, რომელიც მთლიანად ლექციონარის საგალობლების შესწავლას ეძღვნება.

„იერუსალიმური ლექციონარით“ ჰ. ლეების დაინტერესება, როგორც ეს წინასიტყვაობიდან ირკვევა, განაპირობა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში გამოყენებული ფსალმუნური საგალობლების ანუ ფსალმოდის პრობლემამ, რომელსაც ავტორი დასავლური ლიტურგიკული წყაროების მიხედვით იკვლევდა. აღმოჩნდა, რომ აღმოსავლური, კერძოდ, იერუსალიმური წარმოშობის ლიტურგიკული ძეგლები ფსალმუნური საგალობლების შესწავლისათვის გაცილებით მეტ მასალას იძლევა, ხოლო ქართული ლექციონარი (ასე უწოდებს ავტორი თავის ნაშრომში „იერუსალიმურ ლექციონარს“) ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული ძეგლია. მასში, ავტორის აზრით, აისახა რამდენიმე საუკუნის მანძილზე გალობათა ფორმების განვითარების პროცესი, დაწყებული უმარტივესი ფსალმუნური საგალობლებით, ვიდრე ფსალმუნური და ორიგინალური პოეტური საგალობლების ურთიერთშერწყმამდე.

¹ К. С. К е к е л и д з е, Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912.

² Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (V-e VIII-e siècle), T. 1—2, Edité par M. Tarchnischvili, Louvain, 1959—1960.

³ H. E. L e e b, Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 8. Jahrhundert), Wien, Herder, 1970.

3. ლეების წიგნის შესავალ ნაწილში გარკვეულია ნაშრომის კონკრეტული მიზანი და კვლევის მეთოდი. ლექციონარის ზოგად დახასიათებაში ხაზგასმულია, რომ ყველა მონაცემით ეს ძეგლი იერუსალიმის ლიტურგიკულ პრაქტიკას ასახავს. „ქართული ლექციონარი იერუსალიმის ლიტურგიკული ცხოვრების აყვავების ხანის ნაყოფია, როცა ადგილობრივი შემოქმედებითი ძალები ჯერ კიდევ ყოველგვარი გავლენის გარეშე მოქმედებდნენ“. იერუსალიმის ლიტურგიკული პრაქტიკა ქართული ლექციონარის ორ მნიშვნელოვან წინამორბედ წყაროშიც ასახა. ესენია: IV საუკუნის მიწურულის ძეგლი, წმიდა ადგილების მომხილველი ქალის ეთერიას მოგზაურობის წიგნი და ძველსომხური ლექციონარი, რომელიც ასახავს განვითარების დონეს V საუკუნის შუა წლებამდე. ქართული ლექციონარი, ავტორის აზრით, შემდგომი განუწყვეტელი განვითარების სურათს გვაძლევს. არის კიდევ ერთი გვიანდელი ძეგლი, ეგრეთ წოდებული აღდგომის ეკლესიის ტიპიკონი. იგი იერუსალიმის ლიტურგიკაზე კონსტანტინოპოლის ძლიერი გავლენის ნიშნებს ატარებს. „ამგვარად, ქართული ლექციონარი „წინაბიზანტიური“ ლიტურგიკის უკანასკნელი მოწმეა“, — შენიშნავს ავტორი.

შესავალ ნაწილშივე ავტორი იძლევა ლექციონარის ნუსხებისა და გამოცემების მოკლე აღწერა-დახასიათებას. ხელნაწერთა აღწერისას, რაც ძირითადად პროფ. მ. თარხნიშვილის გამოცემიდანაა აღებული, 3. ლეები თითქმის სრულიად მიმოიხილავს ქართულ ლექციონართან დაკავშირებულ ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას. ლექციონარის ქართული ნუსხების დათარიღების საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია (კ. კეკელიძე, 3. გუსენი, 3. პეეტერსი, ე. გარიტი, მ. თარხნიშვილი). მათი დასკვნები, დამყარებული ლექციონარის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლაზე ან ამა თუ იმ მონაცემის შედარებითი ანალიზის შედეგებზე, ხშირად განსხვავებულია. 3. ლეება ამ შემთხვევაში მხოლოდ ლიტერატურის მიმოხილვით კმაყოფილდება. შესაძლებელია იმ მიზეზითაც, რომ თითოეული ნუსხა რომელიმე ნაწილში აშკარა სიძველის ნიშნებს ატარებს, ხოლო მონაცემების ურთიერთშეპირისპირება ნუსხების დასათარიღებლად გადაჭრით რაიმეს თქმის საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება ხელნაწერთა განსხვავებულ ჩვენებებს, ავტორს ისინი აინტერესებს ლიტურგიის განვითარების დასახასიათებლად, ამიტომ ნაშრომში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია მათი სათანადო შეფასება საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ქართული ლექციონარის დათარიღებას, აქ ავტორი პროფ. მ. თარხნიშვილის თვალსაზრისს იზიარებს, რომ ეს ძეგლი ოთხსაუკუნოვანი განვითარების შედეგია და რომ თავისი საბოლოო რედაქციით იგი ბევრად უსწრებს წინ ხელნაწერთა შედგენის დროს. ლექციონარის მონაცემების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც აქამდე თქმულა ქართული ლექციონარის დათარიღებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში, ავტორი დაასკვნის, რომ ლექციონარის შედგენის დრო არ სცილდება VIII საუკუნის პირველ ნახევარს და რომ ამასთანავე „ქართულ ლექციონარში სხვადასხვა წარმოშობის ფენაა. როგორც ჩანს, ძველთაგანვე უკვე არსებული ლექციონარი დროთა ვითარებაში ივსებოდა და ივრცობოდა. ქართული ლექციონარის შედგენასა და დამუშავებაზე თაობებმა იმუშავეს“.

ქართული ლექციონარის ჩამოყალიბების პროცესი ავტორს დაახლოებით ასე ესახება: ქართული ლექციონარის პირველი თარგმანი დღეისათვის დაკარ-

გული ბერძნული პირველწყაროდან V—VI საუკუნეში უნდა შეესრულებინათ. ამას ადასტურებს ბიბლიური საკითხავების არქაული ენობრივი ნორმები, უძველესი ჰიმნის „ნათელი მხიარულის“ არსებობა გრაცის ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტში, შეხვედრები სომხურ ლექციონართან, ფსალმუნური გალობის უძველესი ფორმის — რესპონსორული ფსალმოდის არსებობა, ტერმინოლოგია და სხვა. შემდეგ ეტაპებზე ქართულ ლექციონარში მუდმივად აისახებოდა ის განვითარება, ბერძნული ლექციონარი რომ განიცდიდა. შეიძლება ამით უნდა ავსხნათ ძალიან არქაული და ძველის დონისათვის ძალიან ახალი მოვლენების თანაარსებობა, რაც ლექციონარის ყველა ნუსხას ახასიათებს. განვითარების ეს პროცესი, ავტორის აზრით, თავდება VIII საუკუნის პირველ ნახევარში.

3. ლეები ცალკე თავს უძღვნის ბერძნული ლექციონარის ავტორის საკითხს. იგი არ იზიარებს აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებას სოფრონ იერუსალიმელის ავტორობის შესახებ. ეს მოსაზრება თავის დროზე არ გაიზიარეს აკად. კ. კეკელიძის ნაშრომის პირველმა რეცენზენტებმაც (ა. დმიტრიევსკი, აბელი). ერთ-ერთ საწინააღმდეგო საბუთად ყველას მოჰყავს ის ფაქტი, რომ ლექციონარში შეტანილია ორი საგალობელი ანდრია იერუსალიმელისა, რომელიც სოფრონის თითქმის 100 წლის შემდეგ ცხოვრობდა. 3. ლეები ამის გამო წერს: კ. კეკელიძე, რომელმაც, რასაკვირველია, დაინახა ეს შეუსაბამობა, მაინც ფიქრობს, რომ ანდრია იერუსალიმელის ორივე საგალობელი ქართველი მთარგმნელის ჩამატებული უნდა იყოს. ეს კი ჩვენს ავტორს ყოველად დაუშვებლად მიაჩნია. ქართული ლექციონარის თარგმანები, წერს ის. მომდინარეობენ უკვე არსებული ერთიანი ბერძნული ლექციონარიდან, რომელიც, ბუნებრივია, მუდამ ივსებოდა და ფართოვდებოდა. ამ დამატებების და ცვლილებების პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ბერძენი რედაქტორი და არა ქართველი მთარგმნელი. ხოლო ვინც კ. კეკელიძის მსგავსად ფიქრობს, რომ ქართველი მთარგმნელი თვითნებურად ურთავს ლექციონარს ახალ, მის მიერ თარგმნილ ტექსტს, მან ეს მთარგმნელი ქართული ლექციონარის ავტორად უნდა გამოაცხადოს.

ავტორს, რასაკვირველია, უფლება აქვს არ გაიზიაროს აკად. კ. კეკელიძის მოსაზრება, სოფრონის ავტორობაზე, თუკი ეს დაუსაბუთებლად მიაჩნია, მაგრამ მთელი შემდგომი კამათი აგებულია „იერუსალიმის კანონის“ შესავალი წერილის ერთი ადგილის არასწორ გაგებაზე. აკად. კ. კეკელიძე ანდრია იერუსალიმელის ორი საგალობლის ლექციონარში შეტანის თაობაზე წერს: „Если в первом случае мы имеем дело именно с песнопением Андрея Иерусалимского, а во втором — безусловно довериться свидетельству рукописей, то должны допустить, что у грузинского переводчика под руками был подлинник, в который благодаря переписчикам, проникли песнопения Андрея Иерусалимского...“⁴. ნათელია, რომ აკად. კ. კეკელიძე ამ საგალობლების დამატებას ბერძენ გადამწერებს მიაწერს და არა ქართველ მთარგმნელს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ავტორი კვლევის კონკრეტულ მიზანს ისახავს: შეისწავლოს ქართული ლექციონარის საგალობლები და გალობათა ფორმები და ახსნას ლიტურგიკულ-მუსიკალური ტერმინოლოგია, რომელსაც ლექციონარი შეიცავს. ქართული ლექციონარი სამრევლო ღვთისმსახურების განგებას წარმოადგენს, რაც ღვთისმსახურებაში მრევლის აქტიურ მონაწი-

⁴ К. С. К е к е л и д з е, Иерусалимский Канонарь, გვ. 26.

ლეობას გულისხმობს. ლექციონარის რუბრიკებში ხშირად პირდაპირაა მითითებული მრევლის ანუ ერის, როგორც მას ლექციონარი უწოდებს, მონაწილეობა ამა თუ იმ რიტუალში. მაშასადამე, შენიშნავს ავტორი, საგალობლები და გალობათა ფორმები უნდა შევისწავლოთ მათი სამრევლო ღვთისმსახურებაში გამოყენების თვალსაზრისით.

საგალობლებისა და გალობათა ფორმების თვალსაზრისით ადრექრისტიანულ ძეგლებს შორის ქართულ ლექციონარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ლექციონარმა ლიტურგიკული პოეზიის უძველესი ნიჟურების სრული ტექსტები შემოინახა. ისინი, ჰ. ლეების დაკვირვებით, პალესტინის ბერძნული სასულიერო პოეზიის უძველეს ფენას ეკუთვნიან. აღარაფერს ვამბობთ ფსალმუნურ საგალობლებზე, რომლებიც განვითარების ამ ეტაპზე ღვთისმსახურებაში გამოყენებული ძირითადი საგალობელი მასალაა. ფსალმუნური და ორიგინალური პოეტური საგალობლების ურთიერთდამოკიდებულება სამრევლო ღვთისმსახურების პირობებში — ეს არის ავტორის დაინტერესების ძირითადი საგანი. „მე შესაძლებლობა არა მაქვს, წერს ავტორი, განვიხილო ქართულად თარგმნილი პოეტური ქმნილებების მეტრული სტრუქტურა და მათი შესრულების მუსიკალურ-მელოდიური საშუალებები. დავადგენ მხოლოდ პოეტური საგალობლების თეოლოგიურ ტერმინოლოგიას, აგრეთვე საგალობლების სტრუქტურას და ფუნქციას ცალკეული ღვთისმსახურების ფარგლებში“. მაშასადამე, ავტორის მიზანია, ერთი მხრივ, განსაზღვროს ამა თუ იმ საგალობლის ფორმალური აღნაგობა, მისი შესრულების წესი და დაადგინოს შემსრულებლები, მეორე მხრივ, განსაზღვროს ის ამოცანა, რომელიც საგალობელს ეკისრება ღვთისმსახურების საერთო მსვლელობაში, ანუ საგალობლის თეოლოგიური მნიშვნელობა და კავშირი დღესასწაულის თემასთან. ყოველივე ეს მოითხოვს საგალობლის ტექსტის შესწავლას.

ქართული ლექციონარის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია. ლექციონარის გამომცემელთა და მკვლევართა დაკვირვებით, შედარებით ღარიბია. „ერთი და იგივე ტერმინი, — წერს აკად. კ. კეკელიძე, — იხმარება რამდენიმე სხვადასხვა ჯურის ლიტურგიკული ცნების გამოსახატავად. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია დაწყებულია მაშინ, როდესაც, საზოგადოდ, საღვთისმსახურო ტერმინოლოგია ჯერ საკმაოდ განვითარებული არ ყოფილა“⁵. ამ ვითარებას ითვალისწინებდა ჰ. ლეები, როცა მან გამოკვლევას ამოსავლად მიიჩნია არა ცალკეული ცნება ან ტერმინი, არამედ ღვთისმსახურება, წირვა. ყოველ საგალობელს და მის აღმნიშვნელ ტერმინს ავტორი განიხილავს ღვთისმსახურების მიმდინარეობაში და იკვლევს ლიტურგიკულ კონტექსტში.

ქართული ლექციონარი ხუთი სახის წირვას იცნობს. ესენია: ჟამისწირვა, ცისკარი, მწუხრი, ღამისთევა და ეგრეთ წოდებული ანამნეტური ანუ საუფლო დღესასწაულების განსაკუთრებული რიგის მსახურება. თითოეული წირვის შესწავლას ეძღვნება ნაშრომის თითო თავი. ავტორი ყველა ნუსხის ჩვენებების გათვალისწინებით ადადგენს ყოველი წირვის სტრუქტურას ანუ საკითხავების, ლოცვებისა და საგალობლების კანონზომიერ მონაცვლეობას და შემდგომ თანმიმდევრულად იხილავს სტრუქტურის ყოველ საგალობელს. იგი საგალობლის შესწავლის შემდეგ მეთოდს მიმართავს: ცნების ფილოლოგიური

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, ობ., 1960, გვ. 589.

თვალსაზრისით ახსნის შემდეგ შეისწავლის საგალობლის ფორმალურ აღნაგობას, შესრულების წესს და იმ ფუნქციას, რომელიც ეკისრება საგალობელს ღვთისმსახურების პროცესში. სტატისტიკური სიზუსტით აღრიცხავს ამა თუ იმ საგალობელს ერთი წირვის ფარგლებში და მისი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით ახდენს საგალობლის ტექსტის შეპირისპირებას სათანადო დღესასწაულის თემასა და საკითხავენთან. ასეთია ავტორის კვლევის მეთოდი. ამას უნდა დავუმატოთ ავტორის დამოკიდებულება სხვა ლიტურგიკულ წყაროებთან. ავტორი ცდილობს ესა თუ ის მოვლენა ახსნას ლექციონარის ფარგლებში. მაგრამ თუ ლექციონარი ამის საშუალებას არ იძლევა ძალიან ზოგადო მითითებების გამო, იგი მიმართავს სხვა ლიტურგიკულ წყაროებს, პირველ ყოვლისა, ლექციონარის დონეზე. ასეთი წყაროებია: იაკობისა და იოანე ოქროპირის ეამისწირვების ქართული და ბერძნული რედაქციები, წესი სიწმიდის განახლებისა, ლექციონარის თანამედროვე ზოგიერთი სირიული ძეგლი; აგრეთვე უკვე ხსენებული ეთერიას მოგზაურობის წიგნი, ძველსომხური ლექციონარი და აღდგომის ეკლესიის ტიპიკონი. ავტორს საინტერესოდ აქვს მოხმობილი მასალები მოგვიანო ხანის ბერძნული საგალობელი კრებულებიდან და თანამედროვე ბერძნული ღვთისმსახურებიდან, სადაც დღესაც ცოცხლობს ზოგიერთი უძველესი ტრადიცია. სამწუხაროდ, პ. ლეები სრულიად არ იცნობს ლექციონარის მომდევნო ქართულ ლიტურგიკულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს. საბაწმიდურ-სინური და სხვა წარმოშობის მრავალრიცხოვანი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები შეიცავენ მდიდარ მასალას და მნიშვნელოვან ცნობებს, რაც უთუოდ დაეხმარებოდა ავტორს საინტერესო ვარაუდების და საგულისხმო დასკვნების შემოწმებაში.

წირვათა სტრუქტურების შესწავლის საფუძველზე, რასაც ავტორი კვლევის ისტორიულ-მედარებითი მეთოდის გამოყენებით აწარმოებდა, ქართულ ლექციონარში 19 ჰიმნოგრაფიული ტერმინი გამოვლინდა: ალელუია, ალავსე, გალობაჲ, განიცადე, გარდამოთქმაჲ, დასდებელი, დიდებაჲ მალალთაჲ, ერის განტევებაჲ, იბაკოჲ, ნათელი მხიარული, ოხითაჲ, სიწმიდისაჲ, სტიქერონი, უფალო ღაღადყავი, ფსალმუნი. ღირსმყვენი, წარდგომაჲ, წმიდაო ღმერთოჲ და ხელთბანისაჲ. ამ ტერმინების ნაწილი თავის დროზე განმარტა აკად. კ. კეკელიძემ „იერუსალიმის კანონის“ 1912 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში. ამ ტერმინებს შეეხო აგრეთვე პროფ. მ. თარხნიშვილი. მაგრამ სპეციალური კვლევის შედეგად პ. ლეებმა შესძლო ლექციონარის რუბრიკებში და ძუნწ მითითებებში ამოეცნო გაცილებით მეტი საგალობელი, ვიდრე ეს დღემდე იყო ცნობილი ლიტერატურაში. ტერმინები, როგორცაა „ალავსე“, „წმიდაო ღმერთოჲ“, პირველად პ. ლეების მიერ მიჩნეულია საგალობლების აღმნიშვნელ ტერმინებად: ასევე — „ხელთბანისაჲ“. რომელიც აკად. კ. კეკელიძის ლექსიკონის მიხედვით ლოცვაა⁶, და „ნათელი მხიარული“, რომელიც უძველეს ხანმეტ ლექციონარში გვხვდება და მისი პირველი მკვლევარია აკად. ა. შანიძის მიერ აგრეთვე ლოცვად არის მიჩნეული⁷. აქვე შევნიშნავთ, რომ უძველეს ჰიმნს „ნათელი მხიარული“, როგორც საგალობელს, ლექციონარში პირველად პროფ. მ. თარხნიშვილმა მიაქცია ყურადღება, ხოლო პ. ლეებმა გამოიკვლია მისი ლი-

⁶ К. С. К е к е л и ძ ე. Иерусалимский Канонарь, გვ. 589.

⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხელნაწერები გრაკში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 9, 1929, გვ. 322.

ტურგიკული კონტექსტი და ტექსტი, რომელიც ქართულ ლექციონარში მხოლოდ საწყისი სიტყვებითაა მოტანილი.

3. ლეებმა შეისწავლა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებით სახელდებულ ყველა საგალობელი. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ერთი და იმავე ტერმინით ზოგჯერ სრულიად განსხვავებული სტრუქტურისა და ლიტურგიკული დანიშნულების საგალობლებია აღნიშნული და, პირიქით, ლექციონარის სხვადასხვა ნუსხაში ერთი და იმავე დღესასწაულის ერთი ტექსტის მქონე ერთი და იგივე საგალობელი სხვადასხვა სახელს ატარებს. კვლევის შედეგები ავტორმა განაზოგადა და განსაზღვრა ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საფუძვლები და პრინციპები. ავტორის ღრმა რწმენით, ქართული ლექციონარის მუსიკალურ-ლიტურგიკული ტერმინოლოგია შემუშავებულია საბაწმიდის ქართულ მოღვაწეთა წრეში, ბერძნულ სამყაროსთან მკიდრო კონტაქტის პირობებში. მას საფუძვლად ერთი პრინციპი არ დასდებია. ზოგ შემთხვევაში ტერმინი ნასესხებია ბერძნულიდან არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ ფორმითაც, მაგ., „ფსალმუნნი“, „იბაკოჲ“, „სტიქერონნი“. ზოგჯერ გააზრებულია საგალობლის ფუნქცია და ხასიათი და შესაბამისად შერჩეულია ქართული სიტყვა, მაგ., „დასდებელი“, „ოხითაჲ“. ზოგჯერ საგალობელი ატარებს იმ რიტუალის სახელს, რომელსაც ის თან ახლავს. მაგ., „ხელთბანისაჲ“, „სიწმიდისაჲ“, „ერის განტევებაჲ“. მეტწილად კი ფსალმუნური საგალობლის დასაწყისი სიტყვა გადაქცეულია შემდგომ საგალობლის სახელწოდებად: „ალავსე“, „განიცადე“, „წმიდაო ღმერთოჲ“ და სხვა.

მეტად საინტერესოა ტერმინოლოგიის შემუშავების თვალსაზრისით ზიარების რიტუალის თანმხლები ორი საგალობელი „განიცადე“ და „ალავსე“. ორივე ტერმინი ფსალმუნური წარმოშობისაა და წარმოადგენს შესაბამისად 33,9 და 70,8 ფსალმუნური მუხლების საწყის სიტყვებს. ლექციონარში კი ამ ტერმინებით პოეტური საგალობლებია აღნიშნული. ავტორის ძალიან მახვილი და დაკვირვებული გამოკვლევით აშკარა ხდება, რომ უძველეს დროში აღნიშნული ფსალმუნები მართლაც წარმოადგენდა ზიარების თანმხლებ საგალობლებს და, როდესაც ისინი პოეტურმა საგალობლებმა შეცვალა, ეს საწყისი სიტყვები, უკვე გააზრებული როგორც ტერმინი, დარჩა ზიარების საგალობელთა სახელწოდებად. საგულისხმო კიდევ ის არის, რომ „ალავსე“ და „განიცადე“ ფსალმუნის აღნიშნული მუხლების ქართული თარგმანის საწყისი სიტყვებია.

ჩვენ შევეხებით კიდევ ერთ ტერმინს „დასდებელს“ ამ სახელწოდების მატარებელი საგალობლები შეადგენს ქართული ლექციონარის დიდ ნაწილს და გამოკვლევაშიც დიდი ადგილი ეთმობა. ეტიმოლოგიურად ეს ტერმინი მომდინარეობს სიტყვიდან „დება“ — „დადება“ — „დასადებელი“. აკად. კ. კეკელიძის აზრით, ეს ტერმინი დაკავშირებულია პოეტურ საგალობელთა შემოღებასთან, რომლებიც, როგორც დამატება, ერთვოდნენ ღვთისმსახურებაში გაბატონებულ ფსალმუნურ საგალობლებს. 3. ლეები მთლიანად იზიარებს ამ თვალსაზრისს. იგი ნაშრომის დასკვნით ნაწილში წერს: „დასდებელი — ამ ცნებით უპირველეს ყოვლისა, აღინიშნება პოეტური სტროფი, რომელიც ამა თუ იმ ფსალმუნთან ერთად უნდა იგალობოს. სახელწოდება „დასდებელი“ მიგვითითებს იმ დროზე, როცა ღვთისმსახურებაში ფსალმოდური ელემენტია გაბატონებული და პოეტური სტროფი ჯერ კიდევ ფსალმუნს „ემატება“. აქედან გამომდინარე, „დასდებელი“ თავისი ეტიმოლოგიით, როგორც ჩანს, არის პოეტური სტროფის აღმნიშვნელი უძველესი ცნება“.

დასდებლების კონკრეტული შესწავლის სურათი კი ასეთია: „დასდებელი“, უპირველეს ყოვლისა, გვხვდება ჟამისწირვაში. აქ იგი, როგორც წესი, მოთავსებულია ძველი აღთქმის საკითხავების წინ და წარმოადგენს ფსალმუნურ ტექსტს. ჟამისწირვის ყველა „დასდებელთა“ შესწავლის შედეგად, რომელთა რიცხვი ლექციონარში 130-ზე მეტია, ჰ. ლეები მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს საგალობელთან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება და რომლის მეორე ნაწილი „დასდებლად“ იწოდება. ეს საგალობელი ლექციონარში უკლებლივ ასეთი სახითაა მითითებული:

ფსალმუნი: ხმა, ფსალმუნის მუხლი

დასდებელი: ფსალმუნის მუხლი.

სხვადასხვა წყაროს ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და თანამედროვე ლიტურგიკული გამოკვლევების გათვალისწინებით, ჰ. ლეები ვარაუდობს, რომ ქართულმა ლექციონარმა შემოინახა საგალობლის მითითების ისეთი ფორმა, რომელშიც, გარდა საგალობლის ტექსტისა, აისახა შემსრულებელი და შესრულების წესი. კერძოდ, ფსალმუნური გალობის უძველესი ფორმა — რესპონსორული ფსალმოდია, რაც გულისხმობს მგალობლისა და მრევლის მონაცვლეობით გალობას სამრევლო ღვთისმსახურებაში. ჟამისწირვის ფსალმუნური საგალობლის პირველი ნაწილი. რომელიც „ფსალმუნად“ იწოდება, ნაწარაუდებია მრევლისათვის. იგი წარმოადგენს ამა თუ იმ ფსალმუნიდან შერჩეულ მოკლე. სხარტ მუხლს და ახლავს მითითება ხმაზე, ხოლო ამავე ფსალმუნის სრული ან თითქმის სრული ტექსტის გალობა ეკისრება მგალობელს და იწოდება „დასდებლად“. ამ ორკომპონენტური საგალობლის ტექსტების გულდასმით შესწავლამ, რომლებიც მეტწილად მხოლოდ საწყისებით არის ლექციონარში მითითებული. ხოლო ზოგჯერ დასაწყისით და დასასრულით, ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ლექციონარი ასახავს თვით გალობის ფორმების განვითარებასაც, კერძოდ, ანტიფონურ გალობაზე გადასვლას, როცა მონაცვლეობს არა მგალობელი და მრევლი, არამედ მგალობელი და გუნდი.

რესპონსორულ ფსალმოდიათა იცნობს ლექციონარის არა მარტო ჟამისწირვები, არამედ მწუხრის, ცისკრისა და სხვა წირვებიც.

შობისა და განცხადების დიდ ღამისთევებსა და ზოგიერთ ანამნეტურ ღვთისმსახურებაში ქართულმა ლექციონარმა საკითხავების წინ შემოინახა რთული კომპოზიციის საგალობელი, რომლის ტექსტი ფსალმუნურია და თან ახლავს პოეტური სტროფი — რეფრენი, „დასდებლად“ წოდებული. „ცნება დასდებელი“, შენიშნავს ავტორი, აქ უნდა გვესმოდეს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით, რადგან იგი ჰქვია პოეტურ სტროფს, რომელიც უნდა „დაედოს“, „დაემატოს“ ფსალმუნს როგორც რეფრენი. აქაც საგალობლის ორკომპონენტური სტრუქტურა გვაქვს, მაგრამ ჟამისწირვის, მწუხრის და ცისკრის ფსალმუნური საგალობლებისაგან განსხვავებით „ფსალმუნი“ ჰქვია ფსალმუნს, ხოლო „დასდებელი“ — რეფრენს, რომლის ტექსტი პოეტურია. საგალობლის სტრუქტურისა და ტექსტების მიხედვით, რომლებიც სრული სახით შემოინახა სინურმა ნუსხამ, ავტორი ვარაუდობს, რომ საგალობელი ანტიფონურად სრულდებოდა ორი გუნდისა და ორი სოლისტის მონაცვლეობითი გალობით. ავტორის ვარაუდით, ანტიფონური შესრულების შინაარსს უნდა გამოხატავდეს საგალობლის რუბრიკებში მითითებული ძნელად ასახსნელი სიტყვა „წაქცევით“. ავტორი იძლევა ამ ტერმინის თავისებურ საინტერესო ახსნას, რაც, ალბათ, მოითხოვს კიდევ სხვა მასალებით შემოწმებას.

აღნიშნულ პოეტურ ტექსტებს ავტორი ძალიან დიდ შეფასებას აძლევს და საგანგებოდ თარგმნის მათ გერმანულ ენაზე, როგორც იერუსალიმის უძველესი პოეტური შემოქმედების ნიმუშებს. ავტორის დაკვირვებით, შობისა და განცხადების ღამისთევებსა და ზოგიერთ ანამნეტურ ღვთისმსახურებაში გამოყენებული საგალობლები და მსახურების მთელი სტრუქტურა საკუთრივ იერუსალიმური მოვლენაა, შედარებით გვიანი ხანისა, როცა ლიტურგიკულმა განვითარებამ მაღალ საფეხურს მიაღწია. მათ არ იცნობს ადრინდელი ძეგლი — სომხური ლექციონარი და არც მომდევნო ეპოქების ბიზანტიურ ლიტურგიკაში ეხედებით ამ სახით.

ასეთია მოკლედ და ძალიან სქემატურად „დასდებლად“ წოდებული საგალობლების მრავალმხრივი შესწავლის სურათი. მხოლოდ ტერმინის შემოღების დაკავშირება პოეტურ საგალობლებთან არ გვეჩვენება დამაჯერებლად. თუ „დასდებელი“, როგორც ტერმინი, პოეტური რეფრენის შემოღებას უკავშირდება, როგორ მოხდა, რომ „დასდებელი“ უფრო ძველი ფორმის საგალობლის — რესპონსორული ფსალმოდის ერთ-ერთი კომპონენტის სახელწოდებაა?

3. ლეების წიგნის მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია შევეხოთ მის მიერ განხილულ ყველა ტერმინს და ამ ტერმინებით სახელდებულ საგალობლებს, შევაფასოთ ყველა საინტერესო ვარაუდი და დაკვირვება, რომლებსაც ავტორი გვთავაზობს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართული ლექციონარის საგალობლების განვითარების 3. ლეების მიერ აღდგენილი სურათი იმ დონეს გვიჩვენებს, როდესაც პოეტური საგალობლები მტკიცედ მკვიდრდებოდა ღვთისმსახურებაში, რასაც ბუნებრივად თან სდევდა ფსალმუნური ელემენტის თანდათანობით უკან დახევა. ზოგ შემთხვევაში აღარც კი ჩანს კავშირი ფსალმუნსა და პოეტურ საგალობლებს შორის, მაგ., „ოხითაჲ“, „ხელთბანისაჲ“. ავტორის მტკიცე რწმენით, განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს კავშირი უთუოდ არსებობდა.

ამრიგად, ძველი წმინდა ფსალმუნური და ახალი პოეტური საგალობლების თანაარსებობა ლექციონარში, ამ საგალობლების ურთიერთკავშირი, აგრეთვე საგალობლების შესრულების უძველესი რესპონსორული და ახალი ანტიფონური წესების თანაარსებობა — მნიშვნელოვანი საბუთია ქართული ლექციონარისა და მისი საგალობლების ასაკის განსაზღვრისათვის. ეს ასაკი თავსდება V—VIII საუკუნეებში.

დასასრულს გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ენაზე არსებული მდიდარი ნათარგმნი თუ ორიგინალური საგალობლები ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის. 3. ლეების მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი ქართული ლექციონარის საგალობლების შესახებ ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს. ქართული და საერთოდ ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის შესწავლა სწორედ ამ საგალობლებით უნდა დაწყებულიყო, რადგან ქართული ლექციონარი ჰიმნოგრაფიის სათავეებთან დგას და მოწმეა ღვთისმსახურებაში პირველი პოეტური საგალობლების შემოღებისა და დამკვიდრებისა. ეს საგალობლები კიდევ დიდხანს შერჩა ღვთისმსახურებას, მას შემდეგაც, რაც ლექციონარმა VIII საუკუნის პირველ ნახევარში თავისი განვითარება დაასრულა, ხოლო თვით ჰიმნოგრაფიაში არსებითი ხასიათის ძვრები მოხდა.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „მაცნიერება“

ქართული ხალხური პოეზია, ტომი I
— მითოლოგიური ლექსები, ნაკვეთი I.

სარედაქციო კოლეგია: ელენე ვირსალაძე, ქსენია სიხარულიძე, მიხეილ ჩიქოვანი (მთავარი რედაქტორი).
ტომის შემდგენელი: მიხეილ ჩიქოვანი, ნოდარ შამანაძე.

(422 გვ., ფასი 2 მან. 10 კაპ., ტირაჟი 15 000).

აღმოსავლური ფილოლოგია, II

რედაქტორი გ. წერეთელი.
კრებულში მოთავსებულია გამოკვლევები აღმოსავლური ენებისა და აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურების შესახებ. მასში ქვეყნდება აგრეთვე ისტორიული ხასიათის აღმოსავლური დოკუმენტები და ნაწყვეტები სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან კომენტარებით.

კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი ავტორთა აღმოსავლეთმცოდნეები ნოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვ.

კრებულს ეძღვნება გამოჩენილი ქართველი რანსისტის პროფ. ვლ. ფუთურიძის საიუბილეო ნაშრომი (276 გვ., ფასი 2 მან. 13 კაპ., ტირაჟი 1 000).

ლიტერატურული ურთიერთობანი, კრებული, III.

რედაქტორი გ. ციციშვილი.
კრებული მოამზადა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებამ. იგი მოიცავს გამოკვლევებსა და ნარკვევებს ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე.

კრებულში გაერთიანებული ნაშრომები წარმოადგენენ ლიტერატურათა ურთიერთშემოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესის სხვადასხვა კუთხით შესწავლის ცდას (303 გვ., ფასი 2 მან. 28 კაპ., ტირაჟი 900).

ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV

რედაქტორები: ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი.

კრებულში განხილულია ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის აქტუალური საკითხები. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული დარგებიდან ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ პრობლემებს (206 გვ., ფასი 1 მან. 14 კაპ., ტირაჟი 800).

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი.

აღწერილობა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ელენე კელენჯერიძემ.

რედაქტორი გ. ლომთათიძე.

წიგნში წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდის აღწერილობა. აღწერილობაში გათვალისწინებულია ე. თაყაიშვილის ბიოგრაფიული, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები და მიწერ-მოწერა.

აღწერილობა დიდ დახმარებას გაუწევს XIX—XX სს. ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიით და, კერძოდ, ე. თაყაიშვილის მოღვაწეობით და მრავალმხრივი შემოქმედებით დაინტერესებულ პირთ (251 გვ., ფასი 2 მან. 15 კაპ., ტირაჟი 1 000).

გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები.

რედაქტორი ს. ჩიქია.

წიგნში დაბეჭდილია ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: ზღაპრები, ნოველები, ანეკდოტები, ლექსები, ანდაზები და გამოცანები, რომლებიც აჭარასა და აფხაზეთში მოსახლე ლაზებისგან არის ჩაწერილი და პირველად ქვე-

ყნდება. წიგნში წარმოდგენილია ლაზურის ორი კილოკაის — ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის მასალა. ტექსტები დიდ ინტერესს იწვევს როგორც ფოლკლორული, ისე ენათმეცნიერული თვალსაზრისით (239 გვ., ფასი 1 მან. 36 კაპ., ტირაჟი 1000).

გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება.

რედაქტორი ს. ცაიშვილი.

გ. შარაძის ნაშრომში გაშუქებულია XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და კულტურის მოღვაწის თეიმურაზ ბაგრატიონის (1782—1846) ცხოვრების გზა. ნაშრომს ერთეის თეიმურაზ ბაგრატიონის როგორც ნაბეჭდ, ისე ხელნაწერ შრომათა სრული ბიბლიოგრაფია, აგრეთვე, იკონოგრაფიული ტაბულები და თეიმურაზ ბაგრატიონის სპარსეთში, რუსეთსა და ევროპაში მოგზაურობის რუკები.

ნაშრომის მეორე წიგნში განხილული იქნება თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერულ-ლიტერატული მემკვიდრეობა (225 გვ., ფასი 1 მან. 2? კაპ., ტირაჟი 2000).

თ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ავტორის ბოლოდროინდელ შრომათა კრებულს. მასში განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიის რამდენიმე ძირითადი საკითხი. ეს საკითხებია: ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი, ენათა ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალიების რაობის საკითხები, ენათა აღწერის პრინციპები და სხვ. მოცემულია აგრეთვე ამერიკული სტრუქტურალიზმის შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი.

წიგნი განკუთვნილია ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტათვის და, საერთოდ, ენათმეცნიერების თეორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის (437 გვ., ფასი 2 მან. 24 კაპ., ტირაჟი 1000).

ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები).

რედაქტორები: ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე.

ლექსიკონში წარმოდგენილია 11 800-მდე სიტყვა ძველი ქართული ენის (V—XI სს.) 150-ზე მეტი ძეგლიდან. ყველა სიტყვა დოკუმენტირებულია სათანადო მასალით წყაროებიდან. ლექ-

სიკონს უძღვის წინასიტყვაობა რედაქციისაგან და შემოკლებათა განმარტება. ეს ლექსიკონი დიდად საჭირო წიგნია ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მომუშავე ყველა სპეციალისტისათვის და ძვირფასი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის (577 გვ., ფასი 5 მან., ტირაჟი 6000).

ნ. შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები.

რედაქტორი: მ. ჩიქოვანი.

ნაშრომი ქართული ხალხური ლეგენდების მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა ავტორი მიზნად ისახავს, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განიხილოს ფოლკლორული ლეგენდები და განსაზღვროს მისი ადგილი ხალხურ პროზაში.

კვლევა-ძიებისას ავტორი ემყარება პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ, ხალხურ სიტყვიერების კრებულებსა და ქრესტომათიებს ში დაბეჭდილ ხალხურ ლეგენდებს, აგრეთვე საარქივო მასალებს. მნიშვნელოვანი ადგილ ეთმობა ავტორის ჩანაწერებსაც.

ხალხური ლეგენდების მეცნიერული შესწავლა დაეხმარება ხალხთა უძველესი მსოფლმხედველობისა და რელიგიურ მოძღვრებათა შეკვლევარებს, აგრეთვე მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდისტებს (100 გვ., ფასი 52 კაპ., ტირაჟი 3000).

მცირე სჯულის კანონი.

გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა.

ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონი“ ძველი ქართული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ეს კრებული ექვთიმეს შეუდგენია ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ. ამ ძეგლში ლაკონურად აისახა როგორც ბიზანტიური, ასევე იმდროინდელი ქართული საეკლესიო სამართლებრივი კულტურა. კრებულის წყაროებად ექვთიმემ აიღო ბიზანტიური საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები: „წესი და განგება და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ“, „კანონნი შეცოდებულთანი“, „კანონნი დღითა დღეთა ცოლმათანი“ და „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“. ეს წყაროები ექვთიმემ ქართულ ნიადაგზე დაამუშავა, მასში შეიტანა ქართული მასალა და შექმნა სრულიად ახალი, ქართული რედაქცია სჯულისკანონისა. ექვთიმე მთაწმინდელის ეს შრომა საუკუნეების მანძილზე ემსახურებოდა ქართველი კაცის სარწმუნოებრივ ფორმირებას ზოგად ქრისტიანულ საფუძველზე (153 გვ., ფასი 74 კაპ., ტირაჟი 1000).